



ჩვენი მწერა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

6 მარტი 2015

№ 5 (239)

უილიამ ბლეიკის ჰიმნები
 ეთერ თედიაშვილის მოთხრობა
 ინტერვიუ მამუკა ჩარკვიანთან
 გიორგი სოსიაშვილის ნოველები
 როდის ჩავიცვამთ რკინის ქალამნებს
 ლერი ალიმონაკის დოკუმენტური ნოველა
 მაკა ჯიბლაძის საუბარი გუგა კოტეტიშვილთან
 ნუციკო დეკანოზიშვილის თეთრი მოტივი
 დეტექტივი — ცხოვრების ფრაგმენტად
 რუდოლფო ანაიას ბაბუების ზეიმი
 თენგიზ მირზაშვილის სიმართლე
 ემზარ კვიციანიშვილის ლირიკა
 მაკა ჯოხაძე გია კობახიძეზე



შინაარსი

რედაქტორის გვირგვინი	2	როდის ჩავიცვამთ რკინის ქალამანებს?! (თენგიზ მირზაშვილის ანდერძი)
არი და ბედისწერა	3	მართალს ვიტყვი (საუბრობენ უფროსი თაობის მხატვარი თენგიზ მირზაშვილი (ჩუფჩიკა) და საშუალო თაობის მწერალი მიხეილ ანთაძე)
მასპინძელი-ინტერვიუ	13	მამუკა ჩარკვიანი „ინადაც დავუნარ უფალს საბალოზლებს“ (მომამზადა ელისაბედ ბაკურაძემ)
რეპორტაჟი	14	თინათინ მოსიაშვილი მამალითი წარსულის, აწყობის და მომავლის ურთიერთკავშირისა (სენაკელი მოსაგრეების ნაკვალევზე)
პროზა	18	ეთერ თედიაშვილი დაბრუნებამდე
ფოტოგრაფიული პროზა	22	გიორგი სოსიაშვილი ნოველები
პირველი შთაბეჭდილება	26	ლერი ალიმონაკი ბაბრიალ აბრამიჩი
პოეზია	28	ნატა ვარადა სხვა პოეზია პოტიჩაილის თეთრი მოტივით
უსწოთის სტორებიდან	29	ნუციკო დეკანოზიშვილი თეთრი მოტივი და სხვა ლექსები
ღიალოგი	32	ემზარ კვიციანიშვილი მოცაილილი თაობა და სხვა ლექსები
წარსული მოგონებებისათვის	34	როსტომ ჩხეიძე დედაქტორი — ცხოვრების ფრაგმენტად (შეხმინება ორჰან ფამუქის ავტობიოგრაფიულ რომანთან „სხვა ფერები“)
სად წაიყვან სადაურსა	38	ლაკანდის ნისლი... ნითელი ღრუბლები (მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება გუგა კოტეტიშვილი)
გალაქიონოლოგია	40	„უფრო ვრცლად — ჩვენს მომავალ ალკომში“ (ანი ბერძენიშვილს ესაუბრება თამარ მიქაძე)
კულტურის ხილვა	43	მარიამ მარჯანიშვილი რიონის ქვევის ღაღადისი (ნოდარ ბანძელაძე)
კრიტიკა	46	ნინო ხიდიშელი კომპოზიციური ქარბა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანისა „კომიკოსი ტრაგედიაში“
ახალგაზრდავ. ან კი თქვენ	48	თორნიკე კობიაშვილი სტუმრად გალაკტიონთან
ლიბერალური სტორები	50	მაკა ჯოხაძე როცა ფიქრი მღერის (გია კობახიძის პოეზია)
ახალი წიგნები	57	ნათია ლვინიაშვილი ჩემი საყვარელი ნიგნი (სტუდენტური კონკურსი)
სილუაბი	58	ნინო დეკანოიძე როცა სინათლე სინათლით ხარობს (ესმა ონიანის ხსოვნის საღამო)
პოეზიის მერიდიანები	59	ადა ნემსაძე „ცხელ კვალზე“ მიღვენებული ჩანანარები (ელგუჯა თავბერიძის გამომხატურებათა კრებული „ნილოსისფერი პერანგი“)
ახალი თარგმანები	60	მიხეილ მახარაძე კონსტანტინე კაპანაძის შემოქმედება ახალი კუთხით („რენესანსი ლიტერატურაში“)
საორბი	63	ლელა ჯიყაშვილი ზურბს უკან საქართველო! (ჭაბუა ამირეჯიბი)
გამომგაზრება	64	უილიამ ბლეიკი ჰიმნები (პოეტური სკანდალიდან)
ამ მთისა და იმ ბარისა	66	რუდოლფ ანაია ბაბუების ზეიმი
	68	იური ავერბახი ნამდვილი ამბები (უბის წიგნაკიდან)
	70	მიხეილ ჭონქაძე დროული წარტილის სიკეთე... (გურამ გოგიაშვილის სტატია „ის არავისგან მოთვინიერებული არ ყოფილა...“)
	71	აბაშო ავრთხილაძე



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გაგრძელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2015 წლის 20 მარტს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეკი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გაგრძელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ადა ნემსაძე, ლელა მოსაშვილის ფოტო
სინდისგომის ეკლესია, არტანანი
ანა გელაშვილის ფოტოგრაფიული

როდის ჩავიცვამთ რკინის ქალამნებს?!

(თენგიზ მირზაშვილის ანდერძი)

ეს დიალოგი დიდხანს შერჩებოდა მიხეილ ანთაძის არქივს. თან გულს აკლდა მისი დაუბეჭდაობა.

თან... მაინცდამაინც ვერა რისკავდა გამოქვეყნებას მასალისა, რომელიც ასე დასათაურებულიყო: „მართალს ვიტყვი...“ — და მისი მრწამსი და შინაარსი საკვებით შეეფერებოდა ამ გაბედულ განცხადებას, გურამიშვილური სულით ნასაზრდოებს.

და რჩებოდა ის გადაამწყვეტი ნაბიჯი მკითხველთან მისასვლელად.

დიალოგის მოკლე მიმოხილვას ჯერ კიდევ 2003 წლის „ცისკრის“ ფურცლებზე (№11-12) ამცნობდა მკითხველს („მწერლობის აპოლოგია“) და მისი შექმნის გარემოებებსაც გაუმჟღავნებდა.

ეს იყო და ეს.

მაგრამ ადრე თუ გვიან უნდა დამდგარიყო იმ გადაამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის დროც და... ამ დიალოგით ხელში კიდევ გამოჩნდებოდა „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში: მინდა, რომ გავცნოთ ამ დიალოგს და, თუ დაბეჭდვას მოერიდებით, არ მენწყინება, მესმის, განა არ მესმისო!..

XX საუკუნე რომ მიიწურებოდა, მიხეილ ანთაძეს უეცრად გამოეცხადებოდა თენგიზ მირზაშვილი, მისი და ყველა ჩვენგანის საყვარელი მხატვარი, და ეტყოდა: „ცისკარში“ შენი რომანი წავიკითხე — „ლაზარეს თავგადასავალი“, და ისე მომეწონა, პირადად გაცნობისა და დამეგობრების სურვილი გამიჩნდაო.

ამას... ენა ჩაუვარდებოდა სიხარულისაგან.

ლიტერატურაში საკმაოდ გათვითცნობიერებული პიროვნება ასე მოხიბლულიყო მისი რომანით.

გაცნობა-დამეგობრება გაცნობა-დამეგობრებად და, თენგიზ მირზაშვილი მასთან იმ გულსტიკვილსაც მიეყვანა, მის შეხედულებებს ქართული კულტურის ერთ უაღრესად საჭირო პრობლემაზე შესაფერისი გასაქანი რომ არა ჰქონდა და ახლა ამ მწერლის მჭრელი კალამი დააიმედებდა: თუკი მხარში ამომიდგება, დიალოგის ფორმით შესაძლოა ერთი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი პუბლიკაცია მოვამზადოთო.

ენაწყლიანად მოუთხრობდა, თუ რას აელეღებინა — ადრე გამოქვეყნებულ მასალებსაც დაუტოვებდა ნასაკითხად, ცნობისნადილსაც გაუღვივებდა და იმ პრობლემის შუაგულშიც შეიყვანდა: ადრექრისტიანული ეკლესია-მონასტრების დათარიღების ირგვლივ რომ ტრიალებდა.

XIX საუკუნიდან მოყოლებული რუსეთი მიზანსწრაფულად რომ ცდილობდა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის დაკნინებას, მედროვეებს იოლად აიყოლიებდა, მაგრამ გარდა პირნავარდნილი მედროვეებისა, იყვნენ ის მწერლებიც და მეცნიერებიც, რომელნიც ლამობდნენ მეტნაკლები ლავირებით წარემართათ მოღვაწეობა საკუთარ კარიერასა და პატრიოტიზმს შორის.

ეს ლავირება კი საბოლოოდ იმას გამოიწვევდა, რომ შეიქმნებოდა რეალობის მსგავსი სიყალბე, შემპარავი და დამლუბველი.

— მშვიდ ვითარებაში ასეთი ისტორია ისტორიას ნააგავს, მეცნიერება — მეცნიერებას, სწავლა — სწავლასა და ცოდნა — ცოდნას, მაგრამ საკმარისია რაიმე გამოჩხრიკო მის სანინა-ალმდეგოდ, იმნამსვე გამოაჩენს შენიღბული ურჩხული ბრჭყალებსო, — შესჩიოდა თენგიზ მირზაშვილი მიხეილ ანთაძეს, — თუნდაც შენი არგუმენტი თხუთმეტი საუკუნის წინათ ქვაზე იყოს ამოკვეთილი, გეტყვიან, ეგ არ არის მართალი, ამა და ამ აკადემიკოსმა თქვა, მაგ ქვას არაფერი აწერიაო.

მამ რა ხდებოდა?

საკულტო ავტორიტეტთა გავლენა ფაქტებს მეორე რანგის მოვლენად აქცევდა.

ამიტომაც იყო, რომ თენგიზ მირზაშვილი და მისი თანამოაზრენი ამოდ ელენებოდნენ ამ მიუვალ ციხე-სიმაგრეს, და რომ ცდილობდნენ მსჯელობა მეცნიერული პოლემიკის ფარგლებში მოექციათ, მეორე მხრიდან უმთავრესად ამისთანა იარაღები დაატყდებოდათ თავს: არაპროფესიონალიზმიო, არაკომპეტენტურობაო, ანტისაბჭოთა იდეოლოგიაო, ხალხის მტრობაო, ჭკუაშეშლილობაო...

აიტანდა ამასა და ამისთანებს, მაგრამ გულს ის უკლავდა, რომ მთავარი ფესვი ისტორიისა, გადაჭრილ-გადაღრღნილი, სულ უფრო და უფრო ახმობდა ქართველთა ეროვნულ ცნობიერებას.

დაიდგამდნენ დიქტოფონს მწერალი და მხატვარი და საათნახევარს ისაუბრებდნენ, შეწყვეტდნენ სადღაც შუა სიტყვაზე, მაგნიტოფონი რომ გამოირთობოდა, დიალოგისას კი რას აღარ გადაწვდებოდნენ იმ გადასახედიდან, თუ რაიგი დაემახინჯებინა ზნეობა და აზროვნება საბჭოეთს და როგორ მიჰქონდა წყალს უკან-უკან განათლებაც, ხელოვნებაც, ყოფაცხოვრებაც, ნამსხვრევები რომ რჩებოდა მიმოფანტული და შემნებებელი კი არსად ჩანდა.

მისდგებოდნენ მხატვრებს, განათლების სისტემას, მსახიობებს, კინემატოგრაფისტებს, ბევრს შეაქებდნენ, უფრო მეტზე — აუგს იტყოდნენ და... მერე მიხვდებოდნენ, რომ ეს მკაცრი საყვედურები არ იქნებოდა ავილი გამოსაქვეყნებელი.

— თქმა იოლია, თუკი შენს აზრს ახლოვდება უზიარებო, — წლების შემდგომ ასე შეაფასებდა ამ მკაცრ განსჯას მიხეილ ანთაძე, — მაგრამ საჯაროდ, სახალხოდ ამგვარი რამის გამოქვეყნებას რაღაც შინაგანი ბარიერი ელობება, უბედურების თავი და თავი კი ჭეშმარიტების შიში, მართლის თქმის უუნარობა, გულწრფელობის უკმარისობა, საკუთარ აზრში დაეჭვება, სხვისი მოსაზრების უარყოფა და ამისთანებიაო.

იქვეც შეთანხმდებოდნენ: ეს დიალოგი ჩვენთანვე დარჩეს, გამომიზიარებას ნულა მოვიწოდებოთო, — და ქართულ სიტყვებს დაუნჯებდნენ ჩხრეკას — საიდან რა მოდიოდა, რა რას ნიშნავდა, და მშობლიური ენის მოფერებაში შეჭრილებს... კიდევც დაუჩხაკუნებდათ მაგნიტოფონი.

გავიდოდა რამდენიმე წელი და მიხეილ ანთაძე მაშინლა ამოშიფრავდა კასეტიდან თითქმის მივიწყებულ იმ საუბარს. დასაკარგავად დაენახებოდა, კიდევ დააკაბადონებდა, თენგიზ მირზაშვილის ფერწერული ნახატიც გააფორმებდა („იგი ხომ სულ ხატავს, ხელს არ აჩერებს, თან ასევე ინტენსიურად ჩუქნის და არიგებს ნამუშევრებს, რის გამოც, ასე მგონია, მთელი თბილისი მოფენილია მისი პატარ-პატარა პეიზაჟებითა თუ ნატურმორტებით“) და შექმნიდა მცირე წიგნს — სამ ეგზემპლარად.

ერთს თვითონ დაიტოვებდა, ორს კი მისთვის და ყველა ჩვენგანისთვის ძვირფას მხატვარს მიუტანდა საჩუქრად.

ის გადაიკითხავდა, მონონებით მონონებდა, მაგრამ... კვლავ იმ მოჯადოებულ წრეში დატრიალდებოდნენ.

მიხეილ ანთაძე შესთავაზებდა: შევასწოროთ, საჯაროობისათვის გავჩაღხოთ და მერე გამოვცეთო.

თენგიზ მირზაშვილი მაინც უფრო იქით გადაიხრებოდა: იმ სიციცხალის შენარჩუნება გვერჩიოს, გულიდან როგორც ამოგვსკდა ეს სატკივარი, ვის მოვერიდოთ, რას მოვერიდოთ. თუმც დაჟინებითაც აღარ დაიჟინებდა და თანამოსაუბრეს მიანდობდა მის ბედს.

ერთს კი იტყოდა: რკინის ქალამნების ჩაცმავა საჭირო, ხალხისნებით ვასვლა ხალხში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცდილების გამეორებაო...

იმ სიციცხალის შენარჩუნება გვერჩიოსო... თითქოს ანდერძით დაგვიტოვა ეს სიტყვები თენგიზ მირზაშვილმა და... დაე იყოს ნება მისი — ანდერძს ხომ შესრულება უნდა!..

მართალს ვიტყვი

საუბრობან უფროსი თაობის მხატვარი თინათინ მირზაშვილი (ჩუჭუჩია) და საშუალო თაობის მწერალი მიხეილ ანთაძე

თინათინ მირზაშვილი — ძალიან პირობითი რამეა, როდესაც „თაობაზე“ ვლაპარაკობთ, მაგრამ, ასეა თუ ისე, მაინც რაღაცა აერთიანებს ადამიანებს და იქმნება თაობათა წყება. არსებობს გარდამავალი პერიოდებიც. ზოგადად ვამბობ. მაგალითად, ჭაბუა სულ სხვა ასაკისაა, ვიდრე მე, მაგრამ ერთი წრის ხალხი ვართ, ერთი დროისა. შეიძლება ჩემსა და ჭაბუას შორის მეტი ასაკობრივი სხვაობა იყოს, ვიდრე ჩემსა და შენ შორის, მაგრამ მე და ის ერთი თაობა ვართ, მე და შენ კი — სხვადასხვა. ასეთ დაყოფას, ალბათ, სოციალური ფაქტორები და, საერთოდ, ეპოქა ქმნის.

მიხეილ ანთაძე — თანაც ფარდობითია ეგ.

— დაცა, არ გვინდა ახლა ეს ფარდობითობა, პირდაპირ ვთქვათ — ჩვენ სხვადასხვა თაობისანი ვართ.

— რომელი „გოდა“ ხარ?

— „სისიატ პიატ-შესტ“.

— მე ვარ „სოროკ-ტრი“.

— ოცდასამია სხვაობა.

— ერთი თაობის მანძილი მართლაც არის — მამათა და შვილთა დისტანცია.

— თამაზ ჭილაძემ რომ მითხრა, თქვენი თაობის მოსაუბრე ამერჩია ამ პუბლიკაციისათვის, მე მისი მესმის — ჩემი თაობის კაცია. თქვენი თაობა ნაკლებად ვიცით და ამიტომ გვაინტერესებს.

— ჩვენი თაობა უკვე მნიფე ასაკში შედის.

— გეტანხმები და რა მომეჩვენა, იცი: მწერლობაში თქვენმა თაობამ რაღაც მნიშვნელოვანი ნარმოშვა. მე ისეთი კაცი ვარ — კრიტიკულად ვუყურებ ყველაფერს, რეზო ინანიშვილის თაობისა ვარ, მისი მრწამსის, და, აგერ, მე მგონი, სხვა რამ წამოვიდა თქვენგან — სხვაგვარი ხედვა. ანალოგიურს ვამჩნევ, ალბათ, მუსიკაშიც, მხატვრობაშიც (თუმცა მე ისეთი კაცი ვარ, დიდი სიამოვნებით მივესალმები ყველაფერ კარგს), მაგრამ ის, რაც თქვენი თაობის მხატვრობაში ხდება, ჩემთვის არ არის ასეთივე შთამბეჭდავი, აი მწერლობაში კი რაღაც იმედს და რაღაც აზრს ვხედავ. და პირიქით, ჩემი თაობის მხატვრობაში მე დიდ ძალას ვხედავ, რასაც ვერ ვხედავ ახალ თაობაში. შეიძლება არის, მაგრამ ისეთი არაა, როგორც მინდა იყოს, როგორც თქვენი თაობის მწერლობაშია. აი, დაახლოებით, ასე მეჩვენება საქმის ვითარება.

— მე მხატვრობაზე მხოლოდ, როგორც დილეთანტი — შემფასებელი (არაპროფესიონალი) თუ ვისაუბრებ. თქვენს თაობაში ძალიან მიყვარხართ მხატვრები. თქვენს თაობას, ეტყობა, ისეთმა დრომ მოუწია ახალგაზრდობაში, რომ... ჯებირი გამოხეთქა მავ თაობამ.

— მე, მაგალითად, მხატვრის ოჯახიდან ვარ, მაგრამ როცა აკადემიაში შევედი (ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისა), ჩემში დიდი ძვრა მოხდა. აქ დავინახე ძალიან საინტერესო ხალხი, თავისი



ნიგნაკი — სამ ეგზემპლარად

საქმით დაინტერესებულნი, უკვე თითქმის ღრმა პროფესიონალები (ჩემი დროის სტუდენტებს ვგულისხმობ). ძალიან ბევრი იყო კურსზე დარჩენის შემთხვევები. ტოვებდნენ ხოლმე. ხან მამია დუდუჩავა...

— ხან ალბათ კოლია ჯაში, არა?..

— ჰო, მაგალითად, მე კოლია ჯაშის გამო გადავედი დეკორატიულზე, ასეთი მრწამსის კაცი იყო და მიაჩნდა: თუ აკადემიაში შედიხარ, ესე იგი, იქ „ესა და ეს“ უნდა აკეთო. ეს გასაგებია. ზოგში ძალიან იყო გამჯდარი... ხედავ, რას მივადექით: საბჭოთა აზროვნება, მისი წესი ძალიან ღრმად გაჯდა ძალიან ბევრი. უკვე მეორე-მესამე თაობის ხალხი იყვნენ საბჭოეთისა. ცოტა მიკვირდა — კაცს, რომელიც უკვე ხნიერია, მალე დატოვებს ასპარეზს — რაღაც ორდენის მიღება უნდა. მოცუბდა ეს ამბავი, ვფიქრობდი, ხომ ვაჭა-ფშაველას ქვეყანაა, ფიროსმანის, როგორ შეიძლება ასე აგერიოს ტვინი. ასეთი დამოკიდებულება თავიდანვე მიჩნდებოდა. მეზობელი მყავდა (პლესანოვზე) საკონდიტრო ქარხნის დირექტორი. პატიოსანი ქალი იყო (მაშინ არ იყო ასეთი ქურდობა). იმან მიიღო რაღაც „ზნაჟ პაჩოტა“ (ორმოცდაათიანი წლების ამბავია) — მედელი და მამაჩემმა ამაზე ბევრი იცინა. რატომღაც ისე იყო, რომ მამაჩემს სახლში ლაპარაკის არ ეშინოდა, ვთქვათ, რომ მე გავიტანდი, სადმე ვიტყვოდი. მამაჩემი არ იყო ძალიან „ანტი“, მაგრამ მე ბავშვობიდანვე მივხვდი, რომ შინ გავონილი არ უნდა ილაპარაკო, არ უნდა გამოამჟღავნო, თუნდაც იმიტომ, რომ მამაჩემის ნათქვამი იყო, ჩემი ხომ არა. ერთხელ დამცინა მამაჩემმა, დააღეთ პირი და (საბავშვო ბაღის დროს იყო), როგორ მღეროდითო: „სპასი-

ბო ტავარიშვი სტალინუ ზა ნაშუ...“ ამაზე დამცინა. ასეთებიდან გაჩნდა ჩემში პატარა კრიტიკული მარცვლები.

— ახლა უცაბედად გამახსენდა ერთი ლექსი, რომელიც ჯიბით დამაქვს, რომ ხანდახან ვინმეს წავაკითხო, როგორც ეპოქის ნიმუში...

— შენ ძალიან იტანჯები ახლა, რომ არ ეწევი? (ბ-ნი თინათინ არავის აძლევს მისი თანდასწრებით თამბაქოს წვეის უფლებას).

— ჯერ არა, რომ დავიტანჯები, გეტყვი. ჯიბით დამაქვს. ერთი ჩემი მეგობარი, თუ არ ვცდები, ამას ჟურნალში წააწყდა. ჩვენსას კი არა, შესაძლოა თქვენს თაობასაც არ ახსოვდეს ეს. მე მგონი, 1938 წლის ჟურნალ „დილაში“ გამოქვეყნებული. ავტორია ვიღაც არტემ ნითლიძე, თუ რაღაც დამავარი. ლექსს ჰქვია „სახალწლო“.

„ჩვენს ალღუმზე არ დავასწრეთ თორმეტი წლის ელისო, რადგან გვითხრეს, შვილი არის იგი მავნებელისო. მავნებლებმა ვერ გაბედეს მტრული თავის აშევა, ო, რა ლაღად ვიახალწლეთ პროლეტარის ბავშვებმა. გუნდი შრომის ჰანგებს ქუხდა, ლექსს ამბობდა იური, და სუყველამ, ვისაც სურდა, ჭამა კონფიტიური. თვა გლაშას ესვრიდა, ძირს გორავდა გენადი, და ნადვისხის კენწეროდან გვიღიმოდა ბელადი“.

— გენიალური, ეპოქალური ლექსია.

— სასაცილოა და თან შემზარავია, კოშმარია.

— ჩემი ბავშვობა იმგვარი იყო, რომ „პოლიტიკურის შიში“ თავიდანვე არ მქონდა, ლაპარაკითაც თამამად ვლაპარაკობდი, მაშინაც კი, ოთხი წლის რომ ვიყავი. ჩემს ოჯახში ასეთ ხუმრობებსაც კი ბედავდნენ: „ბერია — ლობიოს გაუბერია“. თემას გადავუხვიე. იმის თქმა მინდა. რომ ამ ფენომენზე (პოლიტიკურ შიშზე და საბჭოური აზროვნების წესზე) დაკვირვების შეფასების სურვილი და საშუალება იმთავითვე გამიჩნდა ანუ სულ მქონდა. აი, ვინმე ჩემი კლასელი რომ იტყვოდა, ისტორიულზე უნდა შევიდეო...

— რაკომის მდივანი რომ გამხდარიყო...

— ჰო, ესეთები მიკვირდა. ბავშვებთან ვხვდებოდი კარიერიზმს. ვიცოდი, ვინ ვისი შვილია. ზოგიერთ საბჭოთა ოჯახში გაზრდილი ხალხის ამბავი ტრაგიკულად დასრულდა. იყო ერთი, გურამ ლუღუშაური, მამამისი ჩეკისტი იყო, კარგ სახლში ცხოვრობდნენ, პლენანოვზე. ჩემი კლასელი იყო და მამაჩემი არ მეტყოდა: „ეს ასეთი ოჯახია და ა.შ.“ ამასაც არ მეტყოდა, მაგრამ მე თვითონ დავფიქრდი. ერთი ძმა მოჭიდავე გახდა, ახლა დიდი ჩინი აქვს.

— მახსოვს მოჭიდავე ლუღუშაური. სპორტსმენები ჩვეულებრივ მილიციაში მიდიოდნენ სამუშაოდ.

— აი, მაგისი ძმისგან კი, მაგათი ოჯახის გაგებით რომ შეეხედოთ, არაფერი არ გამოვიდა, დაკომპლექსდა, ფილოსოფოსობა დაიწყო, ერთხანს ზურა კიკნაძესთან და მისი წრის ხალხთანაც დამეგობრდა, მერე წავიდა და დაიკარგა საერთოდ. ამისი ბედი, მათი ოჯახის პოზიციიდან, ტრაგიკულია. აი, ის ძმა კაცი გახდა — სპორტსმენი, მერე ჩინები... ეს კი... ამაში რაღაც მოხდა, გადატრიალდა. ეს, თავისთავად საინტერესო საკითხია. დგას ეს საკითხი საერთოდ. მეორეც, ვინ როგორ უყურებს ამ ყოველივეს. მერე კიდევ, კაცო, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ როგორც კი (ჩვენ ხომ ოცნებადაც ვერ გვექნებოდა ამ სისტემისგან გათავისუფლება) გაეთავისუფლებით მაშინვე გონივრულად დასხდება ხალხი — ხომ ხდება ხოლმე, რომ ოჯახი ირევა, ხომ არსებობდა უხუცესთა საბჭოს ინსტიტუტი — დასხდებიან, დაუკვირდებიან, რა დღეში ვართ, რა გვჭირს. არა, კაცო, შენც არ მომიკვდე — წავიდა წლები და მიგორავს და მიგორავს და თავი და ბოლო არა აქვს ამას.

— ახლა გამახსენდა მაგასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა. პირველი გასროლა რომ მოხდა რუსთაველზე (1991 წელს, ზვიადის დროს) და ყველა აღგავაშოთა ამ პირველმა გასროლამ (ზუსტად არ მახსოვს, იმელის შენობას ესროლეს თუ რაღაცა ეგეთი მოხდა), მეორე დღეს თუ იმავე დღეს შემხვდა ელდარ შენგელაია რუსთაველზე და: რა არის-მეთქი ეს, ბატონო ელდარ, რას ეჩხუბებიან ერთმანეთს ეს დაჯგუფებები? ელდარი უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო. იცი, რაო, მითხრა, დაიცა ცოტა ხნით, ახლაო კანონს ვამზადებთო, კერძო საკუთრებაზე გადავდივართო, საქმე ისეთ კარგ მხარეს წავაო, კერძო საკუთრება შემოვაო, ვილას ეცლება სროლისთვისო. მერე, ხანი რომ გავიდა, მივხვდი — საშინელი ილუზიაა, რომ ყველაფერი მყისვე ბედნიერად წარიმართება, როგორც კი სოციალიზმი მოგვმორდება. თურმე ეს საშინელი პროცესია.

— მეც მაგას გეუბნები. მაგრამ მანამ მიდის ეს პროცესი, ხომ უნდა დაფიქრდე: რატომ ხარ ეგრე, რა მოხდა, ავად არის საქართველო? ზოგი მაღავეს ხოლმე, კიბო რომ აქვს, თავის თავსაც კი უმაღავეს, არ მიდის, ექიმს არ ესინჯება, მაგრამ ეს ხომ ქვეყანაა, კაცო. უნდა გაზომო, გასინჯო, რა გაქვს, არადა პირიქით წავიდა საქმე: რაც იყო, ისიც ნულს ქვემოთ დაგუშვით და უკან იმ ნულამდე ვეღარ ამოვდივართ, არადა უბედურებაა ნულის დონე: ძველი აზროვნება, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, ეს ხომ უნდა ვთქვათ! ეს ინერცია, შეგუება შიშის და ართქმისა ძალიან დიდია.

— ინერციაც არის და შეიძლება რაღაც ახლადგაჩენილი ნიჰილიზმიც ემატება, მე მგონი, ამას. თავიდან იყო რაღაც აღტაცება, ენთუზიაზმი.

— იყო, მაგრამ დატყვევებული.

— ყოვლად არასწორი.

— მაგას ვლაპარაკობ: ამ დროს კი არ უნდა აღფრთოვანდე, უნდა შეწუხდე და იფიქრო.

— მაგრამ ამ ეროვნული აღტაცების სწრაფმა დაცემამ აქცენტები შეცვალა. დღეს ბევრს ლაპარაკობენ, რომ ეკონომიკურად საქმე არ გამოსწორდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეკონომიკურად საქმე სწორედაც რომ გამოსწორდება, მაგრამ აქ ეკონომიკა არ არის მთავარი. სულიერი კრიტიკერიუმები უპატრონოდ დარჩა.

— ეგ არის ის თემა, რომელზეც მინდა ვისაუბრო. ურთიერთობების და საბჭოთა დამოკიდებულებების მძლავრი ინსტიტუტები წარმოიქმნა, უზომოდ მძლავრი. მაგალითად, თუნდაც აგერ — რა აღმამფოთებელია ჩვენი უმადლესი სასწავლებელი: ეს არის რაღაც ანტიგანათლება. თუნდაც სკოლაც, საშუალო სკოლა — საშუალო მასწავლებელი, საშუალო დონით, რაღაცნაირად ყოველგვარი პედაგოგიკის გარეშე, აწყობილი იმაზე, რომ ბავშვი შენს ნებაზე აცეკვო. ამიტომ მომეწონა შენს „ზღაპრის თეატრში“ ბავშვთან დამოკიდებულება, არის იქ ორი-სამი ნამდვილი მარცხელი. ეგ კი არა, აი ის ლექსი (საახალწლო) რომ წაუკითხო ბავშვებს, ეგეც ძალიან დიდი რამე იქნებოდა: აუხსნა, ასე იყო... რა იყო, რატომ იყო... ჰოდა, ან შენი საქმე უნდა აკეთო, ან...

აი, მე გარკვეული ხელობის კაცი ვარ და შემიძლია, რასაც ვაკეთებ, ვაკეთო, მაგრამ ათასი რაღაცა მაინც მანუხებს. რა ვიცი, მანუხებს და... ის არ მომწონს, გაზეთი როგორია, აზროვნება როგორია, ჟურნალისტიკა როგორია, თეატრი როგორია, კინო როგორია... მანუხებს... და ამიტომ (არ ვიცი, ეს ჩემი პრეტენზიულობაა თუ რა არის) ათასი რაღაც მაქვს სადავო... მე შემიძლია ვიცხოვრო სრულებით წყნარად. ვიმუშაო, ვხატო. მიყვარს მუსიკა — ვიარო კონცერტებზე, მაგრამ რაღაცაში ვერთვები ხოლმე, პარტიულში და ამის მაგვარში არა, მაგრამ ხედავ, არსი და სულიერება მანუხებს. იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ჩვენი ენა, კულტურა. ვთვლი, რომ მარცვალ-მარცვალ არის შესაკრები ის, რაც დაგვრჩა, და მოსაფიქრებელია, რას რა შევანებოთ. არა? ხომ არ ვამბობ, მაგალითად, რომ ჩვენში დაიკარგა მუსიკის შეგრძნების ტრადიცია. ეტყობა, ეს ძალიან ბუნებრივია — ვილაცას გააჩერებ ქუჩაში და მასშიც ზის ესა. ეს ერთ-ერთი ძალიან დიდი ფაქტორია, რომელიც შემოგვრჩა. რაღაც ურთიერთობების ფაქტორი დარჩა, რაღაც ის გემო, რაც ჩვენ გვაერთიანებს, ყოველივე, რაც გვაერთიანებს იმ აზრით, რომ ეს რაღაც ჩვენი ქვეყნისეულია, ცოტაღაა. აი, რა აზრი მიჩნდება, ათასი რამ არის გადაგვარებული. ნიჭიერია ხალხი (ესეც არსებობს, ნამდვილად არის, ესეც გენეტიკურია). გაზნეულია ნიჭის ეს ნივთიერება თუ რა არის, არ ვიცი, მაგრამ არის ეს და ვლინდება და მულავენდება და, ვთქვათ, იუმორიც არის, შეგრძნება სიტყვის, თქმის, ხასიათის, დახასიათების. ეს არის, რაზეც შეიძლება, ვთქვათ, მიანებო რაღაც. რა ვიცი... (პაუზა)... შეანებო (დიდი, ხანგრძლივი პაუზა)... შე-ა-ნებო...

— მთელი რიგი ეგეთი „შესანებებლები“ იმავე — საშუალო სკოლაში, იმავე — უმადლეს სასწავლებელში აბსოლუტურად აღარ მუშავდება, ეროვნული ფენომენი ამ ინსტიტუტებს გარეთ არის დარჩენილი.

— ჰო, მაგას ვლაპარაკობ სწორედ, არ არის იქ...

— აღარ არის... თუმცა არც იყო. არც საბჭოურში არ იყო...

— საბჭოურში პირიქით: სწორედ ეს ინგრეოდა, მაგრამ ძველი საბჭოეთამდელი ინერცია იყო წამოყოლილი თუ რაღაცა სურნელი ტრიალებდა, თუნდაც ივანე ჯავახიშვილისეული.

— ჩემს სტუდენტობაში, 70-იან წლებში, ვთქვათ, სიმონ ყაუხჩიშვილი იყო ჩემი ლექტორი. მართალია მეორე კურსზე მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში (ჩვენ აღმოვჩნდით მისი ბოლო სტუდენტები), რადგან მალე გარდაიცვალა... კორნელი კეკელიძის მოსწავლეები იყვნენ ჩვენი პედაგოგები: რეზო სირაძე, გრივერ ფარულავა და ძველი უნივერსიტეტის სული მოპქონდათ თუ მოვციტანეს. ეს იყო. არა მგონია, ახლაც იგივე ხდებოდეს. არ ვიცი... ოცდახუთი წელი გავიდა.

— იცი რა არის, რასაც ლაპარაკობ, თავისთავად ძალიან საინტერესო საკითხია. და აი, რატომ: ეს სული, ეს ინტელიგენტობა, ეს საზოგადოება, მე მგონი, არ იყო მთლად საღი. კი, ფორმალურად ეგრეა, ვთქვათ — დამოკიდებულება, მოქცევა, საუბარი, მეთოდები, ძალიან კარგია, რომ ეს აღდგა, მაგრამ მე ყოველივე ამისადმი ძალიან კრიტიკული დამოკიდებულება მაქვს ამ საკითხში არის ის, რაზედაც ჩვენ (ამ შემთხვევაში მე და შენ), შესაძლოა ვიკამათოთ. მე ერთხელ მოვხვდი მოგ ზაუ-

რობაში ამ განსწავლულ საზოგადოებასთან ერთად (გრივერ ფარულავაც იყო, სხვათაშორის). მიუხედავად „ჯავახიშვილისეული“ ქცევისა და იმისა, რომ ყველაფრით სამშობლოს ეფიცებოდა ეს საზოგადოება, მე გაოცებული ვიყავი და ვფიქრობდი: რა „ტუფტა“ საზოგადოებაა-მეთქი. მე ამაში დიდ ნაკლს ვხედავ — არარეალურობას, თუმცა ის, რასაც შენ ამბობ, ძალიან კარგად მესმის. ამ ზედაპირმა ბევრი რამ დაფარა. ეს გარკვეული ნიღაბია.

- მაგას უარგონზე ჰქვია „პაკაზუხა“.
- ჰო, მაგრამ, მეორე მხრივ, ის რაღაცაც ხომ არის, რაზეც შენ ლაპარაკობ. ხომ თქვი, რომ ამან რაღაც შეგძინა სტუდენტობისას. ხომ არის ეს?!
- შესაძლოა აღმზრდელითი თვალსაზრისით არის, ახალგაზრდებისათვის არის. მე მაშინ არ მიგრძენია ნიღაბი.
- მაშინ შენ ამას ვერ გაიგებდი.
- ვერ გავიგებდი მანამ, სანამ კონკრეტულად არ შემეხებოდა.
- მაგალითად, ვთქვათ, გრივერ ფარულავა კითხულობს ლექციას.
- ჩუფჩიკ, გრივერი ისე, სხვათაშორის ვახსენე, რა...
- არა, არა, მეც ისე... პირადად არას ვერჩი, მხოლოდ მაგალითისათვის.

თუნდაც სხვა იყო. ასეთ ლექციაში მე ეგრევე ვხედავ, რომ ეს არის იმ კულტურის გარეთ, რომელშიც თითქოს არის. სულ სხვა კულტურა იყო, რომელშიც არსებობდა ვახუშტი ბატონიშვილი ან სულხან-საბა, აი, ეს კი სულ სხვა კულტურაა. იმიტომ კი არა, რომ სხვისგან მოვიდა (შეიძლება სხვისგან მოვიდეს კულტურა და ძალიანაც კარგი იყოს). უბრალოდ, კულტურის ეს ფორმა საგანგებოდ შეიქმნა. მე არ ვამბობ, რომ ეს დანაშაულია, მაგრამ საფარია ერთგვარი, გესმის ეს ყველაფერი ერთგვარი ფორმაა, რომლის მიღმაც იქმნა-ლება ქუმარატი ღირებულება. გესმის? აი, როგორ გითხრა? გალაკტიონ ტაბიძე „ყაუხრიშვილის კულტურიდან“ ამოვარდნილი პიროვნება იყო. უხეშად ვლაპარაკობ, მაგრამ გალაკტიონი არასოდეს ჯდებოდა ამ კულტურაში, რომელიც, მაგალითად, კარგად იჯდა სიმონ ჩიქოვანი, თითქოს ძალიან დადებითი ჩანდა (მე მას ვიცნობდი), რუსეთშიც უყვარდათ, დადიოდნენ მასთან დიდი რუსი პოეტები, თუმცა არა მგონია, რომ ისინი სიღრმით წვდებოდნენ ამ შემთხვევაში სულის საკითხებს. გესმის, რაზეც ვლაპარაკობ? გასაგებია თუ არა. მრავალი სამოსელია. მე ერთ-ერთ სამოსელს ვამბობ.

— ამასთან დაკავშირებით (თუმცა არ ვიცი, რამდენად მთლად ამასთან დაკავშირებით), მაგრამ სულ მაინტერესებს ერთი რამ: თქვენს თაობას, 60-იანელებს, ჰქონდათ ერთი მიმართულება თუ ტენდენცია, რომელიც ჩემთვის (მომდევნო თაობის წარმომადგენლისთვის) დაკვირვების საგნად იქცა. (მე თვითონ ამას არასოდეს არ აყვავი და ვერ აყვავია. აი, რას: თქვენი თაობა ქალაქიდან, თბილისიდან ინტენსიურად წავიდა სოფლის (არა, სინამდვილეში არა) რომანტიკაში, უფრო სწორად, ქართულ რომანტიკაში. წავიდა როგორც ფიზიკურად (გურამ თიკანაძე სვანეთში ავიდა მთაზე... გურამ რჩეულიშვილი... თვით თქვენი ნახატები — თუშეთი, ეს ყველაფერი), ასევე შემოქმედებითად. ამით აღტაცება... ბუნებით აღტაცება გასაგებია, მაგრამ, მე მგონი, ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე ბუნების სურათებით აღტაცება. ეს იყო...

- ეს იყო პროტესტი...
- პროტესტიც იყო, მაგრამ მხოლოდ პროტესტი რომ ყოფილიყო, მაშინ ჰიპობისნაირი რამ გამოვიდოდა, მაგრამ პროტესტზე მეტად აი, იმ გაბნეული თუ დაკარგული კულტურისა თუ ძირების ძიება იყო. თანაც, მე მგონია, ინსტინქტური იყო ეს ძიება. ამაში ის არტისტული „პაკაზუხაც“ იყო, „სტილიაგობაც“ იყო გარკვეული, მოდაც იყო ესა, მაგრამ მაინც რაღაც ასეთი ძიება იყო. არა?

— კი. რომ შევაჯამოთ, ასე გამოდის. მე, მაგალითად, მკვეთრად ამის გამოხატველი ვარ. მე ათასჯერ მირჩევნია, რომ ვიჯდე ვიღაც ფშაველ დედაკაცთან და რაღაცას მიყვებოდეს, ან ქართლის სოფელში თუნდაც, ვიდრე სადმე სხვაგან. მირჩევნია და მეტ საზრდოს მაძლევს. მე ერთხელ კარგად ნათქვამი ფრაზა მირჩევნია ყველაფერს. ეს შეიძლება რომანტიზმია, შეიძლება „პაკაზუხობაა“, ბუნებრივია... მაგრამ ეს ფაქტია. აგრე გამოვიდა.

— მეთანხმები თუ არა, რომ სულხან-საბას რაც ჰქონდა (ხომ იყო სულხან-საბა უმაღლესი ინტელიგენტი თავისი ეპოქის საზოგადოებაში, ინტელიგენტი დღევანდელი გაგებით ანუ არისტოკრატიც იყო და ერუდიტიც), მაგრამ მის ქვემოთ ხომ ვგულისხმობთ იმდროინდელ საზოგადოებას? იმ საზოგადოებაში კარგიც იყო და ცუდიც, სულხან-საბა იყო უმაღლესი გამოხატულება იმ საზოგადოებისა. მეერ, როცა ეს მოიჭრა, გადაგვარდა, რაღაც ახალი შემოვიდა, იქნებ იქ დარჩა, იმ ფშაველ დედაკაცში ის კულტურა?



თენგიზ მირზაშვილი

— უდავოდ. ჩემთვის ეს სრულებით ნათელია. ჩემთვის, ვთქვათ, ეთერ თათარაიძის გამოჩენა იყო... როგორ გითხრა, თეზი რომ ჟანგბადისკენ მიისწრაფის, ჩემთვის პირადად ასე იყო. ეს იყო წარმოუდგენელი ბედნიერება, რომ ჩვენს დროში არის ასეთი მოვლენა. მე ასეთი შეგრძნება მაქვს. ეს რომ ყოფილიყო XIX საუკუნეში, კი, ძალიან მომეწონებოდა, მაგრამ ხომ არის ხევისურული პოეზიის ისეთი ნიმუშები, რომ შეიძლება გაგიჟდე და გადაიხრიო, ფორმით, ტრადიციულობით. ეს მე არაჩვეულებრივად ვიცი და მიყვარს, მაგრამ ეს კიდევ სხვა იყო: აქ არის ეს ტკივილი ჩვენს დროზე, გესმის? ეს გვემატება, აი, რა დამემართა — ასე რომ ვნახე და რაც შეიძლებოდა ღრმად ჩავიძირე. გესმის? ვთქვათ, გყვავს დღეს აღექსანდრე კორსანტია — არაჩვეულებრივი პიანისტი, მე მას ვვლბულობ, როგორც უკვე მიღწეულს, არ მაკვირვებს, ვიცი, რომ არის, მაგრამ ისეთმა მოვლენამ, როგორიცაა ეთერ თათარაიძე, დაადასტურა რომ ნიჭი არსებობს, რეალიზებულია.

— კიდევ იყო ასეთი შემთხვევა, რეზო ინანიშვილმა აღმოაჩინა ტარიელ ხარხელაური.

- გუშინინ ერთად ვიყავით. ჩამოვიდა.
- აქ არის? საუკუნეა არ მინახავს. არ გაჩერდა თბილისში ტარიელი.

— აქ ჩერდება ეგა აქ... კარგია, მაგრამ აქ ერთი რამეა აღსანიშნავი: დაახლოებით გასაუხობ. ტარიელი არის შესანიშნავი პოეტი, მაგრამ ჩემთვის ეთერი სულ სხვა რამეა. ეგ არის, როგორ გითხრა... მე კი არ ვადარებ. შეიძლება ტარიელი უკეთესი პოეტი, მაგრამ ეთერ თათარაიძე ჩემთვის არის ის საყრდენი, რომელიც მჭირდება დღეს. ასე მგონია. აი, ფიროსმანი რომ დღეს ცხოვრობდეს, ეს არის ეთერ თათარაიძე, შენ შეიძლება ასე არ იცნობ მას.

— მე არ ვიცნობ ასე, რასაკვირველია.

— მე ვიცნობ უდეტალურესად. ეს ჩემთვის ძალიან დიდი რამაა (პაუზა). შენ ხარ კეთილი კაცი, მე ეგეთი არა ვარ, მე შეფარდებით ან რაღაცის გამო არასდროს არაფერს არ ვიტყვი. კონფორმიზმს კი არ გაბრალებ.

— ჰო, მე მგონი, მართლა ეგეთი ვარ. თუმცა ზუსტად თვითონაც არ ვიცი, მართლა სიკეთეა ეს თუ ეშმაკობაც არის. არ ვიცი.

— ყოველ შემთხვევაში, შენთვის ორგანულია. მე კი მძიმე ხასიათი მაქვს, ჩემმა ახლობლებმა იციან. მე რაიმეს გამო, ვთქვათ, კამპანიის ხაზით, ვერაფერს ვერ გავაკეთებ. სადღეგრძელოს რომ ამბობენ, იქაც არ ვიტყვი... იმის გამო, რომ ვილაც თამბაქოს აბოლებს, სადღაც არ წავალ. ეგეთი ვარ.

— გაბოლებაზე გამახსენდა. უნდა მოვნიო, თორემ აღარ შემიძლია.

— ოთახში არ მოწიო, ჰაერზე გადი... (მცირე შესვენება) შესვენების შემდეგ საუბარს კვლავ ჩუფჩუკა განაახლებს.

— რაღაც მაინც უნდა გამძაფრდეს, თორემ არ მიდის ჩვენი საუბარი.

— მე ვიტყვი რაიმეს ისეთს... მხატვრობაზე მე ბევრს ვერაფერს ვერ ვიტყვი, იმიტომ, რომ მხატვრობის ბევრი არაფერი გამეგება. მე ვიცი, რომ მომწონს მთელი რიგი მხატვრებისა. „ნე დღია პროტოკოლა“, მაგალითად, კალანდაძე მე არ მომწონს, როგორც მხატვარი. არ მხიბლავს მისი ნახატი, რა ვიცი, რატომ. აი, დიმა ერისთავის ნახატი მომწონს, სიტყვაზე ვამბობ. თემო გოცაძე ჩემი ნათესავია და საუკეთესო პიროვნება, მაგრამ მის წინადროინდელ ნამუშევრებს (ბოლოდროინდლებზე, სამწუხაროდ, არ მინახავს), მგონია, რომ ფერწერული დატვირთვა აკლია, უბრალოდ, ფერადების ფუნქცია აქვთ. სიუჟეტურად კი, როგორც ჯანრი კაშიამ ერთგან დაწერა: „გოცაძის შემოქმედებაში მითოლოგიზირებული ესთეტიკურამები ოპერირებენ ესთეტიზირებული მითოლოგიებით“. ეს ფრაზა ზეპირად მახსოვს როგორც ხელოვნებათმცოდნეობითი ღვარჭნილობის ნიმუში. მე კი მხატვრობაში მიყვარს პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი... თუმცა თემო მთლად თქვენი თაობა არ არის, თქვენზე ცოტა ახალგაზრდაა, მაგრამ მაინც უფროს თაობას მიეკუთვნება. ბარემ ერთ ანეკდოტსაც გაიამბო, არ გეცოდინება, ჩვენს ნათესაურ წრეშია ცნობილი. ბიძა ჰყავდა თემოს, ბ-ნი ვლადიმერი, 31-ე ქარხნის დირექტორის მოადგილე და მთავარი ფინანსისტი იყო, ახლახან გარდაიცვალა, 95 წლისა, ძველი დროის ინტელიგენტი, ბრწყინვალე ეკონომისტი, პლუს ლექსებს წერდა, ხატავდა, დიდი იუმორის პატრონი იყო... თემოს რაღაც დაუხატავს, თავისებური, რთული კომპოზიცია. არ ვიცი, მის სტუდენტობაში მოხდა ეს ამბავი თუ უკვე დამწყები მხატვარი იყო. ოჯახში სულ ექიმები ჰყავს — დედაც, ძმებიც. დაუნყიათ შაყირი: რა არის, რა დახატე, ვერ გავიგეთ, რას ნიშნავს ეს სურათიო. აუშალეს ნერვები: თქვენ, ექიმებს, არაფერი არ გესმითო, აი, ლადო ბიძია ერკვევა ხელოვნებაში და ის გაიგებსო. დაუძახა და აბა, უთხარი, აუხსენი ამათ, რა არის ესაო. ლადომ უყურა, უყურა თურმე და თქვა: ეს არის პაუარ ვ ბარდავე ვო ვრემია ნავად-ნენიაო... ხანძარი, ბარდაგი და წყალდიდობა ერთად, წარმოგიდგენია... თუმცა ეს რთული თავისუფალი კომპოზიციები ერთგვარი თავისუფლებისაკენ სწრაფვა იყო მანამდელი თავსმოხვეული სოცრეალიზმის შემდეგ. ამაზე მეყოფა ლაპარაკი, აკი ვთქვი, მხატვრობაზე ვერაფერს ვერ ვიტყვი-მეთქი. მე ძალიან ბევრი მიფიქრია ქართული კინოს შესახებ. მე ხომ თავიდანვე კინორეჟისორობა მინდოდა. კინო ძალიან მიყვარს, კინემატოგრაფისტის ოჯახში დავიბადე და გავიზარდე, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ფეხი ავიდგი. სამი წლის ასაკიდან მახსოვს ყველაფერი. მიშა კვესელავა რომ იყო დირექტორი (არ უნდა მახსოვდეს, არა?), ის დრო მახსოვს. მაშინდელი რედაქტორატის ახალგაზრდული შემადგენლობა — კაკო ბაქრაძე, ნოდარ დუმბაძე, რეზო ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი, რეზო თაბუკაშვილი, მერაბ ელი-

ოზიშვილი, ირაკლი გოცირიძე, მერაბ სარალიძე, სხვა მრავალი... ყველა მახსოვს. ყველას ბავშვობიდან ვიცნობ. მერე ავისრულე ნატვრა — კინორეჟისორი გავხდი, გავიარე ეს გზა. ვწერდი კინოზე, ბევრი სტატია მაქვს გამოქვეყნებული, მთელი წიგნი მოგროვდება. ისტორიის მოკლე კურსიც კი დაწერე, 60 წლის რომ გახდა ქართული კინო, ჟურნალ „ახალი ფილმების“ დაკვეთით. ექვს ნომერში მიდიოდა. ქართული კინოს ისტორიის ასეთი მოკლე კურსი არავის დაუწერია, მაგრამ არაფერი გამომჩენია. ესაა ჩემი, როგორც კინომცოდნის, ანკეცა. ახლა კი აი, რა: მე ასეთი ანალიზი მაქვს გაკეთებული, ეს არის საყოველთაო აზრის საწინააღმდეგო მსჯელობა. იყო უკონფლიქტობის პერიოდი (სტალინური პერიოდი, დაკვეთილი ხელოვნებისა). ტყუილ ცხოვრებას აჩვენებდნენ...

— ჰო, ლაზარე რომ ამბობს შენს მოთხრობაში, სად ნახეს ასეთი და ასეთი კოლმეურნეობებიო...

— დიახ, ამას რეალისტურად აკეთებდნენ. სოცრეალიზმს ეძახდნენ: ფსევდოფუნქცია ეკისრა კინოს ცხოვრების ასახვისა და ცხოვრების დანახვისა. „ვიტომ“ რეალისტურად, ფსევდორეალისტურად.

— ამ დროს მართლა ეგეთი ფსევდოცხოვრება იყო.

— ამიტომ ძველ ფილმებში, ახლა რომ ვუყურებთ, თუნდაც ისეთ გამელოდრამატირებულ ან გამუსკომედიურ ფილმებში, როგორცაა „აბეზარი“, „ჭრიჭინა“, ან, ვთქვათ, მაშინდელ სერიოზულ ფილმებშიც — „საბუღარელი ჭაბუკი“, „კეთილი ადამიანები“ და სხვა (იქაც ავტორისა და რეჟისორის ნიჭიერებასა და უნიჭობასაც გააჩნდა, რა თქმა უნდა), მაგრამ არის მათში რაღაც ცხოვრებისეული მომენტები, რაღაც ადამიანური და მართალი ურთიერთობა ადამიანებს შორის, არის ცოცხალი სურათები ცხოვრებისა, ტიპაჟები, თანაც მსახიობები კარგად ასრულებენ ამ ყველაფერს. ეს ყოველივე ადრე იყო. „ოტტეპულთან“ ერთად, როდესაც ყინულის ლობის პროცესები დაიწყო (ვილაც მთაში წავიდა, ვილაც — რომანტიკაში, როგორც ზემოთ ვთქვით, ყველაფერი ეს სულში წასვლას ნიშნავდა) — კინოც წავიდა სულიერებისაკენ. მანამდე აკრძალული ინდივიდუუმის ჩვენება დასაშვები გახდა. ამის გამო, როცა 60-იანელები კინოში მოვიდნენ, მათ ყამირივით მოჰკიდეს ხელი, კვლავაც, რა თქმა უნდა, თავისი ნიჭებისდაკვალობის მიხედვით, ინდივიდუუმის ხატვას კინოს საშუალებით, რადგან საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ მათ ამის უფლება, ასე თუ ისე, მიანიჭა.

— განა ეგ არის საყოველთაო აზრის საწინააღმდეგო?

— აწი რასაც ვიტყვი, ის არის საწინააღმდეგო. ნელ-ნელა საქმე ისე განვითარდა, თითოეული რეჟისორის შემოქმედებაში, რომ ეს ინდივიდუუმის ძებნა (რაკილა ინდივიდუუმს ავტორი თავის თავში დაძებეს) საკუთარი თავის პანეგირიკად იქცა, „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ — აი, რად იქცა ბოლო-ბოლო. თავისი შინაგანის ასახვის გარდა აღარაფერი მიზანი აღარ დაუსახავს კინოს. ადრე ამბობდნენ, რომ ხელოვნების მიზანია ასახოს ცხოვრება, ამათ თქვეს, ხელოვნების მიზანია ჩემი თავის გამოხატვა. ამდენი „ჩემი თავი გამოვხატოს“ შედეგად საერთოდ დაკარგა კინომ ის რეალისტური ფუნქცია, რომელიც მას საშინლად მომხიბლავად გააჩნია, თუმცა გარკვეულწილად ყველა ნამდვილი ხელოვნება მაინც არის თვითგამოხატვა (ვინ თქვა, რომ ნეორეალისტი არ არის ავტორის შინაგანი არსის გამოხატველი, მაგრამ ის აქ თამაშია, მეთოდია, რათა ცხოვრება რეალისტურად დაიხატოს). ქართული კინო კი ნაირგვარი ავტოპორტრეტების გალერეად გარდაიქმნა. ამას საბჭოთა სინამდვილეში რაღაც სახელები დაერქვა: ქართული პოეტური კინო, გამბედავი კინო... საბოლოოდ კი აბსოლუტურად არ აისახა საქართველოს ცხოვრება. უკონფლიქტობის პერიოდმა, თუმცა დამახინჯებულად, მაგრამ მაინც დატოვა 50-იანი წლების ნოსტალგიური სურათი. 60-იანი და 70-იანი წლები მეტწილად კადრს მიღმა დარჩა.

— ვითომ აისახა ის მოდა, რაც იმ დროს იყო.

— ოცი-ოცდახუთი წლის მანძილზე რეალიზმის იგნორირება იმდენად გაბატონდა, რომ... მაგალითად, იყო ერთი რეჟისორი, ვინც სუსტი აღმოჩნდა ამ ინდივიდუალობანას თამაშში, ვერ გაიგო და მაინც რეალიზმს აწვებოდა. ოთარ აბესაძე.

— არის.

— არა, მოკვდა ოთარი რახანია... ჰოდა...

— რამდენი ფილმი გააკეთა, ერთი-ორი, არა?

— „მაღელვარებული მოვა“, „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“, „ანარეკლი“. პირველს არა უშავს, დანარჩენები ცუდი ფილმებია, მაგრამ ამაში არ არის საქმე. რეალიზმის მცდელობა დინების სანინალმდეგო აღმოჩნდა. ეძახდნენ: რა უნიჭობაა, რა უგემოვნობაა, გაუხეთქეს გული, მოკლეს... არადა, საბჭოთა რუსეთს ბევრი ფილმი ჰქონდა საბჭოთა რუსეთის ცხოვრების შესანიშნავად ამსახველი.

— განა რეზო ჩხეიძე მაგ ტიპის არ არის პრინციპში?

— ჰო, რეზო ვითომ დარჩა იქ, რეალიზმში, მაგრამ აბა რა გითხრა... დარჩა, დარჩა და მთელი ცხოვრება „რაიკომის მდივანი“ აკეთა. „რაიკომის მდივანი“ საინტერესო ამ თვალსაზრისით, რომ ისეთივეა, როგორც იყო ძველ ფსევდორეალიზმში: სად ნახა მართლა ეგეთი რაიკომის მდივანი, ან ეგეთი ცხოვრება. მე ვერ ვეგუები ტენდენციას, რომელიც სამოციანელებმა დაამკვიდრეს ქართულ კინოში და რომელსაც ახლა მისტირებენ: ჩვენ შევქმენით დიდი და მსოფლიოში განთქმული ქართული კინო. ჯერ ერთი, ტყუილია, რომ მსოფლიოში განთქმულია ქართული კინო, მეორეც — მისი მდინარება არასწორი მგონია. ჩვენ — მომდევნო თაობას — მერმე მწარედ მოგვხვდა ეგ ამბავი.

— რატომ, მაგალითად „გიორგობისთვე“? ან „იყო შაშივი მგალობელი“?

— ოთარი განსაკუთრებული შემთხვევაა, ისევე, როგორც მიშა კობახიძე. მიაქციე ყურადღება, რომ ორივეს ემიგრაციაში წასვლა მოუხდა „ქართული ფილმიდან“ — ერთი ფიზიკურად წავიდა, მეორე კი — შინაგან ემიგრაციაში.

— რა-რა და მიშა რეალისტი არ არის.

— რა თქმა უნდა. მაგრამ მიშა კობახიძემ თავისი ვეება ნიჭის წყალობით სამ მოკლემეტრაჟიან ფილმში ამოწურა ინდივიდუალობის ძიების ის გზა, რომელზეც სხვა რეჟისორებმა მეტ-ნაკლები წარმატებით უამრავი იბორიალეს. მიშას, აი, რა მოუვიდა (სხვათა შორის, მე გამოქვეყნებული მაქვს სტატია ამის შესახებ — გავარჩიე სამი ფილმი და, ვგონებ, მივხვდი, მეტი რატომ აღარ გადაიღო): მან დაიწყო საკმაოდ პირობითი ფორმით და გამოვიდა მართლაც უმშვენიერესი ფილმი „ქორწილი“...

— „კანიკულიც“ კარგია.

— „კანიკული“ მაგისი არ არის.

— აბა ვისია?

— მერაბ კოკოჩაშვილის.

— ის კი არა, „არდადეგები“.

— აბა?

— „ეგ ზამენი“ მიშას ჰქონდა ადრე.

— ადრე? მანამდე?

— ჰო, სულ პირველი, „ქორწილამდე“.

— არა მაქვს ნანახი. „აპრილი“ მინახავს.

— „აპრილი“ ოსტაიანისაა.

— ჰო... მიშამ მეორე ფილმი უფრო გააპირობითა, მესამეში კი ყველაფერი ნაშალა. თეთრ ეკრანზეა მოქმედება... მეოთხე კი სულ აღარ გადაიღო. ამის მეტი იქით, პირობითობისკენ, რაღა უნდა ყოფილიყო... ჩიხი... მიშა სწრაფად, დროულად და ნიჭიერად მიაღდა ამ ჩიხს. ქართული კინო კი — გვიან და არასწორად.

— მე შენ გეთანხმები და არც გეთანხმები. მიშა კობახიძე ასეთი ტიპის ხელოვანია და ამაში ხედავს თავის არტისტიზმს.

ეს არავის უშლის ხელს. უნდა იყოს ათი რეჟისორი და კიდევ უნდა იყოს ერთი ისეთი, როგორც მიშაა.

— მაგალითად, თენგიზ აბულაძე. მე მიმანჩნია, რომ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ უფრო კარგი ფილმია, ვიდრე „ნატვრის ხე“ და „მონანიება“.

— „მონანიება“ საერთოდ არ ვარგა.

— საშინელებაა.

— ბოლომდე ვერც ვნახე ეგ ფილმი.

— მე უხერხულობისგან დავრბოდი, როცა პირველად ვუყურებდი.

— არასერიოზული, გაბერილი ფილმია.

— ის კი კარგი გამოვიდა, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

— „სხვისი შვილებიც“.

— კარგი ფილმია, სად წავიდა მერე ეს ყველაფერი? „ვედრებაზე“ გავლით, ინდივიდუალობაში რომ წავიდა...

— „ვედრება“ არ მითხრა. თავიდან ვუყურე, რალაცაამეთქი. მერე ავდექი და წამოვედი.

— მერე „ნატვრის ხე“.

— სიაფანდია, „დიშოვკა“.

— მე „ნატვრის ხე“ აღმამფოთა. გოგლას წიგნის განილება?! მხატვრობა, ალბათ, სხვა რამეა, მხატვრობაში ფოტოგრაფიას შეიძლება ებრძოდეს მხატვარი — თანამედროვე მხატვარი, მაგრამ კინო, გინდა-არ გინდა, მაინც ფოტოგრაფიაა და ბუტაფორიას ვერ ეგუება. როცა ქართულმა კინომ ფოტოგრაფიულობა დაკარგა, მე მგონია, რომ მან დაამთქნარა მაშინ, როდესაც მსოფლიოში რეჟისორები რაღაც სერიოზულს ქმნიდნენ. (პაუზა)... მინდა, ახლა მწერლობასაც დავესხა თავს.

— დანელიამ ხომ გააკეთა შესანიშნავი ფილმები.

— რუსეთზე.

— რა მნიშვნელობა აქვს? იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ქართველია.

— დანელიას „Осенний марафон“ უმაღლესი ფილმია, საუკეთესო.

— მე მგონი, „ნი გორიუცი“ არ არის ცუდი.

— „ნი გორიუცი“ ძალიან კარგია. ეს არის ნამდვილი რომანტიკული რომანტიზმი. რა მგონია, იცი, რა არის შიგ ჩადებული: ბოლოს აკენით რომ ბავშვი მიჰყავს ბენჟამენს, იმ ბავშვის მოყოლილია მთელი ფილმი, მისი წარმოდგენითაა დანახული, ისე ყველა, რომ თავისი თვლით კი არა აქვს ნანახი ეს ამბები, არამედ გადმოცემით იცის. ასეთი რამის კინოს საშუალებებით დახატვა უკვე ნამდვილი დიდოსტატობაა.

— ავტორიც ძალიან კარგია.

— ფრანგი?

— კლოდ ტილი. „დოქტორ ბენჟამენ“.

— მაგრამ ფრანგულად „ბენჟამენს“ ჟაკ ბრელი რომ თამაშობს, ეს ჯობია — ჩვენი. (პაუზა)

— კარგია, როცა მსახიობს ინდივიდუალობა აქვს. გაგიკვირდება, მაგრამ მე ვთვლი, რომ, მაგალითად, ვერიკო ანჯაფარიძეს ასეთი ინდივიდუალობა აკლდა. ტუფტა იყო.

— „ვითომ“.

— „ვითომ“ — სწორედ მაგას ვამბობ.

— თუმცა ბოლოს, სიბერეში, ვერიკოს ზღვა ტემპერამენტი რომ დაუვარდა, — გახსოვს, ის და ვასაძე მოხუცებს რომ თამაშობენ იბსენის „მოჩვენებანში“. იქ ჩანდა დიალოგებში ოსტატობა, აღარ „ვითომ“ იყო იმდენი. ოთხმოცს იყვნენ ორივე მიღწეულები. დიდი ოსტატები იყვნენ ვასაძეც და ვერიკოც, და ეს უფრო გამოჩნდა, როცა ეგზალტაცია დაკარგეს.

— ოსტატი კი იყო... მე ვამბობ, ისეთი ბუნებრივი ნიჭი, როგორც ჰქონდა, ვთქვათ...

— ყორა შავგულიძეს.

— დიახ, ან კვანტალიანს.

— და კიდევ... მე ბევრი მაქვს ნაფიქრი იმ კაცზე — გრიგოლ ტყაბლაძე.

— ო, ტყაბლაძე შესანიშნავი იყო, შესანიშნავი. ეგ მართლა მსახიობი იყო. დიდი მსახიობი, მართლა მსახიობი. გაკეთებული მაგას არაფერი არ ჰქონდა. საოცრად, თავისთავად კეთდებოდა როლი.

— მე ძალიან კეთილი ისტორია მაკავშირებს მასთან. არ ვიცნობდი, მაგრამ ძალიან მიყვარდა. ჩემი ერთ-ერთი პირველი კინოსტატია მის შემოქმედებას მივუძღვენი. ვთქვი ის, რაც უნდა მეთქვა მე გრიშა ტყაბლაძეზე.

— „მიქელა“ განიხილეთ?

— არა, ყველაფერი, მთელი შემოქმედება. მიმოვიხილე ცუდ ფილმებში როლებიც და კარგ ფილმებშიც — „ფილანტელისტის სიკვდილი“ და „საბუღარელი“... ყველგან ნაღია.

— ჰო, რაც არ უნდა ქნას — ნაღია.

— ჰოდა, ეს დაწერე. უან გაბენსაც შევადარე სტილით. ავად იყო მაშინ უკვე და ძალიან გაუხარდაო, ჭიათურიდან ჩამომივიდა ამბავი. ჩავარდნილი იყო ლოგინად. იმას რომ გაუხარდა, მეც გამიხარდა. მაშინ პატარა ვიყავი, ოცდაერთი წლის წინათ. და აი, შარშან თუ შარშანწინ ხსოვნის საღამო გადაუხადეს მსახიობთა სახლში და მისმა შვილებმა, რომლებსაც მე არ ვიცნობდი, მოითხოვეს: მოვიდეს მიშაო და სიტყვით გამოვიდესო. მე საერთოდ ჩემი თავით უკმაყოფილო ადამიანი ვარ, თუმცა შეიძლება გარეგნულად ასე არ ჩანს. ძალიან კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ. ეგებ კომპლექსი მაქვს რაღაც, რაკი ამ კრიტიკულობას სხვების წინაშე არ ვამყლავნებ, პირიქით, სხვებთან ცოტა ვბაქიბუქობ თუ თავს ვინწინებ თუ ვიპრანჭები. შინაგან კი ძალიან მკაცრი ვარ ჩემი თავის მიმართ, განსაკუთრებით ჩემი საქციელის მიმართ საერთოდ ცხოვრებაში... შემოქმედებაში ნაკლებად, თუმცა არც იქა ვარ მაინცდამაინც თვითკმაყოფილი, მაგრამ ცხოვრებაში ერთი-ორი რამე თუ მახსოვს, ჩემი საქციელით კმაყოფილი რომ დავრჩენილიყავი, და ერთ-ერთი ტყაბლაძის შემთხვევა იყო, იმ ხსოვნის საღამოზე რომ დამიძახეს... მე მგონი, კარგი იყო ის... გავაგრძელოთ საუბარი და ეგება ისეთი რამე ითქვას, რომ კამათი ავტეხოთ. ნუ გეცინება... აი, მწერლობაშიც მგონია, რომ რაღაც არის კინოს მსგავსად, თქვენ თაობასთან სასაყვედურო... საერთოდ, თავის თავის აღწერით ბევრს სცოდავენ შემოქმედნი. ძალიან ფართოდ გავრცელებული აზრია, რომ შემოქმედება თვითგამოხატვაა.

— მიშა, მაპატიე, ჩაგერთვები. ხომ გააჩნია, ვინ არის ეს თვითგამომხატველი? როცა ეს არის, ვთქვათ გალაკტიონ ტაბიძე, გინდა ცხოვრება გამოხატოს, გინდა თავის თავი, სხვა ფასი აქვს. აქ ამბავი როდია საქმე.

— შენ გინდა თქვა, რომ შემოქმედებაში პრინციპებს მნიშვნელობა არა აქვს?

— ჰო, პრინციპზე კი არა — პიროვნებაზეა შემოქმედება დამყარებული. იმიტომ გითხარი, მიშა კობახიძე, ნიჭიერი ადამიანი, თავის თავს რომ გამოხატავს, საინტერესოა. თუნდაც სულ გამოივიწყოს. ძალიან მნიშვნელოვან რამეს გეუბნები: იყოს ადამიანი გულახდილი, გულწრფელი, მერედა რა არის აქ ცუდი.

— გულახდილობა...

— კარგი თვისებაა, ოღონდ გააჩნია ვისი. რა გაცილებს?

— გულახდილობა ყველასი კარგია, მე ასე ვიტყვი.

— რა ვიცი, ვინც მე არ მაინტერესებს, გინდ გულახდილი იყოს, გინდაც არა, სულერთია... თუკი მოჭადრაკე უვარგისია, თუ ალიოხინი არ არის, ან ფიშერი, ან ვინმე ასეთი, რაც უნდა გულწრფელად ითამაშოს, არ მაინტერესებს მისი პარტია... ხომ უნდა იყოს რაღაც შკალა.

— მე, ალბათ, იმათზე ვლაპარაკობ, ვინც მგონია, რომ კარგია. ვინც კარგია, სწორედ იმათ შეიძლება რაღაცებში ედავო. მე ვედავები კარგ მწერლებს მანერიზმის გამო: რომ იპოვის მწერალი მანერას (რაც მეტია, ვიდრე საკუთარი სტილი) და მი-

აჭიპინდება, იწყებს მის უსასრულო ექსპლუატაციას. სომერსეტ მოემი ამბობს, არ შეიძლება ერთნაირი სიტყვებით და ფრაზებით მოვყვეთ, როგორ ეარშიყება ლორდი ლედის და როგორ ჩაუხტა პროსტიტუტკა შოფერს ლოგინში. არ შეიძლება ყველაფერი მოვყვე ერთნაირი მანერით. მანერა, რაც უნდა ლაზათიანი იყოს, ლიტერატურულ ენაბრვეილობას ჰგავს — ყველაფერს ასე ამბობს, სხვანაირი ლაპარაკი არ იცის.

— კი, მაგრამ... ვთქვათ, არის ჯოტო — გენიალური მხატვარი. რაც უნდა დახატოს, როგორც უნდა დახატოს, ყველგან ჯოტოა. ასე რომ, მთლად ეგრეც არ არის. როგორც შენ ამბობ.

— მე არა მგონია, რომ ჯოტოს ეზრუნა, ყველაფერი ერთნაირად დაეხატაო.

— ფიროსმანიც ეგრეა. ყველაფერი ერთნაირია, ერთ ხერხში. ყველაფერი გენიალურია. მეტიც რომ დაეხატა, უკეთესი იქნებოდა, მაინც პიროვნებაზეა. კარგი იყოს და, იყოს ერთი და იგივე.

— კონსტანტინე?!

— ჰო, კონსტანტინე მართლაც მანერულია.

— ის მანერა „დიდოსტატის მარჯვენაში“ ამართლებს, მაგრამ ტრაქტორზე რომ წერს...

— თუ კარგად ჩაუკვირდები, არც იქ ამართლებს.

— არა, რატომ. უხდება ძველ ამბავს.

— შეიძლება უხდება, მაგრამ ეს არ არის ის...

— „ვაზის ყვავილობას“ ნამდვილად აღარ უხდება. „დავით აღმაშენებელს“ კი იმდენად აღარ უხდება, რომ, მე მგონი, მთლიანად ნაკითხულიც კი არავის აქვს, იმდენად ცარიელი მანერაა, მიძიეა — რა ნაკითხვებს ამდენს ამ მანერას. მშვენიერი მხატვარი იყო, ვთქვათ, ლევან გოთუა, მაგრამ მანერისტი იყო ისიც. რაღაცებს იგონებდა. ბრწყინვალე მწერალია ოთარ ჩხეიძე...

— ძალიან საინტერესო.

— უდიდესი, მაგრამ ისიც მანერით წერს. არ ვიცი, რაღაც გიშლის ხელს თითქოს კითხვაში, ყოველ შემთხვევაში, სანამ მიჩრვევი.

— მე არ მიშლის.

— მეც აღარ მიშლის.

— იცი, მე ძალიან იშვიათად მქონია ეგეთი სინაწული: შემხვდა ეგა ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ახალგაზრდა ვიყავი. მითხრა, წიგნი მაქვს გასაკეთებელი და დამისურათეო. ავიღე ხელნაწერი.

— ვერ ნაიკითხე?

— ნავიკითხე, მაგრამ არ ვიყავი მიჩვეული მის მანერას და... მოკლედ, უსიტყვოდ დაეუბრუნე. მერე რუსულად ნავიკითხე ერთი ათი წლის შემდეგ და ძალიან ვინანე. არ მეყო მოთმინება თუ მკითხველის პროფესიული ალლო.

— ჰო, მართლაც ძნელია იმ სტილის გავლა ერთბაშად.

— არ არის ძნელი, კაცო. საქართველო პატარა ქვეყანაა, ერთი ასეთი უნდა იყოს, ერთი ისეთი. მე სხვა რამ მოცემს: აი, ახალგაზრდებს რომ ეკითხებიან, ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალიო და...

— რომ პასუხობენ, ჩემი საყვარელი მწერალია კონსტანტინე გამსახურდიაო, არა? ხომ გამოვიცანი.

— მე ამაზე რაღაც მემართება, ცუდად ვხდები. შეიძლება შესანიშნავი მწერალია, საინტერესოა, მაგრამ როცა ცხოვრობს მეოცე საუკუნეში და ხარ ახალგაზრდა, ნუთუ იმაზე მეტი არ უნდა გესმოდეს, რომ ეს არის ერთი ორნამენტი საერთო კომპოზიციაში, რომელიც შეიძლება მოგწონდეს, ან არ მოგწონდეს (ვთქვათ, მეც მომწონს მისი ესა თუ ის ფრაზა), მაგრამ როცა არსებობს უილიამ ფოლკენერი და ტოლსტოი, ან აქვე, შენს სამშობლოში გყავდა რეზო ინანიშვილი...

— ან თუნდაც აქვე ქართულ ლიტერატურაში არის მიხეილ ჯავახიშვილი...

— ჰო, მიხეილ ჯავახიშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე არსებობდეს და შენი საყვარელი მწერალი კონია გამსახურდია იყოს? ან გალაკტიონი თქვი, ან ვაჟა-ფშაველა.

— აბა! საოცარი არ არის ვაჟა-ფშაველა არ იყოს შენი საყვარელი მწერალი და კონსტანტინე კი — იყოს?!

— მე არ მესმის. თან რამდენი ამბობს ამას, იცი?

— უბედურებაა... „პავლოვი“ უგემოვნებოაა.

— ძალიან ცუდი რამეა. გეუბნები, ეს ძალიან ცუდად მოქმედებს. ამის შესახებ ხმამაღლა ვიტყვი კიდევ. სულ არ მინდა დავაკნინო ეს მწერალი, შეიძლება ათასი თაყვანისმცემელი ჰყავდეს, კითხულობდნენ, კი ბატონო. თუმცა მე, მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიას გარეშე მშვენივრად ვძლებ.

— მე ერთ რამეს გავამხელ მაშინ. ეგეთივე საშინელი იმედგაცრუება დამემართა გრიგოლ რობაქიძის რომანის გამო.

— მე დიდი ხნის წინათ დამემართა ეგა.

— როცა წავიკითხე, მაშინათვე დამემართა. ეს რა არის-მეთქი. არაფერი არ არის.

— სიაფანდია.

— და იმის იქით რაც არის, შინაარსს ვგულისხმობ, ის ხომ საერთოდ...

— პიროვნება მაინც არის.

— „ვიდიმო“.

— რაღაცას ეტყობა, ფრაზას, რაღაც სურათი მაინც არის დახატული, დანახული. მაინც გეთანხმები, მაგრამ კონიას მირჩევნია, მაინტერესებს, თუმცა არ მომწონს. საინტერესო პიროვნებაა.

— რას ვფიქრობ, იცი: ახლა ამას რომ ვლაპარაკობ ჩვენ, საღვთის გულის სიღრმეში მე — მორიდებულ კაცს, და შენ — მოურიდებულს, სულ გვიღიბინებს ის აზრი, რომ რასაც ვლაპარაკობთ, თითქოს ეს ჩვენს შორის სალაპარაკოა და არა გარეთ გასატანი... თითქოს... რატომ? რა არის ამის მიზეზი?

— იცი რა...

— ერთ მაგალითსაც მოვიყვან და მერე... ერთხელ ახალგაზრდობაში ავიღე და ვცადე თორმეტიოდე ლიტერატურული პაროდის დაწერა. ივანოვი რომაა, მისი ჟანრი ვისესხე და ვიფიქრე, ქართულად, მე მგონი, პირველად მე ვაკეთებ ამას-მეთქი. ავტორების ვინაობას ყურადღება არ მივაქციე, გადავშალე ჟურნალი და იდიოტიზმი რაც შემხვდა, იდიოტური სტრიქონი, ავაგე იმ სტრიქონზე პაროდია. მაგალითად, ნავიკითხე ვიღაც პოეტის ლექსში რომ „ახლა აღარ წვიმს, წვიმის წვეთები ძუძუებზე კიდა ფოთოლს“. თითქოს პოეტური სახეა, მაგრამ იდიოტიზმი გამოდის, დაინახო, ამდენი ძუძუები რომ კიდა მცენარეს. გავაშარჟე, დავარქვი „როგორ ამშვენებს ხეები ამინდს“, როგორ კიდა მუხას გამხმარი ტოტი და ასე შემდეგ... ბოლოს ისევ წვიმა პაროდიაში და ძუძუები ციდან ცვიოდა... მერე კიდევ სხვა ვნახე, ერთი დუჟინი რომ დამიგროვდა, შევეცადე, და, იცი, სრულიად გამორიცხული აღმოჩნდა ამის გამოქვეყნება საქართველოში: როგორ, ბიჭო, იმას ეწყინება, არ გინდა, ის მოხუცია, ეს ცნობილი პოეტია (მგონი ერთი პაროდია ლადო სულაბერიძის სტრიქონზე იყო), ამას ნუ აკადრებ, იმას ნუ აკადრებ... არავის არაფერს ვაკადრებ. აკრძალულია ხუმრობა?! მაგრამ არ მოსულა ჩვენში თურმე. არის თუ არა ეს იმასთან კავშირში, რაზეც წელან ამბობდი — გადავჩვიეთ საგნებს დავარქვით თავისი სახელი. მოვლენებს მივცეთ სწორი შეფასებები ისე, რომ ამისი არ გვერიდებოდეს და საერთოდაც არ არსებობდეს ეს — გულახდილობის უფლება. უნიჭოზე თქვა, რომ უნიჭოა.

— ერთი კრებული მაქვს მთელი ევროპის და ამერიკის მწერლობის შესახებ. დაახლოებით ამ თემაზეა. ეს პრობლემა მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებობს. შენ იცი, რომ მე საზღვარს გადავაჭარბე საქართველოს ისტორიის გაყალბების მხილებაში, იმიტომ, რომ მე იმდენად მნიშვნელოვნად მიმაჩნია ეგ ამბავი...

— ხელოვნების ისტორიის გაყალბებაზე ამბობ? (ბატონი თენგიზი გულისხმობს წლების მანძილზე მიმდინარე პოლემიკას, რომელშიც იგი მეცნიერთა ერთ ჯგუფთან ერთად ილაშქრებს საქართველოს ისტორიის ფაქტების გაყალბების წინააღმდეგ გ. ჩუბინაშვილის და მისი მიმდევრების მიერ, ცნობილია, რომ ჩუბინაშვილის სკოლის შეხედულებები ოფიციალურად გაბატონებული იყო საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობაში).

— რა თქმა უნდა. ავიღე და სრულიად მოვხსენი ყოველგვარი მორიდება, რადგან წარმოუდგენელი რალაციები გავიგე და ეს იმდენად, იმდენად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ... იცი, მიშა, ვილაცას, ვთქვით შენ, არ ნავიკითხავს და არ იცი: ვერ წარმოიდგენ, რამხელა იდიოტიზმია. იგივე ჩე-



მიხეილ ანთაძე

მი მეგობრის, გივი ბოლქვაძის წერილი ნაიკითხე და მიხვდები, რას წარმოადგენს ისეთი მოჩვენებითობა, როგორცაა ვთქვით, ვახტანგ ბერიძე, რა არის სინამდვილეში, რას აკეთებს, რა აზრები აქვს, როგორი იმიჯი... ძალიან საინტერესო მოვლენაა. მაგან, იმდენად ტუტუცი ყოფილა, რომ სრულებით გამოამჟღავნა თავისი თავი, იმის ჭკუაც არ ეყო, რომ არ გამოამჟღავნებოდა... ხომ არსებობს რაღაცა ტაქტი, ქმედება, დაკვირვება, თუნდაც რაღაცა საბჭოთა ინსტიტუტის გამომუშავებული გონიერება მაინც... დირექტორი რომ იყო, მაგან ისეთი რამეები იკისრა, ვთქვით, ჩემთან მიმართებაში — გაცოდები პირდაპირ: საჩივრები დაწერა (ეკაში, ტეკაში, ჩეკაში... სწორედ თენგიზ აბულაძის გასვენებაში მითხრა გურამ ენუქიძემ (უკვე განაწყენებული იყო ბერიძეზე, მთავრობაზე თუ საერთოდ ყველაზე): მე გაჩვენებ, რაებს წერდნენ შენზეო, მე მაქვს ის ქალაქდებიო... მაგრამ, იცი, მე მთლიანობაში არ გამომივიდა ჰარმონიული ქმედება. იმიტომ, რომ ათასი რამ, რაც მაშფოთებს, ვთქვით თანამედროვე არქიტექტურაშიც ხდება, მაგრამ მე ვდუმებარ, არავის ვებრძვი...

— მაგრამ აი, აქ, ამან...

— აი, აქ ამან დამაკარგვინა ყოველგვარი ნორმები და ზღვრები, იმიტომ, რომ მე მიმაჩნია (შეიძლება დღეს საერთოდ დაიკარგა ინტერესი ყველაფრისადმი), მე მიმაჩნია, რომ თუ ჩვენ ვართ, ჩვენი ყოფნა ამასთანაა დაკავშირებული (შეიძლება ილუზიაა). აი, მე რომ ვარ იმ ფშაველ დედაკაცთან — რაღაცასთან — წარსულთან კი არა (წარსულზე არ არის საუბარი), რაღაც მოუხელთებელ კულტურასთან, რამაც შექმნა ვაჟა-ფშაველა ანდა დაბადა ფიროსმანი... ეს ხომ აქ გაჩნდა. მე მაინც მგონია, რომ ეს ძალა თუ სული ცოცხლობს და მისი დაკარგვა მე ძალიან მაშფოთებს და ერთ-ერთი ნაწილი მისი არქიტექტურაცაა, მისი არსი, ანდა ფრესკაა, თუ სიტყვაა თუ მატრიანის ფრაზა... აი, აქ მეტკინა... რა აღარ დამერქვა ამის გამო... უკვე შევტოვე და ველარ ჩერდები. სამწუხაროდ, ჩემდა გასაკვირად, გა-

რემო ძალიან ინერტული აღმოჩნდა, რამაც მე ძალიან აღმაშფოთა, ეს სხვებისთვის ძალიან სულერტი გამოდგა. თამაზ ჭილაძემ მითხრა საოცარი რამე: კაცო, შენ რომ ამბობ, ესაო, ვთქვით, სიყალბეო, მაგრამ ხალხს რომ კერპის დამსხვრევა ტრავმას მიაყენებსო. წარმოგიდგენია. ყველამ დამმოდღრა — რეზო თაბუკაშვილმა, ჭაბუა ამირეჯიბმა, თამაზ ჭილაძემ. პირიქით, იმის მაგივრად, რომ რაღაცას ჩანვდნენ, გაიგონ, არ გაიგეს და არ ჩანვდნენ. რეზო ინანიშვილმა, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, მითხრა: კაცო, რა დროს ეგენია, მე ახლა ვფიქრობ რა ვიცი, ხახვი ვიცი და თუ კარტოფილიო...

— **კი, ეს რეზოს სტილია.**

— ჰო, მე ჩემს გასაჭირს ვფიქრობ და რა დროს ეგ არისო. მე ვუთხარი, ბიჭო, ილია ჭავჭავაძეც მწერალი იყო და შენც მწერალი ხარ-მეთქი?! გამიკვირდა და იმიტომ ვუთხარი ასე. არაო, მეო მამა დამიხვრიტეს და შემეშინესო. მე შეშინებული მწერალი ვარო და არასდროს „ზემდგომი რამეების“ წინააღმდეგ არ წავალო. ერთხელ დავა იყო რაღაცა თემაზე და რეზომ დირექტორს, რომელიც მტყუანი იყო კამათში (ხუტა ბერუღავა იყო თუ ვილაძე), და, ბიჭოს, დაიჭირა იმისი მხარე, კრებზეც და ისე ვლაპარაკობ. მე ვუთხარი, კაცო, რეზო, შენ?! არაო, დირექტორი კაცია მაინცაო... გესმის? მწერალმა არ უნდა თქვას. ნაწერებში ხომ არ ეტყობა, შესანიშნავი მწერალია. ბევრს შიშმა ასეთი რამ დამართა.

— **შიშმა, ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ შიშია მიზეზი.**

— თან მერე რომ დაუკვირდა და გააანალიზა, თქვა კიდევ — მე ასეთი ვარო... სხვათაშორის, ეთერ თათარაიძეზეც, კაცო, ჩვენო ძლივს შევექმენით ენაო, დედა ენაო ჩვენიო, სალიტერატურო. ახლა ყველამ რომ თავის კუთხურზე დაიწყო — მეგრულმაც ასე დაიწყო, სხვათაშორის... რა შუაშია, ჰა?

— **მართლაც.**

— უცებ რეზო აღმოჩნდა, აი, ასეთი ჩემი იდეური თუ რა ჰქვია ამას, მონინააღმდეგე. რა თქმა უნდა, მთლად სერიოზულად არ ვამბობ.

— **ვაჟა-ფშაველა ფშავერად რომ წერდა, ხომ დაუნუნა აკაკიმ ენა...**

— იმან რა თქვა, იცი, ერთხელ. საინტერესო ამბავია, რომელიც, ალბათ, ცოტა ვინმემ თუ იცის. მგონი, გუნიას იუბილე იყო და ვაჟამ ლექსი მიუძღვნა. ლექსი წაიღეს და წაიკითხეს იუბილეზე, თვითონ ვაჟა კი არ დაპატიჟეს. მოწყენილი იჯდაო (ვილაც იგონებს) „ქოსების დუქანში“ ნეკრასოვის ქუჩაზე, ასე იჯდაო და მე ვუთხარი, რაო, ვაჟა, განწყენილსო? ეჰ, ეგ რა წყენააო, კაცო, მე სულ იმას ვფიქრობ, მესტვირემ ენა დამიწუნაო.

— **მაგარი.**

— ის მესტვირეც ძალიან მაგარი იყო და მე ძალიანაც მიყვარს, მაგრამ ეს კარგად თქვა ვაჟამ.

— **ბოლოში არის ნათქვამი, მაგრამ „ტოჩნა“ არის...**

— ზუსტადა თქვა. აკაკი ძალიან უყვარდა ვაჟას, მაგრამ სიყვარულში არ არის საქმე. ასე თქვა.

— **აკაკი საყვარელი იყო, მაგრამ ვაჟას აწყენინა და ტყუილ-უბრალოდ აწყენინა, საქმეში ჩაუხედავად.**

— რასაკვირველია, მაგრამ კარგი ლექსი კი შეიქმნა: „თუმცა კი ვთესავ მარგალიტს, მკითხველიც იმას მკისაო“. ისიც კარგია: „ენას გინუნებ, ფშაველო, მგოსანო მალალ მთისაო“. კარგი ნათქვამია და ამანაც კარგად უპასუხა, ძალიან...

— **ეს ლიტერატურული ლექსაობები და პოლემიკები კარგ ლექსებს ბადებდნენ ხოლმე. იმავე გრიგოლ ორბელიანის და ილია ჭავჭავაძის „პასუხი შვილთა“ და „პასუხის პასუხი“. აღარ მაინტერესებს მტყუან-მართალი. ლექსად ისიც კარგია და ესეც.**

— ამას წინათ ვკითხულობდი სწორედ, ილიას კრებული გამოსცეს. იცი, რაშია საქმე. ერთი რამაა, მიშა. ილია ჭავჭავაძის გამონათქვამები რომ არის, ისე უშუალოდ კი არა აქვს რაიმე ნათქვამი, ვთქვით, იჯდა სუფრაზე და გამოთქვამდა აზრებს. თუ გინდა რომ ერი მოსპო, მატყინე უნდა ნაუშალო და ამგვარები.

იყო ამგვარი წაშლის ტენდენცია და, ილია რომ მოკლეს, ამ მხარემ იძალა და, აი, რაც დააყენეს, ვნახეთ და ვხედავთ. შენ რომ წაიკითხო ივანე ჯავახიშვილის 1898 წელს დაწერილი გამოკვლევა ანდრია მოციქულზე და ნინო კაპადოკიელზე, შეიძლება საერთოდ გაგიჟდე. ძალიან უცნაური ფაქტია, მაგრამ კარიერის გასაკეთებლად დასჭირდა ამ მოხსენების წაკითხვა პეტერბურგის ისტორიულ საზოგადოებაში. ფეხზე ადგნენ და მიესალმნენ, იმიტომ, რომ თქვა: ანდრია და ნინოს ამბავი ნაყალბეგია. ქართველებმა მოიგონეს, ჭირდებოდათო, არგუმენტები არ ჰქონდათ. ამას ცუდზე გაგებით ნიჰილისტური დამოკიდებულება ჰქვია, ამის უფლება არავის აქვს და ეს ძალიან ცუდია. ილია ჭავჭავაძეს ასეთებზე საშინელი რეაქცია ჰქონდა. იცი, მე მაქვს ანალოგიური განცდა — მე ხომ ამას არ ვიგონებ, არც მომწონს, არც მიყვარს. ათასი რამე ისე არ მალეღვებს, როგორც უნდა მალეღვებდეს. მაგალითად, ახლა ჩემს თვალწინ აფუჭებენ თბილისს, მაგრამ განა ვერ ვხედავდი? ხომ ვიცოდი, რომ ეს არ შეიძლება, ის არ შეიძლება: მეტეხთან რომ ცხენი დადგეს, ხმლიანი ქალი რომ დააყუდეს ქალაქს... მე მშვენივრად ვგრძნობ, რომ საშინელებზეა, მაგრამ არაფერი მითქვამს თავის დროზე... გულახდილი ლაპარაკი... კონფორმისტი თუ რაღაც ამდაგვარი გამოვიდვარ, იმიტომ, რომ რაღაცას არ ვიტყვი, პირიქით, იქით გეტყვი: იცი, მიშა, ეს არ თქვა, იმიტომ, რომ ეს არის იდიოტების ქალაქი, რომელსაც ხმლიანი ქალი ადგას თავზე... საშინელება... მაგრამ გამოგიტყდები. და ახლაც არ მინდა...

— **ჰო...**

— ათას ვინმეს ვახსენებთ ამ საუბარში, მაგრამ გულახდილად გეუბნები, საჯაროდ ვერ ვიტყვი, არ ვიტყვი, მაგალითად, რაც რეზო ინანიშვილზე ვთქვი.

— **დირექტორის მხარე რომ დაიჭირა?**

— ჰო, არ ვიტყვი მაგას... მაგრამ, როდესაც არსებობს მირიანის ანდერძი, არსებობს წიგნი და ამ დროს, ვილაძე ამბობს, ეგაო ყალბი არისო, ეს მე იმდენად აღმაშფოთებს, რომ ვერ ვწერდები. აი აქ არის უხერხულობა და არაპარამონიულობა: მე წესით, რახან ეგეთი ვარ, უნდა ყველაფერი ვთქვა. მე კი არასოდეს ტელევიზიით არ გამოვსულვარ და არაფერი მითქვამს, მაგრამ პოლემიკურ სტატიებს ვწერ, ეს არის, პარამონიულობა დამერღვა-მეთქი, რომ გეუბნები. ჩემთვის წერის დაწყება უკვე დისპარამონიაა, მაგრამ ვერ მოვიტოვებ. რატომ არის ეს უხერხული და იმიტომ, რომ მე ყველაფერს მაინც არ ვიტყვი და ვერ ვიტყვი. მე არ ვგულისხმობ, ვთქვით, შევარდნაძეს, პოლიტიკას და აქტუალობას. უბრალოდ, ყველაფერი უნდა ითქვას.

— **ილია ჭავჭავაძისა არ იყო.**

— ხედავ, ორივეს გაგვეცინა ამ ბოლო რეპლიკაზე...

აქ საუბარს შემთხვევით შემოესწრო ბავშვების საყვარელი მსახიობი თემო კალანდაძე, რომელსაც, სხვათა შორის, უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. მოსაუბრეებმა მოკლედ გაარკვიეს შემოსწრებული დიპლომის არსი.

— აი, რაზეა საუბარი... მაინც არ არი ნამდვილი გულახდილობა, რასაც მე და შენ ვლაპარაკობთ, შენ ვერ იქნები საჯაროდ ასეთი გულახდილი. გამოგიტყდები, არც მე.

— **ამის შესახებ ბევრი მიფიქრა. გარკვეული დასკვნაც მაქვს, თუმცა მაინცდამაინც ვერ მოვახერხე ჩემი აზრის გავრცელება ჩემს ირვკლივ, ხალხი ვერ ავიყოლიე. მე არ ვლაპარაკობ სოციალურ, პოლიტიკურ და ამგვარ განასერებზე, არამედ ურთიერთობებზე, ძირებზე. ვიფიქრე, და ჩვენს საზოგადოებაში, თბილისში, თბილისურ ეთნოსში ნაწინადი დამნაშავეს, იმიტომ, რომ აქ რაღაცნაირად ოდიტგანვე შემოიჭრა აღმოსავლური ელემენტი და მოიტანა სუფიზმი. რა არის კაიკაცობის კრიტიკური ჩვენი თბილისური გაგებით? რასა ჰქვია კაი კაცი? ცუდს არ აკეთებს (თორემ თუ ცუდი ჰქმნა, კაი კაცი არ არის), მოკლედ, ვითომ ცოდვას**

არ სჩადის ეს კაი კაცი, უფრო ზუსტად კი, არავის უშუალოდ ცუდად არ ექცევა, ეს პირველი. მეორეც: ჭირში შენიანი, გაჭირვებულს ეხმარება და... არის თავისთვის. ყარაჩოხლობა — რასაც შოულობს, დღეს ჭამს, დღეს სვამს, მუშაობს, თავის საქმეს აკეთებს და ხვალისას დღეს არა ზრუნავს...

— ჩემს დროსაც ჩამოყალიბდა რაღაც ასეთი — ვერელი ბიჭების მორალი, რომელიც სინამდვილეში, ღრმად რომ დაფიქრდე, შეთითხნილი ნიღაბია. მე ამას ძალიან კარგად ვგრძნობ, კი — სემანტიკური, ძალად მიღებული კოდექსი. ოღონდ „სუფიზმი“ არ მესმის...

— ეს ყარაჩოხელის მორალიდან მოდის: დღეს შენ შენი საქმე აკეთე (მათი პოსტულატი), შენი ლოცვა თქვი, ვალი მოიხადე და სხვა არაფერი შენი საქმე არ არის. აი, ესაა ყარაჩოხლური გაგება, თბილისური გაგება.

- რაც ძალიან კარგად ერგებოდა საბჭოთა რეჟიმს.
- საერთოდ, ყველანაირ იმპერიალისტურ რეჟიმს.
- კარგის კრიტიკიუმი ეგლა გახდა.

— კარგი ჩემთვის არის ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ გაგებით სულაც არ იყო კაი ბიჭი, იმიტომ, რომ ყველას აწყენინა ბოლოსდაბოლოს, საადგილმამულო ბანკში თავისი ნათესავეები და ძმები მტრად გადაიკიდა.

— ვაჟა-ფშაველას რა აქვს დანერვილი იცი: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შეწუხებული“. დახე, როგორი რამაა? ანდა გალაკტიონი: „დაანებე ფიროსმანას სევდიანი ტვირთები“... იმდენი ტვირთებია... არის აღმოსავლური გაგება, რომელსაც შენ ახსენებ, მაგრამ პრინციპში საერთოდ ადამიანი თუ არის კარგად — არის ცუდად. აი, რაც შენ თქვი.

— ილია ჭავჭავაძე სულ ცუდად იყო, ისე ცუდად, რომ გაგიყვანა კაცი: ვერ ჩერდებოდა, ნამდვილი იდეა-ფიქსი დაემართა თავისი ერისა და სამშობლოს მიმართ არაფერმა არ გააჩერა...

- სანამ შუბლში არ რეკეს ტყვია.
- არც იმან, რომ ივანე მაჩაბელი მტრად გადაიკიდა. ეუბნებოდნენ, ნუ გაუყიდი ქართველ თავადებს ვალებში მამულს, მაგრამ როცა მან საადგილმამულო ბანკი დააარსა, ამით ეროვნულ საქმეს აკეთებდა და აქ ძმობიჭობის კოდექსი არ არსებობდა მისთვის და ამის გამო უამრავი უსიამოვნება აიკიდა.

— არაქართული აზროვნებისა იყო, სხვანაირი, დასავლური აზროვნების, რაც ჩვენ ძალიან გვაკლდა. როცა ილია ლუარსაბ თათქარიძეს დაუპირისპირდა, ძალიან ბევრი დადგა ლუარსაბის მხარეს. ჩვენ გვსიამოვნებს ცოტა ლუარსაბობა. სულთი მეც ეგეთი ვარ, ილია კი არის თანამედროვე გონიერი და საქმიანი კაცი. არსებობს ეს პრობლემა, თორემ ისე ლუარსაბი უფრო ახლოა ჩემთან, ვიდრე ილია ჭავჭავაძე...

— თუ ასეა, იმის თქმა მაინც შეუძლოთ, კარგი რა არის და ცუდი რა არის, კარგი — ილია ჭავჭავაძეა... მე ისევ „არა პრესისთვის“ ვამბობ...

- ნუ იცი შენ ეს „არაპრესისთვის“ ლაპარაკი.
- აი, ნიაზ დიასამიძის ფენომენი ავიღოთ.
- ოხ!

— მამაჩემი კოტე ანთაძეც იმავე ტიპისა იყო, მეგობრობდნენ, კაი კაცი იყო. მიხარია, მამაჩემზე რომ ამბობენ, კაი კაცი იყოო, მაგრამ კაია ევა? „კაის“ ნუ ამბობთ, რაღა, რაღაც სხვა სიტყვა მონახეთ. კაი ილია იყო, „გიჟი“ რომ იყო და თავი რომ შესწირა მოყვასის მსახურებას.

— მეც მაგას ვლაპარაკობ... პროტესტის მუდმივი გრძნობა ჩემი მინუსია. აი, თუნდაც პაპიროსს რომ არ განვიცინებთ, არც მე ვენევი — რატომ გავაკეთო ის, რასაც სხვა აკეთებს. მე თავიდანვე გითხარი ჩემი აზრი ხედვისა და შეფასების კრიტიკიუმიზე და მიკვირს, რომ ჩვენში ყველას ძალიან სურს, რაც შეიძლება მეტი ამხანაგი და თანამოაზრე ჰყავდეს, მე კი ვხედავ, რომ ძალიან ცოტა თანამოაზრე მყავს. „მანდრაჟი“ მაქვს, ნეტა ამ მხრივ თქვენ თაობაში რა ხდება, თუ არის ასეთი შეგრძნება და, აი, ძალიან მსიამოვნებს, რომ შენც ასე გიფიქრია.

— იქნებ საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების საკითხს დავუბრუნდეთ.

- ეს არ არის ხელოვნების საკითხი...
- შო, საერთოდაც „ხელოვნების ისტორია“, „ფილოსოფიის ისტორია“...

— სისულელეა. აქ ლაპარაკია ერზე და მის კულტურაზე.
— ჰოდა, იქნებ ამ თემას დავუბრუნდეთ, მე მგონი, რომ, ჯერ ერთი, ინფორმაცია არ არის ამის შესახებ.
— მართალი ხარ.

— აბსოლუტურად არ არის ინფორმაცია. ეს უინფორმაციობა იმდენად ყოვლისმომცველი იყო, მე გულახდილად მართალი რომ გითხრა, შენგან გავიგე.

- გაგიკვირდა კიდევ.
- არ ვიცოდი. არც ახლა ვიცი, თავს ვერ დავდებ.

— მაპატიე, რას ვიტყვი, იცი. აი, რაღაცას ჰქვია „ხელოვნებათმცოდნეობა“, ვილაცას ჰქვია „დოქტორი“ — ეს ყველაფერი ქმნის ბერკეტებს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს იმუშავებს მანერებს. „აკადემია ნაუკ“! ეს არის სპეციალურად შექმნილი ინსტიტუტი, რომელიც, ვთქვათ, შენ გიქმნის ბარიერს, რომ რაიმეში გაერკვე. მაშ — არსებობს ეგეთი რამე. ძალიან კარგად აკეთებდა საბჭოთა სისტემა ამას...

— ნელანაც დავაზუსტე — ეგ რუსიფიკაციით დაიწყო და საბჭოთაობით გადაება...

— ზუსტად. როგორც კი ილია ჭავჭავაძე მოკლეს, დარჩა მისი ხალხი — პლატონ იოსელიანი, ცაგარელი — ჩვეულებრივი სანყალი ხალხი... სხვათაშორის, გვინდა აღვადგინოთ „ნერა-კითხვის საზოგადოება“, იმიტომ, რომ ეს მოძრაობა მოიკვეთა თავის დროზე, რა თქმა უნდა, დღეს პირობითია ნერა-კითხვის გავრცელებაზე საუბარი, მაგრამ რაღაცა კონტაქტი შენს ხალხთან, შენს სოფელთან... ვთქვათ, სადღაც მიკარგულ რაჭაში რომ სოფელია — არ უნდა გქონდეს უშუალო ურთიერთობა თუნდაც ვილაც გამგებლის დახმარებით... ვალერიან გუნია რომ დადიოდა სოფელ-სოფელ თეატრით, ნარმოდგენებით. გოგებაშვილი იყო, ნაროდნიკობა იყო თუ რაღაცა სისულელე, მაგრამ რაღაც ცდა ხომ იყო.

— ხალხთან მისვლის.

— ცდა ხომ იყო ხალხთან მისვლის. ახლა შეიძლება მთელი ცხოვრება ისე გაატარო, ერთი შეხებაც არ გქონდეს არავისთან. არადა, იმას სჭირდები იქ, თორემ შენ ქალაქში შენი საზრუნავით გართულს სულ არ გჭირდება შენი ხალხი. ეს არის დიდი პრობლემა, მიშა, ნელ-ნელა მივადექით მთავარს... მაპატიეთ, თემო, ასე რომ ვარ წამოწოლილი — ნელი მტკიცია.

თემო კალანდაძე — რაზეა ლაპარაკი.

— აი, კიდევ ეს შემოვიდა, ეს ტერმინი: „რაზეა ლაპარაკი“ — ახლა ძალიან მოდაშია.

- კალკია რუსულიდან.
- ერთ დროს „გამიგე“ მოვიდა. ყველა ამბობდა: „გამიგე? გამიგე?“ ახლა ეს „გამიგე“ წავიდა და მოვიდა „რაზეა ლაპარაკი“...

- „გესმის? გესმის?“ ესეც ხომ იყო.
- „ესე იგი“...

— რაზეა ლაპარაკი ახალი შემოსულია. ვირუსივით არის.

- ბევრი ასეთი ვირუსი გადავიტანეთ.
- შო, ზოგი დარჩა, ზოგს თავიდან ვერ ეჩვევი, მერე ისე ორგანულად შემოდის, ვეღარც კი გრძნობ.

თემო კალანდაძე — ჩემი ლექტორის მონაყოლი მახსოვს ერთი. „ლიპები“ რომ შემოვიდა მოდაში, ქალის სამხრეები კაბის ქვეშ, მაგარი ნინაღმდღევი ვიყავო, თავის თავზე ყვებოდა, ხანშიშესული ქალი იყო, სამოცე გადაცილებული, სამოცდაათისკენ. რომ შემოვიდა მოდაში, მაგრად დავეტაკე და დავუპირისპირდიო... მერე კი ხანი გავიდა, მომრავლდა ლიპები. ადგა და თვითონ გაიკეთა. ისე შევეჩვიეო, რომ დღემდე ვერ ვიშორებ ამ ხნის ქალიო. უკვე

ალარ არის ლიბები მოდაში, ის კი ველარ იშორებს იმ ლიბებს, უნდა მოიშოროს, მაგრამ ველარ იცვამს კაბას ლიბების გარეშე.

- ჰო, რაღაცა მოდის, რაღაცა მიდის.
- აი, მე რომ ვლაპარაკობ, ყოველთვის ისე ვლაპარაკობ, როგორც საერთოდ ლაპარაკობენ. არ ვერიდება არც ჟარგონს.
- ჟარგონი კარგი რამეა. იუმორისტის მითუმეტეს. „კაროჩეს“ ამბობ?
- ვამბობ, როგორ არ ვამბობ „კაროჩეს“. აი, თემო ჩემი მეგობარია და იცის, როცა მე ვლაპარაკობ, მაშინ სულ არ მახსოვს, რომ მე ვარ ქართველი მწერალი. აი, ბატონ გრივერ ფარულავას ყოველთვის ახსოვს, რომ ის ქართველი მეცნიერია და მუდამ ისე საუბრობს, როგორც კორნელი ასწავლა. ამიტომ, ალბათ, რა ვიცი, ასეთმა ხალხმა, რომელთაც თავისი ტიტული, სტატუსი თუ ნილაბი მუდამ თან დაჰქვთ, თითქოს შიშობენ, ერთი წამით რომ მოვიხსნა, დამეკარგებო. რომ თქვან, სასწრაფოდ ოცნა მჭირდება, მუცელი მტკივაო, ამასაც აკადემიურად იტყვიან. მე კი, აი, ასე ვლაპარაკობ და ზოგჯერ უთქვამთ ჩემთვის — შენი ნაწარმოები წავიკითხე, საიდან ამდენი და ასეთი ქართული... არადა, მე სულ მუდამ ენაში მოძრომილაღვ ვარ... ყველაზე მეტად ეს მიყვარს... ჩემი ერთ-ერთი პატარა „სიხარულები“ ის არის, სიტყვაში რაღაც ჩაფლულს რომ ამოვიცნობ.
- მაპატიე, მესმის, რასაც ლაპარაკობ და ამიტომ განწყვეტინებ, ასეთი განწყვეტინება ვიცი. დღეს დილით მე და ერთ ჩემს მეგობარს დიდი დავა გვექონდა. ლექსი „გოგრა“, თუ არ ვცდები. იქ არის „მაგრამ ნაქცევნი მისა კიდეთ, ძაძით მმოსველნი, საგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანთა“, აბა თუ გესმის, რას ნიშნავს ეს?
- „საგლოვო ნაშთნი“?
- არა, „ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანნი“.
- მესმის.
- მე მგონი, არ გესმის.
- ნაშთნი არიან, მაგრამ...
— არა, იქ არის „აყვავებულან“... „ბუთა და ნატამალთა“, მაგრამ, აი, ეს „კვლავ ეროვანთა“ რას ნიშნავს, აბა, თემო, შენ მითხარი...
- თემო კალანდაძე — მე მგონი იმას ნიშნავს, რომ, როგორც ვთქვით, რაღაც შემოგემატება, რაღაც დაგეკარგება და დარჩება ერთი ნაშთი, რომელიც ისევ დარჩება ბურჯად ჩვენი... რა ვიცი... არ ვიცი...
- მაპატიე, მაგრამ არა მგონია ალექსანდრე ჭავჭავაძეს „ეროვანი“ იმ მნიშვნელობით ჰქონდეს, როგორც ჩვენ ვხმარობთ. არა მგონი, რომ ეს რაღაც ეროვანს ნიშნავს... უფრო ხალხს.
- ხალხს ნიშნავს?
- აბა რას ნიშნავს?
- თემო კალანდაძე — ვერ ვამბობ. რებუსია.
- კარგი. აბა მაშინ რას ნიშნავს „შენი სულმნათისა ასვლა ეროვანი, ყელი გუმბათისა მალალეროვანი“?
- იგივე „ეროვანი“.
- იგივე სიტყვაა.
- ეროვანი (პაუზა) არ ვიცი.
- გიშველო? სანათა რომ არის და კვირია რომ მივა, გახსოვს?
- როგორ არ მახსოვს.
- რას ამბობს, ხომ გახსოვს: „ადვილად არ იცნობოდა, კაცი ფშავურის ერთა“.
- აჰ, კაცი ფშავურის „ერთა“ — იერი.
- დიახ.
- თემო კალანდაძე — შენის სულმნათისა ასვლა ეროვანი.
- და ის როგორ არის, ალექსანდრესთან.
- კვლავ ეროვანთა.

- ის, რასაც კვლავ კარგი იერი აქვს.
- არა, „კვლავ“ არ ნიშნავს დღევანდელივით „ისევ“-ს. ზოგ შემთხვევაში „კვლავ“ ნიშნავს — „წინათ“.
- „წინათ იეროვანნი“.
- უწინ იეროვანნი, ახლა ასეთნი — დაქცეულნი. ხომ გითხარით, მე და ჩემს მეგობარს გვექონდა დავა, მე ვამბობდი: „ისევ იეროვანნი“...
- ესე იგი, ოპტიმისტურ პოზიციაში დამდგარხარ.
- ჩემმა მეგობარმა დამარწმუნა, რომ იქ არის „წინათ იეროვანნი“, „ერთ დროს იეროვანნი“...
- მეგობარი რეალისტია, ეტყობა.
- მაგრამ მას ჰგონია, რომ ეროვანი ხალხით სავსეს ნიშნავს. მაინც ასე ჰგონია, რომ აქ „ერზეა“ ლაპარაკი და არა „იერზე“. ასე თქვა — „ხალხით სავსეაო“.
- „ხალხით სავსე იყო“.
- ერთი შეხედვით ასეა... მაგრამ გალაკტიონს რომ აქვს ეს „ასვლა ეროვანი“ ეს ხომ ნამდვილად „იეროვანია“, ვაჟასთანაც „ერთა“. აქ ეროვნული აღარაფერ შუაშია.
- ჰა-ჰა. „ეროვნული ასვლა გუმბათზე“.
- ყელი გუმბათისა მალალეროვანი. ცხადია, გალაკტიონმა ალექსანდრეს მიერ ნახმარი სიტყვა გამოიყენა. თუნდაც „გოგრაში“ ეროვანს ნიშნავდეს, გალაკტიონს მაინც ასე ჩემსავით ჰგონებია, „იეროვანს“ ნიშნავსო... აი, ასეთი დავა მქონდა. შენ რომ თქვი, სიტყვაში ძრომიალი მიყვარსო.
- ძალიან მიხარია, როცა ასეთს ჩავენდები და მაგრა მიშლის ნერვებს „ქართული ენის ნორმათა დამდგენი კომისიის“ საერთოდ არსებობაც და...
- მოღვაწეობაც?
- მოღვაწეობაც. იმიტომ, რომ როგორ შეიძლება ენის ნორმირება! ენას ვინ რას დააკლებს.
- ენა ცოცხალია.
- თუნდაც კალკი „გადმოშირეკე“. მახსოვს, პრესაში ნავიკითხე — ვილაც დავობდა იქიდან, ენათმეცნიერთაგან, ეს ქართული არ არისო. როგორ თუ არ არის? აი, „სკოჩი“ უცხოური სიტყვაა, მაგრამ როცა გეტყვი, „მოდი, ამანათი დამისკოჩე!“ ამაზე უფრო ქართულად რაღა უნდა ეთხრა... ლექსი-კა ხომ მოხეტიალე რამაა. ქართულში კი არსებითი სახელები საერთოდ არ არის, „მზე“ რომ „მზეა“, ისიც მასდარია.
- საოცარია, რომ ასე კარგად დებულობს ქართული ენა აღმოსავლურს (არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან რამდენი სიტყვა აიღო) და რუსულს რა ძნელად ეგუება.
- რუსულიდან შევიძინეთ „ქაჩვა“ და მოვირგეთ: ამოქაჩა, მოქაჩა, გაიქაჩა... „Качать“ არის ეგა. „ხლაფორთი“ — „Хлопоты“... სკამი შეიძლება ლათინურიდანაა და არა რუსულიდან.
- რუსულიდან ცოტაა შემოსული.
- ლათინურიდან არის ელინურ ხანაში შემოსული სიტყვები: ხუმრობა, Humor, ღვინო.
- Vino...
- თემო კალანდაძე — როგორ, კაცო, რას ამბობ მაგას?! — რა როგორ.
- ჩუფჩიკა, თემო მთლად მსახიობი არ გეგონოს, ფილოსოფიური აქვს უნივერსიტეტის დამთავრებული.
- თემო კალანდაძე — რომელი სიტყვა სად გადადის, მაგის დადგენა ძალიან ძნელია. ახალს კიდევ მიადევნებ თვალს, მაგრამ ვინ დამიმტკიცებს, რომ ღვინო ლათინურიდანაა. იქნებ პირიქით, აქედანაა წასული ლათინურში... ან თუნდაც „გიურჯ“ გვეძახიან მუსულმანები, რუსები „გრუზ“ იგივეა, ოღონდ საიდან სად მიდის და მოდის სიტყვები, კაცმა არ იცის.
- აი, ბაბა იავა რას ნიშნავს თუ დაკვირვებისხარო, მონღოლური წარმოშობისაა, ბაბაი აღა.
- თემო კალანდაძე — რუსებმა ქალად აქციეს.
- ან ქალია ან არა. ბაბა იავას სქესი ვინ დაადგინა.

მამუკა ჩარკვიანი

„ისედაც დავუნერ უფალს საბალობლებს“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— პატარა ერისათვის ომის, დაძაბულობის მდგომარეობა... მასხოვს, 90-იან წლებში ბავშვების დილის ოთხ საათზე რომ გავედის პურის რიგში ჩასადგომად, ერთი ტიპი გამყიდველს ხმამაღლა უყვირის — ორი პური გადამიწახე, მერე გამოვივლიო. ისეთმა ბრაზმა მომიარა, თავი ძლივს შევიკავე...

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— რა თქმა უნდა, საქართველოში... (ოლონდ რო ურიკინებს, ისეთში არა).

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— მე ვიყავი ყველაზე ბედნიერი ადამიანი, როდესაც ირმამ მაჩუქა ჩვენი გვარის გამგრძელებელი, პატარა ჯანსუღ ჩარკვიანი. ტრადიციული ოჯახიდან ვარ და ამიტომ ბიჭის გაჩენას თითქოს რაღაც განსაკუთრებული სიხარული ახლდა ჩემთვის.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ყველა პერსონაჟი, დათა თუთაშხია, დონ კიხოტი...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— გიორგი ჭყონდიდელი, დავითის მასწავლებელი... (იღიმება)

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— გია მირზაშვილი, სალვადორ დალი, მოდილიანი და რა თქმა უნდა, როგორც მაკა ჯოხაძის მოთხრობიდან ერთი პერსონაჟი გვიბასუებდა: „ფიროსმანი? ფიროსმანი ხომ პაპაჩემია“, თავისთავად იგულისხმება.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბიძინა კვერნაძე, შოპენი... მთელი სისავსით ვგრძნობ რახმანინოვის სიძლიერეს და სიდიადეს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ერთგულებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?


— პატიოსნებას საკუთარი თავის წინაშე.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— თავმდაბლობა, მაგრამ ისე, რომ საკუთარი თავის ფასი იცოდეს.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ჩემს ოჯახში დილა იწყება ასე — გაღვიძებისთანავე მიუჯდები ხოლმე „იამაჰას“ ინსტრუმენტს და საძინებელი ოთახიდან უკვე მესმის ირმას ხმა: „მამუკა, სირცხვილია, სძინავთ მეზობლებს...“ ამ გაფრთხილების მერე გიტარაზე გადავდივარ, ისევე ირმას ხმა: „რვა დაიწყო, ჯერ არ გაუღვიძია ხალხს...“ არ გაუღვიძიათ და... სადარბაზოში გავდივარ, ქურთუკის ჯიბიდან ტუჩის გარმონს ვიღებ და მერვე სართულიდან პირველამდე სულ სულის ჩაბერვით ჩავდივარ... ასე რომ, ვუფრთხილდები ძილბურანში მყოფ მეზობლებს და ჩემს საყვარელ საქმიანობას დილაუთენია ქუჩაში ვაგრძელებ (იციინის).



— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ჰემინგუეი მინდოდა ვყოფილიყავი, იმ კაფეში მინდოდა დამეღია მოყვითალო-მოოქროსფრო ესარას ორმაგი ულუფა, რომელშიც სვამდა და ხანდახან მუშაობდა კიდეც მწერალი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— უცებ მავინყდება თუ რამეს მანყენინებდნენ.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— მაქვს მრავალგზისი, სხვადასხვა სახის მოტეხილობები, რომელიც მე თვითონ მივუსაჯე საკუთარ თავს და ამიტომაც ხშირად ვფიცხდები საკუთარ თავზე, არადა ხშირად ჰგონიათ, რომ სხვაზე ვბრაზდები (იციინის).

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— მართალია ბედნიერება ეფემერულია, მაგრამ ბედნიერებაა, აბა რაა, როცა კიდე ერთი დღე გითენდება, თუ ცოცხალი ხარ, თუ გყავს კარგი შვილი, კარგი მეუღლე, თუ ზიხარ ზღვასთან და ჰორიზონტზე თვალს ადევნებ, როგორ ჩადის დაღლილი მზე, რომ ხვალ დილით ისევ შენთვის ამოვიდეს... ამის განცდას სხვა რა ჰქვია, თუ არა ბედნიერება...

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— იქნებ გამოვტოვოთ ეგ შეკითხვა, არ მინდა მაგაზე პასუხი.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მაგაზე ერთ ჩემს მეგობარს ასეთი პასუხი აქვს: მამუკა ჩარკვიანი ცხოვრობს, მუშაობს და მღერის როგორ უნდა — „მაქვს მკერდს მიღებული“-ს პონტში.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვარდი, სიმლერიდან გამომდინარე კი — კესანეტ.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არწივის გარდა არცერთი ფრინველი არ მიყვარს. არწივისავე პატივს უფრო მამაჩემის სტრიქონების გამო ვცემ:

მე დაჭრილ არწივს თვალეში ვკოცნი მერე ფრთებს ვუშლი და მხრებს ვატოლებ...

ასე რომ, სიყვარული რასაც ჰქვია, ფრინველებზე ვერ ვიტყვი, რომ მიყვარს.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ვაჟა-ფშაველა — როგორც მწერალი, ფილოსოფოსი, დიდი მოაზროვნე... დებრესიას მარტო ალენ დელონს არ უხსნის, თუ ჩაუჯდები, ქართველებსაც კარგად მკურნალობს (ეღიმება).

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, ბოდლერი, ჯანსუღი, ოთარ ჭილაძე...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ბევრია... ყველაზე მეტად კი მარიტა, გოგლას „ნატვრის ხიდან“.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— რთულია რეალურ ცხოვრებაში გმირების დასახელება. ამ სირთულეს ათასი მიზეზი გააჩნია. ყველა ერს ღირსებით სავსე ადამიანები ჰყავს რეალურ ცხოვრებაშიც, მაგრამ თითქოს დაუნერვლი კანონია — გმირები სიკვდილის მერე ხდებიან.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

- წმინდა ნინო ჯავახეთის მთებით რომ მოდიოდა ჩვენსკენ...
- **საყვარელი სახელები?**
- თამარი, მამუკა, მაკა, ირმა, ლაშა, გიორგი.
- **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**
- თვალეში რომ მიყურებს უტიფრად და... მატყუებს.
- **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დამისახურა?**

— ზიზღის გრძნობა შინაგანად არ გამაჩნია. ამიტომ ასე ვიტყვი — ცუდი კაცები და ცუდი ქალები, რომლებმაც თავი-ანთი ეპოქის საუკეთესო შვილებს ცხოვრება გაუმწარეს.

— **საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?**

- გამარჯვებულებს არ ასამართლებენ...
- **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ჩემი აზრით, ნებისმიერი რეფორმა მაშინაა გამარჯვებული, როდესაც ახერხებს ხალხის ნებაყოფლობით ჩართვას ამ რეფორმაში. რადგან ხალხი, განსაკუთრებით კი ერი, ინტუიციურად, გუმანით გრძნობს სასიკეთო ცვლილებების არსს. სადღაც წავიკითხე, ზუსტად აღარ მახსოვს სად, თავის დროზე შევედეთს პრეზიდენტმა თურმე ხალხს მიმართა: ცუდადაა ჩვენი საქმე, კრიზისში ვიმყოფებით და ამიტომ გთხოვთ 2-3 წლის განმავლობაში მხოლოდ ადგილობრივი წარმოების პროდუქტები შეიძინოთ და დანარჩენზე უარი ვთქვათო.

მოსახლეობამ ეს თხოვნა მონოდედად მიიღო და ერთხმად შეასრულა. ასეთ ერთულ რეფორმებზე კი წარმატებული შედეგებით ხორციელდება. ჩვენ ვიცით, დღეს როგორი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დონეა მსგავსი ტიპის ქვეყნებში.

- **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**
- ჯერ ექიმობა მინდოდა ძალიან, ისეთი წყვეტა იყო, ამ ინსტიტუტში ჩაბარება ვერ გავებდე. მერე რეჟისორობა მინდოდა მოსკოვში, „ვგიკში“ გამოცდების ჩასაბარებლად ჩემებმა არ გამიშვეს. თხილამურებზე სრიალიც არ შედგა, ამისთვის პირველ რიგში მამამ უნდა მოიცალოს... კიდევ შეიძლება რამდენიმე პროფესიის ჩამოთვლა, მაგრამ გამოკვეთილად არა...

- **როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**
- ღამე რომ გავიპარო, არ მინდა, მინდა თვალეში ჩაგხედო ჩემს ნასაყვანად მოსულს. მინდა მოვასწრო და შეილიშვილების გარემოცვაში ვიყო ამ დროს სადმე, აგარაკზე. იმ წუთებში ცოლიც რომ გვერდით მყავდეს, ესეც შეგება იქნებოდა... ესეც ოცნებები სიკვდილთან დაკავშირებით... (ილიმება)

- **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**
- ამჟამად მძიმე, მაგრამ, როგორც იტყვიან, ვებრძვი დემონებს. ერთი წელია სულ შინ ვარ, რამდენიმე ოპერაციის მერე ეტლს მიჯაჭვული. ერთადერთი შეგება ისევე მუსიკაა... ახალ სიმღერებზე ვმუშაობ...

— **ქმედბანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— სიტუაციას გააჩნია, გარემოებას... ისე კი ისეთი რთული შევითხვავა, მაგაზე სწორი პასუხი წესიერ პროკურორებსაც კი გაუჭირდებათ (ილიმება).

- **თქვენი დევიზი?**
- (სიცილით) რაც შეიძლება მეტი ვიცოცხლო! ძალიან კარგ დროს ვატარებ და კარგ რალაცებს ვაპირებ. ისედაც დავუნერ უფალს საგალობლებს, მაგრამ ერთი 30-35 წელი კიდევ რომ მაჩუქოს, ხოტბა და სიმღერები მაშინ ნახეთ (იციინის).

— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— შენს წინ ვდგავარ და ახლა ხომ მხედავ?! და მე ვუპასუხებდი — გხედავ უფალო, მაღლობა ღმერთს, რომ გხედავ... დანახვა ხომ ასე ადვილი არაა, პილატეს რომ უთხრა: მათ წინ ვდგავარ და ვერ მხედავენო.

თინათინ მოსიაშვილი

მაგალითი წარსულის, აწმყოს და მომავლის ურთიერთკავშირისა

(სანაკაპლი მოსაბრეპის ნაკვალებზე)

„უფალმა მომანიჭა მადლი, რომ შევეხე ამ დიდ სინმინდეს და გამხადა მსახური სენაკელი მოსაგრეების წარმოჩენის საქმისა“, — ამბობს სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი).

მეცნიერების მსოფლიო დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელმა კომისიამ, რომლის თავმჯდომარე არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, სხდომაზე სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინა მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) წიგნი „თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიადან“. პატრიარქის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძისა და აკადემიის წევრების გარდა პრეზენტაციას ესწრებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, მღვდელმთავრები, სასულიერო პირები.

„პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დღეს მე მომიწევს წავიყვანო კომისიის დღევანდელი შეხვედრა, — აღნიშნა გამოსვლისას წიგნის რედაქტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზაზა აბაშიძემ — ჩემთვის დიდი პატივი იყო, როცა მეუფე შიომ მომანდო ამ წიგნის რედაქტირება. და უნდა გითხრათ თავიდანვე, რომ ვარ გაოგნებული იმ საოცარი, მეცნიერული დამოკიდებულებით საკვლევი საკითხისადმი, რაც მეუფე შიომ გამოავლინა ამ წიგნზე მუშაობისას და შექმნა არაჩვეულებრივად საინტერესო წიგნი. თქვენ ამაში დარწმუნდებით, როდესაც ნაშრომს გაცნობით. ეს წიგნი დიდი მენაძენია არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ ზოგადად ისტორიოგრაფიისთვის“.

გამომსვლელების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი ათეული წელი არაერთი საინტერესო წიგნი გამოქვეყნდა და დაინერა განმაზოგადებელი ნაშრომები საქართველოს ეკლესიის შესახებ, ჩვენ ცალკე მონასტრის, განსაკუთრებით XIX-XX საუკუნის მონასტრის ისტორიაზე ასეთი წიგნი არ გავაჩნია. „მე არ დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამონასტრო ცხოვრებას საქართველოსთვის, რომ მონასტრები არა მხოლოდ სულიერების, არამეც კულტურისა და მწერლობის ცენტრებიც იყო. თუმცა XIX-XX საუკუნეების მონასტრები ცოტა განსხვავებულ ფუნქციას ასრულებდნენ, ისინი აღარ არიან საგანმანათლებლო ცენტრები, მაგრამ ასრულებდნენ მთავარ, სულიერების ფუნქციას. თეკლათის დედათა მონასტერი ათწლეულების განმავლობაში იყო სწორედ ასეთი სულიერების კერა“.

ზაზა აბაშიძის განმარტებით, ეს წიგნი არის სიყვარულის დიდი მაგალითიც — დაწერილია ისეთი სიყვარულით, რა სიყვარულითაც იცოცხლა და იღვანა ამ ხალხმა ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიისთვის. „რუსეთის იმპერიის რეჟიმის დროს დაარსებულმა მონასტერმა შეძლო ქართული ეკლესიის პრაქტიკულად გადარჩენა. მეუფე შიომ გადმოგვიშალა მთელი პანო, გააღწერა მონასტერში მოღვაწე დედაბისა და მამებისა“.



აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვეციანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა აბაშიძე, მიტროპოლიტი შიო (მუჯირი)

ნიგნს მაღალი შეფასება მისცეს ისტორიკოსებმა: „კომუნისტური დევნის ეპოქაში კოცონები დაინთო საქართველოში, სადაც მონასტრები და სიძველეები იყო. არავის ჰქონდა იმედი, რომ მონასტრებში რამე გადარჩებოდა და შეიძლებოდა შემდეგ რამის აღდგენა. მეუფე შიომ ამ ნაშრომით დაუმტკიცა საზოგადოებას: თუ ძიება სწორად მიმდინარეობს, შეიძლება ამის გაკეთება. თეკლათის დედათა მონასტრის ისტორია არის საუკეთესო მაგალითი წარსულის, ანმეფისა და მომავლის ურთიერთკავშირისა“, — თქვა გამოსვლისას ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **სერგო ვარდოსანიძემ**. მისი თქმით, სასულიერო მაღალი იერარქიისაგან ასეთი შესანიშნავი მონოგრაფიის გამოცემა ძალიან დიდი გარღვევაა საერთოდ ქართულ აზროვნებაში.

გამოცემის რედაქტორი, როგორც აღვნიშნეთ, პროფესორი ზაზა აბაშიძეა, რეცენზენტი პროფესორი **ელდარ ბუბულაშვილი**. ნიგნი „**პეტიტმა**“ დაბეჭდა. ფინანსური მხარდაჭერები კი არიან: **ლევან ვასაძე**, **ზაზა მეტრეველი**, **ლევან სალუქვაძე**, **ვახტანგ ქავთარაძე**. ავტორი განეულები დახმარებისთვის ასევე მადლობას უხდის ძალიან ბევრ ადამიანს.

„ნიგნი მოგვითხრობს სამეგრელოში პირველი დედათა სავანის, თეკლათის ღვთისმშობლის შობის მონასტრის, ისტორიას. მონასტერმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც XIX ს-ის მე-2 ნახევრის დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში, ასევე XX ს. ეკლესიის დევნის პირობებში სამონაზვნო ტრადიციებისა და სამრევლო ცხოვრების გადარჩენის საქმეში“, — ნათქვამია გამოცემის ანოტაციაში.

ნიგნი ასახავს თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიას, მონასტრის წინამძღვრებისა და სავანეში მოღვაწე კრებულის ცხოვრებას მონასტრის დაარსებიდან (1865წ.) XX ს-ის 40-იანი წლების ჩათვლით.

უბუღიკაცია მხოლოდ ნაწილია ავტორის სადოქტორო დისერტაციის. ნაშრომი თეკლათის მონასტრის ისტორიის სამეცნიერო კვლევის პირველი ცდაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. სწორედ ამ მონასტერში მოღვაწეობდა დაყუდებული ბერი და საეკლესიო მწერალი ღირსი **ალექსი სენაკელი (მუშანია)**. ნიგნი მისი და თეკლათის სავანის წინამძღვრების, ასევე სხვა სასულიერო პირთა ღვაწლის შესწავლასაც ისახავდა მიზნად. ნაშრომში წარმოჩენილია წმინდა ალექსი მუშანიას როლი, რომელიც იყო დედათა სულიერი მოძღვარი და მოა-

მაგე. გამოცემა თეკლათის მონასტრის დაარსების 150 წლის-თავს უკავშირდება.

„თეკლათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დედათა მონასტრის პირველი კრებული დაფუძნდა სენაკის მაზრის სოფელ ზედა თეკლათში 1865 წელს მთაზე, რომელიც ხალხში „მთავარანგელოზთა კუნძულის“ სახელით არის ცნობილი. 1837 წელს დედეები გადავიდნენ ახალ ადგილზე, სადაც ამჟამად თეკლათის მონასტერი მდებარეობს. მთავარანგელოზთა კუნძულზე, დედეების მოღვაწეობის პირვანდელ ადგილზე, 1891 წელს ღირსმა ალექსი სენაკელმა (მუშანია) მამათა სავანის მშენებლობა წამოიწყო. ამ სავანეში იგი მოსაგრეობდა 1892 წლის 24 ივნისიდან გარდაცვალებამდე (1923 წლის 31 იანვარი)“, — ვკითხულობთ ნიგნის შესავალში.

თეკლათის მონასტრის დაარსება უკავშირდება მისი პირველი წინამძღვრის, მონაზონ **სალომეს (თავდგირიძე)** სახელს (1865-1878 წ. წ.) შემდეგი წინამძღვარი იყო სქემილუმენია ათანასია (სალაყაია, 1878 — 1903 წ. წ.). სწორედ მის პერიოდში, კერძოდ, 1889 წლის 1 ოქტომბერს გურიის-სამეგრელოს ეპოსკოპოსმა **გრიგოლმა (დადიანი)** აკურთხა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ახალი ტაძარი.

1888 წლის სექტემბერში, როცა საქართველოს სტუმრად ეწვია იმპერატორი **ალექსანდრე მესამე**, მან თეკლათის მონასტერს შესწირა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დიდი ხატი, რომელიც შემდგომში ტაძრის მთავარი ხატი გახდა. ხატზე მიმაგრებული იყო ვერცხლის ფირფიტა. 1923 წელს ეს ფირფიტა ტაძრის ერთ-ერთი დარბევის დროს ბანდიტურმა დაჯგუფებამ გაიტაცა.

მონასტერი ხშირად განიცდიდა მატერიალურ სიდუხჭირეს: დედეები უმეტესად მჭადსა და წყალზე იყვნენ, ხშირად მჭადიც არ გააჩნდათ...

„განსაკუთრებით სამწუხაროა თვითონ დედეების მდგომარეობა, რომელთა სიღარიბეც სიღატაკის ზღვარზეა. მათი ცივი და ნესტიანი სენაკები ღატაკთა ქოხებს წააგავს. ყველა მონაზონს როდი აქვს ნორმალური სამოსი ან ფეხსაცმელი, მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმ მინის ნაკვეთის სიმცირის გამო, რომელიც მონასტერს აქვს მფლობელობაში, ისინი უბრალო დღიური სარჩოთიც კი არ არიან უზრუნველყოფილნი“, — წერდა ეპისკოპოსი **ალექსანდრე (ოქროპირიძე)** ერთ-ერთ წერილში. ეს მხოლოდ ერთ-ერთია იმ უამრავ წყაროთაგან, რომელიც მეუფე შიოს აქვს გამოყენებული თავის ნაშრომში.

„კიდევ ერთი, ეს არის საოცარი სკრუპულოზურობით ზედმინევიანით ზუსტად შესწავლილი წყარო, გამოყენება ამ წყაროს და სამეცნიერო აპარატი წიგნში. განცვიფრებას იწვევს, აგრეთვე, კეთილსინდისიერი მეცნიერული კვლევა და სიზუსტე“, — აღნიშნავს ზაზა აბაშიძე წიგნზე საუბრისას.

აკადემიკოს **როინ მეტრეველის** აზრითაც, იშვიათია ასე ზედმინევიანით, გამონვლილვით შესწავლა წყაროებისა: „აქ არის საარქივო მასალა, პრესა, მოგონებები, სავსე სამუშაოები და აქედან მიღებული მასალები. წიგნი უაღრესად საინტერესოა“...

მასში მრავლად არის გამოყენებული არქივიდან ამოღებული ფოტოები.

მიტროპოლიტი შიო ნაშრომში ბევრგან წერს დედების ღვაწლის შესახებ. თეკლათელი მონაზვნები ხშირად შემოწინა-რულობისთვის დადიოდნენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. მათ შეძლეს ტაძრის, სენაკების, სკოლის აშენება.

1903-1910 წ.წ. მონასტრის წინამძღვარი იყო სქემილუმენია **ეკატერინე (აფაქიძე)**.

1904 წ. 20 მაისს თეკლათის მონასტერში ათონიდან ჩამობრძანდა ღვთისმშობლის ცნობილი სასწაულმოქმედი ხატის „დაუჭკნობელი ყვავილის“ ასლი, რომელიც ჩამობრძანებასაც უამრავი სასწაული ახლდა.

როგორც მეუფე შიო წერს: „1905 წლის რევოლუციის მოვლენები საქართველოსაც შეეხო; ხოლო იმპერატორ **ალექსანდრე მეორის** მიერ „სარწმუნოების შემწყნარებლობის შესახებ“ მანიფესტის მიღების შემდეგ, ანტიეკლესიური განწყობები გაძლიერდა და გახშირდა ღია თავდასხმები მართლმადიდებელ ეკლესიაზე. რასაც ხელი შეუწყო ასევე სენაკის მაზრის ახალმა ხელისუფლებამ. მონასტერს თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ.

მამა ალექსი წერდა ვინმე კონიას: „გვიცხადებენ გადანვას, დანგრევას, ემუქრებიან მონაზვნებს გადაყრას და ახალგაზრდებს მოტაცებით გახრწნას. ზოგნი ღამით გვეცემიან ძარცვა-გლეჯვით, ტანჯავენ სანყალ ქალებს... ოხ! წარმოუდგენელია ეს სიმხეცე სუსტი არსებებისადმი!“.

ასევე რთულ პერიოდში, 1910-17 წლებში, მონასტრის წინამძღვარი იყო ილუმენია **ნინო (ვარნაძე)**, რომელიც განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა. ორი ხანძრის მიუხედავად, მან შეძლო დამწვარი მონასტრის აღდგენა, თუმცა შემდეგ დედებთან დაეძაბა ურთიერთობა და ისევ ბოდბეში გადაიყვანეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი განსაკუთრებული ცვლილებებით აღინიშნა თეკლათის მონასტერში. ამ დროს აქ 100-მდე მონაზონი და მორჩილი იყო. 1918-33 წ.წ. მონასტრის წინამძღვარია სქემილუმენია **ელეონორა (დადიანი)**. დედები მონაწილეობდნენ 1917 და 1921 წლების საეკლესიო კრებებში.

1921 წელს, გასაბჭოების შემდეგ დაიწყო ეკლესიაზე თავდასხმები და მისი დევნა. გამოეცა ანტიეკლესიური დეკრეტები. ხშირად ღამლამობით მონასტერს თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ.

1923 წ. საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა თეკლათის მონასტერი, ჩამოართვა მას სკოლა, ტყე, მიწა. ტაძარი გაძარცვა და დახურა. დედებს უბრძანებდნენ, რომ ტერიტორია დაეტოვებინათ, მაგრამ მონაზვნების შეშინება ვერ შეძლეს, ისინი სენაკებში ცხოვრებას განაგრძობდნენ.

როგორც მეუფე შიო აღნიშნავს, ხელისუფლებას გამოცხადებული ჰქონდა ბოიკოტი და დედების დახმარება ყველას ეკრძალებოდა. მონაზვნებს მუქთახორებს ეძახდნენ, მათ ბაზარში მისვლისა და ვაჭრობის უფლებაც არ ჰქონდათ.

იმდროინდელ სირთულეებს დაემატა ის მძიმე ფაქტიც, რომ დედებმა დაკარგეს სულიერი მოძღვარი: 1923 წ. 31 იანვარს 70 წლის ასაკში გარდაიცვალა ღირსი **ალექსი შუშანია**.

1933-47 წლებში მონასტრის წინამძღვარი იყოს სქემონაზონი **თებრონე (ჯინორიძე)**, 1947-59 წლებში კი სქემილუმენია **ქეთევანი (ახვლედიანი)**. იგი დეკანოზ **გიორგი ახვლე-**

დიანის შვილი გახლდათ და XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული მკვიდრობდა თეკლათის სავანეში. დედა ქეთევანი, დედების უმეტესობის მსგავსად, ღირსმა ალექსი შუშანია ამ ალკვეცა მონაზვნად.

„სქემილუმენია ქეთევანის წინამძღვრობის პერიოდში კრებულს ადგილობრივი ხელისუფლება უწინდებურად აღარ ავიწროვებდა, მაგრამ ოფიციალურად არც მონასტრის არსებობას აღიარებდა. მონაზონთა სენაკები დანომრილი იყო, როგორც ქუთაისის ქუჩის გაგრძელება, ხოლო მონასტრის ტერიტორია ქ. ცხაკაიას ერთ-ერთ უბნად აღირიცხებოდა. მონაზვნები კერძო სახლის მფლობელ მოქალაქეებად მიიჩნეოდნენ“.

ამ პერიოდში, კერძოდ 1948 წელს, მონასტრის მოძღვრად დაინიშნა მღვდელ-მონაზონი **კონსტანტინე (ქვარაია)**. ის, ჯერ კიდევ ოფიციალურად დანიშვნამდეც, დაახლოებით 1945 წლიდან, დადიოდა თეკლათის სავანეში და ალაველენდა ღვთისმსახურებას...

„მონასტერში დაცულ სინმინდეთა შორის აღსანიშნავია წმინდა იოანე ნათლისცემლის თითის ნაწილი (ფალანგი), რომელიც, გადმოცემის მიხედვით, საბერძნეთში მოგზაურობის დროს შეიძინა და მონასტერს შესძინა თეკლათის მონასტრის მოამაგე დეკანოზმა გიორგი ახვლედიანმა... გადმოცემის თანახმად, ეკლესიის დევენის წლებში წმინდა ნაწილს ჯერ მონაზვნები, შემდეგ კი მონასტრის მოძღვარი არქიმანდრიტი კონსტანტინე (ქვარაია) საგულდაგულოდ ინახავდნენ. მისი ადგილსამყოფელი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და მის შესახებ არ ლაპარაკობდნენ“.

მეუფე შიო ბათუმელ-სქემილუმენი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის **ეფრემის (სიღამონიძე)** წერილზე დაყრდნობით წერს, რომ მღვდელ-მონაზონი კონსტანტინე „9 წელზე მეტია, რაც მივლინებულია თეკლათის დედათა სავანეში, ღრმად მოხუცებულ დავრდომილ (რიცხვით 24) მონაზონ დებთან... არამც თუ უფერცხლოდ ემსახურება მათ, არამედ თუ სადმე რამეს შოულობდა, ისიც დებთან მიაქვს“... არქიმანდრიტი კონსტანტინე 40 წელზე მეტი, თითქმის გაუსვლელად მოსაგრეობდა თეკლათის სავანეში და 1978 წლამდე ყოველდღე ალაველენდა ნირვებს.

მღვდელ-მონაზონი კონსტანტინეს გარდა მონასტერს რამდენიმე მღვდელი ემსახურებოდა: მთავარანგელოზთა კუნძულზე დაარსებულ დედათა სავანის პირველი მღვდელთმსახური, ალექსი შუშანიას ჩანანერის მიხედვით, იყო მღვდელ-მონაზონი **ბენედიქტე (მიქელაძე)**, შემდეგ მღვდელ-სქემონაზონი **თეოფანე (ჯინორია)**, დეკანოზი **ნიკოლოზ კალანდარიშვილი**, მღვდელ-მონაზონი **გიორგი (ბაკურაძე)**, მღვდელი **პეტრე ბაკურაძე**.

1959-65 წლებში მონასტრის წინამძღვარი იყო სქემილუმენია **ელენე (ახვლედიანი)**, 1965-75 წლებში კი — სქემონაზონი **მარიამი (ჭიჭინაძე)**.

მეუფის სიტყვით, დედებმა საბჭოთა რეჟიმის წნეხის მიუხედავად, არა მხოლოდ სამონასტრო ცხოვრების შენარჩუნება შეძლეს, არამედ გადაარჩინეს მთავარი სინმინდებიც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მონასტრის საგამომცემლო საქმიანობა. შემონახულია 1901-02 წლებში ფოთში დასტამებული **ღირსი ალექსის** ნაწარმოებები.

მეცნიერებათა აკადემიამ გამოართულ შეხვედრაზე მეუფე შიომ გამოსვლისას გულთბილი მადლობა გადაუხადა უწმინდესს „მამობრივი სიყვარულისა და ლოცვა-კურთხევისთვის“, რომელიც დიდად შეენია წიგნზე მუშაობის დროს. აგრეთვე, დამსწრე საზოგადოებას, მეცნიერებს, რომელთაც მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს. მან ზოგადად მიმოიხილა მონასტრის ისტორია. ისაუბრა იქ მოღვაწე წმინდა დედებისა და მამების შესახებ.

„და ბოლოს მინდა გამორჩეულად ვახსენო, თეკლათის დედათა მონასტერში მოღვაწე, ღირსი ალექსი შუშანიას სულიერი შვილი და მონაფე არქიმანდრიტი **შიო (ძიძვა)**, რომელიც

მრავალი წლის განმავლობაში თეკლათში მოძღვრად მსახურებდა და დიდი წვლილი შეიტანა დევნის პირობებში სამეგრელოში სარწმუნოების გადარჩენის საქმეში. იგი 1969 წელს გარდაიცვალა და თეკლათის მონასტერში განისვენებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მამა შიო იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მოძღვარი მისი მღვდელმთავრად მსახურების პერიოდში. ამიტომაც, თქვენო უნმინდესობავ და უნეტარესობავ, ჩვენო ძვირფასო მამაო და პატრიარქო, ეს მოკრძალებული ნაშრომი მოგიძღვინით თქვენ, როგორც წმინდა სენაკელი მოსაგრეების დიდ სულიერ მემკვიდრეს და თანამედროვეობის უდიდეს სულიერ მოღვაწეს — ბრძანა მეუფე შიომ.



სხდომას ესწრებოდნენ: სრული საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**.

„ვფიქრობ, ეს წიგნი ახალგაზრდა თაობისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რესურსი. სიმბოლურია, რომ წიგნის პრეზენტაცია ხდება დღეს, როდესაც მსოფლიო აღნიშნავს მეცნიერების დღეს“, — თქვა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ყველა დამსწრეს მიულოცა ღირსსახვარი დღე.

„ყველას მინდა მოგილოცოთ ეს დღე, ყველას, ვისაც ცხოვრების მიზნად გაგიხდია ანმყოს, თანამედროვეობისა და მომავლის კვლევა.“

მისარია ჩემი ბავშვობის მეგობრის, მეუფე შიოს წარმატება. ამ პროცესის თანამონაწილე ვარ, ბევრჯერ როცა ვყოფილვარ მასთან სენაკსა თუ თბილისში, წლების განმავლობაში ჩვენს ურთიერთობასაც გასდევდა ეს თემა, მეუფე საუბრობდა ხოლმე იმაზე, რომ დაასრულა კიდევ ერთი თავი, რომ დაენერა კიდევ ახალი ნაწილი. ჩვენ გვიამბობდა ისტორიებს, რომელიც უკვე მეცნიერულ ნაშრომად მოევილინა საზოგადოებას“.

პრეზიდენტის თქმით, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი სახელმწიფოს განვითარება, საზოგადოების ცნობიერებაზე ზრუნვა.

„აქ გამოსავალი არის იმ გამორჩეულ ჯგუფებში, რომლებმაც იბაჟულა უნდა მისცენ დანარჩენ ჯგუფებს. აქ უმნიშვნელოვანესია სამღვდელთა, ასევე ჩვენი სამეცნიერო ელიტის როლი, რომელთაგანაც ძალიან ბევრს ელის საზოგადოება“.

დასასრულ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უნმინდესსა და უნეტარეს **ილია მეორეს** მიეცა სიტყვა:

„შრომა, რომელიც წარმოადგინა მეუფე შიომ, მეტად მნიშვნელოვანია. მე ამ მამებისა და დედების შესახებ ჩემს ბავშვობაში მომისმენია. ჩემი ნათლია იყო მონაზონი და ის მიაბობდა მამა ალექსი შუშანიას, **უთუთი ფაჩულიას** შესახებ...“

პატრიარქმა გაიხსენა თავისი მოძღვარი შიო (ძიძავა), რომელიც მოღვაწეობდა თეკლათში, გაიხსენა ამ მონასტერში გატარებული დღეები:

„რაც შეეხება მამა შიოს, ძიძავას, ის იყო ძალიან საინტერესო ადამიანი, ნამდვილად წმინდა ადამიანი. მინდა გავიხსენო ერთი ასეთი შემთხვევა: მე ჩავედი სენაკში, იქ წყლებია და უნდა მეპყურნალა. ჩემს სანახავად ხშირად მოდიოდა მამა შიო. ერთხელ მას მოჰყვა მორჩილი ბერი. ექიმებმა რომ დაინახეს, სტუმარი მოგვივიდა, მოიტანეს რძე, პატივი გვცეს. იყო პეტრე-პავლობის მარხვა. მე ვიყავი ახალნაკურთხი ეპისკოპოსი. მამა შიომ ლოცვა წაიკითხა. მე გადავსახე ჯვარი და დავლიეთ ეს რძე. მარხვაში არ შეიძლებოდა, მაგრამ რადგან მოიტანეს, პატივი ვეცით ექიმებს. ის მორჩილი ბერი დადგა მოშორებით და ზედაც არ შეხედა რძეს. მამა შიო მეუბნება:

მეუფეო, არ გენყინოს, ჯერ არ არის სულიერად იმ სიმაღლეზე, რომ პეტრე-პავლობის მარხვაში რძე დალიოს“.

პატრიარქმა თავისი მოძღვრის უკანასკნელი წუთები გაიხსენა:

„მე მამის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ვიყავი და სოხუმში ვმსახურებდი. ჩემთან მოვიდნენ ბერები და მითხრეს, რომ მამა შიო ძალიან ცუდად იყო და მკითხულობდა. წამოვედი სენაკში. მამა შიოსთან დამხვდა იმ სავანეში მოღვაწე არქიმანდრიტი კონსტანტინე (ქვარაია), რომელიც მამა შიოს მოძღვარი იყო. მომაკვდავს წყალი ჰქონდა დალეული, მამა კონსტანტინე მკაცრი იყო და არ აზიარებდა. მე ვუთხარი, რომ ასეთ დროს შეიძლებოდა ზიარება. ვკითხე მამა შიოს, მე ხომ არ გაზიარო-მეთქი. კი, ოღონდ ჩქარაო...“

სწრაფად ვკითხულობდი ლოცვებს, რომ მომესწრო ზიარება და სულ ოფლიანი დაეჯექი მის გვერდით, სკამზე. ამ დროს გადმოწია ხელი, დამადო მუხლზე და მითხრა: „ჩემო პატრიარქო“. „პატრიარქი არა, მიტროპოლიტი ვარ-მეთქი“, ვუთხარი და „ჩემო პატრიარქო“, გამიმეორა. ვაზიარე და იმ დამეს გარდაიცვალა მამა შიო.

უნდა ვთქვათ, რომ იმ მამებმა და დედებმა საოცარი მაგალითი გვიჩვენეს, ისინი საოცარი ადამიანები იყვნენ, თითოეულზე შეიძლება ცალკე წიგნის დაწერა“.

დასასრულ კათალიკოს-პატრიარქმა დალოცა ქართველი მეცნიერები. ილია მეორემ მოუწოდა ხელისუფლების წარმომადგენლებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეცნიერებას, მეცნიერებათა აკადემიას, მეცნიერების დაფინანსებას, ხელი შეუწყონ ახალგაზრდების, მათ შორის ახალგაზრდა სასულიერო პირთა ჩართვას სამეცნიერო საქმიანობაში, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს კავშირი რწმენასა და ცოდნას, მეცნიერებას შორის.

„თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიის შესახებ თბრობის დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ღირსი ალექსი სენაკელისა და თეკლათის სავანის პირველი მონაზვნების ღვაწლი შეიძლება მივიჩნიოთ სამონასტრო სწავლების წმინდა მამებისეული ტრადიციების სანყისებთან დაბრუნებად.

მონასტრის დედებმა, რომელთა უმეტესობაც, მამა ალექსის სულიერი შვილები იყვნენ და მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდეც ამ სავანეში იღვანეს, შეინარჩუნეს და მომავალ თაობებს გადასცეს თავიანთი დიდი მოძღვრისგან მიღებული სულიერი გამოცდილება“, — წერს „თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიაში“ მეუფე შიო, სენაკელი მიტროპოლიტი, რომელიც დღეს თეკლათში მოღვაწე დედებთან ერთად იმ საუკეთესო ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს.

ეთერ თედიაშვილი

დაბრუნება

სონატინა უკვე იმ ასაკში იყო, როცა მარტო თვალები კი არ უნდა დაეხუჭა, არამედ ყურებიც კარგად დაეცო და ენის-თვისაც კბილები მაგრად დაეჭირა, რომ ცუდი სიტყვები არ წამოსცდენოდა არამარტო საკუთარი უბედურებისა და უიღბლობის გამო, არამედ იმ საცოდავი და ხელმოცარული ვინმე მამრის მისამართით, ვინც მასთან სარეცელის გაზიარებას მოისურვებდა.

ზე-ყანებჩამორთმეული ის საცოდავი ქვე-ყანა, სადაც სონატინა ცხოვრობდა, მრავალტანჯული, ეთნიკური თუ სა-მოქალაქო ომებით გატანჯული, საბურავდაშვებული მანქანასავით დაღმართზე მიგორავდა. შეშინებული მგზავრები, თვითგადარჩენის ინსტინქტით დაზაფრულნი, ნაქცეულებზე დაბიჯებას არადა ადგებდნენ და ერთმანეთის გადასწრებას ჯიქურ ლამობდნენ.

წესრიგის დამცველნი კი ორ ჯგუფად იყოფოდნენ, — ფორმალეზად და არაფორმალეზად. ფორმალეზი იყვნენ ისინი, ვისაც უნიფორმა ეცვა და ტაბელური იარაღის ოფიციალურად ხმარების უფლება ჰქონდა. არაფორმალეზი კი, ვინც იარაღი ძალით ჩაიგდო ხელთ და ვისაც საკუთარი მყისიერი გადაწყვეტილებით გამოჰქონდა განაჩენი.

ეს ის დრო იყო, როცა სამუშაოს ვერ იშოვიდი, შინ ჯდომით კი ვერ იარსებებდი. გარეთ ჩაცმული თუ გახვიდოდი, შინ შიშველი დაბრუნდებოდი.

რა უნდა ექნა საცოდავ სონატინას, ერთი უბრალო, სა-კუთარი მინა-წყლიდან აყრილი ლტოლვილი მსახიობი იყო, რომელსაც მხოლოდ ბებიის მიერ ნასწავლი ქსოვა ეხერხებოდა და სხვა არაფერი. იჯდა, ქსოვდა წინდებს, ქუდეებს, ხელთათმანებს და პურის ფულად ყიდდა.

ქვეყანაში ერთი დიდი, მრგვალი, გამჭვირვალე შენობა შენდებოდა. ხალხს ეგონა, ეს შენობა მთელ მოსახლეობას შეიფარებდა, მის ბედზე იზრუნებდა და ყველა პრობლემას გადაუწყვეტდა. მაგრამ ჰოი, საოცრებავ, როგორც კი მშენებლობა დამთავრდა, საზეიმოდ გახსნის დღეს ყველას თვალწინ ამოინია ეს მინაში ნახევრად ჩაფლული მრგვალი შენობა. ამოინია და ჰაერში დაეკიდა, ხალხს თვალები შუბლზე აუვიდა და ერთ ხმაში — „ვაუუუუ“ — აღმოხდა. ვინც გონზე მოსვლა მოასწრო, იყვირა — „არიქა, თავს ვუშველოთ“ — ცაში აზიდულ შენობას გამოეკიდა, ზედ ჩამოეკონწინა და განწირული ხმით — „არ დამტოვო, მეც თან წამიყვანეო“, — ყვიროდა.

ატყავდა ხალხში ჩოჩქორი და ერთი გნიასი. ერთხანს ჰაერში და ცოტა ხანში ბურთივით დაპატარავდა.

გამწარებული ხალხი ილანძლებოდა და იფურთხებოდა — ჩვენ პარლამენტის შენობა გვეგონა, ეს კი ნოეს კიდობანი ყოფილაო. ვაი, ვაი, ვაი, ეს როგორ მოვტყუვდითო“.

ვილაცამ შესწორება შეიტანა — ნოესი კი არა — ნეოსიო.

აქეთ-იქიდან ამბები მოდიოდა, თუ ვინ როგორ ცდილობდა ნეო-ნოეს კიდობან-დირიჟაბლს დასწეოდა. ზოგი აერო-პორტში თვითმფრინავის ასაფრენ ბილიკზე მალულად იპარებოდა და ასაფრენად გამზადებულს ფრთაზე ეკიდებოდა. ზოგი თვითმფრინავის მუცელზე ნებოთი ენებოდა. უფრო მოქნილები საბარგულში მოხვედრასაც კი ახერხებდნენ. მათზე მოხერხებულები კი — დიპლომატის მანდატით — ბიზნესკლასით მგზავრობდნენ.

რა უნდა ექნა საწყალ სონატინას, ბუნებით მომთმენი იყო და კიდევ დიდხანს დაელოდებოდა უკეთეს ცხოვრებას,

მაგრამ დედამინაზე ცხოვრების ლიმიტი მკაცრად განსაზღვრული იყო. მას კი გარდა პურისა, სიცოცხლისათვის საჭირო სხვა პროდუქტებიც ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, ისე არ უნდოდა წასულიყო ამ ქვეყნიდან, რომ ბავშვობის ოცნება არ აეხდინა. ის ქვეყანა უნდა ენახა, სადაც მისმა მამიკომ ომის დროს ფეხი დაკარგა. ეგება ეპოვა მამის ფეხი და თვითონაც უფრო მყარად მდგარიყო დედამინაზე.



იცოდა, ღმერთს თუ რამეს ძალიან შეევედრებოდა, აუცილებლად მიიღებდა მისგან წყალობას. ბევრი ვედრების შემდეგ დაესიზმრა ღვთისმშობელი, რომელმაც ძაფის გორგალი მიაწოდა და მფრინავი ხალიჩის მოქსოვა დაავალა. ოღონდ პირობა ნაუყენა, რომ ქსოვისას მოთმინებიდან არ უნდა გამოსულიყო და (უკანდასაბრუნებელი) ძაფი არ უნდა განყვეტოდა. თანაც ხალიჩაში მთელი სული, გული და მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციული ორნამენტები უნდა ჩაექსოვა. როგორც კი დაამთავრებდა ქსოვას, ხალიჩაც მზად იქნებოდა და ნებისმიერ ქვეყანაში შეძლებდა გაფრენას.

დილით, ახალგამოღვიძებული სონატინა თვალებს არ უჯერებდა. ბალიშის გვერდზე სწორედ ის ძაფის გორგალი იდო, რომელიც ძილში ღვთისმშობელმა მიაწოდა.

დაჯდა და დაინყო გამალებული ქსოვა. არც საჭმელი ახსოვდა სონატინას, არც სასმელი, არც ძილი და დასვენება. წლები განმავლობაში ასე, დაულაღავად ქსოვდა.

ნახევარზე მეტი უკვე მოქსოვილი ჰქონდა, რომ მოულოდნელად ძაფი გაუწყდა. შეცბა სონატინა. როგორ არ ეცადა, რომ ძაფი გადაეხა, მაგრამ ტყუილად ირჯებოდა, ვერაფერი მოუხერხა. დაჯდა და მწარედ იტირა.

ერთხანს დეპრესიაში იყო, აღარც წინდებსა და ქუდეებს ქსოვდა, არც გარეთ გადიოდა. ყველაზე მეტად კი ის დაკარგული წლები ენანებოდა, ტყუილად რომ შეაღია ამ ხალიჩის ქსოვას. გულის არეში გამუდმებული ტკივილის გრძნობა არ ასვენებდა.

დრო კი გადიოდა. სონატინა ამ ტკივილსაც შეეგუა. ერთ მშვენიერ დღეს ყური მოკრა ინფორმაციას თბილ ქვეყნებში გადამფრენი იხვეების შესახებ. გონება ერთბაშად გაუნათდა და თვალებში იმედის სხივი ჩაუდგა.

მოიძია და კარგად შეისწავლა მათი ადგილმდებარეობა და ფრენის მარშრუტი.

პირველი გზა შორი ეჩვენა, რომელიც ქერჩის სრუტედან მოემართებოდა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით სანაპიროს გაუყვებოდა.

მისთვის უპრიანი მაინც მეორე გზა იყო, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედიდან იწყებოდა და თერგის დინების გასწვრივ, ჯვარი-გუდაურის უღელტეხილის გავლით, თეთრი და შავი არაგვით, მტკვარს სამხრეთ-აღმოსავლეთით მიუყვებოდა.

გადანყვიტა, აქვე ახლოს, გარდაბნის ველზე დალოდებოდა იხვეებს და თავისი თხოვნაც გაენდო.

მთელი ღამე გაყურებული ელოდა გათენებას. როგორც კი ირიჟრაჟა, გამოგოგმანდნენ იხვეები და მთელ ტბორს მოედვნენ. გაბედა სონატინამ და ყველაზე გამორჩეულთან მივიდა.

იხვს მწვანე თავი, ყვითელი ნისკარტი, ლურჯი ფრთა და ნითელი ფეხები ჰქონდა.

იხვმა გაოცებულმა შეხედა და ჰკითხა:

— ვინ ხარ და აქ რა გინდაო?

— მეე?.. უბრალო ჭუკია ვარ, სახელად (ერთხანს შეეყოვნდა, არ იცოდა, რომელი სახელი ეთქვა, ბებიის პატივსაცემად დარქმეული სახელი სონა, თუ ბავშვობიდან შემორჩენილი სონატინა. ბავშვად დარჩენის სურვილი მაინც დიდი იყო და...) სონატინა მქვია. ერთი დიდი თხოვნა მაქვს და გთხოვ მომისმინო.

— რა თხოვნაო — გაოცდა იხვი.

— გაფრენა მინდა (იხვმა ალმაცერად შეხედა), აი, ეს ბადე-თოკი მოვქსოვე,

უმორჩილესად გთხოვ, ჩამაბით თქვენს გუნდში და, როცა თბილ ქვეყნებში გასაფრენად გაემზადებით, მეც თან წამიყვანეთ. თქვენსავით ფრენა არ ვიცი, ერთი უბრალო ჭუკია ვარ, მაგრამ აქედან გაფრენა აუცილებლად მჭირდება.

— ჰმ, რომ ამბობ ჭუკია ვარო, შენისთანა ჭუკიები მინახავს სხვა ქვეყნებში, დიდად გაფოფრილები რომ დაიარებიან, ბუმბულს ჭრელად იღებავენ და თავი ფარშევანგებად მოაქვთ. ისე, რა ყველას გატყევაზე გიჭირავთ თვალი, რა გინდა, რა დაგიკარგავს უცხო ქვეყანაში, ან ვის რაში სჭირდება. ყველა რომ ასე გაიტყეს, ვინ უნდა ააშენოს ეს დანგრეული ქვეყანა? — გაბრაზდა იხვი.

— მე მამაჩემის დაკარგული ფეხის საძებნელად მივდივარ გერმანიაში. იმ ფეხისა, რომელიც გერმანელებთან ომის დროს დაკარგა — მიუგო სონატინამ.


— დაკარგული ფეხისაო? — გაიოცა იხვმა და ხმამაღლა ჩაიხვიხვინა — შენ გენაცვალე, საკუთარი თავი ვერ გიპოვია შენს სამშობლოში და უცხო ქვეყანაში აპირებ მამაშენის დაკარგული ფეხის ძებნას?

— არ შეგანუხებდი, მაგრამ მეტი გამოსავალი არა მაქვს, აუცილებლად მჭირდება აქედან წასვლა. დიდი ხნის განმავლობაში ვქსოვდი მფრინავ ხალჩას, მაგრამ მოთმინების ძაფი გამიწყდა და ჩემი ოცნება ჩაიფუშა. ძალიან თუ მოვიდო-მებ და თავზე ხელს ავიღებ, მეც შევძლებ ალბათ არალეგალური გზით თვითმფრინავზე ჩამოკონწიალებას, მაგრამ სინდისის ძაფი ჯერ არ გამწყვეტია. არ მინდა რაიმე უკანონობა ჩავიდინო, უმორჩილესად გთხოვ, ჩამაბით თქვენს ქარავანში და სადაც გეტყვით, იქ ჩამავადეთ. ოღონდ ერთი თხოვნა მაქვს, ცხინვალს რომ გადაუფრენთ, ტემპი შეანელებთ და დაბლა იფრინეთ, რომ ოკუპირებულ ჩემს მშობლიურ არემარეს თვალი კარგად შევავლო და მამაჩემისა და ჩემი წინაპრების საფლავზე ყვაილი მაინც ჩამოვადლო.

— ცხინვალში რა გვინდა, გენაცვალე, ჩვენ სულ სხვა მარშრუტით დავფრინავთ. გარდა ამისა, ოკუპანტების მიერ მარტო ხმელეთი და ზღვა კი არა, საჰაერო სივრცეც მკაცრად კონტროლდება. აქაურ ბრაკონიერებს თუ გადავფრინოთ, მადლობა უნდა ვთქვათ. ერთ-ორ საფანტს კიდევ ავიტანთ, მაგრამ ჰაუბიცა თუ მოგვხვდა, ჩვენი ბურღლა აღარ იქნება. ვერ ხვდები, რომ რისკიან გზაზე გვინვევ? თანაც მარტო ჩვენ ხომ არა ვართ, ჩვენს გარდა ყურყუმელა, ნაცარა, კუდადგისა, შუბლთეთრა და ცხვირფარა იხვების მთელი კოლონაა. მართალია, ყოჩები ჩვენ — გარეული იხვები — ვართ, მაგრამ ჭკუა მათაც უნდა დავეკითხოთ. მოსაფიქრებლად კი დრო ძალიან ცოტა გვაქვს. ჩვენ აქ ორ დღეზე მეტს ვერ დავაყოვნებთ. დროზე თუ არ გავფრინდით, ამინდი აირევა და ფრენა გაგვიჭირდება.

— ეჰ, — ამოიოხრა სანყლად სონატინამ და იხვს ვედრებით შეხედა.

იხვმა ნისკარტით მინდვრის ყვაილი მონყვიტა და თანაგრძობისა და ნუგეშის ნიშნად ჭუკს გაუნოდა, თან დაამ-



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

ტა — ვერაფერს შეგპირდები, მაგრამ საბოლოო პასუხს ხვალ გაგცემო.

— ვიცი, მძიმე ტვირთად განვებით, მაგრამ სადაც გაგიჭირდებათ, იქვე ჩამიშვით, გინდათ გადამავდეთ. ასეთ ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია — ატირდა სონატინა.

— ჩაშვება, დასმენა და გადაგდება ჩემთან არ მოსულა, ასეთ რამეს როგორ მკადრებ, მაგნირები სხვაგან მოიკითხე. როგორც გითხარი, ხვალ საბოლოო პასუხს მოგცემ — მოუჭრა იხვმა.

სონატინამ ის ღამე იქვე, ჭალაში ბაყაყებთან საუბარში გაატარა. შუალამისას ფოთლების შრიალი, ჩუმი ფაჩუნი და მოგუდული ლაპარაკი მოესმა.

— ბიჭო, ეგ სატყუარა იხვის ფიტული აქეთ მომეცი, აქ კარგი მოსატყუებელი ადგილია..

დანარჩენი სონატინას აღარ გაუგია, მაგრამ მიხვდა, რომ ბრაკონიერებს გადაეყარა. უმაღლე გაიტყა და ნაცნობ იხვს საფრთხის შესახებ აცნობა. იხვმა მადლობა გადაუხადა და თავით ანიშნა — მომეყვიო. სონატინას მიერ ნაქსოვი ბადე-თოკი კისერზე მოიგდო, მერე ერთი ხმამაღლა დაიყიყინა, რალაც ნიშანი მისცა იხვებს და მთელი გუნდი ერთბაშად ცაში აიჭრა. სონატინას შიშისა და სიხარულისაგან გული უფანცქალებდა. ასეთ სიმაღლეზე არასდროს ასულა. მართალია, ჯერ კარგად გათენებული არ იყო, მაგრამ ლამაზად შეფერილი ველ-მინდვრები და მთა-გორაკები ნელ-ნელა იკვეთებოდა.

— ღმერთო, რა ლამაზი ყოფილა ეს ჩემი სამშობლო, ფერად-ფერადი ველ-მინდვრებით აჭრელებული, მდინარე-ნაკადულებით ჩავვირისტებული, მაგრამ ხედავთ, რამდენი დაუმუშავებელი მინა ცდება ტყუილად. აფსუსს, ამ სიმაღლიდან რომ არ დამენახა, ამას როგორ წარმოვიდგენდი — თქვა სონატინამ.

— შენ სხვა სიმაღლიდან არ გადმოგიხედავს, თორემ უფრო მეტს დაინახავდი. შენი გულისათვის დაბლა დავფრინავთ.

— რატომ მერე, ვიფრინოთ უფრო მაღლა, ხელს რა გვიშლის?

— შენ რა არ იცი, რომ საჰაერო სივრცე ზონებადაა დაყოფილი. ატმოსფერული წნევა იცვლება და გარკვეულ სიმაღლეზე ჟანგბადის უკმარისობის გამო, ადამიანისთვის საშიშ, ანუ სიკვდილის ზონად ითვლება?

სონატინას შერცხვა თავისი უფიცობისა და კიდევ იმის გამო, რომ მისი გულისათვის იხვების მთელი ქარავანი ასე გაისარჯა და თავი დამნაშავედ ჩაქინდრა.

ცოტა ხანში მისი ყურადღება საინტერესო სანახაობამ მიიპყრო.

— შეხეთ, საჰაერო ბუმტები რა სიმაღლეზე ამოსულან — წამოიძახა გაკვირვებით.

— ეგ საჰაერო ბუმტები კი არა, ჩვეულებრივი ადამიანები არიან — ჩაიდუღლუნა იხვმა.

— რომელი ადამიანები? — გაიოცა სონატინამ.

— რას გაიგებ, ზოგი ოცნებაში დაფრინავს, ზოგი ნარკოტიკით გაბრუნებულია და ვერც კი ხვდება, რომ სიკვდილის ზონას უახლოვდება. ზოგი კი სიამაყით დაბერილები არიან. ისინი, ვინც მინას მოსწყდა, მხოლოდ ზემოთ დაფრინავს და ქვემოთ არც იყურება. ის კი არ იცის, რომ თუ მეტისმეტი მოუვიდათ, ღმერთისაგან წიკპურტი არ ასცდებათ და მაშინვე ჩაიფუტებიან — ცხვირში ჩაიდუღლუნა იხვმა.

ახალი, უცნობი მარშრუტის შესასწავლად იხვს დიდი დრო არ დასჭირვებია. მათი ნავიგაციური სისტემით მონყობილი ტვინი, ბევრად წინ რომ უსწრებს ყველა თანამედროვე ტექნიკურ მონყობილობას, საყოველთაოდ ცნობილია. სხვაგვარად კონტინენტებს შორის, ზღვებსა და ოკეანეებზე ასეთი სიზუსტით ვერ იფრენდნენ. მიუხედავად ამისა, სონატინამ მაინც ზედმინეებით ალუნერა ცხინვალში შესასვლელი გზები და ჯაფარიძე-გოგებაშვილის ქუჩების გადაკვეთის ადგილი, სადაც მისი მშობლიური სახლი იდგა.

რიჟრაჟმა ტბეთის მინდვრებში მოუსწრო. დაახლოებით ორი სიძლერის საფრენ მანძილზე იქნებოდნენ ცხინვალთან, რომ უცებ სონატინამ იკივლა — ვაიმე, ვილაცა ჭოგრიტით გვითვალთვალეს, ჩქარა მალა ავფრინდეთ, არ გვესროლოსო.

— ნუ გეშინია, ეგენი ხომ ევროკავშირის დამკვირვებლები არიან, წლებია მანდა სხედან და მათი გასროლილი ჯერ არავის უნახავსო — ჩაიხვიხვინა იხვმა.

— უფ, რა მოსაწყენი საქმიანობაა, რამე მაინც მოქსოვონ — ჩაილაპარაკა სონატინამ.

— ნუ დარდობ, არ იწყენენ, ხედავ, პეპლებსაც დასდევენ, მშვენივრად — საუცხოოდ

ერთობიან. სიტყვაც რომ მათი შესაფერისია სა-უც-ხო-ვო — დამარცვლა იხვმა. — ამ სიტყვას ხომ სხვა ენაში ვერ იპოვი. საუცხოვო — ესე იგი თავისთვის კი არა, უცხოისთვის გასამეტებელი — დასძინა იხვმა.

შორს, ცის კიდურზე კავკასიონი გამოჩნდა და ბრუტსაბ-ძელას წვერიც გამოკრთა.

ახალი ძალების მოსაკრებად და პირის გასასვლელბლად იხვების ქარავანი წუნარის ტბაზე დაეშვა. დიდხანს ნებივრობის დრო ისედაც არა ჰქონდათ და შორიდან მოტანილმა ძალების ყეფის ხმამ ქარავანი ისევ ცაში ააფრინა.

ცხინვალამდე ერთი სიძლერის საფრენ მანძილზე იხვმა „გაფრინდი შავო მერცხალო“ წამოიწყა, რომელსაც იხვების მთელი გუნდი აჰყვა. აბა სხვა რა უნდა ემდერათ, ჭუკიებსა და იხვებზე სიმღერა ჯერ არავის დაენერა.

სოლო-პაუზის დროს იხვმა სონატინას ჩასძახა:

— მკლავები მაინც გაიქინე, არ შეგამჩნიონ, რომ ჩიტი არა ხარ. (პირდაპირ ვერ უთხრა — ჭუკია ხარო).

სონატინამ მამის საფლავისათვის წამოღებული მინდვრის ყვავილი კბილებში გაიჭო და მკლავები გაშალა. იცოდა, მუხის ჭალა მალე გამოჩნდებოდა და ბავშვობის მოგონებანი ერთბაშად ამოუტივტივდა:

თბილ შემოდგომაზე დარინე მასწავლებელთან ერთად ამ ტყეში ჩატარებული ბუნების გაკვეთილები, პირველი შთაბეჭდილება უღრან ტყეზე, უშველებელი მუხის ხეების სიღრმიდან დათვისა და მგლის გამოჩენის შიშნარევი მოლოდინი, მუხის ფოთლებისა და რკოს შეგროვება, ხეებს უკან დამალობანას თამაში.

ზამთარში კი ფიზკულტურის გაკვეთილზე, ამ გორაკიდან კოლია მასწავლებელთან ერთად თხილამურებით სრიალი. რომელი ერთი გაეხსენებინა, აღარ იცოდა, და აი, გამოჩნდა კიდევ ბებერი მუხის ჭალა.

— ღმერთო ჩემო, ზემოდან რა სხვანაირი ყოფილა, თითქოს ფოთლები გახუნებია,

ტყეც მეჩხერი გამხდარა. მოიცა, მოიცა, სამხედრო ტექნიკას აქ რა უნდა, ნუთუ აქაც ბაზები გააშენეს — ხმამალა გაიფიქრა სონატინამ და მოქუფრული თავი მოლრეცილი დარჩა.

— ფრთები გაიქინე, ფრთები, თვითმფრინავი ხომ არა ხარ, რას გაშეშებულხარ, — მიიღო შენიშვნა მთავარი პილოტისაგან.

აქეთ კიდევ ნაცარგორა, ამ გორადან ციგებით სრიალი და გუნდაობა.

აი, ზალინას სახლიც გამოჩნდა. ნეტა თვითონაც გამოჩნდებოდა. ახლა ალბათ გათხოვილია და შვილებიც ჰყავს, — გაიფიქრა სონატინამ და გაახსენდა, როგორ ეტოლებოდნენ ერთმანეთს სიმაღლეში. ზალინა სწრაფად იზრდებოდა და ზემოდან დაჰყურებდა პატარა სონატინას. მუსიკალურ სკოლაშიც ერთად დადიოდნენ და კინოთეატრშიც. სალამობით ბოგირზე დასეირნობდნენ. მაშინ მოზარდები იყვნენ და მათ ვინ ამჩნევდა, მაგრამ მაინც ეპრანჭებოდნენ მათზე უფროს ბიჭებს.

არც თქვენ არ ჩანხართ, ბიჭებო — „ჯონ ლენონ“, ბუჟუკი, თემურ, გოგა, სადა ხართ, შოთა არ გენატრებათ? სად დაიშალა თქვენი ლამაზად შეწყობილი ხმები, სად გაიყო თქვენი ერთად სავალი გზები? შოთა ვეღარ მღერის, ყელში ბურთი ეჩხირება, მხოლოდ ლექსებს, ცხინვალზე დაწერილ ლექსებს ხავილით ამოთქვამს...

ახლა თეატრიც გამოჩნდება, — გული აუფანცქალდა სონატინას, გაახსენდა რა სიამაყით შედიოდა ვასო ჰაპას მიერ ხელით ნაკვეთ მასიური ხის ჩუქურთმებიან, ფართოდ გაღებულ კარში და რა მოუთმენლად ელოდა სპექტაკლის დაწყებას.

რამდენ სიტყვასა და აზრს იტყვდა ეს ჩვენი კულტურის კერა, რამხელა რეზონანსს იწვევდა დარბაზში ჯემალის უჩვეულოდ იშვიათი ხმა. მისი და ზაურის დუეტი, რომლებიც მხოლოდ სცენაზე თუ იყვნენ მტრები და სილის განვნაც კი მოზომილი ჰქონდათ, რომ ერთმანეთისათვის ტკივილი არ მიეყენებინათ.

ახლა სადა ხართ, ზაურ, ჯემალ, სად გაყურდა თქვენი ხმა. ზაური არ მოესწრო ამ ძმათამკვლელ ომს. შენ კი რა ვერ გადაიტანე, ჯემალ, — ტკბილი სიბერე რომ არ გაცალეს შენს სამშობლოში, თუ მინასთან რომ გაასწორეს შენი ხელით მოვარაყებული სახლ-კარი? — ნიკაპი აუკანკალდა სონატინას და ცრემლები მოიწმინდა, გაახსენდა იხვის დარიგება, რომ ტირილისაგან თავი უნდა შეიკავოს, რადგან შეიძლება ვინმეს წვიმა ეგონოს და ზემოთ ამოიხედოს (თუმცა მაინც არავინ იყურებოდა ცაში. (ალბათ ღმერთის თვალეში ჩახედვის ეშინოდათ).

აი, თეატრიც გამოჩნდა. შენობა კი დგას თავის ადგილზე, მაგრამ შეხეთ სახურავი რას უგავს, წვიმის დროს ალბათ თქრიალით ჩადის წყალი და ყველაფერს აფუჭებს. მიტოვებული რეკვიზიტს, კოსტიუმებსა და ნიღბებს ალბათ ოკუპანტები ირგებენ და კარგადაც ერთობიან. — გაიფიქრა სონატინამ და იქით გაიხედა, სადაც მისი მშობლიური სკოლა ეგულეობდა, მაგრამ სად არის? — აწრიალდა სონატინა. სკოლის ადგილზე დამწვარი შენობის ნანგრევებია ჩანდა. გული ჩასწყდა და ცრემლები ჩამოუგორდა.

იხვმა მკვეთრი მოძრაობა გააკეთა და გეზი იცვალა.
— საით უხვევ, ჩემი სახლი მარცხნივ არის! — შესძახა სონატინამ და სუნთქვა შეეკრა.

— ნავიგაცია გოგებაშვილის ქუჩას არ მიჩვენებს, ეტყობა ქუჩებს სახელები აქვს შეცვლილი.

— ჰო, აღარც ქართული ლაპარაკი და სიმღერა ისმის, მგონი, აღარც ოსური... — თქვა დანანებით სონატინამ.

სწორედაც რომ ასე იყო. მხოლოდ სამხედრო მარშის ხმა არღვევდა დილის ცხინვალის მყუდროებას.

სონატინამ კიდევ ორი მინიშნება მისცა იხვს. ცოტაც და საკუთარ სახლს დაინახავს. გული ხელით უჭირავს, რომ არ ამოვარდეს, თვალები დიდად დაქაჩა, მაგრამ რა? სახლი აღარსად არის. მის ნაცვლად ცარიელი ადგილია. გული გაუჩერდა სონატინას, შემოთებით მოავლო თვალი იქაობას და მერე შეამჩნია, რომ აღარც სხვა ნაცნობი სახელები იდგა თავის ადგილზე. მონყევილი მკლავები უღონოდ ჩამოეკიდა და მამის საფლავისთვის განკუთვნილი ის ერთადერთი მინდვრის ყვავილი ხელიდან გაუვარდა. მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა იხვის ხმა გაიგონა:

— საცაა შეგვამჩნევენ, როდემდე უნდა ვუტრიალოთ ამ ადგილს, გვითხარი, ახლა საით გავფრინდეთ?

— სასაფლაოსკენ... — ამოღერდა სონატინამ.

აი ზღუდერიც. აქეთ ებრაელების სასაფლაო, იქით — სომხების. აქ, შუაში ჩვენების, მაგრამ რა უცნაურად გამოიყურება აქაობა, ველარაფერს ვცნობ. ნეტა თუ მივაგნებ ჩემების საფლავს... — აწრიალდა სონატინა. აი, ცოტა მარჯვნივ და იმ პატარა დაღმართზე, ვინრო ბილიკის გაყოლებაზეა, მაგრამ რა ხდება, ღმერთო ჩემო, აღარაფერი ჩანს ამ ეკალ-ბარდებში. სად ჩაიკარგა ჩვენების საფლავი, სად? წარწერას კი არა, ქვასაც ველარ ვხედავ, ყველაფერი წაიშალა, ყველაფერი!.. — ისე მწარედ ატირდა სონატინა, რომ სულს ველარ ითქვამდა.

იხვებმა სამგლოვიარო ფრთები დაუშვეს და მდუმარებით თანაუგრძნეს სონატინას. ცოტა ხნის შემდეგ გეზი აიღეს ლიხვის ხეობის სოფლებისაკენ.

— არა, დაბრუნდით უკან, მაგას ველარ გადავიტან! ჩემს გავერანებულ, გაცამტვერებულ სოფლებს ვერ დავინახავ, არ დავინახავ! არ მინდა, გაბრუნდით უკან! — იყვირა სონატინამ.

— გინდა, შური ვიძიოთ? — იკითხა იხვმა და ხანგრძლივი პაუზა ისევ თვითონ ამოავსო, — არა, ბევრი კი არაფერი შეგვიძლია, მაგრამ ზემოდან კოლექტიურად მაინც დავასკინტლებთ.

სონატინამ მშრალი კრიჭა ძლივს გააღო.

— მერე როგორ გარჩევ, ვინ არის დამნაშავე და ვინ არა. უბრალო ხალხი და ეს საცოდავი ჯარისკაცები რა შუაში არიან. ომის შემკვეთები და შემსრულებლები სხვაგან სხედან. თანაც, შურისძიება ცუდი საქმეა, ეს გაუთავებელ ომებს გამოიწვევს. საერთაშორისო სამართალი თუ არა, ღმერთი ხომ მაინც მიაგებს ყველას თავისას, ეგ არის, რომ ჩვენ გვეჩქარება, — ამოიხრა სონატინამ.

— მაგაში გეტანხმები, — დაუდასტურა იხვმა, ფრთები მძლავრად მოიქნია, ჰაერში მკვეთრი ირავ გააკეთა და კოლონას ქალაქის გასასვლელისაკენ გაუძღვა.

იხვებმა „ცხინვალ-ბერლინის“ გალავანს ყიყინით გადაუფრინეს და მაშინდა მოესმათ ქვიშოდან განგაშისა და ალიაქოთის ხმა, როცა უკვე სამშვიდობოს იყვნენ.

ერთხანს მდუმარედ ფრენდნენ. სონატინა გამომშრალი, არაფრისმთქმელი თვალებით ცივ ჰორიზონტს გაჰყურებდა და კონუსური ფორმის პერსპექტივაში, წარსული ცხოვრების დაფლეთილ კადრებს აკონინებდა. შორიდან კი ყურში კეთილშობილი იხვის საგანგებოდ დანახებული ხმა ჩაესმოდა:

დალი კახიანი

იმ თეთრ ხომალდებს

ჯანსუღ და მამუკა ჩარკვიანებს

ყურადსაღები სიტყვით რომ ომობს, მძლევარობს, ლომობს, როგორც სჩანს, უღირს რომ ამზიანდეს ლექსი ჯანსუღის. გადაიკარა... ხან ცამ ამუქა, სული ჟრჟოლებად ალბო, დანამა, ჰანგმა მამუკას, მეც თქვენებრ შევტრფი იმ თეთრ ხომალდებს, თქვენი თილისმაც იმ შორისებში ნეტავ ხომ არ დევს, ვარ ქედმაღალი, ორ მთათა შუა ხეობით დალის, სვანური ფუძის გულმტკივან თვალის გამონაშუქით, მუტრიბ-აშუღით, მეამაყებით, ნიჭით მკობილნო და ჭკვიანებო, ჩარკვიანებო.

— შენ არ იდარდო, ჩვენ შეგიფარებთ, ჩვენ ფრთებქვეშ გამოყოფთ. რასაც ჩვენ შეეჭამთ, შენც იმას გაჭმევთ. თავს აკიდებულად არ გაგრძნობინებთ. ვინ აღარ აგვიკიდებია, ზარმაცები, უტივინოები, გზაბნეულები თუ ორიენტაციადაკარგულები. ამაში თავად დარწმუნდები, დასავლეთ საქართველოს რომ მივუახლოვდებით. იქ იციან ჯგროდ აკიდება.

ტყის ქათმებს რა უშავს, ისინი მხოლოდ თბილჰაივან ზღვისპირეთს გადაიფრენენ და მერე სამხრეთისაკენ გადაინაცვლებენ.

აი, პატარა იხვიჩვები, ყანჩები და ჭყიმპოები რომ აგვეკიდებია, იმათ კიდევ მწყრები და მათი მუღმივი თანამგზავრი კვირიონები, ეგ უნდა ნახო შენ. მთელი ეს ნათესავები და ნათესავები პირში რომ შემოგვყურებენ და გაღებულ პირიდან ჭიაცელას გვაცლიან, ეგ აგვიტანია და შენ რას გაგიჭირვებთ, — თქვა რიხიანად იხვმა და მთელმა ქარავანმა დასტურის ნიშნად ფრთები ერთდროულად დაიქნია.

— ახალ სახლს აგიშენებთ, იმაზე უკეთესს, ვიდრე გქონია, — არ ჩერდებოდა იხვი და ვერც კი ხვდებოდა, რომ ასეთი ნუგუმისცემით სონატინას ცრემლსაცავის ჯებირებს უმოწყალოდ არღვევდა. სონატინას უნდოდა ეთქვა:

— ჩემო ძვირფასებო, ჩემო ერთგულებო, დიდი მადლობა ყველაფრისათვის, მაგრამ არ მიმინდა. მე ჩემი სახლი მინდა, ის მამა-პაპური სახლი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სადაც თითოეული ქვა და აგური ჩემი სულის ნაწილია, ის ჩემი მატარებელივით გრძელი სახლი, რომლის ჭიშკარს საკეტი არასოდეს ჰქონია და ნებისმიერ მგზავრს, განურჩევლად ასაკისა, ზომისა, წონისა, ენისა, ერისა და ფერისა, შეეძლო წარსულის, აწმყოსა და მომავლის ჯადოსნურ სამოთხეში უბილეთოდ ემოგზაურა და რომლის გზაჯვარედინსაც ვერანაირი შლაგბაუმი და მავთულხლართი ვერ დააბრკოლებდა. უნდოდა ეთქვა, მაგრამ ჯებირებგარღვეული ცრემლების ნიაღვარი ამის საშუალებას არ აძლევდა.

იხვების ქარავანი კი სონატინასთვის ცაში უკვე აშენებულ ოქროს კოშკს გუმბათად მზეს ადგამდა, ფრთებით მოქუფრულ ღრუბლებს ფანტავდა და სონატინას ცისარტყელას თაღში გზას უკვალავდა.

— დროებით, ჩემო ქალაქო, მშვიდობით, დაბრუნებამდე! — ბუტბუტებდა სონატინა და მშობლიური კუთხის უკანასკნელ კონტურებს მოგონებოდა სკივრში წყობისად ალაგებდა.

გიორგი სოსიაშვილი

ნოველები

გამეორება

- ნამაკითხე!
- ერთი წუთით. — ხელი მოაფარა.
- გეხვეწები, ნამაკითხე.
- არ შეიძლება. სულ ცოტა ხანი მაცალე და მერე წავიკითხავ, მე თვითონ... — ხელი მოჰხვია და ჯერ ვარდისფერ ლოყაზე აკოცა, მერე ქერა კულულებზე დაყნოსა, წამიერად თითქო გონება დაეზინდა, თვალები დახუჭა, მთელ სხეულში დაუარა ქალის სურნელმა, ფრანგული სუნამოს და ნელსაცხებლის სურნელი მდებდრის პირველყოფილ სუნს ერწყმოდა. სინაზესაც იგრძნობდი და სიველურესაც.
- წყლის ხმაური გესმის?
- ჰო, მაგრამ ცოტა ხანს მაცალე.

ვეება დარბაზში გუგუნებს მეჯლისი, ტანგოს ბგერები აწყდება „როიალპოტელის“ კედლებს. უზარმაზარი ჭაღიდან სინათლის სვეტები სიბნელეში მიყურებული ბალისაკენ მიემართება და თეთრი შუქი სახეზე ეღვრება სპილოსძვლისფერ ძელსკამზე მოკალათებულ წყვილს.

„ჩემს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე ბედნიერი ღამე. ასე მგონია მთელი ცხოვრება, რაც ამქვეყნად ვარ, ამ ღამეს ველოდი. ეს წუთები ისეთ სიამოვნებას მანიჭებს, ვერ აღვინერ. ამას ვერ გადმოვცემ. რაც ჩემს წიგნებში, ჩემს რომანებში სასიყვარულო სცენები დამიდგამს, მკითხველის წარმოსახვისათვის განსაკუთრებული სურათები დამიხატავს, ყველას ერთად აღემატება. ჩემი ცხოვრების ყველაზე ღამეა ღამეს შენთან ერთად ვატარებ ამ ულამაზეს სასტუმროს ბაღში. ვგრძნობ რომ მსოფლიოში ულამაზესი ქალი მე მეკუთვნის და მიწა სამახსოვრო ბარათი მოგიძღვნა, რომელსაც „როიალპოტელში“ დავტოვებ. გავა დრო... გავა ბევრი, ძალიან ბევრი წელი. უამრავი რამ შეიცვლება, უამრავი წყალი ჩაივლის. ძალიან მიმიძის ამ ბედნიერ ღამეს ამის თქმა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენც აღარ ვიქნებით. ვერ წარმომიდგენია, რომ ეს ბედნიერი წუთები წარსულს დარჩება, მაგრამ ასეა. გვინდა თუ არა, ასეა. ამიტომ მიწა რომ მრავალი წლის შემდეგ, როდესაც აქ ბედნიერი წყვილები მოვლენ და თავიანთი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო ღამეებს გაატარებენ, ჩვენი აქ ყოფნის ამბავიც შეიტყონ. ასე მგონია, რაღაც ნაირად გაგრძელდება ის შეგრძნება, რასაც მე განვიცდი.

მუდმივად მოგდევდი ცხადშიც და სიზმარშიც. იცი, რამდენი რამ გადავიტანე... არ ვწუწუნებ, იმიტომ მოგდევდი, რომ მიყვარდი. არა, მიყვარდი კიდევ არ არის საკმარისი იმის გამოსახატავად, რასაც განვიცდიდი.

ასე მგონია, აპრილის მზეა ჩასახლებული შენს საოცარ მხერაში და თვალებიდან ხორცშესხმული ანგელოზის გამოხედვა კრთის უბინო, არამინიერი.

მიწა გაჩუქო... რა გაჩუქო? ამ ვარსკვლავებით მოჭედულ ცას გაჩუქებ, ჩვენი ვარსკვლავებიც ხომ აქ არის. ამიერიდან ყველა ვარსკვლავი შენ გეკუთვნის, რაც უფალს შეუქმნია. ისეთ სიბნელე ვგრძნობ, ასე მგონია ზეციური არსების გვერდით ვიჯდე. ეს ღამე არასოდეს დაივინწყო. ეს ღამე ბოლომდე შემინახე, არ გაათენო, გეხვეწები, გულში გქონდეს, ჩაკეტე, შეინახე. დილის ნათელი არ მიუშვა.

— ბონჟურ, მუსიე, — შამპანურს ხომ არ ინებებთ, — თეთრფრაკიანი მიმტანი ასე ოცდახუთი წლის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც „როიალპოტელში“ მუშაობის პირველი დღე აქვს, ძელსკამზე ჩამომსხდარ წყვილთან მონივნით ჩერდება და თეთრ, გაქათვითებულ ტილოში შეხვეული მწვანე ბოთლიდან წეროსფერებიან ჭიქებზე ასხამს შამპანურს.

— სიამოვნებით, სიამოვნებით, — შამპანურის ქაფით გაპილთუმებული ჭიქა საყვარელ ქალს მიანოდა, მეორე თვითონ გამოართვა.

— ხილსაც ხომ არ ინებებთ? — უფრო მოკრძალებული ხდება თეთრფრაკიანი.

— არა, გმადლობთ.

ჭიქა მიუჭახუნა, — მარტო შენ.

— მარტო მე რა... — ჩაიკისკისა ქერაკულულებიანმა.

— მარტო შენ გაგიმარჯოს დედამინის ზურგზე.

ისევ ჩაიკისკისა. — შენც გაგიმარჯოს.

— არა, მარტო შენ.

— ნამიკითხე, — ისევ ფურცლისკენ გაურბოდა თვალი, მწვანე სხივებს რომ აფრქვევდა.

— აი, ახლავე, ორი წინადადებაა და...

შამპანური მოწრეუბა. დარბაზიდან ისმის ხორხოცის ხმა.

— რა ხმაურიანი ხალხია ეს მდიდრები. — ჩაიცინა ქალმა, — ყველა იქ არი, ჩვენც ხომ არ შევიდეთ, სადაც არის აუქციონი დაიწყება.

— აუქციონი უკვე იყო... — მშვიდად ჩაილაპარაკა. მერე გადაიხარა და ტურები ამოუკოცნა. — ისეთი გემრიელი ხარ, ისეთი გემო გაქვს და სუნი...

ისევ განაგრძო წერა.

სილამაზეს დრო ერევა, მაგრამ სილამაზესაც გააჩნია, შენისთანა სილამაზესთან ვერაფერს გახდება დრო.

დრო ვერც ჩვენს მოგონებებს დაამარცხებს.

რაკი უფალმა ასეთი ძვირფასი წუთები გაიმეტა ჩემთვის, მიწა შენთან ერთად მადლობა შევნირო. როდესაც ამ ბარათს ნაიკითხავთ ჩვენ აღბათ აღარ ვიქნებით. კარგა ხანი იქნება გასული მარადისობასთან შერწყმის ნამებიდან. თვალეები დახუჭეთ და სულ ცოტა ხნით დაბრუნდით წარსულში.

„ევიანი, როიალპოტელის გახსნის ცერემონია, 1815 წელი, 19 აპრილი“.

— მუსიე, ფოტოს ხომ არ გადაიღებთ, — შუა ხნის ფოტოგრაფი შეჩერდა წყვილთან.

ისევ დაუნაფა ტურებს.

— სურათი, სურათი, — ლულულულებს ქალი.

— კარგი გადავიღოთ.

„როიალიპოტელის“ ფართო, მოხატულ-მოჩუქურთმებულ ტალანებს მიუყვებიან. სასტუმროს ადმინისტრატორი ახალგაზრდა, ოცდახუთი წლის ქალი იქნება. ქერთიანი, ტანწერ-წეტა, დაბალი მკერდით და ფრანგული სახის ნაკვეთებით. სწორედ ის ესაუბრება სტუმრად მყოფ ქართველებს „როიალპოტელის“ დაარსების შესახებ. უყვება იმ საპატიო სტუმრებზე, რომლებიც ოდესმე ჰყოლია, ამ ულამაზეს ნალკოტში ჩაფლულ, ჟენევის ტბის პირას აშენებულ სასტუმროს. ყველაფერი განსაკუთრებული გემოვნებით არის შერჩეული. ფერები? ნულარ იტყვი. თვალს მოგჭრის ვეება ჭაღების ბრწყინვალეობა. კედლებიდან იდუმალეობა იღვრება, თითქოს ამ ძველისძველ სასტუმროში ვინც კი ოდესმე ყოფილა, მათი საუბარი კედლებს შეუნახავთ. ისმის მეჯლისისა თუ წვეულებაზე მყოფი მდიდარი ადამიანების ხორხოცი.

აქედან ხელის გულზეა ყენევის ტბა.

შემოდგომა შემოპარულა ევიანშიც. სასტუმროს დაბლა გართხმული მოლი კი მწვანედ ხასხასებს. მებაღეები დარბაზს წინ და უკან. კოპიტების და ნეკერცხლის მსგავსი ხეების დანახვა გაგრძნობინებს შემოდგომას. ფოთლებს შეჰპარვიათ ღვინობისთვის ფერები. ტბაზე აქა-იქ აფრავაშლილი ნავეები მოჩანს.

— შეხედე! — დერეფანში ჩერდება ნათია და ფოტოს თვალს არ ამორებს.

— რა საოცარი სურათია. უნდა გადავიღო ეს სურათი. ფოტოაპარატი მოიმარჯვა.

— განწყობას, განწყობას დააკვირდი. როგორი საოცარი წამი დაუფიქსირებია ფოტოგრაფს.

უყურებს. სასტუმროს ბაღში სპილოსძვლისფერ ძელსკამზე მოკალათებული წყვილი. ქერათმიან, ანგელოზისსახიან ქალს გვერდით უზის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც შამპანურით სავსე ჭიქა უჭირავს ხელში.

— შამპანურს ხომ არ ინებებთ, მუსიე...

— სიამოვნებით.

— ეს ფოტო სასტუმროს გახსნის დღეს არის გადაღებული, 1815 წელს. — უხსნის ფრანგი ქალბატონი.

ისევ მონუსხული მისჩერებია სურათს.

კისკისებს ქერათმიანი ქალბატონი.

— მარტოდმარტო შენ გაგიმარჯოს დედამინის ზურგზე.

ისევ კისკისებს.

— შენც გაგიმარჯოს.

— არა, მარტო შენ. — შამპანურიანი ჭიქა გვერდით დაღო. ისევ კალამს და ფურცელს მოჰკიდა ხელი.

„სილამაზეს დრო ერევა, მაგრამ სილამაზესაც გააჩნია. შენისთანა სილამაზეს ვერაფერს გახდება დრო. დრო ვერც ჩვენს მოგონებებს დაამარცხებს. რაკი უფალმა ასეთი ძვირფასი წუთები გაიმეტა ჩემთვის. მიწა შენთან ერთად მადლობა შევნირო. როდესაც ამ ბარათს ნაიკითხავთ...“

საფეთქლები ასტივდა. სისხლის ხმაურს გრძნობს, გულიდან ტვინის ხვეულებში გარბის სისხლის ჭავლი.

ყველაფერი ნაცნობია. ვარსკვლავებიანი ღამე იყო... თვალები დახუჭა. ის წამები კანთიელად ამოტივტივდა. კი მაგრამ... არავითარი მაგრამ, მახსოვს და რა ვქნა. გამოდის რომ ეს კაცი შენ ხარ? ჰა, ჰა, ჰა. ესე იგი შენს სურათს უყურებ. ლამის ორასი წლის შემდეგ ჩამოხვედი იმ ადგილზე, სადაც ყველაზე ბედნიერი წუთები განგაცდევინა ღმერთმა. ევა... ევა, არ ვიცი, სად იქნება, რომელ ქვეყანაშია სხვა ადამიანად შობილი და გარდასახული, მაგრამ თუ აქ ჩამოვიდა და ეს ფოტო ნახა, ნამდვილად გაახსენდება. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს საკუთარ თავში მიძვრება, ჩადის და ჩადის დაბლა, იხსნება და იხსნება ლაბირინთი, მიადგება ბნელ კედელს კიდეც გაიხსნება გრუხუნით, გრძელდება ასე. მაღლა დარჩა მისი სხეულის ნაწილი სასტუმროს დერეფანში, თავის მეგობარ გოგოსთან ერთად, რომელიც იმ საოცარმა ფოტომ მონუსხა. ჩემთვის დავენერე ის ბარათი? ორასი წლის მერე თუ ისევ მე ვნახავდი, ილიმება. კი, მაგრამ სად შენ, სად ეს კაცი. არ ვიცი...

ეს შეიძლება მარტო იმან იცოდეს, ვინც ეს ბედნიერების წუთები მაჩუქა. ეს იყო ყველაზე ბედნიერი ღამე. ევას თეთრმა, შიშველმა სხეულმა გაუღევა. ლოგინზე ნამოძღვარი დედამიშვილა, ზენარმოსხული ქალი დანახა. ახსოვს, როგორ მივიდა მასთან. ევა იჯდა განაბული, ვნებისგან თვალბამღვრეული. წელანდელი კისკისი, სადღაც გამქრალიყო. ვნების ტბა უღელავდა მწვანე მზერაში. სანოლზე ჩამოუჯდა. ამღვრეულ თვალბამღვრეულში დიდხანს აკვირდებოდა ქალს, თითქო პირველყოფილი სიველურის დანახვა გაცილებით კანთიელად შეეძლო ახლა, ვიდრე ოდესმე. მერე ტუჩებზე დაეწაფა. ევას გემო შეიგრძნო. ვნებით ავსილი ქალის სუნი შემოიჭრა მის სხეულში, ამ სუნით გაივსო. ევა ცახცახებდა. იგი არასოდეს წილილა მამაკაცთან, ეს მისი პირველი ვნება იყო. წარმოსახვაში... თმებზე დაყნოსა, ქერა, ხვეული დალაღებიდან უფრო მძაფრად წამოვიდა სუნი. ქალის სუნი... ზენარი მოაცალა და მარმარილოს თეთრ ქანდაკებასავით გამოანათა მისმა ქათქათა, უზადო სხეულმა. იჯდა და უმზერდა, თითქო მხატვრის თვალით აკვირდებოდა. შიშველი ქალის მზერით დატკბა, თვალბამღვრეული. ევა ისევ ცახცახებდა, ოღონდ ეს ცახცახი მხოლოდ სიმორცხვის არ იყო, ვნებაც შერეოდა...

— ნავიდეთ, გველოდებიან. მე, მგონი ჩამოგეძინა, გესმის?



— ნავიდა ჩვენი ხალხი. — ნათია უხმობდა.

ელვის სისწრაფით ამოანგრია ლაბირინთები და ისევ დერეფანს დაუბრუნდა, თავისი ნაწილი იქ იდგა, თავი ჩაექინდრა, თვალბამღვრეული, შეუერთდა სხეულს.

— რა დაგემართა, — შეანჯღრია გოგომ, — ცუდად ხომ არ ხარ, დაფუძახებ ვინმეს...

— არა, არა, — ლულულულებს, — მოვდივარ, გადავიღალე, ვიცი ხოლმე ესეთი რალაცებები.

მიდიან, დერეფანს მიუყვებიან. რამდენჯერმე გაჩერდა, უკან მოიხედა. ისევ სურათისკენ გაუბრუნდა თვალი. ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ, 1815 წლის 19 აპრილს, საფრანგეთის ქალაქ ევიანში „როიალპოტელის“ გახსნის ცერემონიაზე.

ზენის სარკმელი

ისევ დაგცქერი, მეშინია, თითქოს სიბნელეში ვიდგე, გული მიკანკალეხს. არ ვიცი, არ ვიცი. რალაცნაირად შებოჭილი ვარ, გეგონება ვილაცამ ცერის სიმსხო თოკი შემომახვია. დავიყვირო? არ გამოვა. კაცი ვარ ბოლო-ბოლო, არადა... შიში შიშია, კაცი რა არი, კაცებსაც ხომ აქვთ შიში, მერე როგორ შემომჩა ბავშვობიდან. ბავშვობისა ბევრი რალაცები შემომჩა, მათ შორის შიში. როგორც მაშინ მეშინოდა მარტოობის, ახლაც ასე ვარ. ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქო მთელი სამყარო გადაშენდა და მელა დავრჩი. რა ჯანდაბად მიწადა თავი. იყო ასე ბაიყუშივით, მერე როგორი მდიდარი იქნები. ყველაფერი შენი იქნება, ყველაფერს შენ დაეუფლები, რაც გინდა, ინატრე, სულო და გულო. ხომ ოცნებობდი ერთ დროს სიმდიდრეზე. ყველაფერი შენია ახლა. აიღე, რაც გინდა და მოიხმარე, ვინ გიშლის. საყვედურის მომცემიც არ გყავს, არათუ ხელის შემშლელი. ვერა, მაკანკალეხს... არ მიწადა ასეთი სიმდიდრე, მე მარტო ვარ... მარტოობას არ უხდება სიმდიდრე, სიმდიდრე სხვებისთვის გჭირდებოდა, უფრო სწორად სხვების გასაკვირად, სხვების გულის მოსაკლავად და სხვების გულებში რომ შური გაგეჩინა, გამოდის რომ შენ თვითონ ყოფილხარ ცოდვისთვის დასაბამის მიმცემი. ძალით აშურიანებდი ადამიანებს. სხვა რომ გიყურებდა მდიდარს და გული ევსებოდა შურით ეს გგვრიდა სიამოვნებას. სულ ოცნებებში იყავი. გამდიდრებას ნატრობდი. ახლა არ გინდა სიმდიდრე და ფუფუნება, სიმარტოვეში არ გინდა, სიმარტოვეში მხოლოდ მარტივი რალაცებისკენ მხოლოდ სიღარიბისკენ ილტვოდი. კიდეც მეშინოდა სიბნელეში, ყურჩთვალა ღამე მზაფრავდა. სულში ნისკარტით ძვრებოდა ძილგამფრთხალი ჭოტი. უუ,

მინის სუნი

უუ, უუ, კიოდა და გული მიმდიოდა ამ კვილზე, მით უფრო, თუ მარტო ვიყავი, თუ მარტო მივუყვებოდი სიბნელეში ორლობეს. ნადი, შვილო, მეტყოდა ცხონებული მამაჩემი, წყალს ჩახედო. ვიღაც გადამიხეებებს, ხო იცი, მაგათი ამბავი, ნერვებს დაგანყვეტავენო. ბარს ავიღებდი, ნაჯახიც წაიყოლეო. არ მინდა-მეთქი. ნამოჩიტული ვიყავი, მამალი მგლის არ მეშინოდა ვითომ, არადა, რა მამალი მგელი, როგორც კი შალოს სახლს გავცდებოდი, უბანი მთავრდებოდა და იწყებოდა ვალოს ორლობე, ბნელი, ბნელი, მთვარის სხივები ვერ აღწევდა, მთვარეს არ იკარებდა დაბურული ალაგი. სიბნელე მიცდიდა როგორც მსხვერპლს. როგორც კი სიბნელეში შევყოფდი თავს, მთავრდებოდა ჩემი დიდგულობა. ამიტანდა, ამიტანდა შიში, მივდიოდი ბარმომარჯვებულის, მაშინ ამოტივტივდებოდა ჩემს ტვინში რო აქეთ ავი სულელები, ჭინკები და ქაჯები ბუდობდნენ. ერთი ღობემძვრალა რომ გამფრთხალიყო, გული მიმდიოდა, სხეული მიცივდებოდა, ხელები მიბრუნდებოდა. ვგრძნობდი, რომ ბავშვი ვიყავი ჯერაც და ტყუილა ვბაქიბუქობდი მამაჩემთან. ჯერ ისევ ბავშვურ სამყაროში ვბინადრობდი. იქ ვიყავი, იქ ვსახლობდი. სიბნელეში გამოაშკარავდებოდა ჩემი ასაკი. გამოწყავა და მერე როგორ გამოწყავა. იტყოდი, რომ ისევ იქა ხარო. არადა თმები გამიჭაღარავდა, ნაოჭებით ჩამოიქსელა საფეთქლის ძირები, უკვე იწყება, ყურთან არის სიბერე. გინდა არ გინდა, ცოტა ხანში იმის ლუკმა უნდა გახდეს, ნელ-ნელა უნდა გამოგხრას და მერე მინას მიუგდოს გამოფშუტული სხეული. მაინც მეშინია, სიბნელის დანახვაზე იგივე განცდა მაქვს. არ შეცვლილა-მეთქი, მართალს ვამბობ. ეგრეა რა. ამასწინებზე, სარწყავში ნავედი. გავიდე ბარი მხარზე. ხმებოდა მამაჩემის ნახელავი ბალი უწყლობით. არადა თითოეული ხე შვილივით გამოზარდა იმ ცხონებულმა, სიგრძე-სიგანეში შესცქეროდა, კვირტებს უთვლიდა. წყალი გამოუგდეს ახალი კაშხლიდან, გავიქეცი. ხმობაში წასულ ბალისკენ დავიტიშე. კარგა იყო შეღამებული. ისევ იმ გზას ჩავუყვები, რომლითაც ბავშვობაში დავდიოდი ხოლმე. ბოლო ჩაბნელებულ სახლსაც გავცდი. უკანასკნელი გამოკეტილი არემარე უკან მოვიტოვე. ორლობეში დავეშვი და ისევ ის განცდა ამყავ, თითქოს ბავშვობა მომდევდა ფეხდაფეხ, უფრო სწორად ბავშვობაში აკვიტებული შიში მომდევდა. ისევ დამიარა სიცივემ, ისევ აჩქარდა გული და დაბრუნება იწყო ხელის მტევნებმა. მივხვდი, რომ ისევ იქ ვიყავი, არსად წავსულვარ.

თითქოს მეშინია შენს დანახვაზე. ჩემ წინ უსასრულობაა, თვალმუხდამი ზეცაა, სადაც დადლილი ცხვრებივით განსვლილან ღრუბლები. შენგან იწყება უსასრულობა. შენგან იწყება სითეთრე, მარადიული სითეთრე, თითქო სასუფეველიც შენგან იწყებოდეს. ადამიანის სულივით ხარ, სუფთა ქათქათა, ჯერ რომ ცხოვრების ჭუჭყი არ მიჰკარებია. როგორც სულს ანაგვიანებს წლები, ისე შენ გიკარგავს ეშხს მელნის ნაკვალევად გადაღვრილი ფიქრი. მაგრამ რალაცნაირად მაინც გიხდება.

გესაუბრები. დაგცქერი და მეშინია, მართლა მეშინია. აქედან ცა ჩანს, შორი ცა, თითქო მოგშორდი ერთი ხანობა, თითქო დავივიწყე. თითქო კარგა ხანს ცეკვავდნენ ციციქნა კომპიუტერის კლავიშებზე, მაგრამ ბოლოს მაინც შენთან მოვედი. უძლები შვილივით დავიბრუნდი. ისევ შენთან ერთად მინდა გავაგრძელო ცხოვრება. ვიცი, რომ სხვანაირად არ შემიძლია. მეშინია, მაგრამ მაინც დიდი მიზიდულობა აქვს ამ შიშს.

შენა ხარ ჩემი ზეცის სარკმელი. დამიჯერე გულწრფელად გეუბნები.

მე, მე ვერ დავინახავ... არ შემიძლია, თვალზე ხელები ავიფარე. ცოტაც და ავზლუქუნდები, ვატყობ ჩემს თავს, რომ ტირილი მომნატრებია. ცრემლის გუბებია სულში.

— რა გემართება... ბავშვივით ხარ რა... ბავშვივით მეთქი, ვით რალა, ბავშვი ხარ. დიდი სხეულით თვალის უპეებში გაჩენილი ნაოჭებით და შეჭირბული თმებით, რომელი სიტყვა ჯობია, შეჭირბული თუ დათრთვილი? ერთიც ნავა და მეორეც. ჭირბულიც შეეფერება შენს თმას და თრთვილიც. ჭირბული ხომ იცი, რა არის, თავს ვუქნევ ორეულს, თრთვილიც ხომ იცი, მომწმენდილზე რომ გააგდებს ხოლმე და თოვლი გეგონება. ხო, ვიცი, ციდან კი არა ვარ ჩამოფრენილი, მინის შვილი ვარ და ცოტა რალაცები მეც ვიცი მინისა.

ბოლმა მანვება. ტირილი მინდა, მაგრამ თითქოს ვერ ვახერხებ.

— იტირე, მიდი აბა... — დამცინის.

ტირილიც არ არის ადვილი საქმე. თავისი დრო აქვს ყველაფერს. ხომ ხედავ, არ ამოდის სულიდან ცრემლი.

სოფლიდან მირეკავენ და მირეკავენ... იქ არიან, მამაჩემისეულ ბაღში შეგროვილან ჩემი მეზობლები.

— ჰა, რა ვუყოთ, დავინყოთ? — ეს უკვე მერამდენედ დამირეკა ბაქარმა. ცოტა ხანში დაგირეკავ, ცოტა ხანში, ახლა მაცალე... გავუთიშავ... გავა რამდენიმე წუთი, ისევ დარეკავენ. ახლა ნუგზარია.

— ტრაქტორი ჩამოვიდა, გველოდება და აბა, გვითხარი, პატარა დღეა, უცბად დაგვიდამდება. დავინყოთ? სხეული მიკანკალეებს, ჭირის ოფლი მასხამს სახეზე. მცივა, მცივა.

— დაინყეთ, დაინყეთ. — ძლივს ამოვიხავე და სადღაც, სივრცეში გაფრენილ, გაუჩინარებულ სიტყვებს ვითომ თვალი გავაყოფე. რა არარაობა ვარ, ჰა.

არადა, ახლა ხომ სხეული მიკანკალეებს, ცივი ოფლი მასხამს. ერთი კვირის წინ მე თვითონ დაგვეგმე ეს ამბავი. დიდის ამბით შევეკრიბე ჩემი მეზობლები. საცაა შემოაბიჯებს ზამთარი, აიტხავს გვიანი შემოდგომის დღეები წვიმებს, მერე თოვლი მოჰყვება. ყველას თავისი საქმე აქვს. ეშურებიან და ეშურებიან. ვის სიმინდი აქვს შემოსაბინავებელი, ვის ვაშლი დარჩა. მზიანმა დღეებმა წაიციდინეს. ობლების ზაფხული, ობლების ზაფხული. პირველი რთვილის მერე ამინდები დაიჭირა. გიორგობისთვის მზემ გამოანათა, არადა, ბოლო გამოანათება იყო, მომაკვიდავი კაცი რომ უკანასკნელად გაახელს თვალს და შინაურებს დაემშვიდობება, გამოეთხოვება, ისე გვიყურებდა ეს საწყალი მზე. მზე რამ გაასანყლა, რომ დაფიქრდე, მაგრამ ისიც საწყალია, ამოდენა ოქროს ბურთი მოახლოებულ ზამთართან ველარაფერს ველარ ხდებდა. დამთავრდა მზე... ჰო, მაგას ვამბობდი, რომ ყველას თავისი თავი გასჭირვებია, ყველას თავისი საქმე აქვს, მაგრამ უარს ვერ მეუბნებიან. წავიდე, რა-ზეა ლაპარაკი... ერთი ფრაზაა ყველას პასუხი თითქოს და დაიგეგმა მამაჩემისეული ბალის სიკვდილი. არადა, ისეთი ხილი იყო, ისეთი, ავ თვალს არ დაენახებოდა. სამი ძმის ნაკვეთი ყოფილა თავდაპირველად. სამი ძმა: სიკა, აბრო და სოლო. სიკა ვერე უმემკვიდრედ მოკვდა. შვილები კი ჰყავდა, მაგრამ ქალაქში და არც არავის ჩამოუკითხებია. აბრომ და სოლომ მიცვალ-მოცვალეს ნაკვეთები და ისე მოხდა, რომ ეს მამაპაპისეული ალაგი ბოლოს მამაჩემს შეხვდა — სოლოს ვაჟებში შუათანას. ჯერ ვენახი გექონდა ამ ადგილზე. მასსოვს ბავშვობაში, თეთრი უწამლი ვაზი, სახელი არ ვიცი, მაგრამ ყურძნის გემო მახსოვს. ვაზი რომ გადაჯიშდა და მოსავალს იმდენს არ იძლეოდა, მერე ხილი გააშენა მამაჩემმა. ვაშლი, ვაშლი... უჰ, ვის ჰქონდა ისეთი ვაშლი, ზოგი თეთრი, ზოგი წითელი. ბალის ბოლოში ერთი ძველისძველი, ბებერი კომში იდგა. ის კომში პაპაჩემი სოლოს დარგული იყო და მამაჩემი ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მამის ნახელავს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. თითქოს საკუთარ მშობელს ეფერებოდა ხოლმე. ხის ქვეშ ჩამოჯდებოდა და ესაუბრებოდა. ბრუნდებოდა ბავშვობაში, ბრუნდებოდა მამასთან. ცრემლიც ბევრჯერ დამინახავს მის თვალზე. კერკეტი კაკალივით კაცი იყო, გაქერი ჯიუტი, მაგრამ კომშიან გული უჩუყდებოდა. დაკარგული ბავშვობის სევდა თითქოს გულში ჰქონდა შენახული და იზოგებდა რომ საკუთარ თავს არ მოსწყვეტოდა.

ის კომში გახმა. არ ვიცი, რამდენ ხანს ცოცხლობს კომში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მასაც დაადგა თავზე ხეების მიქელ-გაბრიელი და

ნაიყვანა მწვანე საიქიოში. თითქოს მაშინ დასრულდა მამაჩემის ბავშვობა. მერე მახსოვს, როგორ დიდხანს იდგა ის გამხმარი, ქერქდამსკდარი კომპის ხე. ხელს არ ახლებდა მამაჩემი, სანამ არ დაფუტუროვდა და ერთ ღამეს გრიგალმა არ წააქცია. ძლიერმა ქარმა ჭიისგან დაღრღნილი ხე მოტეხა... იმავე გაზაფხულზე იქ, სადაც პაპაჩემის მიერ დარგული ხე იყო, კომპის ყლორტმა ამოყო თავი. პაპაჩემი ხელახლა ესტუმრა ნუთისოფელს.

ომმა... კრიჭა მეკეტება ამ სიტყვის გაფიქრებაზე კი. ომმა შეინირა მამაჩემის ნაამაგარი ბალი. ოსებმა გადაკეტეს პატარა ლიახვის ტოტი და ეგრე უწყლობით ამოხადეს სული ხეებს...

— დავინწყით?

— დაინწყეთ, დაინწყეთ. თითქოს რაღაც ამოგლიჯეს გულ-გვაშიდან. თვლები დავხუჭე... ვხედავ, როგორ უახლოვდება ვეება ტრაქტორი გამხმარ ხეს, წვერზე რომ რამდენიმე ნედლი ფოთოლი შერჩენია და უკანასკნელად უღიმის ცას.

ვეება მარყუჟთან ტროსს აბამენ ლოჯურში, იქ, საიდანაც ტოტები აქვს აყრილი... ნელ-ნელა იძვრება ტრაქტორი.

— მოიცა, მოიცა, — ვილაცა უყვირის ტრაქტორისტს, რომელსაც ძრავის რახრახში არ ესმის ყვირილის ხმა. მერე უსტვენენ და სტვენის ხმაზე უკან იხედება.

— მოიცა, ბიჯოო, — ხესთან ახლოს მიდის ვილაცა და მარყუჟში გაყრილ რკინის მოკლე ძალაყინს ასწორებს. ისევ დაიძვრება ტრაქტორი. ხეს გაეცლებიან შეგროვილი ბიჭები. დაიჭიმება, დაიძვრება ტროსი, მარყუჟი მიეზღინება ხეს, ისე როგორ ქერქს გადაცლის ლოპომდე. გაიჭიფება ტრაქტორი. ხე უძალიანდება. ყამირს სისველე შერჩენია და უჭირს რკინის ურჩხულს ხესთან ბრძოლა, ეძნელება მინის დატოვება მამაჩემის ნაამაგარ ვაშლის ხეს. როგორც სულს უჭირს სხეულის დატოვება, თითქოს ხეც ამ ტკივილს განიცდის. ფესვებით ჩაბლუჯვბია მინას, ეჭიდება, ეჭიდება, მაგრამ საბოლოოდ რკინის ურჩხული იმარჯვებს. ტრაქტორისკენ იხრება ხე. მინა იბურცება, იბურცება და სკდება, ფესვები გამოჩნდება, მთელი ცხოვრება რომ მზე არ უნახავთ, მთელი ნუთისოფელი რომ მინაში გალიეს, მინას უერთგულეს, შავი გველებივით მოიკლანკნებიან და მისდევენ მინის ხვეტიტ ტრაქტორს. ხის ამოდლეზვას რაღაც იდუმალი ხმა აქვს. მინის გმინვაა თითქოს, რომ დაუკვირდე, გგონება სული ამოუშვა ხრიალით დედამინამ, მინის სუნი დგება...

გაზაფხულზეც შეიგრძნობ მინის სურნელს, როცა სუნთქვას იწყებს ყველაფერი და მინის სუნით იჟღინთება ჰაერი, მაგრამ ეს სხვანაირი სუნია. ეს არ არის სიცოცხლის სუნი.

ხელის კანკალით ვრეკავ.

— დავინწყეთ, დავინწყეთ, ერთი-ორი ძირი მოტყდა, კომპა მსხლები... უჰ, იმხელა ძირებია, „ბელარუსი“ ლამის შუაზე განყვიტა, მარა რაღაცას მოვუხერხებთ.

— კომპი...

— რა კომპი?

— ბოლოში პატარა კომპია. აბა, გახედე. — ალბათ გახედა იმანაც და უმალ ჩამძახა, — ჰო, პატარა კომპია, მაგრამ მაგას ტრაქტორი არ უნდა, ხელით...

— არა, არა, მაგ კომპს ხელი არ ახლოთ, ხო გაიგე.

— გავიგე.

— კომპს-მეთქი.

— ჰოო, ვიცი.

— ბოლოში როა, შუაში.

— გავიგე, კაცო, — ცოტა შემომწყრა, — გვერდით ერთი პატარა მსხალიც არი. კაი ფოთოლი აქვს, დავტოვო ეგეცა?

— დატოვეთ, დატოვეთ... — ვბუტბუტებ. ტელეფონი გათიშულია და მაინც ვბუტბუტებ.

„მაპატიე, მაპატიე“...თითქო მამაჩემს ვერყურჩულები.



მხატვარი მზია დედანაშვილი

შებინდებისას მაინც წავედი სოფელში. ვიცი, რომ აღარ მელიოდებიან, ორჯერ დამირეკეს.

— ვრჩებით უკვე, დავხერხეთ კიდეც და ორ გზაზე ავიტანთ. შემოდგომის დღე უცბად ბერდება. ბინდი — მკვდარი დღის ნარჩენებია გზადაგზა.

— ეს ნამყენი ავთოს გამოვართვი, ავთო ხო იცი.

— აბა, ავთო?

— მღვდლიაანთი.

— ჰო.

— იმან მომცა. ნახე რა დალოცვილი გამოდგა დამკრახულ ვაშლს ატრიალებს ხელში მამაჩემი. ეხურის და ბანანის წაჯვარი.

— ეს კიდევ... სიმართლე გითხრა, ერთი ძმაკაცი მყავდა, შენ არ იცი, იმან მომიტანა, სახელიც არ ვიცი ამ ვაშლისა, მაგრამ დახე... სისხლივით ფერი აქვს...

გზაში შემხვდნენ ბიჭები. ტრაქტორზე მიბმულ შემით დატვირთულ ლაფეტზე აჩონჩხილიყვნენ.

ტრაქტორი გაჩერდა.

— ნადით, ნადით და ეხლავე ამოვალ.

გზა განაგრძეს.

ბინდი უფრო გამუქდა, გამუქდა და თანდათან დაქალდა — ლამედ გადაიქცა. მივადექი მოტიტვლებულ ნაკვეთს. ვუმზერ უძილო მზერით, ლამე იყო გართხმული მინაზე, მაგრამ ამოდლეზილი ხეების ადგილზე გაჩენილი ორმოები შედეგბული სისხლის შავი ლაქებივით მაინც ეტყობოდა მინას.

ვიგრძენი, რომ ბავშვობა დამთავრდა.

ჩურჩული საიქიოში

სულ ოთხი დღეა, რაც აქ ვარ. ისე ვითვლი დღეებს, თითქოს რაღაცას ველოდებოდე, როგორც პატიმარი ითვლის წლებს, თვეებს, დღეებს, საათებს და წამებს. ზის და ითვლის. მოლოდინი ცუდია? მოლოდინზე კარგი არაფერია, ლოდინი სიცოცხლეა, სიახლეა, ცხოვრების გაგრძელების შეგრძნება. როცა ლოდინი მთავრდება, მერე ყველაფერს წერტილი დაესმება ხოლმე, დიდი წერტილი. ჩვენ ლოდინი აღარ გვაქვს. აღარაფერს ველოდებით, ვართ გაორინდებულები, სიჩუმეში, სიბნელებში, მარადიულობაში. მაინც ვითვლი დღეებს. ეტყობა იქიდან გამომყვა. მაინც ვერ ვეღვი ნუთისოფელში ცხოვრების ჩვევებს. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ასი, ათასი, ათი ათასი. რამდენიც გინდა ითვალე, მინის პატიმარი ხარ, თან მუდმივი, სანამ მინა იარსებებს, სანამ ეს სამყარო იქნება.

ხო გესმის ჩემი ხმა?


დუმილი თანხმობის ნიშანია, ესე იგი, გესმის. მინდოდა რომ ერთად ვყოფილიყავით, მეც შენს გვერდით დავმარხულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი.

აი, რაღაც ბგერები მოვიდა ჩემამდე, მინაში გამოჟონა თითქოს შენმა ხმამ. როგორ მომენატრე, როგორ მომწყურდი. ვიცი რომ გამწარებული ნახვედი, შვილი რომ ტკივილს მოგაყენებს, ამაზე დიდი სიმწარე მშობლისთვის არაფერია. ვხვდები, ვხვდები. მეც გამწარებული ცხოვრება გაფართოვდა, როგორც იქნა ჩავამთავრე და გამოვშორდი იქაურობას. არაფერი მომენატრება. თავის ბედნიერებებთან უბედურებებთან და ვტოვებ და სამაძლოდ დამმარხეს. ჯანდაბას... მთავარია, რომ აქ ვარ, სადაც შენ ხარ. მეც სიბნელეში ვარ, მეც სიჩუმეში ვარ და დაუსრულებლად შემოიძლია გესაუბრო, გეჩურჩულო. თითქო ჩურჩული უხდებოდეს აქაურობას, ამ ბნელ სამყაროს.

გესმის ჩემი?
გეხვეწები, რამე თქვი. აქ რაღა აზრი აქვს გაჩუმებას.
გაბუტვაც მინიერ დროში არსებობს, შერიგებით მთავრდება. აქ დრო ხომ არ არის. მკვდარი რომ ფილოსოფოსობას დაიწყებს.

მოგენატრე? მეც ძალიან მომენატრე.
ვერ შეგეგლიე.
აი, თითქოს შენი სუნი მომივიდა. ვგრძნობ, რომ გეცოდები, შენს სიახლოვეს ვგრძნობ. ჩვენ რომ ეს წუთები, აქ ყოფნის წუთები კარგად გაგვეაზრებინა, უფრო მეტად მოვეფერებოდით ერთმანეთს. მიყვარდი, ახლაც მიყვარხარ, მაგრამ სხვანაირი სიყვარულიც შეიძლება. უფრო ღრმა, უფრო გულიანი. მაშინ გვეგონა რომ სულ ვიარსებებდით. თუმცა, ახლაც ვარსებობ, ვართ დაბლა, მინის ქვეშ, სიჩუმეში, სიბნელეში და შენ დუმხარ, მე გეჩურჩულები. ისევ მომივიდა შენი სუნი. ისევ ისეთი სუნი გაქვს, როგორც ცოცხალს. მარადიული ხარ და იმიტომ.

- გესმის ჩემი? მითხარი რა მოგივიდა.
- მესმის.
- გავიგონე. — აგუგუნდა მინა.
- მითხარი რამე.
- რა გითხრა?
- ხო მოგენატრე?
- ?!
- ხომ მოგენატრე-მეთქი.
- ნუ აწუხებ მიცვალებულებს.
- თანდათან შენც სიჩუმეს შეუერთდები.
- ვერ შეუერთდები.
- ყველა ეგერა ახალი დამარხული, მაღლიდან მოსდევთ, მაგრამ მინას თავისი წესები აქვს.
- არ ვიცი მე მინის წესები და არც მაინტერესებს. — ხმამაღლა მომივიდა.
- ნუ ყვირიხარ.
- ხომ იცი, როგორ მომენატრე. სხვა ქალის სუნიც კი არ მიგრძნია. არ გჯერა?
- ამოიღე ხმა.
- რა მოხდებოდა ასე რომ არ გვსჯიდეს მინა. რა სიამოვნებას იღებს ჩვენი ტანჯვით.
- ნუ გააბრაზებ მინას.
- რა უნდა მიყოს ამაზე მეტი.
- კარგი, კარგი, დამშვიდდი.
- ამდენი წელია მენატრები, ანდერძი დავტოვე შენს გვერდით რო დავმარხულიყავი, მაგრამ არ შემისრულეს. თუმცა რა... მთის იქით შენ ხარ, მთის აქეთ მე. ვერ გხედავ. მხოლოდ გეჩურჩულები.
- დამეპასუხე, გესმის?
- ხო, მესმის.
- არაფერი გეწყინოს რა. ხომ იცი ჩემი ამბავი.
- ოდესმე ისევ შევხვდებით ერთმანეთს.
- რანაირად შევხვდებით.
- სხვა ადამიანები ვიქნებით, შეიძლება ვერც ვიცნოთ ერთმანეთი, არც კი გვახსოვდეს ერთმანეთი, მაგრამ ვიცი რომ ისევ გავხვდებით წუთისოფლის ბინადრები, ოღონდ სხვანაირი სახით.
- ცხედარი თითქოს მარცვალის ითვისება და მერე ახალი ამბები ამოღის დედამინაზე. ახალი არსება ჩნდება, ახალი სურვილებით, ახალი ცოდვებით.
- მანამდე?
- მანამდე ჩურჩული შეიძლება.
- ისევ ისე კისკისებ, როგორც იცოდდი.



ლერი ალიმონაკი

გაბრიელ აბრამიჩი

ვეუძლვნი ჩემი მეგობრის ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას

- პონჩიკიი!..
- ბულკი-ბულკიი!..
- კორჟიკიი!..
- გაბრიელ აბრამიჩის გამოჩენა ბალისკიდზე ერთი ზეიშია.
- ის როგორ იყო, გაბრიელ აბრამიჩ, შენ რო ნევსკი პროსპექტზე...
- მე რო ნევსკი პროსპექტზე ჩავივლიდი, დაგენაცვლე, ფანჯრები იღებოდა, გრაფინები თეთრ ცხვირსახოცებს აფრიალებდნენ — გაბრიელ აბრამიჩი მობრძანდებო!.. უჩილიჩებში სწავლა წყდებოდა, გიმნაზისტკები პეპლებივით მეხვეოდნენ...
- არი სიცილი, მხიარულება.
- ჩია ტანისაა გაბრიელ აბრამიჩი, სახენითელი, თმათეთრი, ეტყობა, თმაც წითელი უნდა ჰქონოდა თავის დროზე. რომ გვიღიმის, სემიტური ტუჩ-პირი მარცხენა მხარეს ექაჩება, ქუთუთო ეხუჭება. ორივე თვალში კატარაქტა სჭირს. ისე ვეღარ იმზირება, როგორც ადრე. თუმცა ეს ხელს არ უშლის — მთელ ბალისკიდეს ხმით ცნობს.
- პონჩიკიი!..
- ბულკი-ბულკიი!..
- კორჟიკიი!..
- ახლა ბალისკიდის მეორე მხრიდან მოისმის გაბრიელ აბრამიჩის ყივანა ხმა.
- ის როგორ იყო, გაბრიელ აბრამიჩ, გრაფინიამ რო...
- ერთ დილას ნევსკი პროსპექტზე რო ჩავიარე, გრაფინია კრაპტოვსკაიას ფანჯრიდან მოახლემ ვიზიტკა ჩამოაფრინა — გრაფინია

დიცი

ვასშამზე გეპატივებო!.. საფიქრებელი რა იყო, დაგენაცვლე... ცილინდრი და ფრაკი ერმიტაჟიდან გამოვიწერე, დავიბნიე ბაბოჩკა, დავიჭირე ხელში ზონტიკის ტროსტი, ვეახლე... დიდი ზემით მიმიღეს... მე რო იქ ცერკოვნი მრავალუამიერი შემოვძახე, გრაფინას ჩემი სიყვარულით გულზედ ცეცხლი წაეკიდა.

- გრაფი-თქვა?!
- ჯანდაბას გრაფიო!..
- ეგ როგორ-თქვა?!

ერთ დღეს გრაფინიამ კარეტა აიყვანა, მრისხანე სახით მიბრძანა, გვერდით მომიჯექო, კარეტნიკსაც მრისხანედ შეუძახა — ქალაქგარეთო!.. ტყეში რო შევედით და კარეტა დააყენებინა, უცბად, დაგენაცვლე, გრაფინიამ საკვოიაჟიდან დამბაჩა იძრო.

- ზდაიოსა, ილი ნეტო?!
- ერთი ნიმუტი მოსაფიქრებლად-თქვა!..
- არცერთი ნიმუტიო!..

რა მექნა, დაგენაცვლე, — ზდაიუს-თქვა, და ჩავუარდი თეთრ მკლავებში გრაფინიას... ასე იყო, თორის მადლმა... ღმერთის სეკრეტებ შენ გაიგეეებ?!

ყოველდღე ყვება ამას გაბრიელ აბრამიჩი, მაინც სულ ახალია. ოთარ სულაბერიძეს სიცილით თვალზე ცრემლი სდის, მკერდზე იხუტებს, თავზე კოცნის, იმ დღის სავაჭრო ფულს ხუბა ეძგვერადე ერთად აძლევს.

- ებრაელების უბან რო ცეცხლი წაუკიდეს, დაგენაცვლე, ვინ გადაეყარა მაშინ ებრაელობას?!. სულგანათლებული აკაკი, ამის სულ დაგენაცვლეო, და ორივე ხელს აკაკის ძეგლისკენ იშვერს.
- ჰონჩიკიი!..
- ბულკი-ბულკიი!..
- კორჟიკიი!..

ახლა ბალისკიდის გადაღმიდან მოისმის ქუჩის ხმაურში ჩაკარგული გაბრიელ აბრამიჩის ხმა.

ის ხანებია, ებრაელობა სტოვებს აქაურობას, თავის ბიბლიურ სამშობლოს უბრუნდება. ჯერ კანტიკუნტად, მერე და მერე კი... თანდათანობით ცარიელდება ებრაელთაგან ქუთაისი. ქალაქს ჩუმი ნოსტალგია შემოეპარა. ხშირდება წერილები ისრაელიდან, ცრემლში გულდამბალი წერილები. რა სიმწარე იყო ამ წერილებში. და რა სიყვარული. კითხულობენ წერილებს ოჯახებში სამეზობლოებში.

ყველა ტირის, ყველა იცრემლება.

ბორიაც წავიდა, ისაკაც, გაბრიელ აბრამიჩის ძმები. გამოკრეს ბარგი, გამოდეს ხელი ცოლშვილს, წავიდნენ. სართულნახევრიანი სახლი, კათოლიკეთა ეკლესიის უკან, საცა მათ ძმას ერთ პანია ოთახში, ნახევრადსარდაფში ედო ბინა, გაყიდეს. მედუქნეს მიყიდეს კაპიკებად, კვახიბერიძეს, რიონისპირზე რომ ედგა დუქანი, ბალახვანში. იმ დუქანს კვახს ეძახდნენ. მის პატრონს რომ შეხედავდი, მართლა მიწაზე გაზრდილ კვახს მიუგავდა თავ-პირი.

დარჩა გაბრიელ აბრამიჩი მარტო, უნათესავოდ, უთვისტომოდ, მამაპაპეულ სახლში მდგმურად. მედუქნემ თითის ქნევით გააფრთხილა — სანამ ძმებისგან ვიზა მიგიღია და წასულხარ, ქირა უნდა მიხადოო.

ჩამოლამდა გაბრიელ აბრამიჩი.

გამოდის ბალისკიდეზე, ძველებურად დააღრიჭინებს ურიკას, თუმცა ის აღარ არი.


— ის როგორ იყო, გაბრიელ აბრამიჩ...

დუმს გაბრიელ აბრამიჩი, სახეში შემოგვიღრიციებს, უცნაურად გვიღმის, მარცხენა ქუთუთო ეხუჭება. და მგონია, ის ღიმილი ჩვენ აღარ გვეკუთვნის. მგონია, რალაც წინანდელს უღიმიის, დავინწყებულს. აკაკი არ ავიწყდება.

— ამის სულ დაგენაცვლეო!..

ჯახირით ქირას თავი რომ დაუყარა და „ხაზინს“ აუტანა, იმან ხელი აუქნია — გადახდილიაო, და ჩუმი ბრაზით კარი ცხვირწინ მიურაჯგუნა.

— ვინ გადამიხადა, შენ დაგენაცვლეო?!



მხატვარი კარლო ფაჩულია

— არ ვიცო! — კბილებში გამოსცრა კარშიგინდან მედუქნემ და რაზით კარი გადააკეტა. არც შემდეგ თვეებში მოუთხოვია მედუქნეს ქირა.

ისე, გუმანით გრძნობდა გაბრიელ აბრამიჩი, ვინც იქნებოდა ამ მადლის მქმნელი, მაგრამ დუმდა. ერთხელ იდუმლად გამენდო, იდუმლადვე დამამუნათა:

— დაგენაცვლე, არსა დაგცდესო!..

ვუყვარდი.

ვაკითხავდი-ხოლმე ნახევრადსარდაფში.

ვუსმენდი.

აქ სხვანაირი იყო გაბრიელ აბრამიჩი, ნალვლიანი. არ გავდა იმ გაბრიელ აბრამიჩს, ბალისკიდეზე გრაფინიაზე რომ ჰყვებოდა. გულჩათხრობილი მითხრობდა თავისი ცხოვრების ამბებს, კატარაქტიანი თვალები მწარედ ეცრემლებოდა.

რამ გამომაგდო იმ დილაუთენია კარში, არ ვიცი. ქუჩებში თებერვლის ქარი მძვინვარებდა, ხმელ თოვლს სახეში მაცრიდა, კუბრივით შავ ღრუბლებს ერთიმეორეში გრაგნიდა. სალამო გეგონებოდა.

გაბრიელ აბრამიჩის ეზოში ქარს ქვიშის ხე მოეთხარა, ნახევრადსარდაფის კარზე ურდული აეგლიჯა.

კონწილობდა, რაჯგუნობდა.

გაბრიელ აბრამიჩი სკამიდან გადმოვარდნილიყო, გულბოყვით ურიკას გადამხოზოდა. ჭიქაში ჩატოვებული ჩაი ჯერ კიდევ თბილი იყო. შინშემოვარდნილი ქარი აპარპალებულ ლამპის ქვეშ ამოდებულ ვიზას და თვითმფრინავის სვალინდელ ბილეთს აქარქარებდა, იატაკზე დავარდნილ უჯრებიანი ფურცლის ნახვეს აქეთ-იქით დაანიალებდა.

„უკვე მენატრები, ჩემო ქუთაისოო...“

ქუთაისის ქუჩებში ქარი მძვინვარებდა.

ყინავდა.

ნატა ვარადა

სხვა პოეზია პოტიჩელის თეთრი მოტივით

შემეხმანე, დილის რძისფერო ჩიტო,
შემეხმანე, ოქროსნისკარტიანო —
განყალდა გული.

ეპოქა და დრო, არის ასეთი უცნაურობაც, წარმართველია შემოქმედის ბიოგრაფიაში. დრო მთელი თავისი მედიდურობით, სამგანზომილებიანი სივრცის ერთ ჭრილში არსებობით, ეპოქა კი — დიხს, ეპოქა მთელი თავისი აუტანლობით, ჭაობით, გაურკვეველობით, გნებავთ, სისხლით და ცრემლებით. სიტყვამ მოიტანა და ცრემლს მადლის წყაროს ეძახდნენ ბიბლიურ არაკანონიკურ ნიგნებში. ასევე, სისხლიც არის ზოგჯერ განმნმნდელი, ზოგჯერ სიცოცხლის მომნიჭებელი, ზოგჯერ სიკვდილის დამმარცხებელი.

პოეტების დროში, ჩვენში და ახლა, არსებობს გამორჩეულად საკუთარ თავის სიღრმეში მოცული სახელი — ნუციკო დეკანოზიშვილი. ნუციკოსთანაც, როგორც სხვა შემოქმედის ბიოგრაფიაში, დაბადებულან ნიგნები, მეცნიერული ნაშრომები, პოეზიის საღამოები და შეხვედრები, თუმცა, ნუციკოს სახელი, მაინც დგას ოდნავ მოშორებით, თავისთვის. როგორც მინდორზე ამოსული ოლე ხე, რომელიც სიძლიერით ათასწლეულებს უძლებს და ქარს და ხვაცს მარტოდმარტო უმკლავდება. მართალი მითქვამს და, არსებობენ პოეზიის აურზაურში სახელები, რომლებიც ჯინჯილებით იტვირთებიან. ჩინ-მედალთა, ორდენთა, უბრალო მედალთა, პრემიათა, კონკურსთა და მართათნთა ჟღრილით გამაყრუებლად ხმაურობენ და ეს კი მათი სამაგრი გულების ბგერებს, მათ ხმას ახშობს. ნუციკოს სახელი კი გამორჩევა მის აღმატებულება სიჩუმით, ჩრდილში შეფარებული გაყურსულობით.

პუბლიკაციას, რომელსაც დღეს ჟურნალის მკითხველს წარვუდგენთ, აქვს ერთი მთავარი მოტივი, ეს არის თეთრი მოტივი — ასე, ერთბაშად, გლოვისა და ქორწინების, სიკვდილ-სიცოცხლის, ბედნიერებისა და მონყენილობის, ანუ ყოფნის მოტივი. თუმცა თქვენ ვერ ამოკითხავთ ვერცერთ შემთხვევაში ყოფას, როგორც მატერიალს, როგორც ფიზიკურად არსობის აუცილებლობას, სხეულის კულტს. სულ პირიქით.

ახლა მაინცდამაინც პოეზიის კანონებით ნუ ვიმსჯელებთ. სწორედაც პოეზიაში ხდება ისე, რომ კანონებს ხშირად არღვევენ და ზღვარს გადასულს კი არა დასჯა, აღფრთოვანება მოსდევს, სიმლეგეს ტაში. ნუციკო დეკანოზიშვილთან წყალგამყოფია ეს უცნაურად თვალმისაცემი კანონიერების, ნესრიგის სიყვარული. და ამ ნესრიგში ამტყდარი შტორმი. ამ სიჩუმიდან გამოსული უდიდესი ხმაურის ძალა, ამ მიყუჩებულ გრძნობა-ვნებებში ფესვგადგმული მინიერების, აღმოცენებისა და გამრავლების წყურვილი. არადა, ლექსში ყველაფერი რიგზეა. ტექნიკურად გამართული, გარანდული, ნამუშევარი სტრიქონები სარკესავით არეკვლადია. არაფერი უხდმეტი, ერთი ამოსუნთქვით, თვალის მიდევნებით წასაკითხი რითმა და ამ დროს, ხშირად ვერ სუნთქავს ემოცია, ხშირად, მაგრამ აქ არა (პოეტის პროფესიონალიზმი). ლაკონიურობა — ეს ხაზი ნუციკოს პოეზიისთვის უმთავრესი შტრიხია. თუმცა ნუციკო ლაკონიურობას არ სწირავს ვნებას, ემოციას. მკითხველმა ავტორის რენესანსულ-არისტოკრატიულ სტილს საკუთარი გულწრფელობა უნდა გაუზიაროს, თუ გვინდა, რომ თანხვედრა მოხდეს.

თეთრი მოტივის ლექსებიდან მკითხველი ვენეციის ნოემბერში ხიდებისა და ხავსების ქალაქის რუკას ამოკითხავს, ოღონდ ყოფიერება და პირველადი მოხმარების საგნები აქ არ გვხვდება. ეს არის უხნესი, ადამიანის სულიერების აღმნიშვნელი ყვითელი ქალაქის რუკა, ფსკერზე დაღეჭილი ბოტიჩელის ღია ფერებში: „და დახარ,

გარბიხარ ამ აუტანლად ყვითელ შემოდგომაში, სადაც რაღაც-ნაირად მოხვდი, სადაც წყლის სიმწვანეც ვერ შევლის ამხელა შემოდგომას, სადაც თვალები გიჭრელდება — ისეთი ყვითელია ჰაერი, სადაც ჩერდები და ხელებს იფარებ სახეზე, რომ იგრძნო — ხარ“ („ვენეციის ნოემბერი“).

ეს განწყობა ლაიტმოტივად გასდევს ყვითელ ვენეციურ ლექსებს. როგორც ჩანს, ავტორის სამშობლოდან იქნებ მეორე სამშობლოში დროებით გამგზავრების დროს, — მინის შილის არსებობა წყალთა ქვეყანაში განსაკუთრებით შთამბეჭდავ ემოციებს ბადებს. პოეტს ამ ემოციების კიდევ განსაკუთრებულ ქურაში, პოეტურ ნიჭში გატარება უნევს და ინერება, გამოითქმის ღრმა ფილოსოფიური აზრები — ლექსები, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილია აღწერილი.

პოეზიას და წყალს აქვთ საერთო თვისება: ისინი მოვლენებს, სახლებსა თუ ხეებს აირეკლავენ უკუღმა. აქ დროც უკუღმა მიედინება და ქვეცნობიერის ანმყოსთან შეჯახება ხდება: „გადაგითარგმნი უცხო სიყვარულს, რადგან გაქრობა, არ გვიწერია“ („Acqua alta“).

პოეზიის ენა უნიკალურია და მთარგმნელობაც მოსაშველებელი იარაღი, თუმცა პოეტის მიმართვის ობიექტი ხომ მარადილი სატრფო სამშობლოა?! ასეთი სიყვარულის ახსნა სამშობლოსადმი როგორი ახალია და როგორი თავისთავადი.

თემა, რომელიც თერთმეტ (ბიბლიური ციფრი) ლექსს აერთიანებს, „თეთრი მოტივის“ მთავარი ლერძიკია: „ჩვენ გვეხერხება ავანტურა — ფერმკრთალ პოეტებს, და გაჭრა ზღვაში, როცა ის ღელავს, მღერა სიმღერის, რომელიც დაგვრჩა ნაპირზე — ღელის და ვუწყებთ ძებნას — შენში და სხვაში. ნუ დაგვიჯერებთ, ჩვენ დაგვსაჯეთ ნელი სიკვდილით, რომელსაც ეკია მოტივი — ლექსი“ („თეთრი მოტივი“).

წყალია თუ მინა, პოეტი ზიდავს ტვირთს, პოეტის სახელს. ეს სულის განსაკუთრებული მდგომარეობა, იქნებ მისიაცაა, და მიუხედავად, უამრავი სხვა ამქვეყნიური ტვირთისა, ალბათ, ამოუცნობად ტყბილ-მწარე, ალსარების მსგავსი: „შენ ამბობდი, რომ, დროა, ხელი არაფერს ვახლოთ, შენ ამბობდი, რომ არად გვიღირს ქარების დევნა. მე ვთქვი — გამხად სამოსელი, გამხადე სახლი! მე ვთქვი — გაქვალს დამადევნე ცრემლების რემა“ (***)

აკადემიურობა შერწყმული ვნება — აი, კიდევ რა შეიძლება დავასახლოთ ავტორის განსაკუთრებულობად: „წასვლა დასამკვებია, მოსვლაც, მხოლოდ გზა არის წაცადიც, ახალიც, სიყვართან ხანგრძლივი, ხანგრძლივი კოცნა... და ღია თვალები, რომლებიც გვაცალეს“ („ყველაზე ნითელი ძონები“).

თანამედროვე ქართულ პოეზიაში თემების უკმარისობაა. არის ერთი პრობლემა, თემას ავტორი მხოლოდ პოპულიზმის გამო არჩევს, რაც დიდი პროვინციალიზმია.

ნუციკო დეკანოზიშვილისთვის სექსუალური მოტივი, ვნებისა და სიყვარულის თემა არ არის ხელოვნური, არ არის თითიდან გამოწოვილი, არ არის მხოლოდ ცარიელი, მშრალი სიტყვები, რომელიც მკითხველის მოსაზიდად „ჩაიყარა“ ლექსში. მისი ქალური ვნება არის რაღაც ანტიკურად დახვეწილი, ყოვლისმომცველი, სულისა და სხეულისა: „აღარ მიშვებენ ეს ქუჩები — წყალს მივცე თავი, და ადიდებულ ვენეციას გულში დავციწო. რომ ეს სიცოცხლაც, რას მოჰგავს — გვამი, მოსიარულე მარტო კაცივით“ („Acqua alta“).

ნუციკოს „Acqua alta“-ს სათაური „წყალი ადიდდა“ ასე აქვს ნათარგმანები, ხოლო მთლიანად ეს ლექსი, ეს სათაური როგორ ჩამოჰგავს ოფელიას პოეტურ არსს, ან ბოტიჩელის ნახატების სიტყვად გასხადებას.

თეთრი მოტივის ხაზიდან სწორედ რომ გამოვყოფდი ლექსს „Acqua alta“ დიხს, წყალი ადიდდა. როგორც ცეცხლი აინთო, როგორც მინა იძრა, როგორც ჰაერი შეირხა, წყალი ადიდდა და ადიდებულ წყალს მოაქვს ნარიყი ქვეცნობიერისა, გულწრფელობის დალით, საკუთარ თავში მშობიარე ქალის სიყვარული, რომელიც სიცოცხლეს სიკვდილით ჰგავს.

ესეც არის. თითქოს ფეხიდან მინა გამოაცალეს და აფრენამდე წყალზე გასვლაა, რაც უნდა შეძლოს.

პოეზიის რწმენის სახელით — რაც გარდაუვალია.

ნუციკო დეკანოზიშვილი

თეთრი მოტივი

თუ არ ვიპოვი ამ მოტივს და
ზურმუხტისფერ ტალღების რხევას,
რას დავწერ, როგორ?
სად იოლია დავინწყება
და ჭაობში — გამოილი აფრა,
თავისუფლება. თოლიების მჭახე ყვილი.
მოქცევას და მოქცევას შორის.
როგორ ვიპოვი ამ მოტივს და
ალმაფრენას,
რომელიც გაქრა?

ტყეები, ჩვენ, ვინც გადაგვრეკეს
და თავებს გვჭრიდნენ,
მოვედით ხიდზე.
აქედან მზეა და სიკვდილი — ყველაზე მშვიდი —
გადასარჩენად.

და ეს მოტივი ისე მიყვარს,
როგორც ღრმა ძილი,
სიზმარი და შორი მანძილი,
საიდანაც ვერ ვხედავ მინას,
უკვე რამდენჯერ მოგატყუეთ,
გაგაბრიყვეთ, — და ახლა მინდა,
გამოვიცხადოთ:

ჩვენ გვეხერხება ავანტურა — ფერმკრთალ პოეტებს,
და გაჭრა ზღვაში, როცა ის ღელავს,
მღერა სიმღერის, რომელიც დავგრჩა
ნაპირზე — ღელის
და ვუნწყებთ ძებნას — შენში და სხვაში.
ნუ დავგიჯერებთ,
ჩვენ დაგსაჯეთ ნელი სიკვდილით,
რომელსაც ქვია მოტივი — ლექსი.
და შეგვიძლია, მოგატყუოთ,
გულწრფელი სიტყვით,
ჩვენს მეტს ხომ მაინც არავის ესმის
ბნელეთის ეშხის.

თქვენ დამიჯერებთ!
ამ მოტივს ვდექ სამი საათი,
ამ მოტივს ვდექ სამი საათი,
გადავიღალე და მისამართი —
სიყვარულის მყიფე კარისკენ
ისევ არ მახსოვს.

ლაბირინთების შუაგულში მღვრიე ნყლების
ამოქაფება. და აფიშა —
სველი. და მარტო
მივემართები რიტმებისკენ, თავხედი — (ვეტროფი) -
(ყველა ტაძარი ოდითგანვე თავის ზარს რეკავს),
და ეს მოტივი კედლების ფეხითი
დავუგე ქალაქს,
რომელსაც ვერწყმი და მასთან ერთად ჩემს ანარეკლს
თვალს არ ვაცილებ.

გადამავინწყდი,
რომ გამიშვი და შემეყვარე, რომ გამაცილებ
დახშულ ჩეროებს...

რალაც ვიპოვე. მოტივიც გაქრა.



აჩრდილები ეკვრიან კედლებს,
ისე რთულია თვალთმაქცობა ჩემს თავთან ახლა,
რომ მშრალი სევდა
მოჟონავს კისრის გაყოლებით, მისდევს ხერხემალს.

რალა დავმალო — მინდა თითქოს და აღარც მინდა;
ეს მოტივი ჩემთვის ცოტაა, —
ზურმუხტისფერი ქალაქიდან
ამოსული
თეთრი მოტივი.

* * *

დავალაგოთ ოთახი.
გადავწმინდოთ მტვერი,
მოვგავოთ იატაკი.
გავიტანოთ ზედმეტი ნივთები;
ფარდები ჩამოვხსნათ ფანჯრებიდან,
თაროებიდან ავიღოთ ნივნები,
ეს ნახატები კედლებს არ უხდება!
სანოლი ძალიან ფართოა ერთისთვის.
სავარძელზე უსაქმურად აწყვია ჩემი ფეხები.
ხელები ისევ ჩამოშვებულია.
ჭერი დაბალია — ავხადოთ!
გავიტანოთ ყველაფერი ზედმეტი;
გულისტკივილი. უძილობა.
თავისტკივილი. სიმძიმე და
სევდა. სევდა. სევდა.
შეხედეთ, რა ზედმეტია ეს სიყვარული,
შეხედეთ რა სასაცილოდ გამოიყურება!
რა გაქუცულია ეს ნატვრა — დამშეული ძაღლივით...
რა საჭიროა ზრუნვა — ფიქრებით დახუნძლული თვალები,
ან რას მიქვია სიკეთე?

ჰოდა, ამიტომ, დავალაგოთ ოთახი,
რაც ნიშნავს — გავიტანოთ ყველაფერი ზედმეტი.

და ამ სიცარიელეში აღარც ჩემი ადგილია.

* * *

არ შევეჩვიოთ ადგილებს, რადგან დავკარგავთ მას.
არ მივეწებოთ ადამიანებს, რადგან დავკარგავთ ისინი,
ავგაგლეჯენ თავისი თავებიდან,
გათავისუფლდებიან.
და თუ ვერ მოგვერევიან,
ვერ მოგვიშორებენ, —
ჩვენ დავიხოცებით ამ ბრძოლაში —
სიყვარულით დალდასმული სახეებით.

ACQUA ALTA

ლაბირინთებში ამთქნარებენ მინოტავრები
და ხელისგულის ლაბირინთი ხაზებში გაქრა.
გავიქეცი და ისევ ვავებო.
და ისევ აქ ვარ!
(გამეორება).

ჰო, მერამდენედ მოგიყვივი, აქ რომ ვიყავი,
ათას წლის შემდეგ, ნირუცვლელი, ისევ აქ მოვალ.
გადავითარგმნი უცხო სიყვარულს,
რადგან გაქრობა,
არ გვინერია.

ადიდდა წყალი! ამ ზამთარმა უნდა გამიძლოს —
დამიზეპიროს მისხალ-მისხალ, სვენებ-სვენებით,
გამიმეოროს, როგორც სამიზნე
გზის და ღელვების —
ან და მარადის.

შენთვის მოვსულვარ! შენს ხაზებში უნდა დავნერო —
და ნიღბების ქვეშ ვიმეორო — ავე, მარია!
შენშია სიზმრის ყველა წარწერა —
და მიხარია!
და მიხარია!

ხიდები ისე დამრეცია, ფეხს ვერ აბიჯებს
ვერც ერთი სული, ცოცხალმკვდარი და მოჩვენება,
და გამზადებულს ხელებს — საჯიბედ —
გასთეთრებიათ
თხელი ვენები.

და სისხლის დონე როცა ისე მაღლა აიწევს,
და ასე მსუბუქს დაგინახავს მინაზე ვინმე,
ან ამომჯდარი მაღლა ლავინი
გააბამს სიმებს
ჰორიზონტისკენ....

დაფარავს ჩემთვის გასაგები წყალი ნახატებს.
და შენთვის ისევ გაუგებრად იწვიმებს დილა.
თავს შევაფარებ, იცი, სადღაც და...
აქ როგორ თბილა.
ალარც დაღამდა,

ალარც მიშვებენ ეს ქუჩები — წყალს მივცე თავი,
და ადიდებულ ვენციას გულში დავციხო.
რომ ეს სიცოცხლეც, რას მოჰგავს — გვამი,
მოსიარულე
მარტო კაცივით.

ასე ამბობენ აქ — *Acqua alta* — წყალი ადიდდა.

ვენეციის ნოემბერი

ასეთ სიყვითლესაც ხომ გაძლება უნდა —
შემოდგომა რომ შემოგადგება —
ცაც რომ ყვითელია და ფილაქანიც —
და ველარსად გაიქცევი ამ სიყვითლიდან;
ყვირი და გარბიხარ სიყვითლეში,
როგორც ერთი პატარა მოციმციმე ყვითელი ლაქა
და იხსნები, იღვრები, შემოდგომდები.
ასეთ სიყვითლესაც ხომ ატანა უნდა —
ღვიძლის უჯრედები რომ იშლებიან,
როგორც შენი ძველი მეგობრები,

ასეთ სიყვითლეშიც ხომ შეგვიძლია ტირილი —
რომ არასწორად წამოხვედი გზაზე,
რომ არასწორად გადაიარე ხიდები,
რომ არაადეკვატურად გიყვარდა და
ახლაც არ იცი, როგორია ადეკვატური სიყვარული.
და დგახარ, გარბიხარ ამ აუტანლად ყვითელ შემოდგომაში,
სადაც რალაცნაირად მოხვდი,
სადაც წყლის სიმწვანეც ვერ შევლის ამხელა შემოდგომას,
სადაც თვალები გიჭრელდება — ისეთი ყვითელია ჰაერი,
სადაც ჩერდები და ხელებს იფარებ სახეზე,
რომ იგრძნო — ხარ.

ყველაზე ნითელი ქონაზი

მონყენილობა დასაშვებია, სევდაც.
ხავსმოკიდებული სახლები მუდმივად ამაზე ყვებიან,
ხანდახან აინთება ნითელი სიცოცხლე, ბედად;
და ისევ ამბავს მოგვიყვება, — ისევ სევდიანს.

სიცილი დასაშვებია, უხერხემლო,
დიდი ხანია, გვაცნობეს სიკვდილის შესახებ,
და ვინც გაუფო სიცილს გემო,
(როგორც გატენილი სხივით — ვენახი),

ალარ კვდება, რადგან დაუშვეს —
რახანია, — ასე დროშიანად-გერბიან...
მოცინარს სიცოცხლეს ველარავინ დაუშლის,
მხოლოდ მკვდრები, ისევ მკვდრები კვებიან.

ნასვლა დასაშვებია. მოსვლაც.
მხოლოდ გზა არის ნაცადიც, ახალიც,
კისერთან ხანგრძლივი, ხანგრძლივი კოცნა...
და ღია თვალები, რომლებიც გვაცალეს,

რადგანაც ხელები დავუშვით —
ვერტიკალურად და მოხდენით.
და ყველა შესაძლო კაემანს
ვებრძოდით, იმედით — მოვხვდებით

დასაშვებ, მომწვანო ადგილას, —
მგლებით და რძისფერი კრავებით,
სულაც არ იქნება ადვილი,
ერთხელაც ხაფანგში გავებათ,

რადგანაც დასაშვებია მონყენა,
ვინაიდან სახლები მუდმივად ყვებიან ამაზე.
დასაშვებია სიცოცხლე — ყველაზე ნითელი ძონები.
რომელსაც წავიღებთ ყველაზე უფერულ სამარხში.

ოსტაიქონდროზი

არ ვაბრუნებდით თავებს
ვიტრინებისკენ —
გვერდით გვახლდნენ ბავშვები.

* * *

ზოგჯერ შეხვედრები გვიანია -ხელებს გაშლი,
რადგან შეხვედრები ზოგჯერ ისე გვიანია,
ისევ ისე, როგორც ადრე — თითქოს არ შეგიშვეს სახლში,
მაგრამ გარეთ თბილი, ისევ ნელი ნიავია,

ქალაქებიც ისე გვიანია, ვარსკვლავებიც,
ხელებს გაშლი — სევდაც, სხვათაშორის, გვიანია.

მხოლოდ სადენებით გაბმულ საკრავებზე მოქანავე წვეთებია... ვინ არიან —

ვინც მოდიან, როცა გვიანია, და ჩვენ მაინც ველოდებით, ისე გვიანია, როგორც წუთი, როცა ისევ ვეღარ დავინახეთ ჩვენი თავი, და ამ წუთშიც გამჭვირვალე ჩრდილებს ვუცდით,

ზოგჯერ ისე გვიანია შენი თავის დევნა, ზოგჯერ ისე გარბიხარ და ვერ ეწევი, ზოგჯერ გინდა, რბოლით გადალლილმა გადმოგადო ენა და სიცოცხლეს მორჩე, —

თითქოს არც კი ჩაუვლიათ ნაგვიანეც მგზავრებს. თითქოს არც კი გარხეულა დილა... ზოგჯერ შეხვედრები ისე გვიანია — ხელებს გავშლი და ჩემს თავთან მხიარული ისევ მივალ!

თუ სხვა სიზმარში გამოვიღვიძებ...

და როცა სხვა სიზმარში გავიღვიძებ, მე ამიხდება ჩემი ვენეცია, მე იქ ვიცხოვრებ ყველა დროში და სიმშვიდეში, ყველა ჩაძირულ ნატვრასა და ნახდენილ ოცნებაში, ზოგიერთ ოქროსფერ თევზთან, რომლებსაც ვერ დაიჭერენ მოსაწყენი ცოლების მეთევზე ქმრები, ზოგიერთ აზრიან თოლიასთან, რომლებიც ახლოს არ მოფრინდებიან ჩემთან, რადგან, იციან, რომ მე მათი მეშინია. ჩემს ახდენილ ვენეციაში იქნებიან — (ზურმუხტისფერ და ახდენილ ვენეციაში) სიზმრები, რომლებიც ჩაუსაფრდებიან მღვიძარე ადამიანებს, ჩაუსაფრდებიან და დაესიზმრებიან, თითქოს ცოცხლობენ და თითქოს უხარიათ, თითქოს იღვიძებენ და ბავშვობის მზე შემოდის ფანჯრებიდან, თითქოს დედა და მამა ძალიან მალე დაბრუნდებიან, და, რასაკვირველია, ძალიან ლამაზები იქნებიან, თითქოს ბებო და პაპა ჩაის ჭიქებს ანკრიალებენ, ვერცხლის კოვზებით,

გელოდებიან და შენ, თითქოს, იცინი, იცინი, იცინი, რადგან ეს ღრმა ძილის წინ იცოდი...

და, ამ დროს, არავინ გაბედოს, არავინ გაბედოს ჩემი შეჯანჯლარება!

* * *

შემეხმიანე, დილის რძისფერო ჩიტო, შემეხმიანე, ოქროსნისკარტიანო — განყალდა გული; ღამე ისეთი გულახდილია, ღამე ისეთი ფამილარულია, — ყველაფერს ამბობს, რაც არც ერთ შენს ჟღერტულში არ დაგცდენია, ჩამოდგება და ყველაფერზე მიყვება, მომეხვევა და იმედს ამბდის, ღამის ზარებიც ისე მძიმეა, — უნუგეშობაზე მღერიან. დაუსტვინე, ოქროსბუმბულიანო, დაუსტვინე ერთი ამოსუნთქვის სიცოცხლე, აღარ დამაფიქრო მკვდრებზე — საუკუნეების ღრმა სუნთქვაზე, — მეშინია.

შიში რა არის? — ზენარს გაკრული კედლის ჩრდილებს ვეხმიანება. დამიჯერე, არ მინდოდა გახსენება, დამიჯერე, არ მინდოდა შებრალება, მაგრამ, როგორ არ გითხრა? მოდის ეს ღამე, ყოველ ღამით და ჩემს აკანკალებულ სხეულთან წვება, და შენ როცა სასიმღეროდ შეფრთხილდები, ისე მიდის, თითქოს არასდროს ვყვარებივარ, თითქოს სიკვდილის წინ სიცოცხლე დამცინის.

* * *

შენ მიყვებოდი, რომ არ იყო ჩვენ შორის სივრცე, შენ მიყვებოდი, რომ არ იყო ღრუბლებში ღმერთი, მე წავედი და განყალბულ სტრიქონებს გინერ, სადაც არა ხარ არც მისხალი, არც ერთი წვეთი.

შენ ამბობდი, რომ, დროა, ხელი არაფერს ვახლოთ, შენ ამბობდი, რომ არად გვიღირს ქარების დევნა. მე ვთქვი — გამხადე სამოსელი, გამხადე სახლი! მე ვთქვი — გაქცეულს დამადევნე ცრემლების რემა,

და შენ თქვი — ბოლო მოელება ნალვლიან თამაშს! მე ვთქვი, რომ კარგი გართობაა ახლა თამაში... შენ — რა სივრცეა! შემოვაველებ ხელებით მარმამს. მე — წვეთი ღმერთიც აღარ არის ახლა ამაში.

რას ვაკეთებ:

რას ვაკეთებ და — სასიკვდილოდ დაჭრილებს ვუვლი. ეს თქვენთვის, როცა მეკითხებით — თუ რას ვაკეთებ, თანაც დღეებში ისე მიცემს მღელვარე გული, თითქოს მუდმივად ვაბარებდე სკოლის გაკვეთილს,

ვერაფერს ვიზამ, და არც ვიცი მეტი — სხვა რამე, საფეთქლებს ვუზელ და ჭრილობებს ვუხვევ ბინტებით. ქუჩებში, მეტროს სადგურებში დამაქვს მალამო, ვუსვამ თავ-სასო-ნარკვეთილებს, როცა ბინდდება


ან როცა დილას მზის ამოსვლა ისე არ უნდა, სხვენის მიუვალ კუნჭულებში ძვრება და იცდის, როდის შემოვა ანგელოზი ვინრო კარიდან და გაეჭრება ჰორიზონტზე ცისფერი თითი.

ან როცა ღამე გაქვავდება დიდი ლოდით, და არ ვარ ბევრად შემართული, ბევრად საჭირო, დაჭრილებს როცა მობეზრდებათ სხვისი ლოდინი, მე მაშინ ვუხვევ ნაიარევს ფერმკრთალ დაჭრილებს.

რას ვაკეთებ და — სასიკვდილოდ დაჭრილებს ვკოცნი, რადგან სულ მალე — უსიკვდილოდ მოვა სიკვდილი და უცხოსავით ჩაიხედავს თვალებში ცოცხლის — არც საყვედურით, არც შეკრთომით და არც ქირქილით,

და მხოლოდ ჩემი ნათითური აადენს აღმურს, და ჩემს სახვევებს ხელს აუსვამს, თითქოს სწყდებოდეს გული, — არავინ უკითხავდა ცოცხლების ფსალმუნს, როცა კვდებოდა, რომ კვდებოდა, როცა კვდებოდა...

რას ვაკეთებ და — ვამზეურებ დარჩენილ ბინტებს, რას ვაკეთებ და — სასიკვდილოდ დაჭრილებს ვუვლი, რას ვაკეთებ და — უსიკვდილო სიკვდილი მინდა. რას ვაკეთებ და — ვერ ვერევი სიცოცხლის სურვილს.



სიტყვა თავისთავად და მასთან ერთად ეტიმოლოგია, შინაარსი, მუსიკა, ბგერა, მარცვალი, ფორმა, ფლექსია, სინტაქსი, ფრაზა — ემზარ კვიციანიშვილის ძირითადი სამშენებლო მასალა, რომელსაც ეტყობა, რომ იყენებს საქმეში ჩახედული პირი, შემოქმედი, „ლიტერატურული პიროვნება“, როგორც იური ტინიანოვი იტყვოდა.

ლექსის კონსტრუქციული დიზაინი — ეს მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებაა, შიგნით დანაწევრებულია და შედგება მრავალი ტექნიკური ხაზისგან, მცირე დეტალისგან, ნაწყვეტისგან, შემთხვევითი გადახვევებისგან, რომლებიც წარმოსახვით დროსა და სივრცეში ერთიანდება.

თითქმის ყველა ლექსში შეინიშნება სიუჟეტური მონახაზები, ოღონდ ეს არის არა ფაბულა, არამედ შინაგანი დინამიკის შკალა, შეგრძნებათა და წარმოსახვათა დიალექტიკა, ფანტაზიის განვითარება.

დომინანტის როლს ინტონაცია ასრულებს. მელოდიკა მყარია, ნაცნობი, დასამახსოვრებელი, ინდივიდუალური ხელნერის მაჩვენებელი.

მინიშნება და ნახევარტონი უფრო „მუშაობს“, ვიდრე სინტაქსური აზრი, ამიტომ სათქმელი უფრო გადმოიციემა, ვიდრე წარმოითქმება.

სიტყვასთან ერთად საგნები ქმნიან პოეტურ ველს, რომელიც მისტიკური ხილვებისგან შედგება. აქ ხილულიც დაფარულია და თანდათან იხსნება კომპოზიციური განვითარების შესაბამისად.

სევდიანი მოტივები, ეგზისტენციური თემები, მძაფრი განცდები და თვითირონია, ბელეტრისტული ინტელექტის ნიშანი, მთლიანობაში ქმნის საერთო იერსახეს, რომელსაც საავტორო სტილს ვუნოდებდით, ემზარ კვიციანიშვილის საავტორო სტილს.

ემზარ კვიციანიშვილი

კილ-ღვიკილში მოსმენილი (შემოდგომის სონატა)

ვინ იყო ნეტავ... ნუხელ მძინარეს ჩამწერჩულებდა: „შენმა ორივე — მოცახცახე და გაფითრებულმა, მსტინავმა ნესტომ, ჰაერი უნდა გადაგიკეტოს, შეჩერდეს სუნთქვა, შეჩვევა გმართებს — შემეჭნარ, მოჩვარულ და დაფხავებულ ტან-ფეხს, ზაფხულის ცის გადეკვრება სილღურჯე მუნჯი...“ მივხვდი, არ იყო ურიგო რჩევა და უდროსაც ვერ დაარქმევდი, მაგრამ ყოველთვის მაკლდა საჭირო გამბედაობა და თან მზარავდა გაგუდვის შიში. ვერც გამამტყუნებთ. განვალებულმა და ცვილისფერმა, ვიცვალე გვერდი, თითქოს ნათქვამი არც გამეგონოს — ერთ უაზრობას — მომსრავს, დამზრინავს, ბევრად უარესს, სხვას, ახალს, ხომ არ დაუწყვეცილებდი? თუმც ზღაპარს გავდა, დაუჯერებელს, არ მომიკლია და არც ვამეტებ, რაც, უძღურს, ძილში შემომაპარეს. გავბეზრდი, არ ვარ მძებნელი შვების, იზრდება ზიზლი და მძულვარება, გაშვავებს, არ შეიშვება ყურში, გაბასრულ-ნანრიალები რასაც, გულისგანმგმირავ ღვარძლიანთაგან, ჯავრით შეძრული, მღვიძარიც ვისმენ; გადამენურა იმედი, სასო, თითონვე მიკვირს, როგორღა ვუძღვებ, იმათ სისინზე სივდება ღვიძლი.

* * *

გადაშავებულ კენწეროს ჭადრის, მჭახე ყრანტალი მოწყდება ყვავთა, სხვა ხმას, საამოს, აქ ვერ გაიგებ. სახსრები, დახუთული, დაქამდა, რა ხელი ნაშლის, რაც აქამომდე, უგროვებია შუბლს ნაოჭები... ქარებმა დამიბერესო თითქოს,

უქმად მარები აღმა და დაღმა, ვხედავ ურჩხულის სახეს, დაღმეჭილს — გასუდრულია ჭალა, მინდორი, გარინდებულა უტყეო მთებიც... ვიღამ გარანდოს მორები ტივის, რომ მერე მწვანე ზვირთებმა ლოკონ. მომნატრებია ზმორება მზეში. სად ნატარებმა და მოხანთულმა, ნეტარებითვე მწადს, დავიღამო. ბოკონის თავზე არ დაბაკუნობს ყელბანტიანი, ქათქათა კრავი, ვერ დააცეცებს მოწყენილ თვალებს — ოსტატმა ხოცვის, მოლს შეახოცა ნასისხლი, შავტარიანი დანა... შევეყრებ ჭერზე ლანდების ცახცახს, გარბიან, უჭირთ ერთ კონად დანვანა, მოუქნელობა მალონებს მათი; ვინ იზამს, რაც თვით ღმერთს არ უქნია (ვიკმართო, ასეთს რომ გვჩუქნის წამებს!), მეც მეძნელება ამ აფუნგული, მოუხელავი ხილვების შეკვრა; დაძენძილს, ძალა არ შემრჩა იმის, დამფრთხალი ძილი შემოვებრუნო — ბრმა და ყრუა სხეული ჩემი.

საბრალო ლელიანი (დაულავებელი ბალადა)

შენ ერთს ხელგენიფება, უქრობ ნათლით მოსილს — ცოდვილს, პირველს, ჩაუდგა სული ანგელოზის.

ამას ჰქვია შეტოპვა მეტისმეტზე მეტი; სატირს შეაძლებინო შეყვილება გედის.

აქლემის კუზს გაკრული, უზის მექარავნეს; მანანწალა, ფლეიტას ალულუნებს ფავნის.

ლანდი, მთას მოსხლეტილი, ეფინება მწუხრად;

ოხვრა შემოდგომისა,
გულს, დანვიმულს, უხრავს.

ოკეანე ვერ დაღლის
და ვერც გავლა ცხრა წრის,
ნაღველს მისას, წრიალას,
წვრილი ბადე გაცრის.

მანძილს, გადაქანებულს,
მოიტოვებს უკან;
დამთრობს, დამთრიაქებელს,
მიადგება დუქანს.

ბედნიერი, გზადაგზა,
ზოგჯერ ამითია —
სახურავებს გახედავს,
წითელკრამიტისას.

გამოჩნდება ტაძარიც,
თავის სამრეკლოთი...
გაიფიქრებს, მკერდიდან
ჩამომხსნესო ლოდი.

მიმოფანტულ, დაკლაკნილ
და დაწყვეტილ ხაზებს
(აერთებდა) სხვაგვარი
ჰქონდათ სილამაზე.

ხელჩაქნეულს, რა ექნა,
ვინც რო დარჩა ბალღად...
მარტოს ვით გაერღვია
ქიმერების ალყა.

დასდიოდა ბალღამი
წვივს, ჯიჯგნიდა ცოფი,
დასტიროდა სიყვარულს,
წმინდას, უარყოფილს.

ფიჭვის ახლდა ჭრიალი —
ისევე გაიხსენებს —
გამოჩორკნილს ხისაგან,
კარუსელის ცხენებს.

განვენილი, ხმელ ტახტზე,
დაესერა ტანი...
მონვეთავდა გალობა,
ღამის ფრინველთანი.

გაზინტლული სერთუკის
არ ეკვრება ღილი...
ვის კარს უნდა მიადგეს,
ციხეგამოვლილი?!

ვაჰთუ, გათენებამდე,
ძალა აღარც ეყოს...
კოჭლი, ცრემლად ადნება
რემბოს, მთლად უფეხოს.

შეიფარებთ, რომელი
ნავსადგურო, პირსო?! —
ათი მოურჩენელი,
იტყვის, სენი მჭირსო.

წვალობს, ვერ გამოსხნია
აბსენტსა და ჰაშიშს...

დანომრილი საწოლი
ხვდება პალატაში.

ისმენს ლოცვას უფლისა
და სატანის ხარხარს...
თვალებს ხუჭავს მუსიკა,
ბნელში დასამარხად.

სალოსს, სასონარკვეთილს,
გამშრალი აქვს სასა...
აზიარეს, ვერ ასწრებს
აღსარების თქმასაც.

ნაფერები, ნანატრი,
თეთრად ანანთები,
სამარესთან ყვავილთა
დაიდგმება მთები.

სასიკვდილო ლულულდი,
ჩვილის მოგავს ალუს...
ჭრელი კარი სექტემბრის,
მინდა მან შეალოს.

მოცელილი თაოჯა (რეკვიემი)

სხვა ელდა მსერავს, დამალვა მსურის,
მტრისას, სიკვდილმა რაც დაგვიშინა —
ჟინმორეული დაგყურებს, ყურის
ბარაბანს ხეთქავს მისი ყიჟინა.

ვიცოდით, ვერ მიხსნიდა ტყე-ველი,
გიცნობდა, რაც არ უნდა ჩაგეცვა...
გვიღრენს, ფერ-ხორცის ჩონჩხად მქცეველი,
არაფრად უღირს ჩვენი ჩაკეცვა.

ჩაქცეულია, ხრამში, ხიდები,
რას ვიქმთ დაგროვილ ავლა-დიდებით;
ვერ ავუვედით გლოვას, ერთმანეთს
მოუსაველეთში მივეზიდებით.

მზერა მერთმევა დაშლილს, ნადავარს,
მზადა ვარ იმის დასახატავად...
ნურვის ექნება იმედი, გაძღეს —
ჩვენ მოგვითავებს, სხვებზე გადავა.

შევბედე: მადევიარო, მკაფარო,
ისა ხარ, ვინაც ხელი დაგვრია...
ამ ცისქვეშ, თავი რომ შევაფაროთ,
არც გვირაბი ჩანს, არც — სიმაგრეა.

მცირე გამოქანული გიორგი არაბულს

ვაჟკაცი ხარ, ხმაღს თუ ლესავ,
თუ რომ გიჭრის ხერხი, ნაღდი...
თვალს დავხუჭავ, შატილს გარდა,
ვხედავ ხანმატს, ხალღეს, სხალღიდს...

გვირგვინს კონავ, გრგვინავს გვრინი,
არ მოკვდება შენი ალდი,
არ ჩაქრები, რახან ასე
აბრიალდი და აალდი!

როსტომ ჩხეიძე

დეტექტივი — ცხოვრების ფრაგმენტად

(შახმინება
ორჰან ფაშუქის
ავტობიოგრაფიულ რომანთან
„სხვა ფერები“)

ორჰან ფაშუქი უფროსი თანამოკალმის ჩეთინ ალთანის ბავშვური ოპტიმიზმის — ვესტერნიზაციასა და მოდერნიზაციას იმედიანად რომ შეჰყურებდა და სხვათა აყოლიებასაც ესწრაფოდა — მიზეზად ნაწილობრივ იმასაც მიიჩნევს, რომ თურქეთს კოლონიზაცია რეალურად არასდროს შეხებია.

და მაშ რატომ არ უნდა ელიარებინა დასავლური ცივილიზაცია იმ კულტურულ ცენტრად, რომელთან მიახლოებაც შესაძლებელი გახლდათ, მაგრამ აუცილებლად ნელა და ზომიერად?

ანკი — აჩქარებითა სოფელი განა ვის მოეჭამა.

ხოლო რაკილა ფაშუქიცა და სხვა არაერთი ლიტერატორიც ფიქრობდა: ჩვენი ისტორია ჩვენს ნაკლოვანებათა ისტორიააო, — ალთანსაც გადასცემდნენ თურქთა მძიმე ნაკლოვანებათა გრძელ სიას, ნაკლოვანებათა, რაც დასავლეთისაგან განასხვავებდათ.

სიაში შეეტანათ: დემოკრატია და თანადროული კაპიტალიზმი, რომანის წერის ხელოვნება და ფორტუნიანი, სახვითი ხელოვნება და პროზა, ის ქუდიც კი, რომელსაც ათათურქმა ამხელა მნიშვნელობა მიანიჭა, და ის მაგიდაც, რომელიც ხუმრობით შეეთავაზებინა მკითხველისათვის ფაშუქს თავის რომანში „მდუმარე სახლი“.

1970-იან წლებში, როდესაც პოლიტიკური ტერორი თავისი მძვინვარების პიკს მიაღწევდა, ჩეთინ ალთანი კიდევ ერთ ნაკლს შენიშნავდა თავისი ქვეყნის კულტურას: დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა თურქეთში ვერ განვითარდა ისე, როგორც ეს ინგლისში, ამერიკასა და საფრანგეთში მოხდაო.

იქ, ანუ:

— ამ ინდუსტრიულ საზოგადოებაში კარგად დაგეგმილმა მკვლევარებმა გამოძახილი ჰპოვა ამავე საზოგადოების მიერ შექმნილ რომანებში, პიესებსა და ფილმებში, რის შედეგადაც დეტექტიური ჟანრში უამრავი კრეატიული ნიჭის პატრონი მწერალი გამოჩნდა.

და აქ კი, თურქეთში, ანუ:

— აგრარულ საზოგადოებაში, სადაც ძირითადად სოფელი დომინირებს, ინტელექტუალური მკვლევარებიც ნაკლებად ხდებიან.

აბა, მაშ როგორი დანაშაული?

აქ შესაძლოა ეჭვიანობისაგან გონებადაბინდულ ქმარს დანა აელო, საქმის ყოველგვარი გარჩევის გარეშე ცოლისათვის გაეყარა და ამით მოემთავრებინა. ან ვიღაც ქუჩაში რომ გადაეყრებოდა თავის მოსისხლე მტერს, პისტოლეტი ამოედო და მთელი მჭიდი დაეცალა ისე, რომ ტვინი გაესხმევინებინა. სოფლებში კი, სადაც ჩხუბი და აყალმაცალი ძირითადად მინისა და წყლის გამო ხდება, ვილაცას ორლულიანი თოფისათვის დაეჯლო ხელი, ბალახებში ჩანოლილიყო და მტერს იქ დალოდებოდა...

— ყველამ იცის, ვინ ვინ მოკლა და რატომ. თუ მწერლებს ასეთი სახის მკვლევარები არ აინტერესებთ, სწორედ მათი ვულგარულობისა და ნაჯახივით პირდაპირობის გამო; ამიტომაცაა ჩვენს ქვეყანაში დეტექტივის წერის ხელოვნება დაბალ დონეზე.

ფაშუქს არ გაუკვირდებოდა, თუკი მკითხველს ერთი ნაკითხვით მოეწონებოდა ალთანის პირდაპირობა, ენამახვილი იუმორი და მის აზრებსაც მისაღებად მიიჩნევდა, მაგრამ... შედავებაც რომ შეიძლებოდა ამ მყიფე მტკიცებასთან?

ეს ლიტერატურული ჩანაწერი — „გაუხსნელი მკვლევარები და დეტექტიური ჟანრის რომანები“ — ცალკე სტატიაცაა და... ორიგინალური აღნაგობის წიგნის — „სხვა ფერები“ — სამოცდამეხუთე თავიც. და ორჰან ფაშუქის თხზულებათაგან ლამის აღარაფერი რომ რჩება უთარგმნელი, რაღა ეს წიგნი იქნებოდა ჩვენი მკითხველისათვის ხელმიუწვდომელი, და ხათუნა ბასილაშვილისა და გამომცემლობა „დიოგენეს“ მონდომებით მის ქართულ ვერსიასაც გავეცანით, ისეთ აზრებს, იდეებს, ხატებებსა და ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, რომლებიც ნობელიანტ მწერალს თავის რომანებში ჯერ არ აესახა.

და ეს ყოველივე აქ ერთი გრძელი ამბის სახით წარმოგვიდგება, თუმცა ჟანრობრივად საკმაოდ მრავალგვარია: ესეებიც შეგვხვდება, ლიტერატურული და პოლიტიკური სტატიებიც, მოგონებანიც, საჯარო გამოსვლებიც, დიალოგიც, მოთხრობაც...

განყოფილებებადაც შესაფერისად დანაწილებულიყო: „ცხოვრება და ვარამი“, „წიგნები და კითხვა“, „პოლიტიკა, ევროპა და თვითმყოფადობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები“, „ჩემი წიგნები ჩემი ცხოვრება“, „მხატვრობა და ლიტერატურა“, „სხვა ქალაქები, სხვა ცივილიზაციები“. და მათთან ერთად: „ჟურნალ „პარიზ რევიუსათვის“ მიცემული ინტერვიუ“, „მზერა ფანჯრიდან“ და „მამაჩემის ჩემოდანი“.

იდხანს ჰქონდა განზრახული, დაენერა წიგნი, რომელიც მხოლოდ ფრაგმენტებისად შედგებოდა — ისევე, როგორც ცხოვრება. და ცხოვრებასავით უსაზღვრო იქნებოდა და დაუსრულებელი.

და სწორედ „სხვა ფერები“ აღმოჩნდებოდა ასეთი წიგნი — გარკვეულ ჩარჩოში ჩასმული. მას ცენტრიც ექნებოდა და ბირთვიც, მაგრამ... მწერალი მის დამალვას შეეცდებოდა მკითხველისათვის, რადგანაც იმედოვნებდა, მკითხველს სიამოვნებას მოჰგვრის ამ ბირთვის წარმოდგენა რეალურ ცხოვრებაშიო.

იყო დრო, როდესაც ორჰან ფაშუქი ახალი თვალთ შეჰყურებდა საგნებსა და მოვლენებს, სამყაროს კი სიტყვების საშუალებით აღიქვამდა.

დრო გავიდოდა და მისთვის ლიტერატურა აღარ იქნებოდა სამყაროს შესახებ თხრობა, არამედ — სიტყვების მეშვეობით სამყაროს ხედვა.

ხოლო მწერალი თანდათანობით რომ იტყვს ენას და საკუთარ ხმას აგნებს, ამ იდუმალ პროცესს ფაშუქი ასე წარმოაჩენდა:

— ამისათვის მას მხოლოდ ფურცელი, კალამი და იმ ახალთვალახელილი ბავშვის ოპტიმიზმი სჭირდება, რომელმაც პირველად დაინახა სამყარო.

და ფრაგმენტებს სრულიად ახალი წიგნის შესაქმნელად მოუყრდა თავს, წიგნისა, რომელსაც ავტობიოგრაფიული ხასიათი მიენიჭებოდა.

საამისოდ კი:

მრავალ ნაწყვეტს გადაადგებდა, ბევრს შეამოკლებდა, თავისი ასობით სტატიიდან მარტოდენ მცირე ამონარიდებს შეარჩევდა, და რამდენიმე ესეისაც — მოთხრობის ქარგის

შესაბამისად — საკმაოდ უცნაურ ადგილას ჩასვამდა. მაგალითად, სამი გამოსვლის ტექსტს, რომლებიც თურქულ და სხვა მრავალ ენაზეც ცალკე წიგნად გამოცემულიყო, მათ შორის „მამაჩემის ჩემოდანს“ (ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვას), ლექციას, სახელწოდებით „ყარსა და ფრანკფურტი“ (გერმანიის მშვიდობის ჯილდოს გადმოცემისას ნაკითხულს) და „იმპლიციტურ ავტორს“ (პუტერბოს კონფერენციაზე წარმოთქმულს), ამ წიგნის სხვადასხვა ნაწილში მოათავსებდა, რათა მისი ავტობიოგრაფიული სულისკვეთება გაეძლიერებინა.

და რათა მკითხველს წიგნი აღარ აღექვა სტატიებისა და ავტობიოგრაფიული ჩანაწერების კრებულად, თავებად დაწყოფდა და გარეგნულ ჩონჩხს ასე წარმოადგენდა.

რა ხდებოდა — საკუთარი თავის რედაქტორად გვევლინებოდა?

მთავარია, რომ არანაკლები შემოქმედებითი ენთუზიაზმით მოჰკიდებოდა ამ საქმესაც, ვიდრე ამ თხზულებათა შექმნას: არც მაშინ დამიშურებია ძალ-ღონე და არც ამჯერად, მათი ამოკრება-დალაგებისას.

წიგნი ძველიც გახლდათ და... სრულიად ახალიც თვით მისი ყველაზე ერთგული მკითხველებისთვისაც, რაკილა ნაცნობი ფრაგმენტები ახლებურ გარსში სხვაგვარად, უფრო მიმზიდველ და მშვენიერ ფერებად რიალებდა.

კომპოზიციური ქარგა მეტად მკრთალია?

მოდერნისტულ რომანს სჩვევია სიუჟეტის ამგვარი სიფერმკრთალე, როგორც სტილური თავისებურება, მაგრამ... გულს რაღაც მაკლია, რაღაცის აღნიშვნა თითქოს აუცილებელი გახლდათ და ორჰან ფამუქს უნებურად გამოორჩენია, ან ეგებ ჰგონია, რომ ეს ისედაც ადვილი მისახვედრია?..

„სხვა ფერების“ მხატვრული ძალმოსილება მთელი თავისი შთამბეჭდაობით წარმოდგება ავტობიოგრაფიული რომანის — „სტამბოლი“ — გვერდით, როგორც მისი კომენტარები და ექსკურსები. და მას ქვესათაურად მიწეროდა კიდევ ასე — არამცთუ არა დააკლდებოდა რა, ყოველმხრივ გამართლებული აღმოჩნდებოდა მისი ფორმაც და დანიშნულებაც — შეეცხო ორჰან ფამუქის ის უდავო შედეგრი, მისი შემოქმედების გვირგვინი, თვითონ საუკეთესოდ „მე წითელი მქვია“ რომ მიიჩნია, და კიდევ „შავი წიგნი“, რომანს რომ ნაანერდა და რომანიც არის, მაგრამ არაერთი მკითხველი მონონებას ასე გამოთქვამდა: რა შესანიშნავია შენი სტატიების კრებული... დიახ, შეეცხო და გაეშალა ცალკეული ნაკადები თუ ნიუანსები და „სტამბოლის“ შინაგანი მონუმენტურობა უფრო კანთიელი და ცხადლივი გაეხადა მკითხველისათვის.


და თუ თვითონ არ ნაანერა ქვესათაური, დაე მკითხველის უფლებით ჩვენ ჩავერიოთ და, ტიტულზევე თუ არა, წარმოსახვაში ასე გავიზაროთ ამ წიგნის სრული სახელწოდება:

„სხვა ფერები („სტამბოლის“ კომენტარები და ექსკურსები)“; ანდა:

„სხვა ფერები (ვარიაციები „სტამბოლის“ თემებზე)“.

მისი რომანად შერაცხვაც უფრო გაგვიადვილდება.

თუმც მთავარი ისაა, რომ წიგნის თვითველ თავს მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ასობით სტატიიდან აგერ ამ ნიმუშსაც საგანგებოდ გამოარჩევდა, ფიქრს გაუხსნელ მკვლევარებსა და დეტექტიური ჟანრის რომანებზე, ჰადაჰა თურქულ ლიტერატურაშიც რომ უნდა მოეკიდებინა ფეხი.



გრაფომანიო, ასტეხოდენ ორჰან ფამუქს.

ის არც იწყებდა და არც იუკადრისებდა: ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემში ხარბი და დაუოკებელი არსება ბუდობდა, არსება, რომელიც ვერასოდეს კმაყოფილდება იმით, რასაც წერს და მის დასაშოშმინებლად და გასაბედნიერებლად გამუდმებით უნდა ვწერო.

წიგნის აწყობისას კი მიხვდებოდა, რომ ეს გრაფომანი გაცილებით ბედნიერი იქნებოდა და ტკივილითაც ნაკლებ დაიტანჯებოდა, თუ ისეთ რედაქტორთან მოუხდებოდა მუშაობა, რომელიც მის ნაწერებს რალაც ცენტრს, ბირთვის მოუძებნდა, ჩარჩოში ჩასვამდა და მეტ მნიშვნელობასაც შესძენდა.

ასეთ რედაქტორად... საბოლოოდ ისევ საკუთარ თავს დაიგულებდა.

ცენტრსა თუ ბირთვისაც მოუნახვავდა, ჩარჩოშიც ჩასვამდა და მნიშვნელობასაც მეტს შესძენდა... თუმც აი, ქვესათაური კი... არ არის ამჯერად სულერთი, ქვესათაური ნაწერება თუ არა... ეგაა, ვისთვის როგორ!..

შედავებაც შეიძლებოდა ამ მყიფე მტკიცებასთანო...

თვითონ აგერ მკითხველს შეახსენებდა სცილიელ მწერალს ლეონარდო შაშას, რომელიც რომანებში საკმაოდ წარმატებულად აღწერდა სოფლურ მკვლევარებს. და კიდევ დასავლეთში ჩადენილ უამრავ მკვლევარებს, ისეთივე მარტივსა და უხემს, როგორც ნაჯახით გოგრის გაპობაა.

ამ სტატიის გამოქვეყნებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ ჩეთინ ალთანი თავის დეტექტიურ მოთხრობებს გამოსცემდა, დაახლოებით იმავე სტილისას, რომელიც ამ ჟანრის დაბადების პირველ ეტაპზე იყო პოპულარული. ამ მოთხრობებზე ზეგავლენა კი ჯილბერტ კით ჩესტერტონის „მამა ბრაუნის საიდუმლოებანისა“ იგრძნობოდა. და ფამუქს სხვა რა ეფიქრა, თუ არა ის, რომ მათი გამოცემით ალთანმა შეგნებულად უარყო თავისივე ზედმეტად დეტერმინისტული განცხადება იმის შესახებ, რომ საზოგადოებამ არ მისცა თურმე მწერალს საკმარისი სასიცოცხლო გამოცდილება დეტექტიური რომანების საწერად.

ან ის როგორი გასაზიარებელი გახლდათ: ყველამ იცის, ვინ ვინ მოკლა და რატომ?..

თუკი არ დავივწყებით იმ ჭეშმარიტებას, მკვლევართათა უმეტესობას იმ იმედით სჩადიან, რომ ისინი არასოდეს გაიხსნებაო, — მაშინ ფამუქი ამ მოსაზრების გაბათილებასაც შეეცდებოდა.

— ოთხასი წლით ადრე, ვიდრე ჩეთინ ალთანი იმის მტკიცებას დაიწყებდა, ჩვენს კულტურაში იშვიათად ხდება ჭკვიანურად დაგეგმილი მკვლევარებიო, ოტომანთა სახელმწიფო (ის, რომელსაც ძველი თაობის ისტორიკოსები კლასიკურ ეპოქას უწოდებენ) გაუხსნელ მკვლევართა სიმრავლით იმდენად შეწუხდა, რომ სასამართლო სისტემის რეფორმირებისათვის სერიოზული ზომები მიიღო.

ოტომანთა სისხლის სამართლის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას რომ უთმობდა გაუხსნელ მკვლევარებს, მატერიალური ზარალის ანაზღაურებას სახელმწიფო კისრულობდა, ხოლო მოქალაქენი პასუხს აგებდნენ მათ მახლობლად ჩადენილ მკვლევარებზე. და ეს უნებლიე პასუხისმგებლობა თავიდან რომ აეცილებინათ, ყოველთვის ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ ნებისმიერი ხმის გაგონები-

სას ან საეჭვო მოძრაობის დანახვისას; და იქამდეც კი, რომ ეს ყოველივე პარანორმალურ შიშშიც შეიძლება გადაზრდილიყო, მკვლელი თუ ვერ იპოვნეს, ბრალს მე წამომიყენებენო.

ფამუქს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პასუხისმგებლობის ასეთი გრძნობა დღესაც თვალნათლივი გახლდათ სტამბოლის მოსახლეობაში, თუმც მას უკვე ათი მილიონისათვის მიეღწია.

— შეიძლება ეს გრძნობა მავანს ძველად მკვლელობისათვის დანესებული გადასახადის გამოძახილად მოეჩვენოს, მაგრამ, მორალური თვალსაზრისით, ასეთ დამოკიდებულებას — სადაც ყველა ყველაფერზე პასუხისმგებელია — დოსტოვესკი მთელი გულითა და სულით მოინონებდა.

მაგრამ მწერალი არც იმის დაფარვას აპირებს, რომ დღევანდელ სტამბოლს — ისევე როგორც მთელ თურქეთს — მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს მიერ შეკვეთილი მკვლელობების მხრივ, რომ ალარაფერი ითქვას ნამების ფაქტებზე, აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასა და ადამიანის უფლებათა გამუდმებულ დარღვევაზე.

ფამუქი ამჯერად არც ამ მდგომარეობის შესწავლას მოინდომებდა და არც მის ახსნას. ეგაა, არ სურდა ერთი კულტურული ნაკლი მეორის საშუალებით აეხსნა. ყოველ ასეთ მოვლენაში შეიმჩნეოდა რაღაც, რაც ბოლომდე ჰკლავდა თურქებში პოეტურ სულს.

ასეთი დუმილი მას ზოგჯერ ახსენებდა სემუელ ბეკეტის სიტყვებს: სათქმელი არაფერიაო, — რათა შემდეგ უსათუოდ დაემატებინა: სათქმელი მეტისმეტად ბევრიაო.

ფამუქს ძალიან კარგდა ესმოდა ივან ტურგენევისა, თუ რატომ გადაწყვიტა დაევიწყებინა ყველაფერი რუსეთთან დაკავშირებული და რატომ უწყერბოდა ყველა ადამიანს, ვინც მასთან რუსეთზე კრინტის დაძვრას გაბედავდა... თუმც თვითონ, ყველაფრის მიუხედავად, ხშირად ფიქრობდა: თურქეთში უნდა დავრჩე, ერთ ოთახში გამოვიკეტო, ჩემს წარმოსახვით სამყაროში ვიმოგზაურო და იმ წიგნს ვუტრიალო, რომელსაც მომავალში დავწერო.

1978-82 წლებში, როდესაც პოლიტიკური ძალადობა, რეპრესიები, წამება და აკრძალვები უკიდურესობას მიაღწევდა მის სამშობლოში, ასეც მოიქცეოდა — საკუთარ ოთახში გამოიკეტებოდა და ახალი ამბის — ახალი ალეგორიებით, იდუმალებით, დუმილითა და ისეთი ხმით, რომლითაც ჯერ არცერთ ამბავში არ ესაუბრა — შეთხზვას გადაწყვეტდა.

— რა თქმა უნდა, ახალი ამბის შეთხზვა სჯობს ისტორიის თავიდან დაწერას, რომელსაც იმიტომ წერ, რომ ერთი ნაკლი სხვა ნაკლით ახსნა. როდესაც ასეთ მოგზაურობაში მიემგზავრები, საჭირო არ არის ზუსტად იცოდე, საით მიდიხარ; უბრალოდ, უნდა იცოდე, სად არ გინდა მიხვიდე.

მაინც როგორ მუშაობდა ალეგორიებსა და ბუნდოვან ადგილებზე?

მამ ჩაკეტილი ოთახის სივრცე და სიმბოლიკა შესაფერისად გაგვაზრებინა.

და მწერალი გაიხსენებდა თავისი ფრანგი თანამოკალმის გასტონ ლერუს რომანს „ყვითელი ოთახის საიდუმლოება“, უკვე თურქი მკითხველისთვისაც რომ გამხდარიყო ხელმისაწვდომი. საერთოდ კი მას ყველაზე მეტად სხვა თხზულების — „ოპერის ფანტომი“ — წყალობით იცნობდნენ.

„ყვითელი ოთახის საიდუმლოებას“ დეტექტივების მოყვარულნი „ჩაკეტილი ოთახში“ მომხდარი მკვლელობის პირველ და ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად მიიჩნევენ.

კარი იმ ოთახისა, სადაც მკვლელობა მოხდა, ჩაკეტილია. დანაშაულში რამდენიმე პირია ეჭვმიტანილი.

მკვლელობის შემდეგ ადამიანი, ვისაც თავსატეხთა ამოსხნის საუკეთესო ალლო აქვს, სწავლობს ამ შემთხვევას და მკვლელობის მოტივებს ადგენს.

ამასთან, ფამუქს ისიც ახსენებოდა, რომ ამ რომანის დაწერიდან 70 წლის შემდეგ გამოვიდოდა ესპანელი ავტორის მანუელ ვასკეს მონტალბანის წიგნი — „მკვლელობა ცენტრალურ კომიტეტში“, რომელიც ცხადყოფდა, რომ ჩაკეტილი ოთახში მკვლელობა მრავალნაირად შეიძლება მოხდეს და ამგვარ მოტივზე სრულიად განსხვავებული ნაწარმოებებიც აიგოს.

„ჩაკეტილი ოთახი“ ამ პოლიტიკურ დეტექტივში ერთ-ერთი პარტიის (ფამუქის შეტყობით: კომუნისტურის) სათათბირო დარბაზს წარმოადგენს და სინათლის ჩაქრობის შემდეგ პარტიის გენერალურ მდივანს ჰკლავენ.

იქ მიდის გამომძიებელი, რათა თვითეული ეჭვმიტანილი ინდივიდუალურად დაკითხოს.

ფამუქის თვალში ასეთი დაკითხვა ადასტურებს, რომ ჩვენ კონკრეტული დანაშაულის გამო ერთპიროვნულად ვართ პასუხისმგებელი ცენტრალური სამთავრობო ორგანოების წინაშე. ჩაკეტილი ოთახის მაგალითზე ჩანს, რომ ჩვენს სიახლოვეს ჩადენილი დანაშაულის გამო ჯგუფური პასუხისმგებლობა სულაც არ გვეკისრება, არც უბანია მასში დამნაშავე და არც მთელი საზოგადოება. ჩვენ ბრალი გვედება როგორც ინდივიდებს, ან საერთოდ გვეხსნება ყოველგვარი ბრალდება.

— სამყარო, რომელშიც ჩვენ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე ვაგებთ პასუხს, ნამდვილად შორს არის იმ მაღალი მორალის სამყაროსაგან, რომლის შექმნაზეც დოსტოვესკი ოცნებობდა.

რატომ გაემახვილებინა ყურადღება მაინცდამაინც ჩაკეტილი ოთახზე?

რატომ და:

თუკი არ გვეცოდინება ის მაღალი პრინციპები, რომლებზეც ჩვენი წარსულის გაგებაში დაგვეხმარება, მას მხოლოდ ალეგორიის მეშვეობით თუ დაუუკავშირდებით. ამისათვის კი ჩაკეტილი ოთახში მომხდარი მკვლელობის ახალი ვერსია დაგვეჭირდება, აქ მხოლოდ მაგალითად რომ არის მოხმობილი. ახალ ვერსიაში მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ოთახის პატრონს, მეზობლებსა და ნებისმიერ იმ პირს დაეკისრება, რომელთაც მომაკვდავის ყვირილის გაგონება შეეძლო.

რალა ასეთი რამის დაშვება და რალა ჭადრაკის თამაშში ახალი წესების შემოტანა!..

მაგრამ ფამუქისათვის მთავარია, როგორ იმოქმედებს მკვლელი ან კრიმინალი ამ ახალ სისტემაში. მისამალად ან ერთპიროვნული პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად იმოქმედებს იმ ვარაუდით, რომ ნებისმიერი ახლომახლო მცხოვრები ან მახლობლად მყოფი პირი პასუხისმგებელია მის მიერ ჩადენილ მკვლელობაზე.

და ახლა დაე ჩეთინ ალთანის თეორიას დავბრუნებოდით, ჩადენილი დანაშაულზე პასუხისმგებლობა კულტურას ეკისრებაო.

— მაგრამ თუ ამის მიუხედავად, ალეგორიებს, ბუნდოვანებასა და ახალ გაურკვეველ ხმებს მივმართავთ (რომლებიც ჯეროვნად არც კი ვიცით, როგორ ავხსნათ), სულ ცოტა, იმ ნაკლთა და განსხვავების შესახებ წერას მაინც ავარიდებთ თავს, მარცხამდე რომ მიგვიყვანა.

და წამოეშლებოდა სიჭაბუკისდროინდელი განცდები და, მათ შორის, ის დაუოკებელი ცნობისწადილიც, რომ სურდა ყველაფერი სცოდნოდა და გაეგო, ამისთვის კი ალთანის მსგავს ჟურნალისტთა ნაწერებს დიდი გატაცებით კითხულობდა.

სწორედ მაშინ დაებადებოდა აზრი, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც მწერალი გახდებოდა.

ეგაა:

— მწერლობაზე სხვა მეოცნებეთაგან განსხვავებით, იმაზე არ მიფიქრია, რაზე უნდა მწერა; იმაზე ვფიქრობდი, რა პოზიცია უნდა ამერჩია.

მოდერნიზაციას ნაკლებ მიიჩნევდა ნამდვილ მწერლებად: წერა მათთვის თავდაცვის საშუალება უფროაო.

აი, განმანათლებლები სულ სხვანი მოჩანდნენ, რადგანაც ცდილობდნენ თვითონაც ყველაფერი გაეგოთ და მკითხველისთვისაც ყველაფერი ეჩვენებინათ.

ახლა, ამ გადმოსახედიდან?

ველარცერთ მიმართულებას სრულყოფილად ველარ მიიჩნევდა, ის კი არა, ორივე საკმაოდ რთული მოეჩვენებოდა. და ეს იმიტომ, რომ საზოგადოებაში, სადაც ისედაც ძალზე ბევრი დემონი ტრიალებდა, მოდერნიზმის დემონისათვის ადგილი აღარ რჩებოდა. განმანათლებლობის ეპოქის მწერლები კი დემონებთან სასაუბროდ სახელმწიფო ძალაუფლებისა და ხელისუფლების მამებელ პოლიტიკას ირჩევდნენ.

სხვა მწერლებისაგან ალბათ ორჰან ფამუქიც არ განირჩეოდა: ჩვეულებრივ ცნებათა გამოყენებით არ შეეძლო ყველაფრის თქმა, ამიტომაც იყენებდა ალეგორიებს; მაგრამ წუნწუნით არ წუნწუნებდა და საკუთარ თავს იღბლიანად მიიჩნევდა, რადგან:

— ჩემს ქვეყანაში ალეგორიები ფილოსოფიაა და ხალხს მოთხრობებისა უფრო სჯერა, ვიდრე თეორიებისა.

გაუხსნელ მკვლევართა და დეტექტიური ჟანრის რომანებზე სიტყვის ჩამოგდება მწერალს იმისათვის დაესაჭიროებინა, რომ გასაღები მიენდებინა მკითხველისათვის მისი რომანების — „შავი წიგნი“ და „მე ნითელი მქვია“ — ფორმის თავისებურებაში გასარკვევად, ორივეგან დეტექტიურ სიუჟეტს რომ მოიშველიებდა, თავისთავად საკმაოდ მძაფრსა და ჩახლართულს, — დოსტოვესკივით უფრო მოიქცეოდა, მისი „დანაშაულისა და სასჯელის“ და „ძმები კარამაზოვებისა“ არ იყოს, პირწმინდად დეტექტივის შექმნას კი გაერიდებოდა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თუნდა ამ მცირე სტატიისაშიც წამდაუნწმ ახსენებს ფიოდორ დოსტოვესკის.

საგულისხმოა მისი ეს აღიარებაც: როდესაც „შავი წიგნი“ გმირის, შურნალისტ ჯვალალ სალიქის პერსონაჟს ვკმნიდი და მის მაგივრად სტატიებს ვწერდი, ძალიან ვცდილობდი იგი იმდროინდელ შურნალისტთა მსგავსი არ გამომსვლოდა, რომელნიც ისეთივე ცნობილი იყვნენ, როგორც ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსებიო.

ასე რომ, ამ გავლენიან მწერალთა აჩრდილიდან თავის დაღწევას ესწრაფოდა. ყველაზე მეტად კი იმისი ეშინოდა, მისი გმირი... ჩეთინ ალთანს არ დამგვანებოდა, ვინც მრავალი სკანდალის გამოისობით უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ყველაზე ცნობილ შურნალისტად გამოიკვეთებოდა თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

არადა, მის წინააღმდეგ სამასამდე საქმე იყო აღძრული და სიჭაბუკეში ფამუქიც მას თავის ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ და ლიტერატურულ გმირად აღიარებდა.

მოსწონდა, რომ საკუთარი ქვეყნის კრიტიკისას ალთანი მკითხველს არ მოუთხრობდა რაღაც ეშმაკებზე, როგორც ყველაფრის მიზეზზე, არც მზა რეცეპტებს სთავაზობდა, ქვეყანას ერთ ლამეში ყველა პრობლემას რომ მოუგვარებდა. და რეჟიმზე მეტ ყურადღებას თურქულ კულტურას აქცევდა, რომელსაც საკმაოდ ირონიულად უმზერდა — მის ყოველდღიურ ჩვევებს, აზროვნების სტილს, მის თვალთმაქცობას — და სწორედ მას მიაწერდა ქვეყნისა და ერის ყველა სატკივარს.

— ალთანი იმ ადამიანებისათვის გასაგები ერთ წერდა, რომელთაც ყველაზე მეტად აცოფებდათ იგი, რადგან იცოდა, რომ სწორედ ისინი იყვნენ მისი მკითხველები.

ამ დახასიათებისას ცნაურდება ფამუქის პიროვნული ხასიათის ზოგიერთი თვისების მსგავსება ალთუნის ბუნებასთან, სიჭაბუკეში სრული დამგვანებაც რომ ეოცნებებოდა, მაგრამ მერე და მერე კიდევ უნდა დაშორებოდა მსოფლხედ-

ვითაც და აზროვნების მანერითაც და დეტექტიური ჟანრის ირგვლივ მსჯელობა მისთვის საბაზი უფროა ამ დაშორების გამოსაკვეთად; ამასობაში კი ამ ჟანრის რომანთა თურქული ნაირსახეობის ზოგადი იერი და კონტურებიც წარმოჩნდებოდა, თვითონაც რომ მიუძღოდა წვლილი მის დასამკვიდრებლად, თუმც თავს არ იტყუებდა და აღიარებდა, რომ დეტექტივი მისთვის მთლად ბუნებრივი არ გახლდათ.

1998 წლის 30 ნოემბერს თვითმფრინავით მგზავრობისას უეცრად რომ მძაფრად წამოაგონებოდა „მე ნითელი მქვია“ და იმწუთიერ განცდებს სახელდახელოდ ჩაინიშნავდა, გამოტყდებოდა, რომ როდესაც ამ რომანს ამთავრებდა, მისი იდეალური სიუჟეტი, დეტექტიური ამბავი რაღაც ნაძალადევიდ მოეჩვენებოდა და... მიხვდებოდა, რომ ამ ნაწილში გული არ ჩაედო.

— მაგრამ რამის შეცვლა უკვე გვიანი იყო.

თავიდან ეგონა, მშვენიერი მინიატურების ჩემეული აღწერა არავის დააინტერესებს, თუ არ მოვიგონებ რაიმე ხერხს, რომლითაც მკითხველს მათში შევიტყუებო. მაგრამ ამგვარი დამოკიდებულება (ისლამის მიერ სახვით ხელოვნებაზე დაწესებულ აკრძალვათა გამოისობით) მათ სამყაროზე, მათ ლოგიკასა და სისათუთეზე თავდასხმად გადაიქცეოდა. ეგებ თანამედროვე მკითხველს არ მოეხსენებოდა, მაგრამ დაე ამიერიდან სცოდნოდა, რომ ისლამური რელიგია ისტორიულად არატოლერანტული გახლდათ მხატვრობის მიმართ, ეწინააღმდეგებოდა მის შემოქმედებითობასა და საგანთა და მოვლენათა ვიზუალურ გამოსახვას.

ამიტომაც შეიჭრებოდა პოლიტიკურ-დეტექტიური სიუჟეტი ფამუქის მხატვარ-მინიატურისტთა საბრალო ცხოვრებაში, რაც, მეორე მხრივ, რომანს ადვილად წასაკითხს გახდიდა.

ამისათვის კი მწერალი... ბოდიშს მოუხდიდა თავისივე შექმნილ მინიატურისტებს — მკითხველის მოსაზიდად გაგიმეტეთო.

პოლიტიკურ-დეტექტიური სიუჟეტის შემოჭრა „შავ წიგნსაც“ არანაკლებ ადვილად წასაკითხს გახდიდა.

თუმც ნეტა ამისათვის ვილას მოებოდიშებოდა ორჰან ფამუქი?

მთავარ გმირს რომ არა, ეს ისედაც ცხადია, უკვე სულ სხვა თვალთ რომ განსჯიდა ჯვალალ სალიქის პროტოტიპს ჩეთინ ალთანს, ვისაც ეგონა, თურქულ ლიტერატურაში დეტექტიური ჟანრი ანკი როგორ განვითარდებოდა, როდესაც აგრარულ საზოგადოებას წარმოვადგენთ და ჭკვიანურად დაგვემილი, ინტელექტუალური მკვლევლობები ჩვენში ნაკლებად ხდებოა.

ორჰან ფამუქი აგერ ოტომანთა სისხლის სამართლის კოდექსით დაარღვევდა ამ დებულებას, რათა ჩაკეტილი ოთახის თეორიით საბოლოოდ დაესამარებინა; და თუ თვითონ ვერ შექმნიდა თავისივე თეორიის სრულქმნილ მხატვრულ ილუსტრაციას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ თურქული ლიტერატურა ან საერთოდ აცდებოდა, ანდა მხოლოდ გაეხახუნებოდა დეტექტიური რომანის ჟანრს.

დაე ალეგორიის ფილოსოფიას მოსჭიდებოდნენ და საამისოდ ჩინურ, ინდურ და სპარსულ ფოლკლორს დასწავებოდნენ, „შავი წიგნის“ ლიტერატურული წყაროებისა არ იყოს, ეს ყოველივე დადასტურ კოლაჟად რომ უნდა გარდასახულიყო მოხდენილი შერწყმის წყალობით... და მერე თუგინდ დეტექტიური სიუჟეტიც დაგემატებინა და ამჯერადაც სინანულს შეეწუხებინე, რაღაც ნაძალადევი გამოვიდა, ეტყობა, ამ ნაწილში გული არ ჩაედო.

თურქეთშიც მკითხველს ისევე უფრო სჯერა მოთხრობებისა, ვიდრე თეორიებისა, როგორც ყველგან დედამიწის ზურგზე.

ლავანდის ნისლი... წითელი ღრუბლები

(მამა ჯიბლაქის
ნათესაობა
გუბა კოტატიშვილი)

— გუბა, ბედნიერება იცხოვრო ნინაპრის სახელობის ქუჩაზე და ამავე დროს გარკვეულწილად პასუხისმგებლობაც არის?

— გარკვეულწილად რა თქმა უნდა ბედნიერებაა, სადღაც გავალდებულვარ და რაღაცებში გზულდავს. მითუმეტეს, როდესაც ის ადამიანი საამაყო და ქუჩასაც მისი სახელი ჰქვია. მანამდე, სანამ ჩვენი სახლი დაინგებოდა ეს იყო სახლი საკუთარი ისტორიითა და ნივთებით. თბილისის ომის შემდეგ მოსკოვიდან ჩამოვედი და დავრჩით უსახლკაროდ. მეც და ვახუშტისაც ერთი და იგივე განცდა დაგვეუფლა. არაფერი დარჩა იმისაგან, რაც წარსულთან გაკავშირებს. თითქოს თავისუფლდები მოვალეობისგან, რაც უნდა გიყვარდეს — ბაბუას სახლი, მისი ნივთები, კერა აღარ არის, უცნაური შეგრძნებაა. ჯერ ხომ სტრესია, მაგრამ ხვდები რომ სრულიად თავისუფალი ხარ, არაფერი გაკავებს, სადაც გინდა ნახვალ. მეზობლებმა — ზალიკო ქიქოძემ და ვინა ნადირაშვილმა — ბაბუას ქანდაკებების, ნახატების და სავარძლის გატანა მოასწრეს სახლიდან, მაგრამ ეს გავიგეთ სამი თვის შემდეგ, მანამდე ვიცოდით, რომ ვახუშტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი სიღამონ-ერისთავის მიერ დახატული მამის პორტრეტი დაინვა, მამა რომელიც არც ახსოვდა და მთელი ბავშვობის მანძილზე ეუბნებოდნენ: აი, მამა გიყურებსო, — და ეს პორტრეტი დაინვა. მართლაც საოცარი პორტრეტია, ჩვენთვის ყველასთვის მნიშვნელოვანი. სამი თვის შემდეგ მეზობლები შემოვიდნენ და გაიკვია, ეს პორტრეტიც და ნივთებიც გადარჩინილიყო. გამახსენდა ფელინის „რვანახევარი“, რეჟისორი რომ მიფრინავს და პროდიუსერები ფეხზე ექაჩებიან: შენ ისევე აქ უნდა იყო და სხვა გზა არ გაქვსო. დაახლოებით ამ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როდესაც გვითხრეს: მერია ააშენებს სახლსო. რაღაც ხანი თავისუფალი ვიყავი. ასეთი ისტორია აქვს ამ სახლს.

90-იანი წლები ცუდად არ მახსენდება, მაშინ დავინწყე ჩანთების კერვა, ავეჯის კეთება. აკადემიაში სწავლისას სულ დაკავებული ვიყავი, მაგრამ ეს სხვა არის. მოსკოვში ორი დღით ნავედი გამოფენაზე. ამ დროს თბილისში ომი დაიწყო. ფრენა შეწყდა. 6 იანვარს მატარებელი ჩამოვედი. დამხვდა მარტო კედლები და ჯერ კიდევ ცხელი ნაცარი. სკოლა, მეგობრების სახლები აღარ არის, რაც კი ბავშვობას გაკავშირებდა, გაქრა, პარლამენტი იწვის. ვფიქრობ, რა ვქნა, გამოსავალი როგორ ვიპოვო? მაქვს მეგობრის მიერ ნაჩუქარი 100 დოლარი და ერთი ნივთი, მეტი არაფერი. ვიფიქრე, 100 დოლარი რომ დავახურდავო, უცებ გაქრება, ჯობია 200 დოლარად ვაქციო, და დავინწყე ჩანთების კერვა, რომელიც მოლაში შემოვიდა. მაშინ მივხვდი, რომ თბილისი ისეთი ქალაქია, სადაც ქალები, მიუხედავად მდგომარეობისა, ყოველთვის კარგად გამოიყურებიან. 60 ჩანთა ხელით შევკერე. 30 დოლარად იყიდებოდა. ის დრო კარგად მახსოვს, ურთიერთობები უფრო მჭიდრო იყო. გაჭირვებას რაღაც პლიუსები აქვს. იყო საუბრები სანთელთან და საინტერესო საღამოები.

— სკოლის პერიოდში ხვდებოდით, ცნობილი და კარგი ოჯახიშვილი რომ იყავით?

— ამ ყველაფერს ახლა უფრო ვაანალიზებ, მეგონა, ყველა მამა ისეთია, როგორც ვახუშტი იყო. პატარაობისას მეუბნებოდნენ, რომ ასეთი ბაბუის შვილიშვილი და ასეთი მამის შვილი ხარო, მაგრამ მაინც პატარა ხარ და მოვლენებს ისე ვერ აღიქვამ. შენ გიყვარს მამა ერთია, მაგრამ სხვასაც რომ უყ-

ვარს და აფასებს... მერე გავარკვიე, რომ ყველას არ ჰყავს თურმე ისეთი მამა, როგორც ვახუშტია.

— პოეზია გიყვარდათ?
— ვახუშტი თვითონ მიკითხავდა ლექსებსა და მოთხრობებს. ლიტერატურულად არ ვარ ვახუშტის გზის გამგრძელებელი, სხვა სფეროთი ვიყავი შემოფარგლული. მის გემოვნებას ლიტერატურასა და პოეზიაში ძალიან ვენდობოდი. კარგად მახსოვს, სამი წლისა მამას მუცელზე როგორ ვენეჭი და „პატარა პრინცს“ როგორ მიკითხავდა. მეხსიერებას რაღაც აქცენტები შემორჩა. რასაც მიკითხავდა, ეს იყო რჩეული ლექსები — ქართული, რუსული, სპარსული თუ ავსტრიული... ზოგიერთი ლექსი დღემდე მეც ზეპირად მახსოვს.

— წიგნების კითხვას გაძალბებდათ?
— ვახუშტი არა, უფრო დედა.
— ხატვისკენ როდის გაჩნდა ინტერესი?
— პატარა ვიყავი. ყველა ბავშვი ხატავს. დედა ამბობდა, გუბა მხატვარი უნდა გამოვიდესო. პაპა ლიტერატორი იყო და თან მხატვარი და მოქანდაკეც, ჩემთვის ეს სახლი იყო მუზეუმი, ვუყურებდი პორტრეტებს, ყველაფერი მისი გაკეთებული მეგონა. სხვათაშორის გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, ჩემს შვილზეც გარემომ და აღზრდამ იმოქმედა. ტატო საკმაოდ ნიჭიერი ოპერატორია. სახლში საოცარი პალიტრა ჰქონდა, ფაიფურის ნამტკრევევები და ბევრი საჭირო ნივთი. ასეთი გარემო და ესთეტიკასთან შეხება თავისთავად გემოვნებას გიყალიბებს. ტატო კარგად ხატავს, ახლა ფილმს იღებს და ხატვას თავი დაანება.
— მამას არ სურდა ლიტერატორი გამხდარიყავით?
— არა, სრული თავისუფლება გვქონდა. ჩემი ძმა რეჟისორი გამოვიდა, მე მხატვრობა ვარჩიე.

— კარგად მახსოვს ბატონი ვახუშტის ფოლკლორის შესანიშნავი საღამოები, ტელევიზიით ეთერში კვირაობით გადიოდა და როგორი ინტერესით ელოდებოდა მაყურებელი ამ დღეს, საიდან დაიბადება მსგავსი იდეა?

— შევარდნაძის დროს საქართველოში მტკივნეული საკითხი დადგა, ქართულ ენას დაგვიტოვებდნენ თუ არა, არ ვიცოდით. დედენის ძეგლთან დიდი დემონსტრაცია გაიმართა. ერთი სიტყვით, გავიმარჯვეთ. სახელმწიფო ენა ქართული დატოვებს და არა რუსული. ზუსტად ერთი წლის თავზე — 14 აპრილს — ჩატარდა ფოლკლორის პირველი საღამო. კარგად მახსოვს, ჩემს ძმასთან ერთად ბეთანიაში ვიყავით და იქედან პირდაპირ ფილარმონიაში მოვედით. მე დაახლოებით საქმის ყურში ვიყავი, ვიცოდი როგორი საღამო იქნებოდა, გლეხებს ლექსები რომ უნდა წაეკითხათ, მაგრამ დანარჩენებმა არ იცოდნენ, რა მზადდებოდა. მოგესხნებათ, არაჩვეულებრივი გამოვიდა, მახსოვს ხალხის პანორამა. მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ტიროდა. ტელევიზიას ეს კადრები წაეშალა, რაც ძალიან გულდასაწყვეტია, რაღაც ნაწილი დარჩა.

— ბატონი ვახუშტი როგორ და სად პოულობდა ამ ხალხს?

— იმხანად ფილარმონიის დირექტორი დორიან კიტია გახლდათ, მან გამოიყო მანქანა ვახუშტისა და მის მეგობარ თენგიზ მირზაშვილს, ეს საღამოები მათი ერთობლივი იდეა იყო. გადაცემამ შემდეგ პოპულარობა მოიპოვა და რაიონში საღამოების ჩატარებისას ხალხი უკვე თვითონ მიდიოდა და საკუთარ შემოქმედებას აცნობდნენ. ვახუშტისთან სიცოცხლის ბოლომდე მოჰქონდათ ლექსები, იყო შემთხვევები, ასაკოვანი ქალბატონები სიყვარულზე ლექსებს წერდნენ და ვახუშტის უზიარებდნენ, ისიც კითხულობდა, სხვა რა გზა ჰქონდა.

— ვახუშტი კოტეტიშვილმა, ვფიქრობ, ყველაფერს მიანდნია, იყო ცნობილი პიროვნება, ქალაქში კოლორიტული ფიგურა, მეგობრების შესანიშნავი წრე ჰყავდა, თითქმის ყველაფერი, რაც კი შეიძლება ადამიანმა ინატროს. თავს ბედნიერად მიიჩნევდა?

— რა გითხრათ, იმის ფონზე, რა ბავშვობაც ჰქონდა, არ ვიცი, რამდენად ბედნიერი იყო. დედა მის მშობიარობას გადააყვია, ორი წლისა იყო, მამა რომ დაუხვრიტეს, 14 წლის დამ გაზარდა. მერე შვილი გარდაცვალდა, სახლი დაენვა. ბევრი რამ

გადაიტანა. გულგატეხილი უფრო ბოლოს იყო, ყელი ანუხებდა, წითელი ქარი დაემართა, ფილტვების პრობლემა ჰქონდა. ბოლომდე მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა. სიგარეტს ეწეოდა და ჩუმად ვისკისაც სვამდა.

— თვითონ ამ ტკივილს იხსენებდა თუ დახურული თემა იყო?

— დახურული თემა არ ყოფილა, მოგვიანებით დანერა ავტობიოგრაფიული წიგნი „ჩემი წუთისოფელი“ და იქ მოჰყვა საკუთარი ამბები. ეს ჩვენი ოჯახის ისტორიის თემებია, რომელსაც ბავშვობაში სულ ვისმენდი, ვახუშტი სხვა თვალთ უყურებდა ამ თემებს. ამას წინათ ლევან აბაშიძესა და ჩემს ძმაზე ინტერვიუში ვთქვი, გარდაცვლილ ადამიანზე ხომ ასეთი მიდგომაა: საწყლები, აღარ არიან... და ასე შემდეგ. გასაგებია, ადრე წასული ადამიანი ტრაგიკულია, მაგრამ მე მათ ასე ვიხსენებ — რა კარგია, რომ ისინი არსებობდნენ და ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მათთან ერთად გავატარე. ამრიგად, ტკივილზე არ ვლაპარაკობ, არც მამას არ მოჰქონდა ტკივილიანი მოგონებები.

ვახუშტი 7 აგვისტოს გარდაიცვალა, 8 აგვისტოს ომი დაიწყო. დაკრძალვა ომის დამთავრების შემდეგ, რუსთაველზე გაუგებარი გამარჯვების ზეიმის დღეს დაემთხვა. მისი მეგობრები ამბობდნენ, შინიდან რომ გავასვენოთ, ბევრი ხალხი მოვა და გაუძნელდებათ, ვინრო ქუჩაა და ქაშუეთიდან ჯობიაო. მეც დავეთანხმე. გამოსვენება სამ საათზე იყო. რუსთაველი საგსა და ეს კონცერტიც სამ საათზე იწყება, იმდენი ხალხია, რომ რუსთაველზე ზევით ვერ ავდივართ, ქვედა ქუჩით ჩავიყვანეთ, დასაფლავებაზე ცოტა ხალხი იყო. გამოასვენეს ვახუშტი და დაიწყო ჰიმნი „სამშობლო“... რაღაც ორმოცდაათი კაცი მიყვებით პროცესიას. საოცარ სიჩუმეში უცებ ეს ჰიმნი სიმბოლური იყო. ვახუშტი შვიდ აგვისტოს კი არა, წესით ოთხში უნდა გარდაცვლილიყო. ეს სამი დღე ძალით ვაბრუნებდით, არ ვუშვებდით, მოკლედ, ადამიანს ვასვლის უფლება უნდა მისცე. დედამისიც შვიდ აგვისტოს გარდაიცვალა, მშობიარობიდან სამ დღეში, ორივე ერთსა და იმავე დროს, საოცრებაა, გინდა შემთხვევითობა დაარქვი და რაც გინდა, რეალობა ესაა.

— შთამბეჭდავი ამბავია, გნამთ სხვა სამყაროში ცხოვრების გაგრძელების?

— ცხოვრება რაღაც განზომილებაში რომ გრძელდება, ეს მჯერა, ოღონდ როგორ და რანაირად, არ ვიცი. თუნდაც სიზმარი ხომ განსხვავდება რეალური სამყაროსგან, მაგრამ იქ რომ ხარ, ხომ ძალიან რეალურია. უფრო დადებითი შეხედულება მაქვს ამ საკითხზე, საერთოდ ყველაფერზე უფრო დადებითი შეხედულება მაქვს. ვიღაც არარელიგიური პიროვნება ეკლესიას იმისთვის რომ ააშენებს, იქნებ ჩათვალოს ღვთის წინაშე, ეს უკვე სიყალბედ მიმაჩნია. სწორი ცხოვრების წესით უნდა იცხოვრო. ჩემთვის ეს ყველაფერი ზღაპარია. საერთოდ ზღაპრები, ბერძნული მითოლოგია მიყვარს. ჩემს შვილს ძილის წინ ზღაპრებს ვუყვებოდი, ვიგონებდი. მახსოვს ერთხელ დავიღალე და ვახუშტის ვუთხარი: მამა ხომ ხარ, თან ფოლკლორისტი, დამეხმარე, ნაუკითხე ბავშვს ზღაპარი-მეთქი. მან მიპასუხა ძილის წინ ქართული ზღაპრის მოყვლა ბავშვისთვის არ შეიძლებაო.

— შემოქმედ ადამიანს და მითუმეტეს მხატვარს საკუთარი სამყარო აქვს, გარემოს, ფერებს განსხვავებულად აღიქვამს. თქვენ როგორ განმარტოვდებით სამყაროსგან?

— მუსიკით, ბუხრით, სიმშვიდით და მარტოობა მიყვარს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვახერხებ, ბევრი საქმე მაქვს და თითქმის სულ ესკიზზე ვფიქრობ, სულ რაღაც ახალს ვიგონებ და ეს ეიფორია მომწონს.

პოლიტიკურ პროცესებში ჩართული არ ვარ, ფეისბუკით ვიკვებ ახალ ამბებს, არც მცალია, თუ ჩაებმები პოლიტიკაში, მაშინ უნდა იმოქმედო, ლაპარაკის დონეზე არ უნდა დარჩე,



გუგა კოტეტიშვილი და მაკა ჯიბლაძე

დღის გარკვეულ ნაწილს ამ პრობლემას თუ უთმობ, მაშინ რაღაც უნდა მოიმოქმედო. კრიტიკის და ჭორაობის დონეზე საქმის კეთება ჩემთვის წარმოუდგენელია. მიმაჩნია, რომ პოლიტიკა რთული სფეროა და არც მესმის. ამ სფეროს სწავლობს ხალხი. საკუთარ თავზე ამ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ, რადგანაც არ ვიცი. ყველა პოლიტიკოსი გახდა. ვილაცამ საკუთარი საქმე უნდა აკეთოს, არ შეიძლება ყველა ამით დაკავდეს. მე მაქვს ჩემი საქმე და ვერც ბანკში დავჯდები და ვერც ოფისში, ამას მიჩვევია, რაღაც სიმძიმე ვატარებ და ამით ვიშვოვო ფული. დიზაინზე, მხატვრობაზე შეიძლება კომისიაში მიმიწვიონ, ეს ჩემი საქმეა და ამ სფეროში ყველაფერს ვასაბუთებ. ეს ცალკე თემაა, ისტორიაა, რომელსაც თავისი ტალღები აქვს, შენც დინებაში ხარ და უნდა ეცადო ყველაფერი. მე შემიძლია სტუდენტებს, ბავშვებს ვასწავლო, კაფე მოვხატო...

ქუთაისში კაფის დიზაინი შემიდგნაირად მოვხატე, ძველ შენობაში ბეტონი და არმატურა დავტოვე, შუაში ოცხელის ნახატი და ასე შემდეგ. ქუთაისლებმა იფიქრეს ეს გიჟი ვინ არისო? ძალიან კარგი საჩაიე გამოვიდა. ქუთაისი უამრავი თემის ქალაქია. პირველ სკოლაზე რომ წაიკითხავ ვინ სწავლობდა გაცვლები, ეს უდიდესი კულტურის ადგილი იყო, მეცნიერებით, პოეზიით, თეატრით ეს ქალაქი დაიცალა და ყველა გადმოვიდა თბილისში.

— თქვენ სრულიად მოულოდნელად ითამაშეთ ლევან კოლუაშვილის ფილმში „ქუჩის დღეები“, ბავშვობაში გიცნებიათ ფილმში გადაღებაზე?

— ბავშვობაში, არ მახსოვს, მგონი, მეექვსე კლასში ვიყავი, ჩემმა ძმამ თავის საკურსო ფილმში გადამიღო. ფილმს „გმირი“ ერქვა. ეს გმირი მე ვიყავი, აბჯარასხმული მოვდიოდი და კუბოში ვწვებოდი, ბავშვები კენჭებს მესროდნენ და მაშინ ვთქვი, არასდროს ფილმში არ ვითამაშებ-მეთქი. მოგვიანებით კინოში მხატვრულად ვიმუშავე და ვითამაშე კიდევ.

„ქუჩის დღეები“ თამაში უცებ შემოთავაზეს, დავეთანხმედი მატერიალური მდგომარეობის გამო. ჩემი შვილი ტატო პოლონეთში სწავლობს საოპერატოროზე და სწავლის ფული მქონდა გადასახდელი. ამ ფილმს თუ არ დავთანხმდებოდი, სწავლისთვის თავი უნდა დაენებებინა. ვიცი, რომ მერაბ ნინიძემ უნდა ითამაშოს და მერაბს ველოდები, როდის ჩამოვა, მერაბი ვერ ჩამოვიდა. გადაწყვიტეს, იქნებ არაპროფესიონალი ვინმე ეპოვათ და... არჩევანი ჩემზე შეაჩერეს. რეჟისორი ლევან კოლუაშვილია. გმირიც უფულო და მეც იმავე დღეში ვარ. მსახიობობა არ ვიცი, წავედი თამამად და მეორე დღეს მირეკავენ: როლზე დამტკიცებული ხართო. აი, აქ უცებ მივხვდი, რაზე დავთანხმდი და... შემეშინდა ფილმი არ გამეფუჭებინა. ყველაფრის მიუხედავად კარგი ფილმი გამოვიდა. შეფასება დადებითი მოჰყვა. ხალხი მხვდებოდა და მეუბნებოდა, ფილმის ნახვის შემდეგ შენზე ვფიქრობდიო. ზოგმა მითხრა, ფილმის ნახვის შემდეგ წავედი და დავლიეო. ესე იგი შთაბეჭდილება მოახდინა და ფილმი შედგა. სკოლის პედაგოგები ამბობდნენ: ბავშვებს უნდა აჩვენო, ნარკომანიამ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანიო. მთავარი გმირი, რომელსაც მე ვითამაშებ, ნარკომანია და ბოლოს თავს იკლავს. გმირი განგანწყობს

და განცდა დიდხანს მიგყვება, არის ზოგჯერ, კინოდან გამოხვალ და აღარაფერი გახსოვს. ეს ფილმი შთამბეჭდავია, ნარკომანიამ მთელ თაობაზე გადაიარა და ბევრი დაღუპა. ქვეყანა რა დღეში იყო, სასო-ნარკვეთილი ხალხი... კაცები დარჩნენ უმუშევრები და ამაში იპოვეს შვება და შემდეგ სხვა სიმძიმეში გადავიდა. ეს გმირი წარმატებული, ნიჭიერი არქეოლოგია, რომელიც ამხანად უკვე აღარ არის არქეოლო-გი, რადგანაც ყველაფერი გაჩერებულია. გმირს პროფესია აქვს, უსაქ-მური ნარკომანი არ არის.

— დღეს რატომ აღარ ხატავთ?

— ეს არის ჩემი ყველაზე დიდი ტრაგედია. ველარ ვხატავ — 15-წუთიანი მხატვარი დღეში არ არსებობს. დიზაინი და ავეჯი ძალი-ან მიყვარს, თან როდესაც კარგად გამოგდის.

— დიზაინი განმუხტვაში გვხმარება?

— ხატვის პროცესს ვერაფერს შევადარებ. შეიძლება მთელი დღე ხატო და დღის ბოლოს დახიო ნახატი, მაგრამ სიამოვნებას მაინც ღებუ-ლობ, სულ სხვაგან ხარ. ბედნიერება სწორედ ეგ არის, ექსტაზი რალა-ცის მიმართ. გააჩნია, რა თვალთ შეხედავ ამ ყველაფერს. ნეპალში 5000 მეტრზე ავედი. ნელ-ნელა ზევი მარტივად აღიხარ და ღრუბლებს თავზე მოექცევი. აი, იქ ყველაფერი გავიწყდება. ჩემმა ავსტრიელმა მე-გობარმა გამიშვა თავის მეგობართან, ძალიან კარგ ხალხთან ერთად ვი-ყავი. მეორედ ჩემი შვილი წავიყვანე. 3000 მეტრზე დგახარ მინაზე და ღრუბლებს უყურებ, ჯერ მინიერი რალაცები გახსენდება, სამშობლო, საქმე, შვილი, ვალდებულებები. 5000 მეტრზე რომ აღიხარ, ეს ყველაფე-რი ქვემოთ რჩება, ღრუბლებს ზემოთ ხარ, მზე ჩადის, ღრუბლები ზემო-დან წითლდება, მეგონა ნისლში მივდიოდი, თურმე ღრუბელში მივდი-ვარ და სადღაც გავედი. უცებ მზე ჩახჩახებს, გარინდებული დგახარ, ვე-რაფერზე ფიქრობ და ხვდები, რომ აქ დიდხანს ვერ გაძლებ, შეიძლება გაგიჟდე. საოცარი შეგრძნებაა, ყველანაირი სიმძიმე გშორდება და მხო-ლოდ გაფრენის და თავისუფლების შეგრძნება გეუფლება.

P.S. გუგა კოტეტიშვილთან ინტერვიუს დამთავრების შემდეგ მეგო-ნა, რომ ნეპალში მეც ვიმოგზაურე, და ანდრე მორუას „ლიტერატურულ-ი პორტრეტები“ გამახსენდა: „მეგობარო მკითხველო, განვლე შენი სიცოცხლე სიყვარულსა და მალად მისწრაფებში“. მალად მისწრა-ფებანი, აბსტრაქტული სამყარო, ღრუბლებში ასახული შთაბეჭდილე-ბები, არასწორხაზოვანი შეხედულებანი ჩემი რესპონდენტის პიროვნე-ბას ასახიათებს. „მაესტროს“ ეთერში კითხვაზე: 2 მილიარდი რომ გქონ-დეს, რას გააკეთებო, — ასე უპასუხა: 2 მილიარდი რომ მქონდეს, ჩემ ქა-ლაქში სახლებს ავიღებდი და ბალებს გავაშენებდიო. ამ პასუხის შემდეგ გასაკვირი არ არის ნეპალის ემოცია და ის ღირებულებანი, რომლითაც გუგა კოტეტიშვილია გაჟღერებული. ბედნიერება იქნებოდა, საკუთარ ქალაქსა და სამშობლოზე ყოველი ადამიანი ასე რომ ფიქრობდეს, მაგ-რამ რეალურად, სამშუხაროდ, სხვა სურათს გვიხატავს.

ისევე ანდრე მორუას მოვიშველიებ „დღეს ისევე, როგორც გუშინ, ყო-ველი ადამიანი პოულობს თავის წინაშე უცნაურ და მომაჯადოებელ სამ-ყაროს“. ასეთი სამყაროს პოვნის ნიჭი გარკვეულწილად ყველა შემოქმედ ადამიანს აქვს. ჩემი რესპონდენტის ამ მომაჯადოებელ სივრცეში გაჭრი-ლი ამოჩნდა. უცნაური და რადიკალურად განსხვავებული სურვილი, აქ-ცილი შენი ქალაქი ბაღნარად, რომელსაც თავად გუგამ აბსურდულიც კი უწოდა, მომხიბვლელია. თუკი ვიღაცისთვის გალაკტიონის იისფერი თოვ-ლი არსებობს, ასეთმა ფანტასმაგორიულმა ქალაქმაც ხომ შეიძლება იარ-სებოს, მათთვის მაინც ვინც ასეთ ბაღებში სიამოვნებით ისეირნებს და კაფკას, კამიუსა და სხვა ბევრი მწერლის აბსურდის თეორიას განიხილავს.

გუგა კოტეტიშვილთან შეხვედრას „ლავანდის ნისლი“ მინდა ვიწყო-დო. ეს ტილო მხატვარ ჯექსონ პოლოკს ეკუთვნის. ტილოზე თითქოს ნის-ლია გადაკრული, ამ ფონზე ვარდისფერი და ლურჯი ფერები ენაცვლება ერთმანეთს და ლავანდის ყვავილები ფერს ასახავს, შავი და თეთრი ზო-ლები კი მთელ ტილოზეა გადახლართული და ძალზედ საინტერესო პანო-რამას გადმოგვცემს. ბუნხართან ვატარებულმა ამ საინტერესო სილამომ ბევრი და ვრცელი თემები მოიცვა. ეს არ იყო სტანდარტული ინტერვიუ, სადაც მხოლოდ კითხვები და პასუხები ენაცვლება ერთმანეთს. ბევრი ფე-რები გადაიხლართა ერთმანეთში და ბოლოს გუგამ ჩემს თვალწინ გამო-ძერწა ლავანდის ყვავილი და საშუალება მომცა მეც მასთან ერთად მე-მოგზაურა ნეპალში, ჩემს დამწვარ და ემოციისგან დაცლილ ქალაქში. ტკივილით გამახსენა თბილისი და აგვისტოს ომი, ბევრი დაღუპული ახ-ლობელი. დაუმთავრებელი ქართველები და დაღლილი საქართველო.

მე კი ვინაობები გუგას საოცრებო ქალაქის გაშენებას, რომელ-შიც სიამოვნებით გადავიდოდი საცხოვრებლად. იქამდე კი მასავით ოცნების გარდა არაფერი დამოჩენია.

„უფრო ვრცლად — ჩვენს მომავალ ალბომში“

(ანი ბერკინიშვილს
ქსაშურება
თამარ მიქაძე)

სწორედ მას უძღვნა ლექსი „განთიადი“ აკაკი წერე-თელმა და ასე შეაფასა ამ მოღვაწის მკვლევლობა:

„ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს, იმ გულზე, რომელიც სამშობლოსთ-ვის ძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“.

თვითონ დიმიტრი ყიფიანი კი საკუთარი ცხოვრებისა და მრწამსის შესახებ წერდა:

— პატიოსანი კაცის სახელის მეტს ვერაფერს ვუტოვებ ჩემს შვილებს და სანამ ეს ჩემზეა დამოკიდებული, ამ სახელს არ გავცვლი არც ჯამაგირზე, არც ჩინებზე და ორდენებზეო.

არც გაუცვლია.

არც უღალატია ამ პრინციპისათვის.

„ჩინიცა“ და „ორდენებიც“ დრო და თავისმა ხალხმა მიანიჭა და კიდევ უკვდავო მისი სახელი.

შთამომავლობა კი კვლავაც შესაბამისი პასუხისმგებ-ლობითა და რუდუნებით პატრონობს და უფრთხილდება ამ ყველაფერს.

ახლახან 200 წელი შესრულდა ეროვნულ-გამათავისუფ-ლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის დაბადებიდან, ვინც თავისი გამორჩეული კვალი დააჩნია მე-19 საუკუნის ქარ-თულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ პოლიტიკურ ყოფას. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით გვესაუბრება დიმიტრი ყიფიანის შთამომავალი, მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიე-რებათა დოქტორი თამარ მიქაძე, ვისაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამ დიდი სახელის უკვდავყოფაში.

— ქალბატონო თამარ, დიმიტრი ყიფიანის შთამო-მავლები, თქვენი თაოსნობით, დიდი რუდუნებით უფ-რთხილდებით მის სახელს და არაერთ საგულისხმო საქმეს დაადგით თავი ამ დიდი მოღვაწის ხსოვნის უკ-ვდავსაყოფად. თუნდაც ის ალბომი რად ღირს, თქვენი ძალისხმევით შედგენილი და 2009 წელს გამოცემუ-ლი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საგულისხმო ეპიზოდებს რომ ასახავს და საინტერესო ფოტომასალაცაა თავმოყრილი. თუმცა გასაკეთებე-ლი, დამეთანხმებით, ჯერ კიდევ ბევრია და ჩვენი საუ-ბარიც ამ კითხვით მიწა დავიწყო: რა საიხსნებია ამ თვალსაზრისით, თუნდაც სამეცნიერო კუთხით?

— გეთანხმებით, შთამომავლები შეძლებისდაგვა-რად ვეფერებით დიდი წინაპრის სახელს. რაც შეეხება უშუალოდ თქვენს კითხვას, სამეცნიერო კუთხით სიახ-ლე ის არის, რომ გამოსაცემად ვამზადებთ საოჯახო არქივს, რომლის დამუშავება საკმაოდ რთული იყო და, შესაბამისად, დროც დასჭირდა. რედაქტორი გახლავთ როსტომ ჩხეიძე, ყველა სხვა დამსახურებასთან ერთად, ეროვნული საქმის დიდი ხელშემწყობი და მოამბავი.

— 2009 წელს გამოცემული ფოტომატრიანე დიმიტ-რი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველია. სამომავლოდ გამოსაცემი ალბომი რას მოიცავს კონ-კრეტულად?

— ექვსი თაობის ექსკლუზიურ მასალას, მათ შორის წერილებს, ბარათებს, დოკუმენტურ მასალას და ა.შ.

— დიმიტრი ყიფიანი - თავისთავად, მაგრამ არა-ნაკლებ საინტერესოა მისი ოჯახი. საზოგადოებამ თეორიულად იცის, რომ საგულისხმო მასალა არსე-

ბობს თუნდაც დიმიტრის შვილების მიმონერის სახით. რამდენიმე ენაზე დანერვილი წერილები, რომლებშიც ალბათ მნიშვნელოვანი ცნობების მიკვლევა შეიძლება, ჯერ თარგმნილიც არ არის...

— დიას, ჩვენი საოჯახო არქივი საინტერესოა ისტორიული, ლიტერატურული, ფსიქოლოგიური თუ სხვა კუთხით. დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები ნიჭიერი და განათლებული პიროვნებები იყვნენ, კარგი მწერლის რომანივით იკითხება მათი ხელნაწერები სოციალურ, პოლიტიკურ თუ სიყვარულის თემაზე.

არქივში, ქართულის გარდა, მიმონერა გვხვდება რუსულ, ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ, გერმანულ ენებზეც. ამის მიზეზია ის, რომ ყიფიანები პოლიგლოტები იყვნენ და, თანაც, ხშირად იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ სასწავლებლად თუ რეპრესიების გამო. უცხო ენაზე დანერვილი მასალის ნაწილი თარგმნილია, ნაწილი კი... ვინ იცის, კიდევ რამდენ საიდუმლოს ინახავს.

— მომონერა მიმონერად და სწორედ თქვენს - დიმიტრი ყიფიანის შთამომავალთა - ძალისხმევას უნდა უმაღლოდეს საზოგადოება დანგრევის პირას მისული სახლ-მუზეუმის აღდგენასაც ქვიშხეთში. ფაქტობრივად, გადაარჩინეთ და თაობებს შემოუნახეთ ეს საგვარეულო საუნჯე. რა ხდება დღეს იქ?

— შენარჩუნებას ვერ დავიბრალე, თუმცა ქვიშხეთის სახლ-მუზეუმისათვის წლების განმავლობაში სიტუაცია და მზრუნველობა არ დაგვიკლია, ეს ბუნებრივია.. პირველად ვამბობ, 90-იან წლებში, როცა საკუთარი

ოჯახის რჩენა და გადარჩენა ჭირდა, ჩამოვიარე თბილისელი ნაც-ნობ-მეგობრები, ვგულისხმობ მათ, ვისაც ქვიშხეთში აგარაკი აქვს, და შევგაროვე თანხა მუზეუმისთვის. შეიძლება დღევანდელი გადმოსახედიდან მცირედი, მაგრამ იმხანად მეტად საჭირო.

ჩვენი ალბომის გამოცემის შემდეგ ბატონმა ლაშა პაპაშვილმა, ჩვენთან შეთანხმებით, მუზეუმს გადასცა ალბომიდან ამოღებული ფოტოკოლექცია, რომელმაც ორი ოთახი შეავსო და დაამშვენა.

ასევე ჩემს მოვალეობად ვთვლიდი, თბილისში ჩატარებული მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო პრეზენტაცია თუ გაჟღერებული ინფორმაცია მუზეუმისთვის მიმეწოდებინა. ვმონანილობდი ყველა ღონისძიებაში, რომლებიც უკავშირდებოდა წინაპრის, მუზეუმისა თუ რაიონის სახელს

— და ხმამაღლა სვამდით კითხვას „სახლ-მუზეუმისათვის საჯაროდ დაპირებული, ვითომ გამოყოფილი, შემდეგ კი გაუჩინო დაკარგული თანხის“ შესახებ.

— ასე იყო... და იმედოვნებ, რომ ახლა მაინც ასრულდება ჩვენი ნატვრა და მუზეუმს სათანადო რესტავრაცია ჩატარდება. ამდენად, ოჯახის მოვალეობა, მუზეუმსა და რაიონთან მიმართებით, ვფიქრობ, სრულად ამოწურულია. ჩემი ძალისხმევა და შემდგომი საქმეები თბილისს უკავშირდება.

— რაც შეეხება თბილისს, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სვანეთის უბანში წმიდა დიმიტრის სახელზე ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობს. როდისთვის იგეგმება სამუშაოების დასრულება?

— მშენებლობის დასრულების თაობაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. რაც მთავარია, ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები. დარწმუნებული ვარ, უფლის შენევნით, ყველაფერი საუკეთესოდ იქნება, რამდენადაც ამ საქმეს თაოსნობს დეკანოზი მალხაზ ყიფიანი, მეტად საქმიანი და კეთილსინდისიერი პიროვნება, მოძღვარი იქვე მდებარე წმინდა დემეტრე თავდადებულის ტაძრისა.

— მსმენია, რომ მამა მალხაზს თავისი გეგმები აქვს ახალ ტაძართან მიმართებით და სურს, რომ იქაურობა კულტურულ-შემცენებითი კერადაც აქციოს.

— მამა მალხაზი ალბომის პრეზენტაციაზე თვითონ გაგვეცნო, ერთ-ერთ საეკლესიო ყურნალში ნაუკითხავს ჩემთან



ქეთევან მიქაძე, თამარ მიქაძე, სოფიო პატარაია

ინტერვიუ, ამის შემდეგ მე და ჩემი მეუღლე ხშირად ვსტუმრობთ სვანეთის უბანში მშენებარე ტაძრის ტერიტორიას. სამომავლოდ, მამა მალხაზს მართლაც აქვს სურვილი, ტაძრის ქვემოთ, დარბაზში, დიმიტრი ყიფიანის ცენტრი დააფუძნოს, სადაც შესაძლებელი იქნება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა ჩატარება, ცენტრის ხელმძღვანელად კი თქვენი მონა-მორჩილი მოიაზრება. ამ საკითხთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქს ვესტუმრეთ, ვინც აკურთხა ეს საქმე, დაგვლოცა და რჩევაც მოგვცა.

— ქალბატონო თამარ, არ შემიძლია არ გკითხოთ ამ ბოლო დროს პრესასა და ტელევიზიაში ატეხილი ხმაურის შესახებ, რომელიც დიმიტრი ყიფიანის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოცემას მოჰყვა - „დიმიტრი ყიფიანი 200“. საზოგადოებამ იცის, რომ დიმიტრის შთამომავლებმა პროტესტიც გამოხატეთ ამ წიგნის მიმართ და საჯაროდ ამხილეთ მისი გამოცემელი ბონდო კობაძე პლაგიატობაში - პრესისა და ტელევიზიის საშუალებით გააჟღერეთ, რომ ამ გამოცემაში ყოველგვარ საავტორო უფლებათა უგულბელყოფით, პირდაპირაა გადაბეჭდილი ტექსტი და ფოტოები თქვენ მიერ გამოცემული ალბომიდან, რომელიც ბანკ რესპუბლიკის - ჯგუფ სოსიეტე ყენერალის - დახმარებით მომზადდა. საიუბილეო გამოცემის შემდგენელმა არც სხვა ავტორთა უფლებები გაითვალისწინა, როცა განუკითხავად გადაბეჭდა სამზეოზე სხვადასხვა მკვლევარის მიერ გამოტანილი ეპიზოდები დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. ამ ფაქტის გამო აღშფოთება, თქვენთან ერთად, თანამედროვეობის არაერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმაც გამოხატა. საინტერესოა, რა შედეგი მოჰყვა ამ ყველაფერს.

— დიმიტრი ყიფიანის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ბონდო კობაძემ რამდენიმე კუთხით „იღვანა“.

1200-გვერდიანი წიგნის შემდგენელმა ღია ეთერში ვერ მიპასუხა, ვინ არის ნინო ჭილაშვილი (დიმიტრის ყიფიანის მეუღლე). ჩემს ბრალდებაზე — 2009 წელს გამოცემული ალბომიდან მასალის დაუკითხავად აღების შესახებ — კი მისთვის ჩვეული მანერით, ფამილარულად მომმართა: „კი მაგრამ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თუ ხარ, სადაც გაიხედავ, ყველგან რომ ფოტოებია, არ იცი?“.

— არადა, როგორც თქვენ აღნიშნავდით პრესასა თუ ტელევიზიაში, საუბარია ექსკლუზიურ მასალაზე, რომლის გამოყენების უფლება, თქვენ გარდა, არავის აქვს, თვით სპონსორსაც კი...

— დაახ. აი, მაგალითად, ზემოხსენებული ნინო ჭილაშვილის ფოტო, რომელიც მედალიონშია, ერთადერთია და ჩვენი ოჯახის საკუთრებაა.

ასე რომ, ნიგნე მომუშავე ქალბატონებმა, რედაქტორმა და კორექტორმა, ამოკრიბეს ყველაფერი, რაც გზად შესვდათ დიდ პიროვნებაზე. ის, რომ ყველფერს თავისი წესი აქვს, მით უფრო მეცნიერებაში, საერთოდ არ სმენიათ, ან სად უნდა გაეგოთ? ამ საკმაოდ მძიმე წიგნს ერთი პროფესიონალის გვარიც არ ამშვენებს სამადლოდ. ისე რაში ედარდებათ პროფესიონალიზმი? 10 თვეში ერთხელ “აცხოვნენ” ნიგნებს დიდ პიროვნებათა შესახებ და იღებენ პრემიებს. ბონდო კობაძის ზეამბიციას მეტად უწყობს ხელს დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძისა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიათა ლაურეატობა.

— **სხვათა შორის, ეთერში გაიჟღერა სურვილმა, იგი დიმიტრი ყიფიანის ჯილდოზე წარედგინათ, ხოლო ერთ-ერთ გაზეთში რუსთაველის პრემიაზეც იყო საუბარი**

— აი, სწორედ აქ მიაღწია საზოგადოების აღშფოთებამ პიკს. მესმინებოდნენ ნაცნობ-უცნობები. დაიბეჭდა გემოვნებიანი ჟურნალისტიკისა და ლიტერატორის დავით ჭელიძის შესანიშნავი წერილი “არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი”; დამსახურებული კინომცოდნის პროფესორ გოგი დოლიძის წერილი “პროფანების დიდი უნდა დამთავრდეს საქართველოში”. ბატონი გოგი ადრეც გამოსხმაურებია კობაძის ასეთივე წესებით შედგენილ წიგნს ექვთიმე თაყაიშვილზე.

— **ობიექტივის ეთერში, გადაცემაში “თაობიდან თაობამდე” გოგი დოლიძემ და ცნობილმა პოეტმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა გენო კალანდიამაც საფუძვლიანად ისაუბრეს ამ ნიგნის თაობაზე**

— ბატონმა გენომ ამ გადაცემაში ჩვეული შემართებით ბრძანა: კობაძემ რომ პრემია მიიღოს, ჩემს პრემიას მტკვარს გადატანო. ასე რომ, საზოგადოებამ ნათლად დაინახა, რასთან გვაქვს საქმე. ჩვენი მიზანიც ეს იყო, ყველაფრისთვის თავისი სახელი დაგვერქმია, რათა მომავალში მაინც დავიცვათ რჩეულ ნინაპართა სახელები. აღარაფერს ვამბობ ნახალისებაზე, რაც ცალკე დანაშაულია, პრემირებული სიცრუე საშიში მოვლენაა, ის ელობება წინ პროფესიონალიზმს, სიკეთესა და სინამდვილეს, ამის მაგალითები გვაქვს და, სამწუხაროდ, საქმე ყოველთვის სიმართლის სასარგებლოდ არ მთავრდება, ამიტომაც ასეთ დროს განგაში მართებულია!

— **განგაში ასხენეთ დახომ არ ფიქრობთ, კანონის გზით აღადგინოთ სამართლიანობა? თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი ფაქტები თავიდან ავიცილოთ და მომავალში მაინც შეძლებისდაგვარად აღვკვეთოთ ასეთი განუკითხაობანი, ადამიანები კი მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ასეთ საკითხებს, მათ შორის, საიუბილეო ღონისძიებებსაც, მათი ორგანიზების ჩათვლით. საზოგადოებამ იცის, რომ „არტ ჰოლში“ გამართული საიუბილეო კონცერტიც დიმიტრი ყიფიანის სახელისა და ღვანლის შეუსაბამოდ მიიჩნით - სტილითაც, გემოვნებითაც, შინაარსობრივადაც და სანახაობის მხრივაც.**

— “არტ ჰოლში” ჩატარებული კონცერტი არათუ შეუსაბამო, დაუშვებელია — სტილით, გემოვნებით და, რაც მთავარია ღირსებით. რა კომენტარი შეიძლება გავაკეთოთ თუნდაც იმაზე, ერთ-ერთი მონაწილე დამსწრეებს სცენიდან რომ მიმართავს: გავმხიარულდეთ, ბატონი დიმიტრი ენერგიული კაცი იყო, ქალბატონები უყვარდაო. კობაძემ საიუბილეოდ დიმიტრი ყიფიანის შთამომავალიც აღმოაჩინა, რომელზეც ჯერ: პირდაპირიაო, — ამბობდა, შემდეგ ეთერში ძმის შვილიშვილად წარმოაჩინა. ამის პარალელურად მე და ჩემს დას გვეუბნებოდა, მიქაძეები რა შთამომავლები ხართ, ნამდვილი მემკვიდრე ალექო ყიფიანიაო.

— **თუმცა საზოგადოებისთვის წარდგენილმა დიმიტრი ყიფიანის შთამომავალმა პირდაპირ ეთერში ბრძანა, რომ მამას დაუბარებია, მიეხედა დიდი წინაპრის სახელისთვის**

— მან ისიც თქვა, რომ ადრე სახლში დიმიტრის ნივთებიც ჰქონდათ, რომლებიც სახლთან ერთად დაენვათ, მაგრამ, ბედად, რამდენიმე გადარჩა. აქაც კატეგორიულად ვაცხადებ: ამ საკითხით სპეკულირებას არავის ვაპატიებთ. ხელოვნებათმცოდნეებს, რესტავრატორებს მოვიწვევთ და სამართლებრივად მოვთხოვთ პასუხს.

— **ფიქრობთ, რომ სპექტაკლი გათამაშდა?**

— რომლის ორგანიზატორმა ბონდო კობაძემ თავის 23-ე ღონისძიებაზე ფიასკო განიცადა მაგრამ აქვე უნდა ითქვას, პატარ-პატარა სცენარის დადგმა მაინც შეძლო, სახლ-მუზეუმში ჩატარებულ საღამოზე სავარძელში ჩასვა დიმიტრი ყიფიანის “შთამომავალი” ალექოს დედა.

რაც შეეხება სამართლიანობის კანონის გზით აღდგენას, ამ ეტაპზე ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი აზრი იყო, დანარჩენს ახლო მომავალი გვიჩვენებს...

— **იქნებ არც არის გასაკვირი ასეთი ვნებათაღელვა დიმიტრი ყიფიანის სახელის ირგვლივაც. იგი იყო მე-19 საუკუნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი წამოწყების მოთავე და მონაწილე. საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებაზე, ქართული პროფესიული თეატრის შექმნაზე, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაფუძნებასა თუ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეს ის მოღვაწეა, ქართველი ერის დამაწყვეარ ეგზარხოსს, პავლეს, საპროტესტო წერილი რომ მისწერა და საქართველოს დატოვება მოსთხოვა, რამაც საბოლოოდ შეინირა კიდეც, თავის შთამომავლობას კი მემკვიდრეობად რეპრესიები დაუტოვა იმპერიული რეჟიმის მხრიდან. ხომ არ გაიხსენებთ, თქვენმა ოჯახმა როგორ ზიდა ეს ხვედრი?**

— დიმიტრი ყიფიანის შთამომავალთა ხუთი თაობა მოღვაწეები იყვნენ. ამის გამო ხშირი იყო რეპრესიები, მინის ჩამორთმევა, პიროვნული ტრაგედიები. ეს შეეხო დიმიტრის უფროს ვაჟს ნიკოლოზს, რომელიც ბოლო წლებში ბრიუსელში ცხოვრობდა და იქ განისვენებს. მის მოღვაწე ქალიშვილებს, პოლიტიკოს ნინო ყიფიანს, თვალსაჩინო მეცნიერსა და პირველ ფსიქოფიზიოლოგ ქალს, ბარბარეს, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა ბრიუსელში, და ელისაბედს (ვეტას). საგულისხმოა ის, რომ როცა ვეტას ასახლებდნენ ქვიშხეთის ეზოდან, მთელი სოფელი დადგა მის დასაცავად და შეუნარჩუნეს ის მშობლიური გარემო, რომელშიც დღეს ჩვენი ვცხოვრობთ. მაშინ სოფელმა ზნეობის მაღალი გავრეული გვიჩვენა.

— **პირადად ჩემთვის გამორჩეულად სევდიანია ნინო ყიფიანის ერთადერთი ქალიშვილის თამარ ბაგრატიონის (ჯოიას) ცხოვრება. მის შესახებ თქვენს ერთ-ერთ ინტერვიუში ამოვიკითხე...**

— მართლაც ტკივილიანი ისტორიაა. 1920-იან წლებში 8 წლის გოგონა იძულებით გაიყვანეს სამშობლოდან და მთელი ცხოვრება ეძებდა ოჯახს. მშ წლის ასაკში მას მივაკვლიეთ გაზეთ “ახალი ეპოქის” საშუალებით და რამდენჯერმე ვესაუბრეთ ტელეფონით. როგორც გაირკვა, ქალბატონი ლოზანაში ცხოვრობდა, მოხუცთა თავშესაფარში. ნაცნობის ხელით გავუგზავნეთ ბავშვობის სურათები. სამწუხაროდ, იგი მალევე გარდაიცვალა.

რეპრესიები შეეხო ბებიებსაც. დედა გულისტკივილით იხსენებდა ფაქტს, რომ იძულებული იყო დამეძალა, ვისი შთამომავალია. ბიძაჩემი, გურამ პატარაია, ცნობილი კინორეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ხმამაღლა არ უსაუბრია ამ თემაზე.

ამ ისტორიებს დაინტერესებული მკითხველი უფრო ვრცლად ნაიკითხავს ჩვენს მომავალ ალბომში, თან საგულისხმოა, რომ პიროვნებები თავისი ნაწერებით მოყვებიან ამის შესახებ...

მარიამ მარჯანიშვილი

რიონის ქვეშის ღალადისი

სოფელს დერჩი ჰქვია...

გარშემორტყმულ მთაგრეხილებს — ხვამლის მთა...

რიონის პირას ნაპოვნ ქვას — იღბლის ქვა და ნატვრისთვალის...

საპირნონე ქვაზე ძლიერი გამომსახველობით შექმნილ ქანდაკებას — შემოქმედებითი გზის დასაწყისი...

მხატვრის მთლიანი და წრფელი სამყაროს წარმოჩენის ანა-ბანის შესწავლას — ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი და თბილისის სამხატვრო აკადემია...

თანამედროვე ქართული ქანდაკების ისტორია თვალსაჩინო მხატვართა იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის შემოქმედებით იწყება. ქართული მოქანდაკეობის ორი განშტოება, რომლებიც ეფუძნებიან პლასტიკის ნიკოლოზ კანდელაკისეულ კონსტრუქციულ განზოგადებასა და იაკობ ნიკოლაძისეულ იმპრესიონისტულ ძეგლს, ეროვნული სკულპტურული სკოლის მთლიან მოვლენად სინთეზირდება ერთი მასაზრდოებელი წყაროს — მონუმენტურობის გრძნობის მეშვეობით.

ნიკოლაძისეულ ეროვნული სამხატვრო ხელოვნების სკოლის ტრადიციებს 15 წლის ნოდარ ბანძელაძე, 1952 წელს, თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ჩარიცხვისას დაეუფლა, რომლის ფესვები ისტორიულ გადმოცემა-თქმულებათა ეპიკური ხატოვნებიდან მომდინარეობდა. მალე ნიჭიერი ჭაბუკი ამ სასწავლებლის ფუძემდებლის სტიპენდიანტიც გახდა, რომლის სადიპლომო ნამუშევარმა — „წყურვილი“ — მხატვრის უფაქიზესი სუბიექტური განცდების გამოსახვით მაშინვე ყურადღება მიიქცია.

იმ დროს თბილისის სამხატვრო აკადემიაში პროფესორების კანდელაკის, თოფურიძისა და მერაბიშვილის — კლასები ფუნქციონირებდა. ნოდარ ბანძელაძე 1957 წელს აკადემიაში კოტე მერაბიშვილის კლასში ჩაირიცხა, სადაც დაეუფლა ქანდაკებაში თვითგამოხატვის სისრულეს, მხატვრის მთლიანი და წრფელი სამყაროს წარმოჩენას, მონუმენტურ და მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებას, რაც თავისთავად დამოკიდებული იყო მოქანდაკის ნიჭზეც, შემოქმედებით ორიენტაციაზე, ცხოვრებისეული და მხატვრული იდეალების ჩამოყალიბება-სრულყოფაზე.

ნოდარ ბანძელაძემ სამხატვრო აკადემია მერაბიშვილის ხელმძღვანელობით 1963 წელს დაამთავრა. მისმა სადიპლომო ქანდაკებამ „ცხენბურთი“, კომპოზიციურ გადაწყვეტათა მოულოდნელობით, ორიგინალური სახეობრივ-ემოციური და მოცულობით-სივრცითი სამყაროს შექმნით, მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ქართული პროფესიული სახვითი ხელოვნების ვარსკვლავთა გვერდით დაოსტატება ნამდვილად დიდი სკოლა იყო ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა მოქანდაკისათვის. მეორე მხრივ, ძნელიც იყო ამ დიდ მნათობთა გვერდით დამოუკიდებელი, საკუთარი ნათებით აელვარებაც.

მათ შემოქმედებით პალიტრაში ნაწრთობი ნოდარ ბანძელაძე მხატვრის ნიჭის სპეციფიკით, მახვილი თვალით, ადამიანური, მხატვრული ღირებულებისა და აზროვნების ქანდაკებაში გაცოცხლებით მალე დამოუკიდებელი მოქანდაკედ ჩამოყალიბდა, მავრამ, სამწუხაროდ, არა თავის სამშობლოში, არამედ სხვა ქვეყანაში, სადაც უცნობი იყო მათი ბუნება,



ნოდარ ბანძელაძე

„ავტოდორტრუტი“

კულტურა, ეთნოსი, ხალხის კონსტიტუციური აღნაგობა, ხასიათი, ტემპერამენტი, სულიერება...

საბჭოური დიქტატურა განაწილებს მეთოდის გამოყენებით, „ნებაყოფლობით“ აგზავნიდა მაშინ ნიჭიერ სპეციალისტებს სხვადასხვა რესპუბლიკაში, რათა ისინი ათქვეფილიყვნენ რიცხოვრივად დიდ ერებში. ეს იყო პიროვნების არა თავისუფალი არჩევანი, არამედ იძულებითი ემიგრაცია, რაც განსაკუთრებით ქართველებივით მცირერიცხოვანი ერის მიმართ შეფარვითი გენოციდი გახლდათ.

აი, ამ გზით აღმოჩნდა 1963 წელს თანაკურსელ ანზორ ჯიშიაშვილთან ერთად უცხო ცის ქვეშ. მაშინ უზბეკეთის საბჭოთა რესპუბლიკის აღმოსავლური კულტურის ძეგლებით ცნობილ უძველეს ქალაქ სამარყანდში ჩასული მოქანდაკეები სახვითი ხელოვნების დარგში პირველი ქართველები აღმოჩნდნენ: „Так начался самостоятельный, трудный, но радостный путь в большом творчестве.“

Если бы я, работал в Грузии, это конечно было бы гораздо легче, потому что, знаешь свой край, свой народ, свои обычаи, ритуалы, свою историю искусства, и историю народа.

А Узбекистан для меня совершенно неизвестный край. Пришлось начать знакомиться с Узбекистаном, узбеками, их жизнью, национальной культурой, бытом, обычаями и изучением типажей.

Два года понадобилось мне, чтобы освоить формы национальной культуры. А через десять лет, все искусствоведы писали единогласно и показывали на мои скульптуры, на мои работы и говорили: „Вот, от кого можно учиться, и знать, что такое национальная скульптура“...

ასე რომ, ნამდვილი მხატვარი ისტორიკოსიც უნდა იყო, პოეტიც, მუსიკოსიც, ფილოსოფოსიც, მეცნიერიც, მკვლევარიც...

და როგორც დიდრო შენიშნავდა: „რატომ არის ანტიკურ მხატვართა ნაწარმოები ესოდენ ღირებული? იმიტომ, რომ ეს მხატვრები ფილოსოფიურ სკოლაში დაიარსებნენ“...

ათი წლის შემდეგ მისმა პირველმა კომპოზიციამ — „ბას-მაჩების განადგურება“ — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს დაუთავს ათქმევინა: „შემოქმედებითი სიმნიფის სრული დინამიურობით ამ ნაწარმოებმა დაამტკიცა და ნათელყო მისი ავტორის დიდი ტალანტი“.

1966 წელს მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძე სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრი გახდა.

ამავე ნელსვე შექმნა ოჯახიც როზა ხუბეცოვასთან ერთად. ყველა სახის სახვითი შემოქმედების იერარქიაში მაშინ წამყვანი როლი ეკავა მონუმენტურ და მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებას, რომელიც ყოველ რესპუბლიკაში კონკრეტული კანონზომიერებითა და ტრადიციებით ვითარდებოდა.

უზბეკეთის საზოგადოებრიობა მონონებით შეხვდა მოქანდაკეების ნოდარ ბანძელაძისა და ანზორ ჯიშიაშვილის ერთობლივ ნაშრომს „სამარადისო დიდება მეომრებს“. ეს კომპლექსი 6 ჰექტარზე დაიდგა ბუხარის რაიონის დაბა კიზილში. მნახველს აოგნებდა შინმოუსვლელის დედის მძლავრი, თვალმისაცემი სილუეტი. სკულპტურული ქმნილება გამობატავდა მწუხარებითა და სიამაყით გამსჭვალული ქალის გმირულ სულისკვეთებას. ამ არქიტექტურულ-მხატვრულ ანსამბლში დედის სახება ადამიანურ ჭირთა თმენისადმი აღვლენილი ჰიმნიც გახლდათ.

სისადავე, სიმართლე და ბუნებრიობა — აი, მშვენიერების სამი დიდი პრინციპი, რომელიც ამოძრავებდა ნოდარ ბანძელაძის შემოქმედებას. მისი ყოველი ქანდაკება გამოვცემდა მოქმედებას, გრძობებს, მოვლენებს...

მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემ დიდი ნიჭი და პროფესიული ოსტატობა ჩააქსოვა ქალაქების ბუხარისა და სამარყანდის სასტუმროთა ინტერიერების არქიტექტურულ და კომპლექსურ-მონუმენტურ გაფორმებას, რომლებშიც ჩანდა არამარტო ხელოვანთა ოვიათი აღმაფრენა, არამედ ძველი ქართული ჭედურობის ძვირფასი ტრადიციების შერწყმა შუა აზიის ხელოვნების უძველეს ოსტატთა გამოცდილებასთან.

1977 წელს ნოდარ ბანძელაძეს, სამ მოქანდაკესთან ერთად, ბუხარის სასტუმროს კომპლექსის ინტერიერის გაფორმებისათვის ჰამზას პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ასევე ყურადსაღებია ამ ჯგუფის სხვა მრავალი ერთობლივი ნამუშევარიც. მათ შორისაა ტაშკენტის მეტროპოლიტენის ორი სადგურის: „50 წლის სსრკ-სა“ და „ჩკალოვის“ ინტერიერის მაღალ მხატვრულ დონეზე გაფორმება, სადაც სკულპტურის ბუნებრივ-პლასტიკური ღირებულებით გამოირჩევა ქართველი მოქანდაკის მიერ სპილენძზე შექმნილი ჭედური ნამუშევარი „ციხეების რემის გადარბენა“.

ახლისაკენ მისწრაფება ადამიანის წარმოსახვის პირველი მოთხოვნილებაა. მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემაც საკუთარი ხელნერის გამოუმუშავებით, მონუმენტური ძეგლების შექმნასთან ერთად, პირველმა დაიწყო პატარა ტანის ქანდაკებათა გაკეთება, რომლითაც საფუძველი დაუდო უზბეკეთის უძველესი ეპოსის შექმნას. მისი ნამუშევრები წარდგენილი იყო მსოფლიო გამოფენებზე ინგლისში, იაპონიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და მონღოლეთში.

„В Японии мои работы оценили так: „Эти работы напоминают наш, японский “нецки“. Когда я узнал об этом, я очень обрадовался, — потому что, этим сравнением надо гордиться. Японцы из моей мастерской купили 9 работ.“ — აღნიშნავდა თავის მემუარებში ნოდარ ბანძელაძე.

პატარა ქანდაკებებიდან ასევე მისი ორი ნამუშევარი შეიძინა მოსკოვის აღმოსავლური კულტურის მუზეუმმა, ხოლო სამი კი — ტრეტიაკოვის გალერეამ. დღეს ნოდარ ბანძელაძის პატარა ქანდაკებებიდან 30 ნამუშევარი დაცულია ტაშკენტის სამხატვრო მუზეუმში, ხოლო 20 კი — სამარყანდის ხელოვნების ისტორიის მუზეუმში. მსგავსი ქანდაკებები დაცული ლატვიის მუზეუმშიც.

ამ ნამუშევრებით, როგორც გაზეთი „პრავდა ვოსტოკის“ კორესპონდენტი ვ. კარიმოვი წერდა: „მოქანდაკე დაუბრუნდა თავის ბავშვობას, სადაც მან საქართველოში, ერთ პატარა სოფელ დერჩში, მდინარე როონის პირას ნაპოვნი მარმარილოს ქვის ნატეხში პირველად გამოსახა შოთა რუსთაველის პორტრეტში შემოქმედის შთაგონებული სახე.“

ძლიერი გამომსახველობით შექმნილმა ამ ქანდაკებამ განსაზღვრა მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისიც.


პატარა ქანდაკეებისა და ბიუსტების ოთხასამდე ნამუშევრის უნიკალური კოლექციის შესაქმნელად მას ქვები საქართველოსა და ვლადიკავკაზიდან მიჰქონდა უზბეკეთში. მაშინ ხელოვნების ამ მოცულობის ნიმუშები ახალი მოვლენა გახლდათ სახვით ხელოვნებაში, რომელიც რთული და უფრო მეტად გამომხატველობითი ხასიათისაა. ამ ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „ნასრედინი ასწავლის ვირს კითხვას“, „უზბეკები ხუმრობენ“, „ბედნიერება“, „გონჩარი“, „ნასრედინი სამარყანდში“, „ნასრედინს არა აქვს სახლი“ და სხვა.

იუმორის ნაპერწკლებს აფრქვევენ და ერთმანეთს ალერსით ებაასებიან პერსონაჟები კომპოზიციაში „უზბეკები იცინიან“, რომელიც ძალზე შთამბეჭდავია სახეების მიმიკური გამომეტყველებით, სამოსელთა ინდივიდუალურობით, პოზებისა და შესტების განუმეორებლობით.

ეს კომპოზიცია უნებურად გაცონებთ ნოდარ დუმბაძის ცნობილი ნაწარმოების გმირებს ენაკვიმატ ილიკოსა და ილარიონს, ონავარ ზურიკელას, რომლის ეროვნული ხასიათის თავისებურებანი ასე კარგად გამოვკვთა მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა „მზიურში“ დადგმულ მემორიალში.

თავისი ბუნებრიობითა და მოკრძალებულობით ხიბლავდა სამარყანდში ჩასულ ტურისტებს სკულპტურა „ნასრედინი ასწავლის ვირს კითხვას“.

1990 წელს, გამოჩენილი უზბეკი პოეტის, მოაზროვნის, სახელმწიფო მოღვაწისა და დიდი ჰუმანისტის ალიშერ ნავოის (ნიზამ ალ-დინ მირალიშერ), დაბადებიდან 550 წლის იუბილესთან დაკავშირებით ტაშკენტში გამართულ კონკურსში გამარჯვებულმა ჩვენმა თანამემამულემ და მის თანამოსაქმეთა ჯგუფმა ტაშკენტის ცენტრალურ პარკში აღმართეს პოეტის 22-მეტრიანი მონუმენტი, რომელიც შადრევნის, ყვავილნარისა და მუსიკის ფონზე განუმეორებელ კომპოზიციას ქმნიდა. ბრძენკაცის ნათელ მზერაში იკითხებოდა მისი შემოქმედების მაღალი სულიერება. ქანდაკებაზე მუშაობისას სკულპტორი ალიევი ამბობდა: „ბანძელაძე ძეგლის — ბალავარია, დექტიარევი — შენობის კარკასი, მე კი — ცალკეული მოსართავი მასალაო“.



ისტორიულად ქართველთა მოძულე მტრის თემურ-ლენგის სამშობლოში მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძემ, რაც შექმნა, ყველაფერი სიყვარულით გააკეთა.

„Я видел его с большим молотком в руке, когда ковалась отличная медь для гостиницы “Бухара“, я видел его в рубашке с засученными рукавами в его мастерской на Регистанской улице. Он знает, что такое глина, что такое бетон и металл.“

ქართველი მხატვრის ქანდაკებები, უზბეკეთის გარდა, დადგმულია მოსკოვში, ბელორუსიასა და თურქმენისტანშიც. აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მ. კაუმოვას პორტრეტი.

„მხატვარი გვჭირდება თვით უდიდესი ბედნიერებისა და უდიდესი უბედურების წუთებშიც კი“, — ბრძანებდა გოეთე.

დიდი შემოქმედებითი წვის დროს მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძეს მცირეწლოვანი შვილის დაკარგვით დიდი უბედურებაც დაატყდა თავს. პირადი განცდები მან მაღალი ოსტატობით შესრულებულ გოგონას პორტრეტში გამოხატა. ამჟამად ეს ნამუშევარი სამარყანდის ხელოვნების ისტორიის მუზეუმშია დაცული.

1987 წელს ნოდარ ბანძელაძეს 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით უზბეკეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნოდარმა მიენიჭა. 1990 წელს მისი ნამუშევრები შევიდა გერმანიაში გამოცემულ „მსოფლიო მხატვართა ენციკლოპედიაში“.

ქართველი ხელოვნის ქვაზე, თიხაზე, სპილენძსა და ბრინჯაოზე შესრულებული ათეულობით ნამუშევარი — მონუმენტური სკულპტურული ძეგლი, ქანდაკება, ბარელიეფი, ბიუსტი, ისტორიულ პიროვნებათა პორტრეტული თავი თუ შოშველი ტორსი შერწყმული იყო უზბეკი ხალხის ხასიათსა და სულიერებასთან.

და ამიტომ ამბობდნენ მასზე: „Нодар любит Узбекистан, чувствует и тонко передает своеобразие народного характера.“

ნოდარ ბანძელაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ორ განზომილებაში მიედინებოდა, რომელიც ნათლადაა ასახული მის რუსულ მემუარებში. ერთი განზომილებაა მოქანდაკის მძიმე ფიზიკური შრომა, მეორე — ოჯახსა და სამშობლოში დაბრუნებაზე მოძალებული ფიქრი და მონატრება. მემუარებში გადმოცემული ეპიზოდები ახალ-ახალი შტრიხებით სრულყოფს სკულპტორის პორტრეტს.

დღეს მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძის მხოლოდ ერთადერთი სკულპტურული პორტრეტია საქართველოში და ისიც მშობლიური სოფლის სკოლის ეზოში დგას. ავტორმა იგი სამაგალითო თანასოფელის, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სხოვნას მიუძღვნა. მთელი კომპოზიცია გადმწყვეტილი ლაკონურად და სიმეტრიულად. მეცნიერის გარეგნულ სიმშვიდეში დიდი შინაგანი ძალა და სიბრძნეა აღბეჭდილი. ავტორმა ხელოვნის სულის სიცოცხლე და ბუმბერაზი მეცნიერის აზრის მოძრაობა ამ ძეგლში ერთმანეთთან ისე შეაწინა და შეასისხლბორცა, რომ ორივე თანასოფელის უკვდავების ძეგლად აქცია. სკულპტურა ხელოვნება სამარყანდიდან ჩამოიტანა.

სულ სხვა პიროვნება და გარდასახვაა გამოხატული სინამდვილეში გულგია, დიდი ადამიანური სითბოთი და იუმორით აღსავსე, ქართული ტოლერანტობით გამორჩეული მოქანდაკის მიერ შექმნილ ავტოპორტრეტში. მასში იმდენად მძაფრია მიმიკური დახასიათება ხელოვნის გაორებული ფიზიკური მდგომარეობისა, რომ აშკარად იქმნება შეგრძნება ჰამლეტისეული „ყოფნა — არყოფნის“ ტრაგიზმსა და წარმავალი წამის შეჩერების წყურვილზე...

ნეტავ, ცხოვრებასა და შემოქმედებაში რის შეცვლაზე ოცნებობდა მოქანდაკე?! იქნებ, „სადაურსა სად ნაიყვანზე“ — ითხოვდა პასუხს თავის ბედისაგან?!



ან იქნებ, ავტორის შთამაგონებელ და სევდიან სახეზე გავლებული ღრმა ხაზების მიზეზი — სამშობლოს მიმართ მისი გადაუხდელი ვალის წუხილია?!

ვინ იცის... ვინ იცის... ვინ იცის...

„Если меня спросили бы, счастливый Вы человек, я ответил: — Да, могу с уверенностью сказать. Имею прекрасную жену, прекрасных детей, прекрасную сноху, отличного зятя, красивых внуков.“

Добился признания народа — в изобразительном искусстве.

А не счастлив тем, что не жил на своей родине, и ещё тем, что оторван от своих работ. Работа художника, это его детище тысяча раз облюбванное каждое произведение.

Когда я жил и работал в Самарканде, тогда я не чувствовал, и даже не подозревал, что так я буду скучать о своих творениях. Когда я приехал в Владикавказ жить, тогда я почувствовал внутреннюю пустоту, отсутствие своего духовного наследства.“

ცხადია, ძნელია, სამშობლოს გარეშე ცხოვრება, მოღვაწეობა და მიუფრო — სიკვდილი, სხვისი საქმისათვის ქართული სისხლის განირვა.

ნოდარ ბანძელაძემ სამშობლოში 26 წელი იცხოვრა, 37 — საქართველოს გარეთ. აქედან ყველაზე დიდხანს უზბეკეთში დაჰყო, მაგრამ სამშობლოს გრძნობა ყველგან თან ახლდა. თუმცა თავისი სულიერი შემოქმედების უდიდესი ნაწილი სხვა ერს მიუძღვნა.

და, როგორც მიხაკო წერეთელი განმარტავდა: „ერის წინაშე სამსახური თავისთავის წინაშე სამსახურია და ამასთანავე, შემოქმედება, შექმნა მომავლისა.“

ჩანს, ამას გვიან მიხვდა...

საბჭოთა ერების ძმურ ოჯახად ერთად ყოფნის ხუხულას დანგრევისა და ჩამოშლის შემდეგ ნოდარ ბანძელაძემ, ოჯახთან ერთად, უზბეკეთი დატოვა და 1995 წელს სამშობლოს მოაშურა, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ არასტაბილური ვითარების გამო დროებით მეუღლის სამშობლოში შეჩერდა. ბარიერს მეუღლის ეთნიკური ოსობა უქმნიდა და ვეღარ გარისკა.

მოქანდაკე ნოდარ ბანძელაძეს არავის შუქი არ მოუპარავს, არავის დაწამგ ზავრი არ გამხდარა, საკუთარი ორბიტა ყველასაგან დამოუკიდებლად გაიჩინა და 30 წელი ანათა სხვის მინაზე...

იგი 2000 წელს ვალის დასაბრუნებლად დარიალის ხეობით სამუდამოდ ბრუნდებოდა სამშობლოში...

ხელოვანი გოლგოთის გზით მოდიოდა თავისი ჯვარცმის ადგილისაკენ...

საბედისწერო გზაჯვარედინზე სამზეო დატოვა...

...და თავისი ჩირაღდნებიც თან წაიღო...

ნინო ხიდიშელი

კომპოზიციური ქარბა

როსტომ ჩხეიძის
ბიოგრაფიული რომანისა
„კომიკოსი ტრაგედიაში“

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „კომიკოსი ტრაგედიაში“ 2012 წელს გამოიცა. ის გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებას ეძღვნება. რომანს ქრონოლოგიურად წინ უძღოდა გალაკტიონის შესახებ დაწერილი ისეთი ნიგნები, როგორებიც არის: რევაზ თვარაძის „ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა“, ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონი“ და ვახტანგ ჯავახიძის „უცნობი“.

როსტომ ჩხეიძის ზემოთ დასახელებული ნაწარმოების კომპოზიციაცაზე მსჯელობის დაწყებამდე, მცირე ხნით შევეჩერდეთ ბიოგრაფიული რომანის ძირითად მახასიათებლებსა და ნიშან-თვისებებზე. აღნიშნული ჟანრის ტექსტში მხატვრულადაა აღწერილი გამოჩენილი პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა დამყარებული მოგონებებსა, ისტორიულ წყაროებსა თუ საარქივო მასალებზე. ასეთ პროზაულ თხზულებაში ნაჩვენებია ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი, ცხადად არის ასახული მისი ხასიათი, დადებითი თუ უარყოფითი შტრიხები, ზნეობრივი მხარე. ისტორიული წარსულის ასახვა, მისი პერიპეტეიები, სხვადასხვა ფაქტისა თუ მოვლენის დეტალური წარმოჩენა ამ სახის ნაწარმოების კომპონენტებს შეადგენს.

მსოფლიო ლიტერატურაში ბიოგრაფიული რომანის არაერთი ნიმუში იცის. მწერლებზე, მხატვრებზე, კომპოზიტორებსა და სხვა სფეროებში გამორჩეულ პიროვნებებზე დაწერილი პროზაული ტექსტები ძალიან პოპულარულია. იწერება ნიგნები, მათ ცხოვრებაზე იღებენ ფილმებს. ეს ჟანრი უკვე გამოკვეთილია ქართულ ლიტერატურაშიც, უცხოურ მწერლობაში კი დიდი ხნის ისტორია აქვს.

დოკუმენტურ რომანში შერწყმულია მწერლის წარმოსახვის ცოცხალი ნიჭი და მკვლევარის სიზუსტე. ავტორი ცნობილ პიროვნებაზე წერისას აცოცხლებს და მხატვრულად წარმოაჩენს მის ცხოვრებას, შესაბამისად, ამ ჟანრის ნაწარმოებში მხოლოდ ფაქტები არაა მონოდებული.

როსტომ ჩხეიძე არაერთი ბიოგრაფიული რომანის ავტორია. მისი თითოეული ნაწარმოები საინტერესოა პერსონაჟებით, გეოგრაფიული სივრცით და იმ ისტორიული მოვლენების არეალით, რომელშიც გმირები მოქმედებენ.

ჩვენ შევეცდებით, შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ დაკვირვებები „კომიკოსი ტრაგედიაში“ კომპოზიციურ ქარბაზე.

ბუნებრივია, ნაწარმოების შექმნისას თითოეული ავტორი თავად ირჩევს კომპოზიციის პრინციპებს, ცალკეული ელემენტების თავმოყრის წესებს, მათ ურთიერთმიმართებასა და თანამიმდევრობას. მწერალი განსაზღვრავს მხატვრული ტექსტის აგების თავისებურებებსა და სტრუქტურას.

ვისაც გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ წარმოდგენა აქვს, მიხვდება, თუ რამდენად დიდი სირთულის წინაშე აღმოჩნდა როსტომ ჩხეიძე ამ ბიოგრაფიული რომანის წერისას. ავტორს ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინა უამრავი მასალა — მხატვრული ნაწარმოებები, დღიურები, ჩანაწერები; ყურადღების მიღმა არც სხვათა ნაშრომები უნდა დარჩენოდა, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა

და შემოქმედების შესახებ დაწერილი წერილები თუ ნიგნებიც უნდა გაეთვალისწინებინა. ბიოგრაფიული რომანის ავტორისათვის საინტერესო და საჭირო მასალა იყო თავმოყრილი პოეტის თანამედროვეთა არცთუ მცირერიცხოვან მოგონებებში.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, მარტივი მოსაძებნი არ უნდა ყოფილიყო სქემა, რომელსაც რომანი დაეყრდნობოდა. როსტომ ჩხეიძემ, როგორც მოგვიანებით თვითონ აღნიშნა, ამ საკითხზე ფიქრისას ყურადღება მიაქცია გალაკტიონ ტაბიძის შესახებ ოთარ ჩხეიძის სიტყვებს:

„გრიმით დადიოდა გალაკტიონი. გრიმით გამოსულიყო საშინელ სცენაზე, იმა სცენაზე, გაუგონარი, არნახული, თავზარდამცემი ტრაგედია რო თამამდებოდა ერისა, გამოსულიყო შეუფერებელში, საპირისპიროში თვისი არტისტული ამპლუისა. სულით ის ტრაგიკული პიროვნება ბრძანდებოდა. მონანილობდა ტრაგედიაში, დიდ ეროვნულ ტრაგედიაში. თავისი ტრაგიკული ბედითვე მონანილობდა. და გამხდარიყო იძულებული დათანხმებოდა როლსა კომიკოსისა: იმგვარი ტრაგედია დატრიალებულიყო, იმგვარი რეჟისორი დგამდა. ეს იყო ორმაგი ტრაგედია, შეიძლება რო — ათმაგიცა. ამითი არაფერი არ მოჰკლებია გალაკტიონის შემოქმედებასა, ეს არის მხოლოდ რო გაძლება უნდოდა. და გაუძლო რამდენიც შეეძლო, როგორც შეეძლო ისე გაუძლო.“

როსტომ ჩხეიძემ ოთარ ჩხეიძის ამ კონცეფციასზე დაყრდნობით რომანში მასალა ისე განალაგა, რომ გალაკტიონი წარმოჩენილიყო როგორც ხელოვანი კომიკოსის ნიღბით დიდ ეროვნულ ტრაგედიაში. მწერალმა გალაკტიონის შესახებ არსებული უხვი მასალა და თვით პოეტის არანაკლებ უხვი მემკვიდრეობა ამ იდეის ხორცშესხმას დაუქვემდებარა.

გარდა კონცეფციისა, მოსაფიქრებელი იყო ფორმაც. გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერების ხელახლა კითხვისას ავტორს ყურადღება მიუქცევია პოეტის განუხორციელებელი ოცნებისათვის, დაენერა ავტობიოგრაფია მოგონებათა საღამოების ციკლისა იმ მწერლებზე და ასევე, მათთან დაახლოებულ ადამიანებზე, რომელთა შესახებაც აღარავინ წერდა, ვინც აღარავის ახსოვდა. ბიოგრაფოსი რომანის ფორმის ძიებისას სწორედ გალაკტიონის ოცნებას დაეყრდნო. ამის შედეგია ის, რომ, როგორც ნიგნის რედაქტორი და მისი პირველი შემფასებელი თეიმურაზ დოიაშვილი აღნიშნავს, რომანის „გაცნობის შემდეგ, ძნელია, არ მოგეძალოს განცდა, რომ გალაკტიონის აღუსრულებელი სურვილი, შეექმნა ავტობიოგრაფიული თხზულება, თითქოს როსტომ ჩხეიძის კალამს ელოდა, კალამს იმ მკვლევარისა და მწერლისა, ვინც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ახალი ტიპის ბიოგრაფიული რომანი დაამკვიდრა“.

მოგვიანებით ბიოგრაფიული რომანის ავტორმაც აღნიშნა წერილში „ჩემი გალაკტიონიც“: „იმისთანა დეტალები თვალჩინოვდებოდა და ცოცხლდებოდა, საგანგებო ჩაკვირებას მოითხოვდა, მასალის რაოდენობაც სულ უფრო იზრდებოდა და ერთბაშად ისეთი განცდა გამიჩნდებოდა, თითქოს გალაკტიონის დაუნერელი მემუარების დაწერა მე დამვალებოდა... ბიოგრაფიული რომანის იმ ფორმას დაემგვანებოდა ნება-უნებლიეთ, ამდენი ხანი ასე უიმედოდ რომ ვეძებდი და ლამის უკვე ხელიც ჩამექნია“.

ვინაიდან როსტომ ჩხეიძის ერთი კონკრეტული ბიოგრაფიული რომანის კომპოზიციურ ქარბაზე ვსაუბრობთ, საყურადღებოა რა პრინციპს ეყრდნობა მწერალი ამ ჟანრის სხვა ნაწარმოებების წერისას. შესაძარებლად გავიხსენოთ „ბედი პავლე ინგოროყვასი“, რომელიც ოცდაცამეტი თავისგან შედგება, თუმცა თითოეული მათგანი სახელწოდებების გარეშეა მონოდებული. ეს არის მრავალპერსონაჟიანი, ისტორიულ-დოკუმენტური ფაქტებით გაჯერებული ბიოგრაფიული რომანი, რომელიც არაერთ ხაზს აერთიანებს და მხო-

ლოდ პავლე ინგოროყვას პიროვნებით და მოღვაწეობით არ შემოიფარგლება. ქრონოლოგიის პრინციპს არც ეს ტექსტი ეფუძნება. თხზულება იწყება მეცნიერის ცხოვრების ერთ-ერთი მძიმე ეპიზოდის აღწერით, ჩაქოლვის ეპიზოდით, მისი წიგნის „გიორგი მერჩულეს“ განხილვის გამო. ამის შემდეგ ავტორი ქრონოლოგიურ პრინციპს უბრუნდება და პავლე ინგოროყვას ბიოგრაფიას აცოცხლებს, წარმოგვიდგენს მის სამყაროს.

ჩვენი მოსაზრებით, რომანის — „ბედი პავლე ინგოროყვასი“ — კონცეფცია ნაწარმოებისათვის ეპიგრაფად წამძღვარებულ გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონებში იკვეთება:

**ეშვება ფერი ბინდის,
ზღვა შლის წვიმების ფანტელს,
მიყვავარ მხოლოდ სინდისს
მხოლოდ სიმართლის კანდელს.**



პავლე ინგოროყვას მთელი ცხოვრება სიცოცხლის გზაზე მხოლოდ სინდისითა და სიმართლის კანდელით სვლა იყო. ამდენად, გალაკტიონ ტაბიძის 1940 წლით დათარიღებულ დღიურში ჩანერილი ლექსის „ფიჭვი ბიჭვინთის“ ერთი სტროფი არის გასაღები მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტის კომპოზიციური ქარგის ანალიზისთვის.

ამდენად, შედარებისას ცხადი ხდება, რომ მწერალი ორივე შემთხვევაში არსებულ მასალას ერთ კონკრეტულ კონცეფციას უქვემდებარებს, კონკრეტული იდეის მიხედვით განალაგებს ფაქტებსა და მოვლენებს.

დავუბრუნდეთ როსტომ ჩხეიძის წიგნს „კომიკოსი ტრაგედიაში“. ის ოცი თავისგან შედგება. თითოეული მათგანი დასათარებულია, ამავე დროს, თითქმის ყოველი თავი რამდენიმე ქვეთავს აერთიანებს.

ბიოგრაფიის თხრობას არ იწყებს გალაკტიონის ბავშვობისა და სიჭაბუკის აღწერით, ანუ იგი არ იცავს მხატვრული ბიოგრაფიისათვის დამახასიათებელ ქრონოლოგიური თანამიმდევრობის პრინციპს და ეს ბიოგრაფიული რომანისათვის აუცილებელი არც არის. ნაწარმოების პირველი თავია „სალამოები ხავერდის ყდაში“, სადაც მწერალი პოეტის დაუნერულ ავტობიოგრაფიულ წიგნზე გვესაუბრება. ეს ავტორის ჩანაფიქრის ნაწილია. ყოველი შემდგომი თავი მკაცრი ქრონოლოგიური პრინციპით არ არის დაკავშირებული ტექსტის წინა მონაკვეთთან, თუმცა, ზოგადად, თავების თანამიმდევრობაზე დაკვირვება იმასაც ცხადყოფს, რომ როსტომ ჩხეიძე, რამდენადაც ეს მისი ჩანაფიქრისთვის მისაღებია, დროით თანამიმდევრობას უყურადღებოდ არ ტოვებს.

ბიოგრაფიული რომანის თითოეული თავი კონკრეტულ თემასა თუ საკითხს ეძღვნება, უფრო ზუსტად რომ ითქვას, რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხისა თუ თემის ირგვლივ ერთიანდება მასალა, რომელსაც ავტორი ფლობს.

გალაკტიონის ბიოგრაფიაზე, პიროვნულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს II, IV, VII, XII, XIII, XIX და XX თავები. აქ ჭარბობს გალაკტიონის ცხოვრების ძირითადი მომენტები. მაგალითად, IV თავი „ტოტი ქარისა აქანებდა მთავრესა“ — ეძღვნება ლეგენდას მერი შერვაშიძეზე. VII თავი „მთვარიან ღამეთა საჩუქარი“ — ოლია ოკუჯავასა და გალაკტიონის ურთიერთობას ეხება, ამავე თემის გაგრძელებას წარმოადგენს XIII თავი სახელწოდებით „მეექვსე გრძობა და სხვა ამბები“, თუმცა ამ თავში შემოდიან სხვა პერსონაჟებიც — ოლია დაროუსი და ნინო კვირიკაძე.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, კონკრეტულ პიროვნებებს — დავიწყებულ მწერლებს ეხება პირველი თავი „სალამოები ხავერდის ყდაში“. ასევე სხვა მწერლებთან გალაკტიონის მიმართებას ეძღვნება III, V, VI, IX, XI და XV თავები, სადაც, შესაბამისად, ასახულია პოეტის დამოკიდებულება წინამორბედებსა და თანამედროვეებთან, კონკრეტულად, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ცისფერყანწლებსა და გრიგოლ რობაქიძესთან, მიხეილ ჯავახიშვილსა და გვირგვინი ქიქოძესთან.

გალაკტიონის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ეტაპებისადმი ცალკე თავებია მიძღვნილი. ასეთია, მაგალითად, „სისხლიანი ანგელოსი“, რომელშიც გადმოცემულია პოემის „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“ შექმნის ისტორია და შემდგომ განვითარებული მოვლენები. ასევე ცალკე თავი ეთმობა „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ შემოქმედებით ლაბორატორიასა და „მშვიდობის წიგნს“.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანზე დაკვირვება გვაძლევს საფუძველს, აღინიშნოს, რომ თითოეულ თავს აქვს განსაზღვრული დასაწყისი და დასასრული; ყოველი თავი კომპოზიციურად შეკრულია, დასრულებულია. ნებისმიერის ნაკითხვისას მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ცალკე დაწერილი ესეებია.

თითოეული თავი რომ ნამდვილად გარკვეულ მთლიანობას წარმოადგენს, ამის საილუსტრაციოდ შესაძლებელია დავასახელოთ, თუნდაც, მეშვიდე თავი „მთვარიან ღამეთა საჩუქარი“. აქ გადმოცემულია გალაკტიონ ტაბიძისა და ოლია ოკუჯავას სიყვარულის ისტორია. ავტორი ყურდნობა დოკუმენტურ მასალას — წერილებს, დღიურებსა და ჩანაწერებს. ამდენად, ბიოგრაფიული რომანის ეს ფრაგმენტი დეტალურად გვიხატავს გალაკტიონისა და ოლიას ურთიერთობას.

„საუკუნის გვიანი მგზავრები“ — ასე დაასათაურა როსტომ ჩხეიძემ დოკუმენტური რომანის მეთერთმეტე თავი. ნაწარმოების დასახელებულ მონაკვეთში მოთხრობილია მიხეილ ჯავახიშვილის თაოსნობით „არიფონის“ შექმნის ისტორია, მუშაობის გეგმა, გალაკტიონ ტაბიძის წევრობა და დამოკიდებულება აღნიშნულ ასოციაციასთან, ეს ყოველივე — გაცოცხლებული პოეტის ჩანაწერების მეშვეობით. „საუკუნის გვიანი მგზავრები“ თავისი სტრუქტურით, ცალკე აღებული მცირე ფორმის მხატვრული თხზულებაა, მონოდებულ ფაქტებისა თუ მოვლენების დალაგებით, რომელსაც ამთლიანებს „არიფონის“ ისტორია.

თუმცა მიუხედავად თავისთავადობისა, ცალკეული თავები მთლიანი თხრობის ორგანული მონაკვეთებია, რომლებსაც აერთიანებს კონცეფცია — გალაკტიონ ტაბიძე — რომანის მთავარი პერსონაჟი წარმოჩინდეს როგორც კომიკოსის ნიღბის მქონე ხელოვანი დიდ ეროვნულ ტრაგედიაში.

ბიოგრაფიული რომანის „კომიკოსი ტრაგედიაში“ სტრუქტურაზე, მის კომპოზიციურ ჩარჩოზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია თვალის მივადევნოთ, თუ როგორ შემოჰყავს ავტორს სხვადასხვა პერსონაჟი. მათი შემოყვანა ხდება თანდათანობით — თითოეულ თავში შემოდიან ახალი პერსონაჟები, მომდევნო თავებში მათ სხვა პერსონაჟები უერთდებიან ან ენაცვლებიან და ა. შ.

რომანის ცალკეული თავების კომპოზიციაზე დაკვირვებისას ყურადღებას იქცევს რეფერენის გამოყენების სიხშირე. რეფერენს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ნაწარმოების

არაერთ მონაკვეთში, თუმცა ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესოა თავი „ეპოქათა გზაგასაყარზე: 1907, 1908“. მწერალი აქ რეფერენად იყენებს გალაკტიონის სტრიქონებს — „წინამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი“. ტექსტის მითითებულ მონაკვეთში როსტომ ჩხეიძე აცოცხლებს ჩვენი ქვეყნის ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც აზრთა სხვადასხვაობა, დაპირისპირება იყო ქართულ საზოგადოებაში XIX და XX საუკუნეთა შორის მიჯნის გავლებასთან დაკავშირებით. აქვე წერს ბიოგრაფის ილია ჭავჭავაძის პიროვნებისადმი გალაკტიონის დამოკიდებულებაზე. ცხადია, ეს საკითხები გაშლილია გალაკტიონის ზემოთ ხსენებული ლირიკული ნაწარმოების ანალიზის ფონზე და რეფერენად მოხმობილი სტრიქონები უშუალოდ მიემართება რომანის კონკრეტული თავის მთავარ სათქმელს.

ბიოგრაფიული რომანის კომპოზიციის დაკვირვება ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს მის პროლოგსა და ეპილოგს.

პროლოგში ვკითხულობთ:

„გალაკტიონ ტაბიძეს თეატრალური რეჟისორის დიპლომი ჰქონდა... აიღებდა და შეინახავდა. არასოდეს არაფერში გამოუყენებია. სცენის მოტრფიალენიც კი არ შეუკრებია ერთხელაც კი, რათა სამოყვარულო სპექტაკლი მაინც დაედგა. შემთხვევით თუ ნამოაგონდებოდა: — მე მაქვს ატესტატი რეჟისორისა. ესეც იმიტომ, რომ: კარგი იქნება, ჩამოყალიბდეს ლირიკის თეატრი, ან... ფრაზასაც ვერ დაამთავრებდა. ლირიკის თეატრის გარდა კიდევ რისი ჩამოყალიბება შეიძლებოდა მისი რეჟისორული უნარის გამოსამჟღავნებლად, ესეც ვერ მოეფიქრებინა, თორემ ხორცილსმამაზე ზრუნვას ვინ ჩივის... დიპლომი ეგდო მაგიდაზე, დიპლომი ეგდო“...

ამ ფრაგმენტის ნაკითხვისას თითოეულ მკითხველს გაუჩნდება კითხვა — რატომ დასჭირდა გალაკტიონს თეატრალური რეჟისორის დიპლომი?

რომანის გაცნობისას გაირკვევა, რომ ამ დიპლომს ნაწარმოებში უდიდესი სიმბოლური დატვირთვა ენიჭება. როსტომ ჩხეიძე გალაკტიონს ხატავს როგორც საკუთარი ცხოვრების რეჟისორს, თეატრალურ რეჟისორს, ვინც თვითონვე დადგა საკუთარი ცხოვრების სპექტაკლი. ამ დიპლომის მეშვეობით, მისი სიმბოლური მნიშვნელობის გააზრებით აიხსნება პოეტის არაერთი ცხოვრებისეული ეპიზოდი, მისი არაერთი ქმედება.

ირკვევა, რომ პოეტი თავისი ცხოვრების მანძილზე მონაცვლეობით ირგებდა სხვადასხვა ნიღაბს, თამაშობდა მთვრალის, ხან ნარცისის, ზოგჯერ მიაშიტის ან დაბნეული ადამიანის როლს.

რეჟისორის დიპლომი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს თავს ბიოგრაფიული რომანის დასასრულს, სადაც გალაკტიონი საკუთარი გარდაცვალებისა და დაკრძალვის რეჟისორად გვევლინება. ასე უკავშირდება ბიოგრაფიული რომანის დასაწყისი და დასასრული ერთმანეთს. აქვე მწერალს მოხერხებულად აქვს გამოყენებული მურმან ლებანიძის სტრიქონები, სადაც გალაკტიონი მოხსენიებულია როგორც საკუთარი დაკრძალვის სცენის დირიჟორი:

**დირიჟორი თვით იყო!
რაც მოხდა და გათავდა
და რაც ახლა ხდებოდა, —
მისი ყინი მართავდა...**

მოვიტანოთ ციტატა რომანიდანაც:

„ნეშტი ხელმძღვანელობდა ყოველივეს, ნეშტი წარმართავდა მთელს მსვლელობას სამგლოვიარო პროცესიისა, რომელსაც იმდენი ადამიანი შემოეკრიბა, ნემსის ჩასაგდებად ადგილი აღარ რჩებოდა... მისი რეჟისორული გამოცდილება ახსოვდათ, გაიმეორებდნენ და უნაკლოდ ამიტომაც წარმართავდნენ და დაავიწყებდნენ მისი დასაფლავების სცენასაც, კიდევ ერთ ნიშანსვეტს რომ შემატებდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ზნეობრივი ცხოვრების ისტორიას“.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს საინტერესო კომპოზიციური ქარგა აქვს. მისი თითოეული თავი დამოუკიდებელი, დასრულებული მთლიანობაა, რომლებიც ამავე დროს მტკიცედ უკავშირდებიან ერთმანეთს და ავტორისეულ კონცეფციას. ვფიქრობთ, ბიოგრაფიული რომანის ორიგინალურად მოფიქრებული, თავისებური კომპოზიციაც განაპირობებს იმას, რომ მკითხველისა და პროფესიონალი ლიტერატორებისთვის ნაცნობი ფაქტებიც კი ინტერესით იკითხება.

ბატონო როსტომ, ჟურნალ „ჩვენი მხარე“-ის „ძვირფასი თანამშრომლებო, მე თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი, თორნიკე კობიაშვილი გახლავართ — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი. ვმუშაობ თქმაზე: „ესმა ონიანის შემოქმედება“, პროფესორ რუსუდან ნიშნიანიძის ხელმძღვანელობით. ამ ცოტა ხნის წინათ ვიმყოფებოდი პრალაში, ევროპის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში, სადაც ბევრი საინტერესო და საგულისხმო რამ ვნახე. პრალამ მიბიძგა, სხვა თვლით შემეხედა თბილისის მუზეუმებისა და კულტურის ობიექტებისადმი, რომელთა არსებობასა და განვითარებას ევროპაში უზარმაზარი კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელი მნიშვნელობა ენიჭება. თბილისში თავდაპირველად გალაკტიონის მუზეუმს ვწვევი. სურვილი დამებადა, იქ მიღებული შთაბეჭდილება თქვენი ჟურნალის მკითხველისთვის, როგორც თანამოაზრეთა კოლექტივისთვის, გულწრფელად გამეზიარებინა. მნამს, რომ ასე დიდხანს არ გავრძელებოდა და საერთო ძალისხმევით აუცილებლად გამოსწორდება ჩვენი სასიქადალო მამულიშვილების სახლ-მუზეუმებში შექმნილი მდგომარეობა.

თორნიკე კობიაშვილი

სტუმრად ბალაკტიონთან

პრალის ძველ უბანში მოხვედრისას, შეუძლებელია არ გადაკვეთოთ კარლოსის ხიდი, რომელიც აუცილებლად მონუსხავს მნახველს და შეიძლება, შენდა უნებურად, უცნაური შეგრძნებებიც გაგიჩინოს, ნახევრად განათებულმა რელიგიურმა სკულპტურებმა, ჯვარცმის სცენამ და ა.შ.

პრალის ვინრო ქუჩები საკმაოდ ხალხმრავალი და ხმაურიანია, თუმცა ამ ხიდზე რატომღაც ყველა ჩუმადაა. მდინარე საკმაოდ განიერია, შესაბამისად, ხიდი გრძელი. ცდილობ ნაბიჯს აუჩქარო და მალე გახვიდე აქედან, თუმცა ნამდვილად ძნელია თავი დააღწიო ამ ხიდის იდუმალ მიზიდულობას და, შენდა უნებურად ფეხსაც კი ითრევე.

მეორე ნაპირას ამ ხიდს იმ ქუჩაზე გავყავართ, სადაც ფრანც კაფკა დაიბადა.

სიმართლე გითხრათ, პრალაში წასვლისას სულაც არ ვგეგმავდი კაფკასთან სტუმრობას, თუმცა ისიც ვიცოდი, რომ უამისოდ არ შეიძლებოდა.

ამ ქუჩებში სიარულისას, კარგავ შეგრძნებას, რომ 21-ე საუკუნეში ხარ და განწყობაც შესაბამისი გაქვს, ამიტომ მუზეუმთან მიახლოებასთან ერთად, მიმდარდებოდა შეგრძნება, რომ აუცილებლად, სადმე, თვალს მაინც მოვკრავდი კაფკას.

მუზეუმში შესასვლელად, დიდ, ხის ჭიმკარში შედიხარ, სადაც ისეთივე უცნაურ სკულპტურებს ეჯახები, როგორი უცნაურიც თავად სახლის პატრონია.

სახლში უამრავი ადამიანი ირევა, თუმცა რალაც კანონზომიერებას ემორჩილებიან და

მეც დავყვი. ექსკურსიამდლოლი გაურკვეველი ინგლისურითა და რუსულით საუბრობს, ამიტომ ვამჯობინე ჩემით გამერკვია რა-რა იყო, იქ წარმოდგენილ ყოველ ექსპონატს ჰქონდა განმარტება.

ჩაბნელებული ოთახები, სპეციალური განათებები, მისტიკური გარემო, ზუსტად ისეთი, კაფკას ნაწარმოებებს რომ შეეფერება და მისი კითხვისას რომ გეუფლებოდა.

გამოფენილი იყო კაფკას ადრეულ ნლებში შექმნილ ხელნაწერთა ორიგინალები, ბარათები, დღიურები, ფოტოები და ნახატები. იყო სამგანზომილებიანი ინსტალაციები, რაც აცოცხლებდა ყველაფერს, იყო აუდიო ეფეტები, ხმის ჩანაწერები, რაც კიდევ უფრო მეტად გაახლოვებდა სახლის პატრონთან. ცალკე გამოყოფილ კუთხეში მუზეუმის მალაზია, სადაც იყიდება ყველაფერი, რამაც შეიძლება მომავალში კაფკა და თავად ეს ქალაქიც გაგახსენოს, რაც აუცილებლად აღვიძრავს უკან დაბრუნების სურვილს.

გარეთ, ეზოში, არაჩვეულებრივი კაფეა, სადაც შეგიძლია მშვიდად დაჯდეთ და კაფკას წიგნს თუ არ წაიკითხავთ დაისვენოთ მაინც, თან აქაც, ისევე, როგორც ყველგან, ამ ქალაქში ლუდი საუკეთესოა.

იქიდან გამოსულს მახსენდებოდა სიტყვები, რომ ერთ დღეს ჩემს ქვეყანაში შეიძლებოდა მეც ვყოფილიყავი კაფკაზე არანაკლები მნიშვნელობისა და სიდიდის რომელიმე მწერლის სახლ-მუზეუმის წარმომადგენელი და ვცდილობდი, კარგად დამემახსოვრებინა, თუ როგორ შეიძლება გააკეთო ჰარმონიული სინთეზი ულტრათანამედროვეობასა და სიძველეს შორის.

უკვე თბილისში, როდესაც გადავწყვიტე გალაკტიონის ვსტუმრობოდი, ვამჯობინე ფეხით გამევილო გალაკტიონის ბინამდე მისასვლელი ქუჩები. გალაკტიონიც მდინარის პირას ცხოვრობდა, ესეც ვინრო ქუჩაა, ოღონდ გადავსებული მანქანებით, შეუძლებელია რამემ, ოდნავ მოშორებიან მიგახვედროს, რომ ერთ დროს აქ ისეთი დიდი კაცი ცხოვრობდა, როგორც გალაკტიონ ტაბიძე იყო.

სადარბაზოს შესასვლელთან ავტოსადგომია მოწყობილი. განწყობაც არ არის ისეთი, გალაკტიონის სტუმარს რომ შეეფერება, მაგრამ სხვა რა გზაა.

სადარბაზოში შესვლისას კიბეს ვაცქერდები, მომტვრეულია ალაგ-ალაგ, ადვილად დაიმტვრევა აქ კაცი... გალაკტიონის ბინის კარსაც მივადექი, გარედან დამცავი რკინის კარია დაკიდებული, თვითონ ხის კარზე კი გამაფრთხილებელი პოსტერია „ობიექტს იცავს დაცვის პოლიცია“, არადა, ზუსტად ვიცი, გალაკტიონს არაფერი აქვს არც დასაცავი, არც მოსაპარი.

კარი შევადე და ზარებმა დაინყეს ჟღარუნი, დაახლოებით ისე, სურსათის მალაზიაში მყიდველის შესვლას, რომ ატყობინებს გამყიდველს.

ქალბატონი შემოგვეგება, დათვალაიერება გვინდა-მეთქი, კი ბატონოო, — მითხრა და ვერ მივხვდი, გაუკვირდა, გაუხარდა თუ ეწყინა. ექსკურსიამდლოლიც მოვითხოვეთ მაგრამ, გასულიაო სამწუხაროდ, დღეს აღარ იქნებო — იყო პასუხი.

რა გაენწყობოდა..

შესასვლელიდან მარჯვნივ პოეტის სამუშაო ოთახში მოვხვდი, სანერი მაგიდა, წიგნის კარადები, ტანსაცმლის საკიდი, ზედ კოსტიუმი და ხელჩანთა. კედელზე ჩამოკიდებული ფოტოები-ქრონოლოგია დაცულია. ნივთები ძირითადად ეპოქალური, ბიბლიოთეკა იყო გალაკტიონის. სანერ მაგიდაზე ხელნაწერები, ოღონდ ასლები. კედლები თეთრად შეღებული — საავადმყოფოს მოგაგონებთ.

კაბინეტიდან საცხოვრებელ ოთახში გავდივართ, აქაც სურათები, აფორიზმები, ძველ სტენდებზე გამოფენილი მანუსკრიპტები, იქვე კედელთან გალაკტიონის გვამიდან აღებული ნიღაბია. იქვეა მისი პაპიროსი, ასანთი და უბის წიგნაკი.

„ამ ოთახის იქით ადმინისტრაციააო, — გვითხრა ჩვენმა მასპინძელმა ქალბატონმა.

ადმინისტრაციიდან კი ოდნავ ხმამალალი, აგრესიული ტონით საუბარი ისმოდა, ტელეფონზე საუბრობდა თანამშრომელი.

უკვე გამოსვლას ვაპირებდი, როდესაც ერთ აფიშასთან შევეჩერდი, ვკითხულობდი, გამოყოფილ ნიშაში ეკიდა და ყურადღება მიიქცია. მუშათა შეხვედრაზე გამოდიოდა გალაკტიონი სიტყ-



ვით, ამ დროს მასპინძელი ცდილობდა გაენათებინა ეს ნიშა, თუმცა მხოლოდ წამიერად და მანაც ამოიხრა — „ისევ გადაინვა“. მანამდე, კაბინეტში, შუა ოთახში დადგმული უზარმაზარი მუსიკალური ცენტრით ეცადა გალაკტიონის აუდიო ჩანაწერი ჩართო ჩვენთვის, თუმცა ისიც ბედად მაგ დროს არ ჩაერთო.

უკვე მაძლობას ვიხდდი დახვედრისათვის, როდესაც ვიზიტორთა წიგნი გამოგვიტანა და გვთხოვა ჩანაწერის დატოვება, მეც არ ვანყენინე.

იქიდან წამოსული კი ვფიქრობდი, რა გააკეთა კაფკამ ისეთი, რაც ვერ შეძლო გალაკტიონმა. რატომ არ იმსახურებს ეს პოეტი მისი მშობლიური ქვეყნისაგან თუნდაც იმდენივეს, რამდენსაც სხვა ერის შვილი (წარმომავლობით ებრაელი) კაფკა — ჩეხი ხალხისაგან?

მე ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

ოთხშაბათს, 18 მარტს
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
„გალაკტიონის კვლევის ცენტრი“
მართავს ყოველწლიურ
სამეცნიერო სესიას

გალაკტიონის დღე

1. გალაკტიონ ტაბიძის ახალი აკადემიური გამოცემის შესახებ (თეიმურაზ ღოიაშვილი);
2. გალაკტიონ ტაბიძის ახალი აკადემიური გამოცემის I-II ტომების ელექტრონული ვერსიის წარდგინება (ნათია სინარულია);
3. სამეცნიერო-ლიტერატურული კრებულის „გალაკტიონოლოგია VII“ პრეზენტაცია

დასაწყისი 14 საათზე
კოსტავას 5

მაკა ჯოხაძე

როცა ფიქრი მღერის

შტრიხები პორტრეტისათვის

ამ ლექსებში არც პოლიტიკაა, არც პორნოგრაფია, არც სოციოლოგია და არც შოუბიზნესი (პური და სანახაობა). ასე რომ, საბაზრო ეკონომიკის გათვლით ეს ლექსები წამგებია-ნია, მაგრამ იყო კი ოდესმე პოეზია მომგებიანი? უფრო მეტიც, პოეტობა იმთავითვე სახიფათო პროფესია გახლდათ, რადგან შელის თქმისა არ იყო — „პოეტები ხომ სამყაროს უღიარებელი კანონმდებლები არიან“, პლატონი კი პირდაპირ სახელმწიფოს მტრებად თვლიდა და ქვეყნიდან მათ განდევნას მოითხოვდა. თვით მშფოთვარე ტრიბუნა კი „შარვლიანი ღრუბლის“ სახელწოდებით აცხრობდა (ანეიტრალეზა) და ეფემერულს ხდიდა წარმოსახვის იმ ვულკანურ ამოფრქვევებს, ცეცხლისფერ ლავად რომ ლუოდა მისი ტვინის მცხუნვარე კრატერებში (საბჭოური პასპორტის მომღერალს საბჭოეთი ბოლომდე მაინც არ ენდობოდა).

ასაკი არაფერ შუაშია, ამ წიგნის ავტორი არც ადრეული სიყმაწვილის ჟამს იქნებოდა სულსწრაფი და ეპატაჟს დახარბებული. თუმცა ნურც ისე წარმოვიდგინოთ, რომ გია კობახიძე ერთი ვინმე ასოციალური ტიპია, მეამბოხე ან რელიგიური განდევილი. იგი არც ეგზისტენციალისტია სარტრისეული გაგებით და მით უფრო, არც ეგოცენტრიზმით დააგადებული თანამედროვე პოეტი. პირიქით, ღიაობით, გახსნილობითა და სისადავით მისი პოეზია გაცნობისთანავე კეთილგანგაწყობს, ჩემიანს შევხვდით — გაფიქრებინებს. უბრალოდ, დღევანდელი, „ახალი ქართველები“, აღარაფერს მნიშვნელოვანს აღარ კითხულობენ; ამ პოეტურ სამყაროსაც გულგრილად ჩაუვლიან, ვითომდა „რა დროს რომანსეროაო“, არადა, გალაკტიონს სათოფეზე არ ეკარებია. ნაწილს კი, რომელთათვისაც კითხვა ეს-ესაა მოდაში შემოდის, საკუთარი დედ-მამის მაგინებელი, ამდენი პარანოიკი მოთამაშე მგოსნების მერე ის ჯანსაღი ხედავს და უბრალოება დააქვებთ, რითაც მოულოდნელად მთაში ასული, სმოგს მიჩვეული ურბანისტები სუფთა ჟანგბადით ინამლებიან ხოლმე.

გია კობახიძე არც უმცირესობებს იცავს და არც უმრავლესობას უკმევს გუნდრუკს. სულისკვეთებით უფრო ტრადიციონალისტურია, მაგრამ რატომღაც მგონია, საპარლამენტო ჩოხოსნებსაც ეჭვის თვლით უყურებს. საერთოდ, ყველანაირ ურაპატრიოტიზმს ემიჯნება, თუმცა სამშობლოს სიყვარულს არანაირად არ მალავს. მერე რა, რომ კარგად ესმის დოჩანაშვილის სათაურის ეპოქალურ-სიტუაციური ქვეტექსტი — „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“.

ეს ერთი ვინმე თუ ერთი რამე გადამალული საყვარელი ქალივითაა — და თუ მაინცდამაინც დამალვაზე მივდა საქმე, ყველაზე სანდო თავშესაფარი კაცის გულია და არა ტრივიალური ვოდვეილის ძველი, ბუტაფორული კარადა. ერთი წიხლის კვრა და ბუფეტის სიღრმეში ყველაზე სასონარკვეთილი, ნამდვილი ქალიც კი ცვილის მანეკენით გაშიშვლდება და ყველანაირ დრამას კომედიად აქცევს. ასე დაფოფინებს ფარსისა და ტრაგედიის ზღვარზე სიყვარული. ეს დაახლოებით მისსავე სტრიქონებს ჰგავს:

დაფნის ფოთოლი სადილში,
დაფნის ფოთოლი თავზე.
.....

დილის ჰანგი სისხლში დადის
ძველებური სიმღერიდან,
და იწყება განთიადი
დამარცხებულ სიბერიდან.

ამ წიგნის გადაშლა მართლაც განთიადს ჰგავს, როცა ნალაღატევი ქრისტეს მწუხარებას ყელში ვერცხლგაჩრილი მამლები ყვიან, როცა ქრება რიჟრაჟის სუსხი, ამოდის მზე და მოაქვს იმედი — მიუხედავად ყველაფრისა ყველაფერი კარგად იქნება. „ყოფითობის აუტანელი სიმსუბუქისა“ რა მოგახსენოთ... გია კობახიძე ყოველდღიურობის სიმძიმეშიც ხედავს პოეზიას, უფრო ზუსტად, მას შესწევს ძალა, ამ ამორალურ, მღვრიე გარემოში, ამ მართვად ქაოსში, საკუთარი მაგნეტიზმით ამოზიდოს, მიიზიდოს, მიიკრას ყველაფერი მნიშვნელოვანი, რაც სამყაროს თავდაპირველ, ღვთაებრივ სახეს უნარჩუნებს. ამ მაგნეტიზმს კი მისი სუფთა ბუნება, ენერგია, შინაგანი რესურსი, მზერა, აბსოლუტური მუსიკალური სმენა განსაზღვრავს, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ — მაღლი. იგი მაღლის მატარებელი პოეტია.

თითქოს ამ ნუთით იწყება დღე და
ამ საოცრებას პირველად ვხედავ.

აი ეს განწყობა, ეს უშრეტი სიყვარული სიცოცხლისა, აღმოჩენის სიხარული და მაღლიერების გრძნობა მის პოეტურ სამყაროში კოცონივით ანთია.

აღაფი და ევს

გია კობახიძეს ახასიათებს ქალისა და კაცის (აღამ და ევს) მისეული, ძალიან მოსწრებული დახასიათება, რომელიც გაკვირვებს თავისი სიზუსტით:

ხასიათს აკლდება სიფიცხე,
კაცია — დაღვეს და ისვენებს,
ქალია — თავისკენ გიბიძგებს,
ნისლიან თვალეში — სისველე,
კაცი სვამს — ყველაფერს ივიწყებს,
ქალი სვამს — ყველაფერს იხსენებს.

ანდა:

წელს უცნაურია მაისობა,
წვიმებმა სახლებში გამოგვკეტეს,
ქალები მაინც ხალისობენ,
ქალებზე ამინდი არ მოქმედებს...

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დროის ციკლის არაჩვეულებრივი, ადეკვატური განცდა აქვს პოეტს. მისი განწყობა პირდაპირ უნისონშია რითმითაც, რიტმითაც, ტემპითაც და ტემპერამენტითაც თვეთა მონაცვლეობასთან და ალბათ ესეცაა მიზეზი მისი ლექსების მოუწყენლობისა.

რადგანაც შუბლზე შეხება ზამთრის
ჰგავს გაციებულ ბუხართან ალერსს...

ხასიათს ძერწავს თებერვლის ყინვა
ალმასის წვერით მისერავს სახეს...

რა ყვავილებიც იზიდავს ფუტკარს,
მეც იმ სურნელის ვრჩები ერთგული,
ალბათ იმავე ჰაერით ვსუნთქავ,
რომელ თვეშიც ვარ დაბადებული.

ეს არავის უთქვამს და ასე მგონია, ამ კუთხით არც არავინ დაკვირვებია ბუნებას. თავისი ძუნწი, ერთგვარი პასტოზურობით, ზოგჯერ კი აკვარელისეული მონასმებით გია კობახიძე ქმნის დასამახსოვრებელ სურათებს, რომელთა ფერწერული ტილოებით ჩარჩოში ჩასმა და კედელზე დაკიდება მოგინდება. მაგალითად, რამდენიმე ნიმუშს მოვიტან:

**ახლა კი ზამთარს სიბერით დაღლილს,
ამ მეფეთმეფეს დიდთა მეფეთა,
როგორც თავისი ერთგული ძალლი
სიცივე უზის და თვლემს ფეხებთან.**

.....
**განწყობა — უმშვიდესი,
სულის — რწმენის სადგომის,
სიყვარული — მიზეზი
დღეს ყოველთა აქ დგომის,
ანჩისხატი ბებერი,
შუალამე აღდგომის
და რძისფერი შედევი —
ცაზე ირმის ნახტომი.**

.....
**პატარა ვენახს ჰქონდა ქორწილი,
საფარავს სთხოვდა ხელს რქანითელი,
არავინ იყო რთველი მოცილი,
კოცნიდა გოდორს სავსე გიდელი,
იკრიფებოდა ეს დალოცვილი,
იყო შუადღე ჩუმი, ყვითელი.**

ჩვენი თაობის ბურჟუაზიულ ხიბლს პერიოდულად ის ნაყოფებიც წარმოადგენდნენ ეგზოტიკური, უცხო ხილივით რომ გადმოკვეთდნენ საბჭოეთის საზღვრებს და ორიგინალსა ან თარგმანში ვეცნობოდით საოცარ მწერლებს, პოეტებს, მუსიკოსებს, მხატვრებს... ასე მგონია, ფრანგი იმპრესიონისტების რეპროდუქციებთან ერთად ყოველი ჩვენგანის ოთახში ეკიდა უხეში ძაფისაგან მონაქსოვ, ფართეყელიან სვიტრში ჩაცმული ჭაღარა ჰემინგუეის შთამბეჭდავი ფოტო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან ასე იყო, რაც იმას მონშობდა, რომ მე მისეული ღირსებით სავსე მამაკაცებს განუყრელად მხარში ვედექი და მათთან ერთად მეც კილიმანჯაროს თოვლიანი მწვერვალებისაკენ მეჭირა თვალი.

ახალგაზრდობისდროინდელი იმ სურათით გამიხარდა გია კობახიძის ლექსებში ამერიკელი მწერლის გამოჩენა და რამდენიც არ უნდა იძახონ იმ დროის მოშურნე კოლეგებმა თუ თანამედროვე ნიჰილისტმა ექსპერტებმა, — დიდი ტრიპაჩი ვინმე იყო, ხიფათებს ხელოვნურად ეძებდა და სხვის ომში წასვლითაც მარიაჟობდაო, „ვისთვის რეკს ზარი?“-სა და „მშვიდობით, იარაღოს“ ავტორი ჩემთვის ყოველთვის დიდ მწერლად დარჩება, „მოხუცი და ზღვა“ კი — შედევრად. რამდენმა ნამდვილმა მკითხველმაც ეს მოთხრობა წაიკითხა, იმდენი ნატვრა შეიძლება „დააბრალო“ სიკვდილის წინარე წამებში მოხუც მეთევზეს. გია კობახიძე კი, ასე მგონია, მის გულში იჯდა და ზუსტად გამოიცნო მოხუცი სანტი-აგოს ნატვრა:

**ხან სხვებზე გვიან, ხან სხვებზე ადრე,
თევზიც მქონდა და თევზის ქვირითიც,
ახლა საკუთარ სიბერეს ვკადრებ ფიქრს,
ტალღებში თავს რითიც ვისჯიდი.
იქნებ ეს კითხვა თოვლივით დადნეს,
მე მაინც ჩემსას ვკითხავდი ჰადრეს —
ნეტავი ბედს თუ ჰყიდიან სადმე?!
სხვასავით, ცოტას მეც ვიყიდიდი.**



გია კობახიძე

მოხუცის „ნატვრამ“ მეორე დიდი ლათინოამერიკელი მწერალი მარკესი და მისი გახმაურებული ანდერძი გამახსენა: სიმსივნით სარეცელს მიჯაჭვული რომ ოცნებობდა — მე რომ კიდევ ცოტა ხანს მეცოცხლა... მე ვიცი რასაც ჩავიდენდიო, და ამ ფანტასტიკურ ჩამონათვალში — ერთი შეხედვით ისეთი ელემენტარულ ბავშვურ „წვრილმანებსა“ და სურვილებს ისეთი ნაივური გულუბრყვილობით მოინატრებს, რომ ერთბაშად მიხვდები, ამ საოცარი ფანტაზიის მქონე მწერალს როგორ უყვარდა სიცოცხლე და ცხოვრების შესატკბობად როგორ ვერასდროს ვერ მოიცალა.

ღირსეული კაცების კოჰორტაში ძვირფასი მედალიონით მოჩანს ექვთიმე თაყაიშვილის პორტრეტი. მე არა ვარ პოეზიის, ზოგადად, მწერლობის სქესად დაყოფის მომხრე, მაგრამ ძალიან ბუნებრივად მეჩვენება: ისევე როგორც ფორმა და მოძრაობა ამხელს სქესის კუთვნილებას, სევდა, ფიქრი, სინარული, სქესის დამლითა აცრილი. ამიტომ სულაც არ მეჩოთირება იმის აღნიშვნა, რომ ექვთიმე თაყაიშვილის დაბრუნებისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტის სევდა უაღრესად მამაკაცური და გადამდება.

ეს მამაკაცის დაწერილი ლექსია:

**ბორბალმა ბედისწერის იგორა, იგორა,
იგრძნო გაზაფხული ძარღვებში სისხლმა,
დაბრუნდა იმიტომ, რომ ხმა გაიგონა,
დედის ხმას რომ ჰგავდა, მოესმა ის ხმა.
შეეხო მინას დიდი ხნის შემდეგ,
ამ მინას მალე უნდა შეერიოს,
ძნელია — ქართულად ფიქრობდე დღემდე,
ძნელია, სამშობლოს ადვილად შეელო.
ჰოდა, ველარ გაძლო და ნლებს შეუტია,
ისევე გაიღვიძა დამზრალმა ვენახმა,
ენვის ხელისგული, თითქოს მზე უნთია,
გონება დანისლული განათდა ხელახლა.**

კიდევ ერთი ძვირფასი მედალიონი ანა ახმატოვას პორტრეტით:

**იარა ქალის ნაბიჯით და პოეტის ხვედრით,
ცხოვრება მთელი სხვისი ხელის ეჭირა მაჯა,
მარტოსულს მუდამ ჩაუქროლა ეპოქამ გვერდით,
წავიდა ყველა, ის კი დარჩა —
მდიდრულად დარჩა.**

სურათები საოჯახო ალბომიდან

წინაპრის სახეს შევყურებ რიდით,
ვაჟკაცურ მზერას, მოხდენილ სამოსს,
ირეკლავს მზეს და ღრუბლებში მიდის,
დროიდან დროში გადასვლას ლამობს.

ეს არ არის ჩვეულებრივი საალბომო განწყობილებით შექმნილი ლექსი. ესაა ფიქრი იმაზე, თუ მომავალში როგორ შეხვდები მის სახეს, სურათს, გამომეტყველებას, აინტერესებს, რა ემოციას აღძრავს და რას იტყვის მასზე შთამომავლობა. როგორც უშუალო, ისე შორეულ წინაპართა განცდა გია კობახიძისათვის უმნიშვნელოვანესი სტიმულია, რომ ბოლომდე „ურცხვენელი“ ცხოვრება განაგრძოს და არა მხოლოდ შვილებისათვის... მე ვფიქრობ, რომ მსგავსი ტიპის ფიქრები ქალის მიერ ნაკლებად განიცდება.

საერთოდ კი საოცარია, მუყაოს გადაკრული ეს ძველი ფოტოები როგორ ხელუხლებლად უძლებენ დროს. კი არ უძლებენ, დრო ახლაც, ამ წუთებში მათში გადის. მით უფრო პოეტის შესანიშნავ ლექსებში, სადაც წარმავლობის სევდიანი ხიბლი წუთისოფლის ტკბილ-მწარე კვამლივით მიედინება, მიიწვევს ცისკენ, ზოგიერთ ლექსში კი პოეტური სიტყვის ძალასა და ანდამატს ფაიფურის ძველი ფინჯნიდან „ჩაის მსუბუქი ორთქლის“ შეგრძნებაც კი მოაქვს ჩვენამდე:

დგას საოცრება-დაბმული წამი,
ათრთოლებს თითებს გიტარის სიმი,
ბედნიერებამ იწვიმოს ლამის,
მარწყვივით კრეფენ ბაგეზე ღიმილს.

გია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაგებს ამ ძველი ფოტოების ფერსაც:

შვენოდა მაშინ ვარდების ბუკეტს
იმ სიყვარულით გამთბარი ფერი,
ფერი, რომელიც აღარ ჩანს უკვე,
და შერჩა მხოლოდ სურათს თუ წერილს.

ჩვენს საოჯახო ალბომში მუშტაიდის ზამთრის ბაღში გადაღებული სურათი ინახება. მე და ჩემს ძმას თოვლის გუნდები ისე გვიჭირავს, ვითომ ერთმანეთს უნდა ვესროლოთ. მამაც თავის „დრაპის“ გრძელ, შავ პალტოსა და ფეტრის „შლიაპაში“ იქვე ჩვენ გვერდით ჩაჩოქილა. რამდენი ამ სურათს დავხედავ, მაშინვე იმ ფოტოგრაფს წარმოვიდგენ, ეს იდილიური სცენა რომ დადგა. არადა, დედაჩემის რაღაცნაირი განვალელებული ხმით ნათქვამი სიტყვებიც მახსენდება — „ამ წელს მამათქვენი არ მუშაობდა“...

ეს ამბავი გია კობახიძის შთაგონებით დაწერილმა ერთმა ლექსმა გამახსენა:

ბედნიერება დადის ურმით, ძველისძველით,
საოცრად ნელით,
გინდა, არ გინდა, შენც მასავით ნელა ირჯები,
და გახსენდება ტკბილი ხანა, მზესავით მწველი,
ნანვიმარ ბაღში ფოთლები და ნაძვის გირჩები,
შენ კი შვილებზე აქეთ-იქით გეკიდა ხელი —
მიაბიჯებდით!

სიტყვა

ქართული ანბანის ქებათაქება არაერთგზის მოგვისმენია. ამ საგანძურით სიამაყე და გაოცება ნამდვილად ბუნებრივია, როცა სამყაროში არსებული თითხმეტი ანბანიდან ერთ-ერთ

თი შენი ერის კუთვნილებაა. გია კობახიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ქებათაქების დიდებულ, ტრადიციულ ტონალობასა და ინტონაციას, ამ ინერციის ძალასა და მდინარებას გაართვა თავი, უფრო ზუსტად კი — გვერდი აუარა და შექმნა საკუთარი არქიტექტურული შენობა, სახლი თავისი სიმეტრიით, ინტერიერით, აკუსტიკური ყდერადობით და ამ სახლის ბინადარ ოცდაცამეტივე ასო-ბგერას კიდევ ერთი პოეტის სახელით მიესალმა, ამ ასოებით შექმნილ ქართულ სიტყვას თავისი პატივი მიაგო:

ელვარე თასებს გადადიან პირამდე სახესს,
დაფრინავს სიტყვა, ერთი კაციც არ არის მოცლით,
ოცდაცამეტი მენახე იცნობა ხმაზე,
გუგუნებს სუფრა, ერთიანი — სისხლით და ხორციით,
მონყობილია საოცარი ეს სახლი ასე —
ხუთი თამამით ხმოვანდება ოცდარვა მორცხვი.

გიას აქვს ერთი ლექსი სიტყვაზე, რომელიც იმდენად ზუსტია და „ადგილზე მყოფი“, ასე მგონია, მისი, როგორც ადამიანის სიტყვით დაჭრა უფრო იოლია, ვიდრე — ჯვარი სწერია და — სხვა იარაღით. სიტყვის ტოტალურად გამაუფასურებელ ჩვენს ეპოქაშიც კი გია კობახიძემ სიტყვისადმი ბიბლიური დამოკიდებულება შეინარჩუნა:

ფურცელზე ცეცხლი ანთია სიტყვის,
თუმცა არცერთი სიტყვა არ იწვის,
ცეცხლგამძლეა და ვერ სწვდება ალი,
დგას გამართული და ფეხს არ იცვლის...
ასოებს ფრთები შესხმიათ თითქოს,
და ყველა ადგილს თავისას ითხოვს,
გაქცეულ ფრაზას მიჰყვება ფიქრი,
ქარივით ქრის და ქარივით ფიქრობს.

მიუხედავად იმისა, რომ ინტონაციურად გიას ლექსები ქალაქელი კაცის, უფრო მეტიც, თბილისური ინტონაციის მატარებელია (ეს მომენტი განსაკუთრებით ოთარ ჭილაძის პოეზიასა და არჩილ სულაკაურის პროზაში იგრძნობოდა), ხალხურმა კილომ სრულყოფილად გამოაჩინა სათქმელი და ერთგვარი დარდიმანდული სევდიანობითაც კი დააფიქსირა სიბრძნედიქცეული ღრმა დაკვირვება:

გალმიდან ჩქამიც არ ისმის,
ხმას ვერ მიაწვდენ შენაწს,
ხე არ დგას ჩვენი ქარისთვის,
იმ ქვეყნად დარდს ვერ შევლიან.
ხე იწვის, რჩება ნაცარი,
უკვე რამდენი წელია,
ცრემლი არი და არც არი,
თვალი კი მაინც სველია.
სიკვიდილ-სიცოცხლის საზღვარი —
როგორი დაუცველია.

აქ „არი და არც არი“ — ჩვენი ზღაპრების უვერტიურას ჰგავს — „იყო და არა იყო რა“-ს. ათასი რამ შეიძლება ამ დასაწყისში იგულისხმო: არსებობის, ქვეყნიერების, აქ ყოფნის ნაბიჯება, რომლის ხანმოკლეობასაც ქართველებმა წუთისოფელი დავარკვეთ, ზმანება, რომლის მოუხელეთებელ ეფემერულობას ყოველთვის მყიფე, ხელშესახები ხატი უდევს საფუძვლად, წარსული, რომლის წარმომავლობაც იმდენად სჭირდება ანმყოფს, რამდენადაც ეს ანმყოფ თავად უნდა იქცეს წარსულად, წინაპრად, სხვათა სალალობოდ თუ განსაკუთრებლად...

„იყო და არა იყო რა“... რა ზუსტი შეჯამებაა სამყაროში არსებული თუ უკვე ჩაძირული ეპოქების, მოვლენების, ფაქტების, რამხელა ანგარიშგებაა დროის წინაშე.

არაგვივით მოჰქროდა ამწვანებულ ჭალაში, ოციანის ქართული კამკამა და ხალასი, მინის მძაფრი სურნელი მაშინ უფრო ვიგრძენით, წერდნენ ტაბიძენი და წერდნენ რობაქიძენი, მსგავსი კეთილხმოვანი ქვეყანაზე რა ისმის, იმ საოცარ ჰანგების და იმ სიღარბისლის, იდგნენ ჭირთა მოთმენით გრივალს შენარკინები მუდამ ხალხში მყოფები, მაინც განდევნილები. მადლობა ღმერთს, სჭირდებათ სახლებს დედაბოძები, ამიტომაც ერთმანეთს უსათუოდ მოვძებნით.

ბოლო სტრიქონმა დიდებული პოეტი (თავის დროზე დაუბეჭდაობით რომ გაანამეს) ესმა ონიანი გამახსენა: „ჩვენ, პოეტები ერთმანეთით ვმავრობთ“, კოლეგებს რომ ანუგეშებდა და მოუწოდებდა. გია კობახიძესთანაც ეს აზრია გატარებული. დიახ, ყველამ უნდა მოძებნოს ერთმანეთი, ვინც მშობლიური ენის ფასი და მნიშვნელობა იცის...

ბახუსი

ამ ბებერ დოქში დრო ბობოქრობს, ამიტომ გიყვარს, იფიქრებს ასე, ალბათ ვიღაც ასი წლის შემდეგ.

ბახუსის ვენება განსაკუთრებული სიღარბისლით დააბიჯებს ამ ლექსების რელიეფზე. წელგამართული, შემთბარი, სხივიანი, აჟუჟუნებული თვალებით გადადის სოფლიდან სოფელში, სახლიდან სახლში, ბუხრიდან ბუხრისპირას... მისგან მოგვრილი სასიამოვნო ჟრუნტელი ისე ათბობს და აჩქროლებს სისხლს, რომ ოდნავ დაბურული, დანისლული გონება ბახუსის ჭინკებს ხელში მაინც არ უვარდება. ბაკხოსი სხვათა სტუმარია, ვაკქანალია სხვათა საუფლოა, აქ „მსგავსი მსგავსს ეძებს და მსგავსი მსგავსისა თანა განისვენებს“. აქ კაცები კი არ ლოთობენ, თანამეინახეობენ, ისვენებენ და სიამოვნებისაგან ღანვები ეფაკლებათ, ისევე წითლდებიან, როგორც ფერწასული კრამიტები ზესხმა წვიმაში.

წყალში შეცურდა ნელა სიამოვნების ტივი, ორმა დავიწყეთ სუფრა და დავამთავრეთ ათმა.

„ცოტათი გვიან ჩააქრეთ შუქი, ცოტათი მეტხანს იცოცხლონ ღამის პეპლებმა“ — სუფრა პეპლებივით იზიდავს კაცებს ერთმანეთთან სასაუბროდ და ერთმანეთის სანუგეშოდ. აქ არ არის ეგზისტენციური სმა, მარტოობის, ჩაბოლმილობის, გათიშვისკენ მიზანმიმართული. აქ კაცები ისე ითენთებიან და სიამტკბილობენ, როგორც ბადაგში ამოვლებული ჩურჩხელები, ომში წასაღებად რომ მოიფიქრა ქართულმა გენიამ. ამაზე მანიერი მოშიების უამს რა უნდა შეეჭამა თვეობით ოჯახიდან მოწყვეტილ და კერიისგან შორს მყოფ ქართველ მეომარს.

ისევე როგორც ყველა პროცესს, ტრაპეზსა თუ ნადიმის მსვლელობას გია კობახიძე მასპინძლის ლეღვითა და გულითადობით ადევნებს თვალს.

ცეცხლის ნები ქვაბებს მიადგნენ, დულდა ვეჯინი ხარის ბეჭივით...

თითქოს გოგლას ალუზიაა, მაგრამ ლეონიდის ლექსი კახურ ღვინოსავით ტანინიანი და მაგარია. გიას ლექსები — დასავლური სანადიმე ღვინოსავით მსუბუქი და მათრობელა, თანდათან რომ შემოგეპარება, შეგიჩნდება მაცდური ქალივით. აი იმ ქალივით, მის ერთ ლექსში რომ იქაადნება:

ბევრი ინვალოს, ვისაც ვწყურვივარ, რა ვქნა — ასეთი უცნაური ვარ!

სანმოკლე დღესასწაული

ექვრა ხელში გამთბარი ნუთი რისთვისაც ალბათ სიცოცხლე ღირდა...

ამ ორ სტრიქონში მთელი ჩვენი არსებობის არსია თავმოყრილი თუ შევჯამებული, ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება ხომ სანმოკლე დღესასწაულია, ჩვენ ვცხოვრობთ იმდენ ხანს, რამდენი წამიც გვამახსოვრდება, ჩვენ ვცხოვრობთ ნამებით. ეს შეგრძნება სპონტანურად კი არ ჩნდება, ანდა სიტუაციური კი არაა, არამედ გაბზარული გულიდან, დიდი ტკივილიდან, ვერშემდგარი ურთიერთობიდან მოდის, მოედინება მდორედ, როგორც შედედებული სისხლი, შეუხორცებელი ყვავილივით ღია ჭრილობად რჩება იმ შემთხვევაში, როცა თავად შენ, მთელი შენი არსებით ხარ ერთგული და უღალატო, თორემ რამდენი ასეთი გახლეჩილი ურთიერთობა წაულია მკურნალს, რამდენი ჩაშლილი მეგობრობა დროის დინებას. გიასთან არ ხდება რაიმის რაიმეთი ჩანაცვლება. ამ პოეზიაში ყველაფერს თავისი უზუსტესი სახელი აქვს, ისევე როგორც ფერი, სურნელი, მოტივი...

ყველა ქალაქი საკუთარი ჰანგით იღვიძებს — თბილისი სხვაა...

საქართველოს თავისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე მშვიდობიანად თურმე სულ 120-ოდე წელი უცხოვრია... ჰოდა, ამის მერე ჩვენ გვინდა, თითოეულმა ჩვენთაგანმა ცხოვრება ომებისა და განხეთქილების, ტკივილებისა და საცდურების გარეშე განველოთ?! ეს ხომ აბსურდია. ეს ხომ ასე არ ეთანხმება ომისა და მშვიდობის იმ პროპორციულ მონაცვლეობას, რაც ჩვენს ქვეყანას გადახდენია, ამიტომაც სულ მგონია, თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში რაც უფრო მეტი იყო განხიზვლა და იმედგაცრუება, მით უფრო მსურვალედ და მიზნიანად გვიცხოვრია, როგორც რკინა ქურაში, ისე გამოვბრძმედილვართ ქრისტიანებად. უფალს ყველაზე მეტად გულგრილები არ უყვარს და ეცოდება.

ღრუბლის კალთა ირწეოდა ფრთხილად, მოდიოდა გაზაფხული ფრენით, ბრწყინდებოდა სიხარულის დილა, ირღვეოდნენ სიძულვილის ბჭენი, მაგრამ მაინც ყველაფერი ცის ქვეშ, ინყებოდა, თავდებოდა შენით!

წარსულისა და აწმყოს სახეს ყოველთვის ადამიანები ქმნიან, განსაზღვრავენ. აი ამ იერსახის შექმნის პროცესში გია კობახიძე, როგორც პოეტი, როგორც სიტყვის კაცი, ყველაზე მთავარ მისიას სწორედ სიტყვას აკისრებს. სიტყვა მისთვის გენეტიკის განუყოფელი და განმსაზღვრელი ნაწილია. როგორც სარტრი იტყოდა, იგი არა მხოლოდ თავისი სამშობლოს გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, არამედ პირველ რიგში, თავისი „ენის სახელმწიფოში“, რადგან „ენა მსოფლმხედველობაა“ (ჰუმბოლდტი), ამიტომაც ძალიან კარგად მესმის და იოლად ვიღებ (ვიგებ) იმ აზრის სიღრმესა და მნიშვნელობას, რომელსაც გია კობახიძე ასე სადად, უბრალოდ, ერთი შეხედვით ასე იოლად ამბობს:

მშურდა ყოველთვის და ახლაც მშურს მე იმ თაობის, სახელი ვისიც ისტორიას არსად გაურბის... გამხელა ამის სულ არ იყო საქმე ადვილი, იწონებოდა რადგან სიტყვა ცოდვა მადლივით, უძლებდა ამას ბაბუათა მხრები ძლიერი, შვილებიც მიტომ ეზრდებოდათ ქართულ იერის...

ამ საყოველთაო გლობალიზაციისა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დროს ეს „ქართული იერი“ თანდათან ხუნდება, ფერ-

მკრთალდება და ჩნდება ნოსტალგია, რადგან სწორედ ამ პროცესების ფონზე თაობათა მონაცვლეობა არ მიმდინარეობს ღვთაებრივი წესრიგით, რომელიც ასე ჰგავს ზღვის ტალღების მონაცვლეობას, ურთიერთმენაცვლებას. ამ დაგეგმილი, საყოველთაო პროცესების ფონზე თაობათა მონაცვლეობა რაღაცნაირად ცხრილავს, გამოხშირავს თითქოს ჩვენი გენეტიკის მდიდარ ტყეს, რომელიც ჯანსაღი ჰაერის, ჯანმრთელი ჯიშის მატარებელი იყო ოდითგან, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ ჯიშის დაკნინებასა და განადგურებას ცდილობდა ყოველთვის, ყველა ეპოქაში როგორც გარეშე, ისე შინაური მტერი.

**ნარსულს ფრთხილად ვეხები
ყვავილს — პეპლისფრთებიანს,
ჩემი ეზოს ვერხვები
ალარ მესიზმრებთან.
შაშვი სტვენდა მადლიანს,
რა ლამაზი სოლო აქვს,
ყოველ დილაადრიან
აღვიძებდა სოლოლაკს.
გისდებოდა უბანო
ქალაქური სამოსი,
გამოხედვა — უბრალო,
სუფთა სინდის-ნამუსი...**

ამ ლექსმა რჩეულთა და დამფასებელთა აჩრდილები ჩამოატარა. მაგალითად, ელენე ახვლედიანი, ოთარაანთ ქვრივივით რომ შეივლიდა პერიოდულად პარტიის ცეკვაში და ნომენკლატურის მაღალჩინოსნებს მაგიდაზე მუშტებს უბრაზუნებდა, ეს ხე არ მოჭრათ, იცით, რამდენი წლისაა და როგორ ჩაჯდა რუსთაველის გამზირის ინტერიერში, არც იმ რიკულებიანი ცისფერი სახლის დანგრევა გაბედოთ, იცით, რამდენხანს გაძლებს კიდეც, რამდენი თქვენნაირების ცვლას მოინელებს?! და სასიამოვნო ჟრჟოლვასავით გადაუვლიდა თბილისის უბნებს მოქალაქეთა ჩურჩული „ჩვენი ხე არ მოიჭრება, ის სახლიც გადარჩება“...

რაც უნდა უცნაურად და არადამაჯერებლად მოგვჩვენოთ, „რკინის თეატრში“ გაქვდილი საბჭოთა რეჟიმი ხშირად ემორჩილებოდა, ფარ-ხმალს ყრიდა ასეთი დამფასებელი ავტორიტეტების წინაშე... ადრეც და მერეც, წლებთან ერთად დამფასებელთა და ავტორიტეტთა რიგები ასე რომ შეათხელეს, გააქრეს, გამრავლდა, გახშირდა, ნგრევა, რბევა, ჭრა და კაცისკვლა...

**აკაციის სითეთრე,
ნეტავ საით წავიდა,
ისევ როდის იფეთქებს
სურნელი იმ ყვავილთა.
თვალებს სტუმრობს სისველე,
პულსი გარბის მაჯიდან,
ჰანგებს როცა ვიხსენებ
გაღებული ფანჯრიდან.
რაღაც ვერ დავაფასეთ,
სიმები ვერ აინყო,
ფიგურები დაფაზე
სულ სხვა წესით დაინყო,
გულებს რითაც ვითობდით,
დაბნეულან ჩრდილებად,
ადრე რასაც არ ვთმობდით —
ახლა გვეჩოთიერება.
ნარსულს ფრთხილად ვეხები,
ლამაზს, პეპლისფრთებიანს,
ჩემი ეზოს ვერხვები
ალარ მესიზმრებთან.**

ასეა, განაწყენება მხოლოდ ადამიანებმა კი არ იციან... ამიტომაც ნაწყენი ვერხვები სიზმრებშიც ალარ ჩნდებიან...

„ველარ გაიგონებთ მხიარულების ხმას თქვენი სახლებიდან, რადგან არ არსებობს უღმრთოთა სიხარული“ — როგორც ამბობდა ძველი ალექსის ერთ-ერთი დიდი წინასწარმეტყველი. მოდი და ასეთი მრისხანების მერე ნუ გაუფრთხილდები ღვთაებრივ წონასწორობას და ჰარმონიას სამყაროში.

პეიზაჟი

ამიტომ გია კობახიძის ფერწერასა თუ ბგერწერაში დიდი ადგილი უკავია პეიზაჟს. იგი ბრწყინვალე პეიზაჟისტია, ჭკვიანი პეიზაჟისტია იმ თვალსაზრისითაც, რომ ყველგან და ყველგან ღვთის ხელს ხედავს.

**ირგვლივ ხვავი და სიმნიფა,
ვარ ამ საოცრების მონანილე,
ბუნება რა ჭკვიანი ხელმნიფა,
ნიჭს ყველას რომ ასე უნანილებს...**

**ჟონავს ჩრდილებიდან სისველე,
უკვეთავს საღამოს სიო მინორს,
და პურის თავთავზე ისვენებს
ჭრიჭინა — პირველი ვიოლინო.**

რატომღაც ვფიქრობდი, რომ მისი ოსტატობა პეიზაჟის ხატვისას ნამდვილი მარგალიტის ციმციმს რაჭის მთებში აღწევდა.

სრულიად საქართველო, მაგრამ განსაკუთრებით რაჭა, უძვირფასესი ნაკრძალივით მოჩანს და თავის დინჯ მკითხველს ელოდება გია კობახიძის შემოქმედებაში. ეს ალბათ არცაა გასაკვირი, რადგან რაჭა, მისი უშუალო წინაპრების კუთხე, საცხოვრისი, სამყოფელია, რომლის წიაღსაც იგი თავისი მგრძნობელობით, როგორც ჩველი დედის წიაღს ჭიბლარით, ისეა მიბმული. მაგრამ როგორც კი გურიის გამოჩნდა ლექსებში, ჩემი გაკვირვებისა თუ გაოცების სიმძიმის ცენტრმა ახლა მთლიანად აქეთკენ გადაინაცვლა. როგორ ახერხებს გია მთელი კუთხის, მთელი ამ საუნჯის ორ სიტყვაში მოქცევას:

**ჩანს გურია, ეს სამოთხის ასლი,
ზეციური შეხამება ფერთა,
ენა ურჩი, გამოხედვა ბასრი
და სიმღერა აყვანილი ღმერთთან...
სამი ხმაა, დალოცვილი ერთად,
თუმცა ერთი დანწულია სამად,
მარტოკაცი არასოდეს მღერდა,
გურულობა ძნელი არის, ძამა,
კაცი მსგავსი ან სად უნდა იშვას,
ხმაში ამდენ სიყვარულს რომ ატევეს,
„ჩვენ მშვიდობა“ გურიაში ნიშნავს,
ანანას, ვლადიმერს და არტემს.
თუმცა ნამის მარგალიტით მორთეს,
მანც წვიმას ელოდება ყანა,
აქ ფესვები პატრონობენ ყლორტებს,
აქ კაცები ღირსეულად დგანან...
მარტო აქ თუ შეიძლება იშვას,
ხმაში ამდენ სიყვარულს ვინც ატევეს,
„შავი შაშვი“ გურიაში ნიშნავს,
ანანას, ვლადიმერს და არტემს.**

ესაა არა მხოლოდ პოეტის, არამედ მუსიკალური ექსპერტის ნამდვილი შეფასება.

როგორც პეიზაჟისტი, გია კობახიძე რაღაცნაირად თენგიზ მირზაშვილს მაგონებს. თითქოს პეიზაჟისტი არც ჰქვია ამას. თითქოს ჟანრი არც არაფერ შუაშია. თითქოს ეს მუდმი-

ვი რეფრენი მთის ფერდობზე შეფენილი, რძისფერი კირით შეფეთილი ფერმებისა თუ პანია საყდრებისა, კაცის, ქალისა თუ საქონლისა მზის ლაქებზე რომ განალაგებს მხატვრის ფუნჯი თუშეთის დამრეც კალთებზე, თითქოს პეიზაჟი კი არა სიყვარული და კრძალვაა იმ სხივთა ერთობისა, რასაც სიცოცხლე ჰქვია, რაც დედის უბესავით მარადიულად თბილი და სურნელოვანია.

გიასთანაც ასეა, ბუნებასთან ახლომდგომი და ნამდვილია თვით მისი ნატურა, იმდენად თვითკმარია მისთვის ის მოცემულობა, რასაც ღმერთი იმეტებს, გჩუქნის ადამიანს, რომ მთლიანად ისრუტავს, აგემოვნებს ამ წყალობას, ამ ღვთიურ ელექსირს. იგი ადამივითაა, სამოთხეში მყოფი პირველი კაცივით მაღლიერი, გაცივებული, ბედნიერი, ალტაცებულიც...

ამიტომ არაა გიას ლექსებში მედიტაციური ლირიკისათვის დამახასიათებელი ფილოსოფოსობა და განსჯა, კანური ეჭვი და შური უცხოა მისთვის. იგი იმდენად გამჭვირვალე და ნათელი პოეტია, რომ მისი ხილვების, მეტაფორების, განწყობის ტყეებში მზე უხვად აღწევს და ყველაფერს ანათებს, ნათელს ფენს. აქ მზე არ წვალობს, აქ მის სხივებს შესვლა უხარია, ეს სულ სხვა სამყაროა, ე. წ. „რთული ინტელექტის“ უსიერი, უდრანი ტყეებისგან განსხვავებული, რომლის წიაღში შეღწეული და თავბრუდახვეული, დამფრთხალი მკითხველები ხშირად ისევე იკარგებიან, როგორც ლაბირინთში შესული ადამიანები.

გია კობახიძე არც პრიმიტივისტია და არც ინტელექტუალი პოეზიაში, არც პრაგმატიკოსი და არც ოცნებაზე გადაგებული და ნირვანაში მყოფი. იგი ფიქრის კაცია და შემძლე იმისა, რომ ნებისმიერი ფიქრი ლექსად აქციოს, ლექსი კი — პოეზიად. მისი ლექსის სამყარო თბილია და სასიამოვნოდ ნოტიო:

**დავდივარ თუშეთის ბაზარში,
შოთი, გუდის ყველი, ნუშები,
კომში შეყვითლების ფაზაში,
კასრებზე კახელების ფურშეტი,
მთლად ინანიშვილის პასაჟი —
„მიშემოდგომებული თუშეთი“.**

ვისაც გაქცევა გინდათ არა მარტო ურბანიზმის ხმაურიდან, მანქანების „ჯოგით“ შექმნილი ტყვიის შემცველი სმოგიდან (აბა ფაბრიკა-ქარხნები სადღა აქვთ ჩვენს ქალაქებს, რომ მათი გამონაბოლქვის შეგვეშინდეს), ვისაც გაქცევა გინდათ ქვეითად მოსიარულეთა თუ ჯავშნოსან ჯიპებში მსხდომთა ნეეროზისაგან და ამ ყოვლის გამპარტახებელი, პატარა ქალაქებში ძალით შეჩურთული მეგაპოლისური რიტმიდან, მზეზე მოლაპლაპე ნიკელების საცობში მდგარი, სულისშემბნთველი სიმძიმისაგან... სრულ სასონარკვეთამდე კი თქვენშიც ჩნდება „ადამიანად ყოფნის სევდა“, იცოდეთ, ეს ბოლო ნერტილია, ფიალის ბოლო წვეთია და თავს უშველეთ, წუთშესვენება მოიწყვეთ და მთაში გაიქცით, ნამდვილში თუ ვერა, პოეტის დახატულში მაინც, იმ სახლებში მიეფიცხეთ ბუხრისპირა სითბოსა და ჭაჭის სიმაგრეს, რომლის მასპინძელიც გია კობახიძეა და სული მოითქვით. კითხვის პროცესი დაგავინყებს, რომ სიტყვიერი წარმოსახვის სივრცეში იმყოფები და ყველაფრისაგან თავისუფლდები. ყოველ შემთხვევაში იმ ნაჭუჭისაგან, რომელიც ყოველდღიურობის გარსად ეკვრის შენს ნამდვილ ბუნებას და იწყება ტოტალური გარქოვანება. ხელფეხშეკრულივით იბორკება მთელი შენი ადამიანური რესურსი, შენი ბუნების მასშტაბი, შენში მადანივით ჩადებული სიკეთე არ ღვივდება, ლპება, კვდება, იფერფლება...

ჩვენ ერთხელ ვახსენეთ, რომ სოციალური მოტივები, მით უფრო პოლიტიკური, იშვიათად ჩნდება ამ ლექსებში. მაგრამ საცა ჩნდება, ერთგვარი ირონიული შეფერილობით:

**რა ხდება კარს მიღმა, არა ჩანს გარედან,
არადა — რიგია დაკეტილ კარებთან,**

**ფათური — ხელების ვერცხლისმოყვარეთა,
ისინიც აქ დგანან ცრემლს ვინც ატარებდა,
ვინც უკვე იმეფა, ვინც ახლა გამეფდა,
ნიღბები — სიცილის, თუ გულმწუხარეთა,
მოზრძანდა საღამო მზის დაღლილ თვალებთან,
დაიძრნენ ჩრდილები და ცეცხლიც განელდა,
რა ხდება კარს მიღმა, არა ჩანს გარედან,
დგანან და ელიან დაკეტილ კარებთან.**

საერთოდაც უნდა ითქვას, რომ გიას შეუძლია საოცარი სიღრმის განცდა იუმორით, ირონიით გამოხატოს:

**ერთხელ დაკარგე ნეკნი,
ქალს გადახედე ცერად,
მაინც გზაშია ეტლი,
გტკივა, ოცნებობ, გჯერა.
გზა უეკლოდ და ეკლით,
ცა — ქუდად,
შინდი — ფერად,
ლექსის სიუჟეტს შექმნი,
შენი ცხოვრების — ვერა!**

ვაზი ცალკე სამყაროა გია კობახიძის შემოქმედებაში. დიას, ალბათ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა — არა თემები, მოტივები ამ პოეტის შემოქმედებაში, არამედ სამყაროები, იმდენად დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის განცდას ბადებენ ეს სამყაროები: წვიმა, მზე, ქალი, მთა, სუფრა, ცეცხლი და ასე უსასრულოდ, ყოველივეს კი ენის სამყარო გამოხატავს და აერთიანებს...

რაც შეეხება ტაძრებს, ნიკორწმინდას გამოვეყოფდი, რომელზე წერაც, მოგეხსენებათ, როგორი რთულია გალაკტიონის მერე. მაგრამ რა ქნას ახალი დროის პოეტმა, როცა: „ნიკორწმინდის ტაძრისკენ გული მიდის თავისით“.

ზოგჯერ, როცა ყველა იმედი გადაწურულია, როცა კიბოს მეტასტაზებით მოცოცავს ფიქრი, რომ მხოლოდ ამნამიერი არსება ხარ და სხვა არაფერი, სამრეკლოდან წამოსული ზარის ხმა მოულოდნელად გამცნობს (ეს მერამდენედ: „ვის უხმობს ზარი“) სწორედ შენი არსებობის ნამდვილ არსს, მიზანსა და დანიშნულებას:

**ჩუქურთმაში ჩანწულა ის, რაც დრომ ვერ წალეკა,
როგორც ცის ანარეკლი გამჭვირვალე მინაში,
წელმა ზუსტად ათასმა სამრეკლოდან დარეკა,
და ჩვენც ვდგევართ წარსულის და მომავლის წინაშე.
ამას ჰქვია ღირსება, ამას ჰქვია ოცნება,
სასწაულის რომ მჯერა, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები,
ძველისძველმა გალობამ თავის გული მოძებნა
და მეც, თავისუფალი, სიმშვიდეში ვბრუნდები.**

დაპირება

ყველას გვახსოვს ვან გოგის სურათი „კაფე არლში“, სადაც ლიმონისფერ-კომმისფერი შუადღის შუქზე მაგიდას მისჯდომია კაცი და ისეა გაყურსული, თითქოს თვლემს და თვრება შეჩერებულ დროში, თითქოს თავად დროც ყვინთავს ეთერის მოლივლივე ნაკადებში. საკუთარი არჩევანის, მარტოობის ზეიმია ამ ტილოზე, ამიტომ არავინ უნდა შემოვიდეს ამ დროს კაფეში, არავინ უნდა დაარღვიოს კაცის მიერ ამ განდგომისა თუ განმარტოების სრული შეტკობა.

გიას აქვს ამ განწყობის სრული ანტიპოდი ერთი ვრცელი ლექსი (ტილო) შექმნილი. კაცის მზერა, გული, სსოვნა, დღემდე მთრთოლვარედ ინახავს ყველაფერს ძველებურს, სანოლის თავზე დაკიდული ასი წლის ნატანჯი საათით დაწყებუ-

ლი, მოუდულებული ყავითა და ქალის მიმართ გაგულგრილებით დამთავრებული. აი ეს კაცი გეპატიუებათ კაფეში, ოღონდ არა არღში, არამედ სადღაც აქვე, მშობლიური ქალაქის მშობლიურ უბანში. ოღონდ სტუმარს, როგორც გასანმენდელში, კაფეს კართან უკვე ჩამორეცხილი, ჩამოფერთხილი უნდა ჰქონდეს ბოლმის, დარდის, წყენისა და შურისძიების პატარ-პატარა მრუმე დემონები. როგორც ნათლობის წყლიდან ამოყვანილი ბალღი, ისეთი მსუბუქი და ბედნიერი უნდა მოდიოდეს ახალ პაემანზე.

თუ მოგენატრათ სანთლის შუქზე ჟღერა გიტარის, თუ ლამემ წყენა არ დატოვა არავითარი და თუ გასურთ ქალი სიყვარულის ისრებს გიშენდეთ, მოდით კაფეში, საღამოთი, ასე რვის შემდეგ.

— გვიხმობს, გვეძახის და რაღაც მნიშვნელოვანს გვპირდება ეს მრავალჭირნახული და განსაცდელგამოვლილი კაცი, კაცი, რომელსაც ამურის ისრების გარეშე ყოფნა არ შეუძლია. ამ საოცარ ლექსში კინოკადრებით გაირბენენ ჩვენი ცხოვრების ფრაგმენტები. მთელ ბიოგრაფიას იტევს ეს ერთი ლექსი და მასზე დაკვირვებით, როგორც ხელისგულზე, შუასაუკუნეების ქრომანტებივით ცხოვრების წაკითხვა შესაძლებელი. საოცარი ყოფითი დეტალები ისეა ლექსში ჩასმული, როგორც ჩინური ხის სიფრიფანა ტერასულ კორპუსში სკივრის პანია უჯრები. გამოაღებ და... უამრავი სახე, პროფილი, სურნელი, ნივთები ჟივჯივით ამოფრინდება. ეს საოცარი ლექსი-ზარდახმაა, ლექსი საიდუმლო. ეს ლექსი ვისკიცა თავთუხისფერი ოქროს ბზინვარებით დათრთვილული, დანაპირებით გულმოცემული რომ ეპარები, ნრუპავ და უნუგეშოდ თვრები...

ნარსული

პერსონიფიცირებული დრო. დროს იგი არ აღიქვამს აბსტრაქტულ, ფილოსოფიურ კატეგორიად. საერთოდ დროისა და სივრცის საზღვრები, ამ პოეტთან ძალიან მყიფეა, იოლად მსხვრევალი:

დიდი დრო იყო გასული, ხსოვნას ნათელი ემატა, გვათბობდა გული და სული, იმ დადუმებულ ენათა, ვინ საით იყო წასული, ამ ცის რამდენი ემართა, სუფრასთან გვეჯდა წარსული, ისიც კაცივით ლელავდა, იქაც ესმოდათ ნათქვამი და ივსებოდა ხელადა.

გია კობახიძე თვითმყოფადი ფერმწერია. მთელ კრებულში თითქმის ვერ შეხვდებით ლექსს, რომელიც თუნდაც ალუზიურად მოიყოლიებდეს რომელიმე ქართველი პოეტის სახეს, სტროქს, მეტაფორას, შედარებას, განწყობას, ფერს. მისი მეტაფორები ძუნწია, მაგრამ უაღრესად ტევადი, მრავლისმთქმელი, დასამახსოვრებელი:

ქალს მიაგავს უფერებს, ეს მგლისფერი ღრუბელი.

საავდროდ გამზადებული ჭეჭა-ქუხილის გრგვინვა ისმის ამ სტრიქონებში.

ანდა: „მღეროდა ვილაც სარდაფიდან — ლხინის ორმოდან“ — თითქოს ქვევრს თავი ახადეს და იქიდან ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა იჭეჭა...

ანვიმდათ ქალებს, უფრო სწორედ მოკლე ლაბადებს, ანვიმდა მზერას კაცების და ვნებას გადამდებს...

ეს კი თითქოს მონმარტრის ფერადოვანი სურათია, ნანვიმარ ქვაფენილზე ერთნაირად რომ ირეკლებიან ნეონის რეკლამები, მანქანები და ქოლგაიანი ქალები ფრანგი მხატვრების სურათებში.

და მოუხედავად ამ ფერთა ზეიმის, არომატის, სურნელისა და განწყობილებისა, გია კობახიძე, უპირველეს ყოვლისა, მაინც ფიქრის პოეტიკა:

სულ ასე ყოფილა და შენც ნუ გაიოცებ, იცოდნენ — სიცოცხლე ანკარა წყაროა, მაინც ცად ავიდნენ, წასვლის წინ დაილოცნენ ამიტომ აქ ყოფნის სიტკბოც მომწაროა, ნავიდნენ და მათი ფიქრებიც დაიხოცნენ — რა სამწუხაროა!

იმდენად ფიქრის პოეტიკა, რომ აქ ყოფნა ფიქრად ესახება, გაიმდე არავის უთქვამს — „ნავიდნენ და მათი ფიქრებიც დაიხოცნენ“.

გიას ასე ესმის სიკვდილი, წასვლა და ამ ტკივილით გაჩენილი სიცარიელე — როცა ფიქრებიც იხოცებიან. ფიქრი იმდენად ინტიმურია, რომ შეგიძნევიანთ ალბათ, ნებისმიერ ჩაფიქრებულ ადამიანს როგორ აფრთხობს შეკითხვა „რაზე ფიქრობ?“

თავის დროზე სწორედ ეს ფიქრები ათბობს, ანუგეშებს, აძლიერებს გარემოს, ჰაერს, სიტუაციებს, შველის სიცივეს, უმწეობას, ობლობას, სიღარიბეს. ეს ყველაფერი განფენილი ჰაერში ჩვენს ირგვლივ ქმნის ამ ყბადაღებულ დადებით აურას, ენერგეტიკას. სწორედ ეს დადებითი აურა ეკარგება ქალაქს, ქვეყანას, ოჯახებს, თითოეულ ჩვენთაგანს, როცა კარგი კაცები კარგი ფიქრებით, კეთილი ფიქრებით მიდიან ჩვენთან.

დროისა და სივრცის ტევადობით, აზრის ტევადობით, ლაკონიურობითა და ლოცვის მადლით ბრწყინავს ერთი პატარა ლექსიც:

დრო ჭრიალ-ჭრიალით აბრუნებს საჭეს, აქეთ კრწანისი და იქით წინამური, სითბო ეფერება მინის ნაჭერს, გულის სიღრმეებში სადღაც მიმალული, ჩემი სიხარულიც თქვენთან დარჩეს, რათა სრული იყოს თქვენი სიხარული.

და მეც, მოდით, მისი ლექსებიდან ამონარიდს ამ საოცარი ლოცვით გავასრულებ.

მოუხედავად წერილში უხვად მოხმობილი ციტატებისა, უნდა გამოვტყდე, რომ საკმაოდ რთული იყო მათი შერჩევა, რადგან ისინი მაინც კარგადნენ თავიანთ კონტექსტს. ნამდვილ პოეზიაში კი აზრი, სიბრძნე, განწყობა, სახე... როგორღაც ერთიანად, მთლიანობაში, განუყოფლად იქსოვება კვარტივით. მართალია, ჩემ მიერ მოხმობილი (შერჩეული) სტრიქონები გრაფიკული სურათივით მკაფიო და ლამაზია, მაგრამ ლექსის არსი, მისი სული მთლიანად ლექსშია განფენილი. ამიტომ მათი გამომხმობა ჩემი ნაზრევის, ჩემი შთაბეჭდილებების გასამყარებლად უფრო მჭირდებოდა, ვიდრე ჭეჭმარტივების დასადგენად. თორემ, ისე, ერთი წმინდა მამის თქმისა არ იყოს, მეც კარგად მესმის, რომ: „პოეზიის კრიტიკოსები იბადებიან და კვდებიან, სიმღერები კი სიცოცხლეს განაგრძობენ“.

არც მე ვარ „პოეზიის კრიტიკოსი“ და სიმღერაც სიცოცხლესავით მიყვარს.

მესამე პრიზიორს, ქართული ფილოლოგიის I კურსის სტუდენტ **თამარ შენგელიას** — კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ლიმილი“.

გამარჯვებულებს მიაჩნიათ, რომ ადგილები სამართლიანად გადახანილდა. ასე ფიქრობს დამსწრეთა უმრავლესობაც. თუმცა, როგორც შემდეგ გამოიკვია, მსმენელს გული დაწყევტია, რომ **თორნიკე ამირხანაშვილის, სოლომონ მაისურაძისა და ნანა ჯანაშიას** გამორჩეული გამოსვლებიც არ აღინიშნა რაიმე ფორმით მაინც.

ნინო დეკანოიძე

როცა სინათლე სინათლით სარობს

31 იანვრის ზამთრისათვის უჩვეულოდ მზიან შუადღეს, **საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში** მეტად საგულისხმო და სათნო ღონისძიება გაიმართა. ამავე უმაღლესი სასწავლებლის რექტორის, მისაბაძი გულისხმიერებით გამორჩეული და მრავალი კეთილი საქმის მოთავის, **არქიმანდრიტ ადამის (ახალაძის)** მოწადინებით მოიხსენიეს **დიდი მეფის, თამარის** გარდაცვალების თარიღი; აგრეთვე გაიხსენეს გამორჩეული ხელოვანი — **ფერმწერი, პოეტი, ესეისტი — ესმა ონიანი**, ვისი გარდაცვალების დღეც 31 იანვარია.

ამ არაოფიციალურ და ჩვეულებისამებრ, არახალხმრავალ ღონისძიებაზე შეიკრიბა ნაწილი იმ პიროვნებათაგან, მოუწყინრად რომ შეუძლიათ ილაპარაკონ ესმა ონიანზე; გაიხსენონ იგი, როგორც ქართული პატიოსნებით და ღირსებით შემკული ქალი. ისაუბრონ მასზე, როგორც გამორჩეულ ფერმწერსა და პორტრეტისტზე, შეაფასონ სიბრძნითა და სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე მისი ლიტერატურული დანატოვარი — პროზაული თუ პოეტური ნიმუშები...

სტუმრად წვეულნი თავდაპირველად შეიპატიჟეს **ესმა ონიანის სახელობის სტუდიაში**, რომელიც ზუსტად ერთი წლის წინათ გახსნილა და დღეს უკვე იკრებს ხელოვნებისა და კერძოდ, მხატვრობის მოყვარულთ. აქაურობა ნავსაყუდეღადაა ქცეული თურმე არამხოლოდ ამ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგ-სტუდენტებისათვის, ყოველი მოსურვილესათვის, ვისაც ხატვა და სახელოვნებო გარემოში ტრიალი ანიჭებს სიხარულს; ერთი სიტყვით, ამგვარი ამხანაგობისთვის, აქ არავის ზღუდავენ, განურჩევლად ასაკისა.

სტუდია-სახელოსნოს კედლები მოფენილია სწორედ მათი ნამუშევრებით, მეტწილად რელიგიურ თემებზე.

იქვე თვალსაჩინო ადგილას, პალიტრაა გამართული, თანაც იმნიარად, ჰა და ჰა, მხატვრის ფუნჯი რომ უნდა მისწვდეს... მიხვალთ ახლოს და შავი ფანქრით თეთრ ფურცელზე გაფრთხილებასავით მინანერს ამოიკითხავთ: „ხელს ნუ შეახებთ, თავად ესმას გაკეთებული ტილოა! ფუნჯიც მისი სახელოსნოდანაა!“

თავისთავად ესეც სასიამოვნოდ მიმანიშნებელია იმისა, რომ ამ ჩინებულ უმაღლეს სასწავლებელში (ზღურბლს გადააბიჯებთ თუ არა, მა-

მოკლედ, ვფიქრობ, კარგი გამოცდილება მივიღეთ ორგანიზატორებმაც და მონაწილეებმაც. ჩვენთვის სამწუხარო ის გახლდათ, რომ ამჯერად კონკურსანტის ამპლუა ვერ მოვირგეთ (სხვა დროს იქნებ სხვას გადავებართ ორგანიზაციული საქმეები). რადგან სტუდენტებისა და უფროსების დაინტერესებაც დიდია, ვაპირებთ, შემდგომშიც გავმართოთ მსგავსი მართონი. შევეცდებით, უფრო დახვეწილი (ფორმითაც და შინაარსითაც) კონკურსი შედგეს. არ ვიცი, რა გამოგვივა, მაგრამ ვიცი, რომ მთავარი საქმე — ჟიურის შერჩევა — უკვე მოგვარებულია.

შინვე რომ ეტყობა გონიერი მოამაგის მზრუნველი ხელი) ესმა ონიანის სახელი უშლელადაა.

ტკბილქართულის სიტყვაუხვობით ცნობილმა მასპინძელმა, **არქიმანდრიტმა მამა ადამმა**, გახსნა რა ღონისძიება, სტუმრებს კიდევ ერთხელ შეახსენა ესმა ონიანის გამორჩეული მხატვრობა; მისი სიღრმისეული პოეზიის დახასიათებისას დამონმა რამდენიმე ლექსი სანიმუშო ალბომიდან, რომელიც ხელოვანის დის, ცნობილი ოფთალმოლოგის, **ირინა ონიანის** თავდადებით დაიბეჭდა ათიოდე წლის წინათ და ალბათ ღირსსახსოვარი საჩუქარია ყველასათვის, ვისაც წილად ერგო საოჯახო ბიბლიოთეკა ამ დიდებული გამოცემით დაემშვენებინა.

ესმა ონიანი გაიხსენეს, მისი მრავალმხრივი შემოქმედება მიმოიხილეს კულტურისა და მეცნიერების ღვაწლმოსილმა მოღვაწეებმა, **ივანე ჯაფარიძემ, გოგი წერეთელმა, ემზარ კვიციანიშვილმა, ალექსანდრე ციბაძემ, ინგა მარუაშვილმა, თემურ პეტრიაშვილმა და ქეთევან ანჯაფარიძემ**.

ახალთაობელთაგან მონიშნებითა და სიყვარულით ისაუბრეს აგრეთვე **ნატა ვარადამ და ერეკლე საღლიანმა**.

დასასრულ შეკრა რა ეს საგულისხმო ღონისძიება, მამა ადამმა საუნივერსიტეტო სიგელი — სულიერი და სოციალური განვითარების ფონდის სახელობისა, რომელიც მიენიჭა ესმა ონიანს გარდაცვალების შემდეგ, გადასცა ქ-ნ ირინას, ვინც ცივ ნიავს არ აკარებს დის ხსოვნას.

აგრეთვე მიმართა შეკრებილთ, რომ **კულტურის მოღვაწეთა ერთობლივი ხელმოწერით გაეგზავნოს თხოვნა საქართველოს მთავრობას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სხვა შესაბამის უწყებებსაც, რათა დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, №104 სახლში სადაც ცხოვრობდა ესმა ონიანი, გაიხსნას მისი სახელობის სახლ-მუზეუმი**, და აღიჭურვოს სივრცე სათანადოდ მუდმივი ექსპოზიციისათვის.



ადა ნემსაძე

„ცხელ კვალზე“ მიღვენიერული ჩანაწერები

ლიტერატურული კრიტიკის საზღვრები თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებით გამრავალფეროვნდა: სტატია, რეცენზია, მიმოხილვა, ესეი, რეპლიკა... ყველას თავისი სპეციფიკა აქვს, თავისი კანონი, თავისი ასპარეზი და არეალი... ზოგს ამა თუ იმ საკითხზე ამომწურავი ანალიზი მოეთხოვება, ზოგს — თხზულების ყველა ძირითადი ტენდენციის აღმოჩენა და ხაზგასმამა, ზოგს — ნაკლები ანალიტიკურობა და მეტი ემოციურობა... ზემოხსენებულ ჟანრებს უკვე თამამად ამოუდგა გვერდით გამომხატვრებაც, რომლის გაჩენაც და გავრცელებაც დღეისათვის არსებულ ლიტერატურული პროდუქციის არნახულ სიუხვეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება.

ნარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მოთხრობის გამოსაქვეყნებლად თვეობით რიგში დგომა იყო საჭირო შეზღუდული ლიტერატურული პერიოდიკის „წყალობით“, ხოლო კრებულის გამოსაცემად გარკვეული ინსტანციების ნებართვა, შემდეგ კი თითზე ჩამოსათვლელ გამოცემლობებში ლოდინი უხდებოდა ავტორს. დღეს უადრესად გაადვილებულია წერაც და ნაწერის გამოტანაც საზოგადოების სამსჯავროზე. ამისათვის შინიდან გასვლაც აღარაა საჭირო, სოციალური ქსელები თუ ესოდენ მომრავლებული ლიტერატურული პორტალები ნებისმიერ წუთს შენს განკარგულებაშია. მეტსაც ვიტყვი, ხშირად ლიტერატურულ პორტალზე გამოქვეყნებულ პროდუქციას უფრო მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე ბექედურ გამოცემებს, რადგან ის მოხერხებულ პირობებს უქმნის თანამედროვე ადამიანს, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკონომიკურ მხარეზე (ჟურნალის ან წიგნის შექენაზე).

ჩვენ შემთხვევით არ გაგვიგრძელებია სიტყვა ლიტერატურული პროდუქციის გამოქვეყნების გაიოლების შესახებ. ამ ყველაფერში დადებითად ერთად უარყოფითიც მოიტანა. კერძოდ, იმ პირობებში, როცა ყველა წერს, ვისაც ამის სურვილი და მინიმალური უნარი მაინც აქვს (ხშირად მინიმალური უნარის არმქონეც არ ამბობს უარს წერაზე!), უზომოდ გაიზარდა ლიტერატურული პროდუქციის მოცულობა, რაც მასში ღირებულის პოვნისა და შესაბამისად, აღნიშვნა-დაფასების საქმეს ძალზე ართულებს. და, აი, მივადექი იმას, რითაც დავინწყე: გამომხატვრების ჟანრის გაჩენაც და გავრცელებაც დღეისათვის არსებულ ლიტერატურული პროდუქციის სიუხვეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება.

ელგუჯა თავბერიძის წიგნი „ნილოსისფერი პერანგი“, მისი მცირე მოცულობის მიუხედავად, მრავალფეროვნებით გამოირჩევა. კრიტიკოსის თვალთახედვის არეალში მოქცეულია არა მხოლოდ პოეზია (თამარ შაიშმელაშვილი, სევარიონ ნადირაძე, ნუკრი ბერეთელი), ორიგინალური მხატვრული პროზა (ეკატერინე ტოგონიძე, ლიანა ელიავა, ნათია როსტიაშვილი, გურამ ქართველიშვილი), ნათარგმნი ლიტერატურა (ჯონ სტაინბეკი, როალდ დალი, ალექსანდრ კოტოვი, ხალიდ ალ-ხამისი, ივან ჰუდეცი, მო იენი, დუნა ლალი, სტენდალი, ალბერ კამიუ) და დრამატურგია (როსტომ



ჩხეიძე, დიმიტრი უჩანეიშვილი, თამრი ფხაკაძე), არამედ სალიტერატურო კრიტიკის ისეთი ჟანრებიც, როგორებიცაა: ესეისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობითი სტატია და ნარკვევი (სოფიკო ჯერვალძე, ელენე ჩხაიძე, რადვა აშური, ვარლამ შალამოვი). ერთი სიტყვით, ამ კრებულში დღევანდელი სალიტერატურო სპექტრი თავისი ყველა მიმართულებითაა წარმოდგენილი და შეფასებული.

და ვიდრე უშუალოდ გამომხატვრებს შევხებოდეთ, ორივე სიტყვა ჟანრის შესახებაც მინდა ვთქვა. ჟანრის აუცილებლობაზე უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება სპეციფიკას, ის ზუსტადაა განსაზღვრული როსტომ ჩხეიძის წინასიტყვაობაში: გამომხატვრებს უნდა ეტყობოდეს პირველი მთაბეჭდილების კვალი, რომელიც არამცდარამც არ უარყოფს სიღრმესა და სტილურ დახვეწილობას, მოქნილობა, გაბედულება და სრული თავისუფლება და შეუზღუდაობა განხილვის ობიექტის არჩევამ.

აღსანიშნავია ისიც, რომ, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სალიტერატურო კრიტიკა ანალიზისათვის ძირითადად მსუყე ლუკმას ელოდება ხოლმე, მნიშვნელოვან მოვლენას — პოეტურ თუ პროზაულ კრებულს. ამ ფონზე კი, როგორც ბატონი როსტომი აღნიშნავს, „მცირეფორმიანი ჟანრები საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციისას გერად თუ სულაც ობლად გრძნობენ თავს თუნდაც მკრთალი აღნიშვნის მოლოდინში“.

ამიტომაც მიგვაჩნია, რომ გამომხატვრების ჟანრს, როგორც გზამკვლევისა და გეზის მიმცემს, შესაფერისი ყურადღება უნდა მივაგოთ ყველამ, ვინც თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებზე ვმუშაობთ. მითუმეტეს, რომ ბატონი ელგუჯა თავბერიძის სახით ამის მაგალითი უკვე გვაქვს.

„ნილოსისფერი პერანგი“ უბრალო გადათვალთვრებაც კი საკმარისია კრიტიკოსის ლიტერატურული გემოვნების გასაგებად. ნიგნს ამკარად ეტყობა, რომ ავტორს საგულდაგულად აქვს შერჩეული მასალა. იგი ობიექტურად აფასებს ყველა ქართველი თუ არაქართველი შემოქმედის თუ მთარგმნელის ნაღვანს, რაც ასევე იშვიათობაა დღეს ცამდე აყვანილი ხოტბის პირობებსა და „რა მაგარიას“ ძახილში.

„კედელი“ ეკატერინე ტოგონიძის მოთხრობა „მზეთუნახავს“ ეხება. კრიტიკოსი აქ ხაზს უსვამს მთავარ პრობლემას, იმ სულიერ და ფიზიკურ მარტოობას, რომელიც ავარიამ გამოიწვია და რის შედეგადაც დამახინჯდა ლამაზი ქალი. მე პირადად ამ მოთხრობის ნაკითხვისას მშ-იანებში ნამონეული და შემდეგ იმ ოთხმოცოიანელებითი გამოწყებული პრობლემის — სიმახინჯის — ეგზისტენციური გააზრება გამახსენდა. მართლაც აქვს „მზეთუნახავს“ რაღაც საერთო მერაბ აბაშიძის მოთხრობასთან „აქეთ მაშხალები, კვაზიმოდო!“ თუ მიკა ალექსიძის „სულში ჩაკიდულ მთვარესთან“. იქაც და აქაც სიმახინჯე ადამიანთაგან განდევნის, საზოგადოებასთან გაუცხოების მიზეზი ხდება. ვერავინ უყურებს ფიზიკურად განსხვავებულ ადამიანს ძველებურად. „მზეთუნახავის“ პერსონაჟ სანდროს ავარიამდე მისთვის ძვირფასი ქალის სიყვარული აღარ შეუძლია (არც სულიერად და არც ფიზიკურად) და ამას ევრც სანატორიუმის მიმტანი ახერხებს, რომელიც თურმე საკუთარი ცოდვების მონანიებას ცდილობდა მოთხრობის მთავარ გმირთან სასიყვარულო ურთიერთობის გაბმით.

საინტერესო პარალელია გავლებული მოთხრობასა და მოჯადოებული მზეთუნახავის ზღაპარს შორის: „ფინალის ლაიტმოტივის მიხედვით პერსონაჟისთვის ეს ერთი წელი ურჩხულის მიერ მოჯადოებულ დროდ აღიქმება, როცა ჯადოქარმა უფლისწული ურჩხულად აქცია, მზეთუნახავს შეუყვარდება და ისევე უფლისწულად იქცევა“, — აღნიშნავს კრიტიკოსი.

შედარებით ვრცელი და უაღრესად საინტერესოა ნარკვევი „ალიონისა და დაფაზე დაუხედავად თამაშზე“, რომელიც ალექსანდრ კოტოვის რომანის „თეთრები და შავები“ ერთი ნაწილის, „ერთი ბრმა და ოცდაათი თვალბინილი“, ქართულ თარგმანს ეხმაურება ავტორი, თუმცა აღსანიშნავია, რომ მისი თვალთახედვის არეში მხოლოდ ეს ერთი ეპიზოდი კი არა, თითქმის მთელი რომანი ექცევა. ელგუჯა თავზერიძე საუბრობს გამოჩენილ რუს მოჭადრაკეზე — ალექსანდრ ალიონინზე, რომელსაც ბოლშევიკურმა დიქტატურამ არა მხოლოდ სამშობლო დააკარგვინა, არამედ, ადვილი შესაძლებელია, სიცოცხლეც — მისი სიკვდილი ხომ უცნაურ გარემოებაში მოხდა სასტუმროს ერთ ნომერში. კრიტიკოსი შენიშნავს, რომ რომანის ეს საინტერესო ნაწილი, რომელიც დაძაბული სიუჟეტით ახერხებს მკითხველის მონუსხვას, ასევე ოსტატურად უთარგმნია ლამა გიორგაძეს. ამაში მოთხრობის ნაკითხვა ნამდვილად დაარწმუნებს მკითხველს, იგი მართლაც დასრულებული ნოველაა დაძაბული სიუჟეტითა და ლოგიკური, ამასთანავე მოულოდნელი და ემოციური ფინალით.

„სტაინბეკი სტაინბეკია“ — კითხულობ სათაურს და თითქოს ის ინტონაციაც კი ჩაგვისმის, რითაც ავტორი წარმოთქვამდა მას — თავდაჯერებული, სიამაყით აღსავსე, კმაყოფილი, ავერ ახლა რომ დამთავრა ქართულად გადმოღებული ამერიკული მოთხრობის კითხვა და ამ ორი სიტყვით გადმოსცა მთელი თავისი აღფრთოვანება. სხვისი არ ვიცი და მე სწორედ ასე დამემართა ამ თარგმანის ნაკითხვის შემდეგ. ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე, ბევრს ვკითხულობთ, მაგრამ ხშირი არ არის ისეთი მძაფრი ემოცია, წლებს რომ გადასწვდება. შეუძლებელია, არ დაეთანხმო ბატონ ელგუჯას შემდეგში: „მთელ მოთხრობას გასდევს განგაშის გრძნობა, ყველა პასაჟი გახვედრებს, რალაც ცუდი უნდა მოხდეს და ეს ცუდი, უკეთ, ავის მოლოდინი სახლობს ბიჭის სულში“.

მე ვიტყვოდი, არა მარტო ბიჭის სულში, მკითხველშიც გადმოდის და უდიდესი ძალით იპყრობს მასაც. ესაა სწორედ ის ძალა, რომლითაც დიდი მწერლები არიან დაჯილდოებულნი და რომლის ზეგავლენასაც ყველა მკითხველი ასეთივე სიმძაფრით განიცდის. სულმოუთქმელად კითხულობ, რათა იმ ტრაგედიამდე მალე მიხვიდე, რომლის მოხდენაშიც ეჭვი არ გეპარება... ბოლოს, ამდენ ხანს შეკავებული ღრმად ამოსუნთქვის შემდეგ, გონების თვალს გადაავლებ ნაკითხულს და შეუძლებელია შენც არ აღიარო, რომ „სტაინბეკი სტაინბეკია“, თუმცა მთარგმნელის როლიც ნუ დაგვაზინყდება. „მთარგმნელი მიაა ჯიჯიშვილია. კარგი მთარგმნელია. ვაი იმათ, ვისაც კარგი არასაკმარისი ეპითეტი ჰგონიათ“, — ასე ამთავრებს ბატონი ელგუჯა თავის გამომხაურებას, თუმცა ხანდახან ამ ეპითეტის ხმა რეგბაც არაა საჭირო. ამაში გამომხაურების სათაურმა დაგვარწმუნა.

როაღდ დაღის ნოველასავით საინტერესოდ იკითხება მასზე დაწერილი გამომხაურება სათაურით „მოულოდნელი ფინალი“. ბატონი ელგუჯა ასე ამთავრებს: „მართლაც რომ მოულოდნელი ფინალია. მოულოდნელი, მხატვრულად ზუსტი, მიზანში მოხვედრილი. ნოველაც კარგია, თარგმანი — ჩინებული, ფინალი — იშვიათი“. მე ჩემი მხრიდან ამ ჩამონათვალს ერთსაც დავამატებდი: გამომხაურებაც შთამბეჭდავი.

საინტერესო ნოველაა **ხალიდ ალ-ხამისის „ტაქსი“**. ექვსი მძლეოლი ექვს სხვადასხვა პრობლემას ახმოვანებს თხზულებაში — დანყებული პირადით და დამთავრებული ერის სატიკვრით, თუმცა არა მხოლოდ ერაყელთა თუ ეგვიპტელთა, ამ სატიკვართან ჩვენც ბევრი საერთო გვაქვს. ამიტომაც ნაკითხვისთანავე თვალში გვხვდება საოცრად ზუსტად მიგნებული მთავარი სათქმელი და პარალელი ილიასთან: „ტაქსი“ მრავალ კითხვას სვამს, უპასუხოდ არცერთს ტოვებს. პასუხები ილიას ფრაზით შეიძლება გამოხატო — ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — ეს ფრაზა კი ეგვიპტელისთვის ასე უღერს: „ეგვიპტისთვის ის ახალი პერანგი სჯობს, ნილოსისფერი იყოს და შესამინის სურნელი ჰქონდეს“. მართლაც, უზუსტესი პარალელია.

არანაკლებ საინტერესოა სხვა წერილებიც, იქნება ეს როსტომ ჩხეიძის პიესის „26 ივნისის საიდუმლოს“ შესახებ თუ ალბერ კამიუს „მოლატე ცოლზე“, ნუკრი ბერეთელისა თუ თამარ შაიშმელაშვილის პოეზიაზე, ელენე ჩხაიძის სამეცნიერო ნაშრომსაც კი ისე ეხმაურება, როგორც მხოლოდ პროფესიონალებს ძალუძთ.

დასასრულ, ჩვენს საუბარს ასე შევაჯამებდით: ბატონი ელგუჯა თავზერიძე თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს „ცხელ კვალში“ უდგას. „ნილოსისფერი პერანგი“ გემოვნებიანი კრიტიკოსის მახვილი თვალით შემჩნეული პრობლემატიკის ზუსტი, სხარტი და ემოციური შეფასებაა, როგორც ამას ჟანრის კანონი მოითხოვს.

მიხეილ მახარაძე

კონსტანტინე კაპანელის შემოქმედება ახალი კუთხით

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ ფილოსოფოსს კონსტანტინე კაპანელს (1889-1952) ქართული ფილოსოფიის ისტორიაში საპატიო მისია ერგო. იგი ახალი ეპოქის ქართულ ფილოსოფიაში ორი ძირითადი მსოფლმხედველობიდან ერთ-ერთის — ორგანოტროპიზმის — დამფუძნებლად გვევლინება (ედუარდ კოდუა). მეორეს — ალეთოლოგიურ რეალიზმს საფუძველი ჩაუყარა შალვა ნუცუბიძემ.

კაპანელის დანყებული საქმე ადამიანისა და კულტურის პრობლემებს ეხებოდა, რაც მისი შემოქმედების ამ ეტაპის თანადროულად გვხვდება დიმიტრი უზნაძესთან, ცოტა მოგვიანებით კი — მოსე გოგიბერიძესთან. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან კი ეს ტენდენცია ქართულ ფილოსოფიაში მძლავრ ნაკადად იქცა და საბოლოოდ პოზიტივიზმისა და ტექნოკრატიული მსოფლმხედველობის კრიტიკის ფონზე სხვადასხვა, თუმცა ერთი მიზნით გაერთიანებულ დარგებად ჩამოყალიბდა. მე ამას ვუნოდებ ფილოსოფიის არამარქსისტულ დარგებს (აქსიოლოგია, კულტურის ფილოსოფია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია) საბჭოთა საქართველოში. ქართულ ფილოსოფიაში ამ, თანამედროვე და უმნიშვნელოვანესი ტენდენციის სათავეებთან კაპანელი უნდა მოვიხაზოთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული ფილოსოფიის ეს უმნიშვნელოვანესი ტენდენცია მისი დარგებით ახლო მომავლის კვლევის საშურ საქმედ გვესახება.

ამჟამად ჩემი მიზანი უფრო მოკრძალებულია: განვიხილო და შეძლებისდაგვარად შევფასო ახლახან, დიდი დაგვიანებით გამოცემული კონსტანტინე კაპანელის ნარკვევების კრებული — „რენესანსი ლიტერატურაში. ნარკვევები ევროპული ლიტერატურის ისტორიიდან“ („ნეკერი“, თბილისი, 2014, 368 გვერდი; რედაქტორები: ნ. ტრაპაიძე, გ. ხეოშვილი; რეცენზენტები: ლ. ზაქარაძე, თ. ირემაძე).

ეს კრებული რამდენიმე ნარკვევისგან შედგება, რომელიც 12 თავშია (კაპანელის მიხედვით — „თაურში“) გაერთიანებული. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა პირველი თავი, სადაც რუსთაველის შემოქმედება განხილული რენესანსული თვალსაზრისით.

ვიდრე უშუალოდ რუსთაველის შემოქმედების კაპანელისეულ შეფასებას განვიხილავთ, მანამდე ზოგადად ვიტყვით კრებულის შინაარსზე. აღვნიშნავთ, რომ კრებულის დანარჩენი თერთმეტი თავი ევროპულ ლიტერატურას ეძღვნება. მეორე თავში განხილულია რენესანსის საკითხები იტალიაში

(დანტე), მეექვსეში — რენესანსი ინგლისში (შექსპირი) და მეშვიდეში — რენესანსი საფრანგეთში (რაბლე, მონტენი); მესამე და მეოთხე თავში განხილულია პეტრარკასა და ბოკაჩოს შემოქმედება, მეხუთეში — ესპანური ლიტერატურა (სერვანტესი, ლოპე დე ვეგა, კალდერონი), მერვეში — რეფორმაცია გერმანიაში, მეცხრე და მეთორმეტეში — კლასიკური ლიტერატურა საფრანგეთსა და გერმანიაში, მეთესა და მეთერთმეტეში — განმანათლებლობა გერმანიაში და საფრანგეთში.

ერთი მხრივ, ნარკვევების მრავალგვარობა და მრავალფეროვნება, ხოლო მეორე მხრივ, მათში განხილულ საკითხთა ფართო სპექტრი, მიუთითებს მათი ავტორის დიდ ერუდიციაზე, საქმეში ჩახედულებასა და განსახილველი თემებისადმი ინტერესზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნარკვევები უფრო ესეისტურ სტილშია დანერგილი და გარკვეულად მოკლებულია მეცნიერულ დასაბუთებას და ამგვარი ნაშრომისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. ამის მიუხედავად, ნარკვევებში განხილული საკითხები და მათი კაპანელისეული შეფასებანი საინტერესო და საყურადღებოა.


„ნარკვევებს“ ნამძღვარებული აქვს ავტორის წინასიტყვაობა, შესავალი და რენესანსის ცნების განმარტება. ამასთან, წინასიტყვაობის ბოლოში დასმულია თარიღი — 1945 წლის 30 ივლისი. ამ ფაქტზე ყურადღებას ვამახვილებთ იმის გამო, რომ აქ მონიშნული თარიღის შემდეგ საქართველოში არაერთი გამოკვლევა გამოქვეყნდა რენესანსის საკითხებზე და არავინ იცოდა კაპანელის ამ სახის ნაშრომზე. ეს გარემოება საყურადღებოა იმითაც, რომ რამდენიმე მნიშვნელოვან მოსაზრებას, რომელიც შემდგომ გამოითქვა სხვადასხვა მეცნიერის მიერ, გარკვეული თანხვედრა აქვს კაპანელის შეხედულებებთან.

დავინწყით რენესანსის ცნებით. იმის მიუხედავად, რომ ქართულ მეცნიერებაში რენესანსის, ჰუმანიზმის და საერთოდ აღორძინების ეპოქის შესახებ არაერთი გამოკვლევა გამოქვეყნებული, არსად არის განხილული რენესანსისა და აღორძინების ცნებების ურთიერთმიმართება, ამ ორ მოვლენას შორის მსგავსება და განსხვავება. როგორც წესი, ეს ორი ცნება იდენტურად არის მიჩნეული. კაპანელის ნარკვევებში კი ეს ორი მოვლენა, და შესაბამისად მათი აღმნიშვნელი ცნებები, ზოგიერთი ნიშნით განსხვავებულია.

კაპანელის აზრით, რენესანსის ცნება ხელახალ დაბადებას ნიშნავს, მაშინ როცა, აღორძინების ცნება სულაც არ გულისხმობს „ხელახალ დაბადებას“ (გვ. 16). მისივე აღნიშვნით, „რენესანსი, როგორც ისტორიული მოვლენა, არ იყო მარტო განმეორება ანტიკური კულტურისა“ (გვ. 147).

კაპანელი ნაწილობრივ იზიარებს იმ აზრს, რომ რენესანსი არის ბერძნულ-რომაული კულტურის აღდგენა, აღორძინება კონკრეტულ ისტორიულ პირობებში. მაგრამ მისივე შენიშვნით, რენესანსში მთავარია არა ეს, არამედ ევროპის ქალაქურ კულტურაში ჩასახული ისტორიული თავისებურებების ცხადყოფა. ამ პროცესში კი, ერთადერთი და მთავარია — პიროვნების ადამიანურ უფლებათა და მოთხოვნილებათა ნამოყენება (გვ. 104).

აღნიშნულიდან ცხადად ჩანს, რომ კაპანელი ერთმანეთისგან განასხვავებს აღორძინებასა და რენესანსს და ამ უკანასკნელში არსებითად მიიჩნევს არა ანტიკურობის აღდგენას (თუნდაც ადამიანის ანტიკურ ხედვას), არამედ თანამედროვე ადამიანის დაყენებას ყურადღების ცენტრში.



აქ რენესანსის კაპანელისეული გაგება ჰუმანიზმს ემთხვევა, რის შესახებაც კაპანელი არაფერს ამბობს. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი და საყურადღებო სხვა რამეა, კერძოდ: ქართულ სინამდვილეში კაპანელი გვთავაზობს რენესანსის თავისეულ გაგებას, რაც გულისხმობს ქალაქური კულტურის გარკვეულ დონეს და ადამიანის მოქცევას საყოველთაო ყურადღების ცენტრში.

საქართველოში რენესანსის არსებობის შესახებ კაპანელის თვალსაზრისი სხვა მხრივაც არის საყურადღებო. როგორც ცნობილია, შალვა ნუცუბიძის ქართული რენესანსის თეორიის თანახმად, რენესანსი საქართველოში ერთი საუკუნით მაინც უსწრებდა რენესანსს ევროპაში, კერძოდ — იტალიაში. ნუცუბიძის ამ თვალსაზრისს ბევრი იზიარებდა, მათ შორის, ისეთი მეტრი ფილოსოფიასა და კულ-

ტუროლოგიაში, როგორც იყო ალექსი ლოსევი.

კაპანელის აზრითაც, ქართული ლიტერატურა თავისი მდიდარი სახეებითა და ადამიანური ემოციებით, რუსთაველის მსოფლმეგრძნობით და სხვა მსგავსი მოვლენებით, წინ უსწრებდა იტალიის ადრინდელი პერიოდის რენესანსს (გვ. 20); რენესანსი, რომლის სამშობლოდაც იტალია ითვლება, „თავისი უაღრესად ჰუმანური შინაარსით საქართველოში იგი უფრო ადრე იწყება“ (გვ. 124), აღნიშნავს კაპანელი.

ამ მოვლენას კაპანელი პრერენესანსად (წინარე რენესანსად) მიიჩნევს და იქვე შენიშნავს, რომ ის, რაც რუსთაველსა და დანტესთან საერთოა, საერთო სულია — „...მსოფლიო მასშტაბით შეიძლება ვუნდოდთ პრერენესანსი, რომელსაც მოსდევს ნამდვილი რენესანსი“ (გვ. 125).

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ კაპანელი რენესანსს წარმოადგენს, როგორც სქოლასტიკისა და დოგმატური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის მოძრაობად.

ისიც უნდა ითქვას, რომ რენესანსზე კაპანელის ამ მოსაზრებებში არის წინააღმდეგობაც. კერძოდ, საქართველოს მაგალითზე ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული რენესანსი და წინარე რენესანსი; აქ ერთ შემთხვევაში საქართველოში რენესანსის არსებობაზეა მსჯელობა, ხოლო მეორე შემთხვევაში, ამავე ეპოქაში წინარე რენესანსის არსებობაა ნაგულისხმევი.

ევროპაზე ადრე საქართველოში რენესანსისა თუ წინარე რენესანსის არსებობაზე ნუცუბიძისა და კაპანელის თვალსაზრისები ერთმანეთს ემთხვევა და მათ შორის მიმართების გარკვევა შესაძლებელია მომავალი კვლევის საგანი გახდეს. როცა ამას ვამბობ, ვგულისხმობ იმ გარემოებას, რომ ნუცუბიძემ ქართული რენესანსის თვალსაზრისს საბოლოო სახე მისცა მონოგრაფიაში — „Руставели и Восточный Ренессанс“ (Тбилиси, 1947), ხოლო კაპანელის განსახილველი ნარკვევი, როგორც აღვნიშნეთ, დათარიღებულია 1945 წლით. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ უფრო ადრე, ორჯერ (1928 და 1931 წლებში) გამოიცა კაპანელის კრებული — „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“, სადაც შესულია 37-გვერდიანი ნარკვევი შოთა რუსთაველზე. ნარკვევში გაკვრით არის საუბარი რენესანსზე, ნეოპლატონიზმზე, არეოპაგოტიკაზე, „ვეფხისტყაოსნის“ ანტიქრისტიანულ ხასიათზე და ა.შ., მაგრამ არა იმ კუთხით და არა იმ შინაარსით, როგორც ამას ადგილი აქვს სარეცენზიო ნარკვევების კრებულში.

რუსთაველის შემოქმედებისა და საერთოდ რენესანსულ კულტურაზე არეოპაგოტიკის, ერესებისა და სუფიზმის შე-

სადლო გავლენებზე მსჯელობისას კაპანელი ოპონენტის დაუსახელებლად არ იზიარებს ნუცუბიძის პოზიციას აღნიშნულ საკითხებზე. აქ ისევ ჩნდება კითხვა — თუ რის საფუძველზე ეკამათება კაპანელი ნუცუბიძეს? 1945 წლისთვის ნუცუბიძეს არ ჰქონდა საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოზიცია რენესანსისთვის ერესების მნიშვნელობაზე, არეოპაგტიკაზე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივ წყაროზე, სუფიზმზე და ა.შ.

აღნიშნულის მიუხედავად, კაპანელის მოსაზრებანი ამ საკითხებზე, თავისთავად არის საინტერესო. ასე მაგალითად, საყურადღებოა კაპანელის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ფსევდო-დიონისეს მოძღვრება შეუძლებელია ერთნაირად შეჭრილიყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერეტიკულ მიმდინარეობებში (გვ.28), რუსთაველის იდეები არაფრით არ წააგავს მანიქველობას, არც სუფისტურ იდეოლოგიას (გვ.29), „რუსთაველის წარმოსახვაში მოცემული იდეების სანყისი შეიძლება იყოს პეტრე იბერის (არეოპაგტიკის) კონცეფციაში, მაგრამ მანიქველობისა და სუფისტურ-დერვიშულ იდეალობს, ასკეტიზმს ვერ მივანერო“ (გვ.33) და სხვა.

კაპანელის ახლა წარმოდგენილი მოსაზრებები ანგარიშგასაწევი და გასათვალისწინებელია რენესანსისა და რუსთაველის მსოფლმხედველობის როგორც წყაროების, ისე არსის კვლევისას.

არადამაჯერებელია კაპანელის შემდეგი მოსაზრება: როგორ შეიძლება ვისაუბროთ რენესანსზე იმ აღმოსავლურ ქვეყნებში, რომლებიც ანგრევდნენ და აოხრებდნენ საქართველოს, ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართულ ოჯახებს. ამასვე იმეორებს ავტორი მანიქველური მსოფლმხედველობისა და სუფისტური იდეოლოგიის მატარებელ ქვეყნებზე (გვ. 32).

კრებულში უშუალოდ რუსთაველის შემოქმედება გამოცემულია პირველ თავში და შედგება 67 გვერდისგან (გვ. 34-101). კაპანელის აზრით, რუსთაველის შემოქმედება საქართველოს ისტორიის ასახვაში, მისი ნაშობია (გვ. 30-31). იგი „ვეფხისტყაოსნის“ განიხილავს, როგორც საერო ნაწარმოებს. მისი აღნიშვნით, რუსთაველი არსად ახსენებს სამებას, მასთან შემოქმედი (ღმერთი) სულაც არ არის ქრისტიანების სამპიროვანი მამაღმერთი. რუსთაველს ღმერთი ესმის, როგორც შემოქმედებითი ძალა, „რუსთაველის გაგება ღმერთისა ფილოსოფიურია და არა დოგმატიკურ-ქრისტიანული“ (გვ. 46).

რუსთაველის შემოქმედებაზე საუბრისას კაპანელი ხშირად მიმართავს შედარებებსა და პარალელებს როგორც საკუთრივ რუსთაველსა და ევროპულ მწერლებს (დანტე, ბოკაჩო, რაბლე, შექსპირი, მონტენი...), ისე წაწარმოებთა პერსონაჟებს (ტარიელი, ავთანდილი, ...ჰამლეტი, ფაუსტი,...) შორის. ამის საფუძველზე კი აჩვენებს რუსთაველის სიახლოვეს რეალურ ვითარებასთან და, აქედან გამომდინარე, მისი შემოქმედების აღმატებულობას. ამ მიმართებით ავტორის პოზიციას მეტ დამაჯერებლობას მატებს დიდ შემოქმედთა ხედვების შედარებითი ანალიზი: რუსთაველი-დანტე, პეტრარკა-ბოკაჩო, კორნელი-რასინი და სხვა.

კაპანელი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ რუსთაველის გმირები ამქვეყნიური, რეალური სინამდვილის შვილები არიან, ისინი გვერდში უდგანან ერთმანეთს და იბრძვიან უკვდავებისთვის.

საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს შორისაც ახდენს დიფერენციაციას კაპანელი. ნესტანი და ტარიელი ემოციურები არიან, თინათინი და ავთანდილი ინტელექტუალურები, ავთანდილში აპოლონურია, ტარიელში — დიონისური და ა.შ.

როგორც რუსთაველზე, ისე ალორძინების ეპოქისა და მომდევნო დროის ევროპულ შემოქმედთა შესახებ ნარკვე-

ვებში კარგად ჩანს კაპანელის ღრმა განსწავლულობა და ჩახედულობა მის მიერ განხილულ ავტორთა შემოქმედებაში, პრობლემების ორიგინალური ხედვა, თითოეული შემოქმედისთვის კუთვნილი ადგილის მიჩნეა როგორც საკუთარი, ისე მსოფლიო კულტურის არეალში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ნარკვევებში კაპანელი ლიტერატურის, ფილოსოფიისა და კულტურის საკითხების გარდა, აღწერს ამ ქვეყნების სახელმწიფო წყობას, საერთო სულიერ გარემოს და სხვა საკითხებსაც, თავის დროზე გამოქვეყნების შემთხვევაში ნარკვევების კრებულს ერთგვარი განმანათლებლური ფუნქციაც დაეკისრებოდა.

კაპანელის ნარკვევებში ზოგიერთი რამ სადავოა, ზოგიერთი — დაუსაბუთებელი. ასე მაგალითად, სადავოა დაუსაბუთებელია აზრი კაპიტალიზმის განვითარებაზე რუსთაველის ეპოქის საქართველოში (გვ.38), სამყაროს ჰარმონიის საკითხის გაგებაში რუსთაველის მაღლა დაყენება ლიბინცისა და შოპენჰაუერზე (გვ.88), აზრი „ვეფხისტყაოსნის“, როგორც პოლიტიკური მიზნით დაწერილ პოემაზე (გვ. 98) და სხვა. ასევე გადაჭარბებულად გვეჩვენება კაპანელის პოზიცია გერმანულ და ფრანგულ რენესანსზე (გვ. 200-201), რადგანაც ევროპული რენესანსი ძირითადად იტალიას გულისხმობს.

ისიც უნდა ითქვას, რომ როდესაც საქართველოში რენესანსის (აღმოსავლური და ქართული) თეორია ყალიბდებოდა, არსებულა მსგავსი თვალსაზრისი, რომელმაც დღის სინათლე, სამწუხაროდ, ახლავს იხილა. დასაწინაა, რომ აქამდე რენესანსის საკითხებთან დაკავშირებული კვლევა-ძიებები საქართველოში კაპანელის პოზიციის გაუთვალისწინებლად მიმდინარეობდა.

დავაკონკრეტოთ კაპანელის ნარკვევების ძირითადი დასკვნები:

1. რენესანსი საქართველოში უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე ევროპაში (იტალიაში).

2. რუსთაველის შემოქმედება საზრდოობს სხვადასხვა წყაროებით, მაგრამ იგი ძირითადად და არსებითად ქართული სინამდვილის, ქართული კულტურის ნაყოფია.

3. „ვეფხისტყაოსანი“ საერო ნაწარმოებია, რომლისთვისაც უცხოა სქოლასტიკა და დოგმატური მსოფლმხედველობა.

4. დროში წინამავალი რუსთაველის მსოფლმხედველობის აღმატებულობა ან ტოლსწორობა კაპანელის მიერ განხილულ რენესანსის ეპოქისა და მომდევნო დროის უდიდეს ევროპულ ავტორთა თვალსაზრისებთან.

5. საქართველოსა და ევროპის სხვა ქვეყნებში რენესანსი სხვადასხვა დროს და სხვადასხვანაირად არსებობდა.

6. ევროპული და ქართული რენესანსის საკითხების განხილვისას, ზოგიერთი სადავო და დაუსაბუთებელი, თუმცა ანგარიშგასაწევი თვალსაზრისების წამოყენება.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ კაპანელის განხილული კრებული სრულიად შემთხვევითი გარემოებით გახდა ცნობილი. მის გამოცემას კი თავი მოაბა ახალგაზრდა ფილოსოფოსმა, პროფესორმა გიორგი ხეოშვილმა, რომელიც ასევე ნაყოფიერად იღვწის ფილოსოფიის სხვადასხვა სფეროში. რედაქტორის ბოლოსიტყვაობაში კი არც ზედმეტი რამ თქვა და არც არაფერი დააკლო ასე საჭირო გამოცემას. მასთან ერთად თანარედაქტორის მძიმე მისია იკისრა პროფესორმა ნანა ტრაპაიძემ.

კიდევ ვის რა წვლილი მიუძღვის კაპანელის ამ საჭირო კრებულის გამოცემაში, ამას მკითხველი თავად გაეცნობა „ბოლოსიტყვაობის“ პოსტსკრიპტუმში, კრებულის 354-ე გვერდზე.

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია მადლიერება გამოცხატოთ ნარკვევების ავტორის, კრებულის რედაქტორებისა და გამომცემლების მიმართ.

ლელა ჯიყაშვილი

ზურგს უკან საქართველო!

ჭაბუა ამირეჯიბი — ქართველი კლასიკოსი, რომლის შემოქმედებაც ასე შეიყვარა და გაითავისა საქართველომ, 13 დეკემბერს, გამთენიისას გარდაიცვალა...


წინებით საესე ოთახში, სადაც მის ზურგს უკან, განსაკუთრებულ ადგილზე შვილის — ირაკლის — ფოტო მოჩანს, მაგიდასთან იჯდა ჭაბუა ამირეჯიბი. და ისე იჯდა, რომ აუცილებლად დაგანახებდა, ზურგს უკან საქართველოს გრძნობდა, აფხაზეთზე რუსეთის შეტევის დროს დაღუპული შვილის ფოტოც შემთხვევით არ მოექცია იქ. საქართველო იყო, რომლის წინაც, ვთქვათ, ვირტუალური საზღვარზე, მეომრად იდგა და არავის შეაბედინებდა აუგად. გარინდებული შემოგხედავდა და მაშინაც კი, თუ არ გიყურებდა და თავის საქმეს აგრძელებდა მდუმარედ, აუცილებლად „გსწავლობდა“, როგორც კაცსა და როგორც ქართველს.

შესულ სტუმარს მისალმების ნიშნად თავს დაუკრავდა. კარგა ხანი იყო, აღარაფერს ამბობდა. ხმის იოგებზე ჩაბარებული ოპერაციის შემდეგ სიტყვის წარმოთქმა აღარ შეეძლო, თუმცა შემთხვევით არ მითქვამს — აღარაფერს ამბობდა-მეთქი... ისეთი იყო ბოლო წუთამდე, ვერ ამბობდა რამესო — ვერ შეხედავდი. მის თავადურ გამოსხედვაში რჩებოდა რაღაც, წინაპრებიდან გადმოყოლილი, რომელსაც „ვერ“-თან დიდი კონფლიქტი ჰქონდა გაჩაღებული. თუ არ აკეთებდა რამეს — არ აკეთებდა, თუ აკეთებდა და ბოლომდე მიეცემოდა საქმის აღსრულების აზარტსა თუ ვალის აუცდენლობის განცდას.

„ — ვინ ხარ შენ, ჭაბუა ამირეჯიბო, საიდან მოდიხარ? — თბილისში დავიბადე, თოთხმეტ-ნახევარ გირვანქას ვინონიდი, ანუ ექვს კილოგრამს, ორას გრამნაკლებს. აღნაგობის მიხედვით შეიძლება ფიქრი, რომ მიმიე წონის სპორტსმენი გავხდებოდი, მაგრამ შტანგისტობა თუ მოკრიეობა არ მენერა, კალათბურთი ვარჩიე და შემდგომში პროფესიულ პატიმარ-მარბენლად ჩამოვყალიბდი, მაგრამ ამაზე — მერე იყოს“, — ეს ავტობიოგრაფიულ ფრაგმენტია... არისტოკრატიული ოჯახის ჩამომავალს, მერე პროფესიულ მარბენალს — რამდენჯერ დაპატიმრებულსა და გაქცეულს — ზუსტად ვერც კი გეტყვით, ისე ეჭირა თავი, თითქოს რაც იყო — ეგ არაფერი! წისქვილის ქვა დაატრიალეს მის თავზე — არაფერი! მერე მოუგონეს, „დათა თუთაშხიას“ ვერ დანერდა და სხვისგან გადანერაო? — ეგეც არაფერი... ათასი ჭორი დაუყარეს, სწორედ იმ წესით, „დათა თუთაშხიასი“ მეფის რუსეთის ჩინოვნიკები რომ უყრიან დათას — ეგეც არაფერი... ამ სიის უსასრულოდ გაგრძელება შეიძლება, თუმცა არ ღირს, რადგანაც ბოლო ფრაზად მაინც ეს უნდა დავწერო: მისთვის მთავარი სხვა რამ იყო — ის, რაც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, რაც მამა-პაპისგანაც მოსდგამდა და თვითონაც ჰქონდა ნასწავლი — ზურგს უკან მოქცეული, საკუთარი მკერდით შეჯავშნული — მოსაფრთხილებელი საქართველო!

აღბათ, პატარა ბიჭი იყო, ამაზე რომ იფიქრა, იქნებ მაშინაც კი, დიდ პაპას ხელდაკიდებული რომ მიჰყავდა თბილისის ქუჩებში, ან ცოტა მერე, როცა მშობლების რეპრესირების მიზეზთა გაგება შეძლო...

მერე რომ მუსტაფა შელიასთან ერთად „თეთრ გიორგიში“ ამოჰყო თავი — შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია რომ ეიმედებოდა, მეოცნებე ბიჭი იყო, აბა რა! მიუსაჯეს კიდევ 1944 წელს 25 წლით პატიმრობა ამის გამო. საერთო ჯამში 83 წლის მოუხდელი სასჯელი და ორი დახვრეტა მოუგროვდა, ეს გაქცევებსა და დაკავებებს შორის... ამ „ტვირთით“ დაბრუნდა სამშობლოში, თუმცა საგზალს



ჭაბუა ამირეჯიბი

ისეთი ჰქონდა — მამისა და პაპის დანატოვარი, არ დაიმშვედა თავს — საზრდოდაც ეყოფოდა და საამაყოდაც. ამ საგზალს ერქვა სამშობლოს საზღვარზე დგომა, არდაღლა და არდამშვიდება...

არც დაღლილა და არც დამშვიდებულია. მაგიდაზე ხელს ოდნავ დაარტყამდა. მისი მეუღლე, ქალბატონი თამარი უკვე ხვდებოდა, რას ითხოვდა ან რა უნდა ეთქვა... ის იჯდა წელში გამართული, მოხდენილი, ერთი შეხედვით, აუღელვებელი და დაფაზე ასოები გამოჰყავდა: მოუარეთ საქართველოს!

დრო იდგა არეული (მისთვის ჩვეულებრივი, ასე გამოდის, იმიტომ, რომ რაც მოდიოდა, სულ ამ არეული დროით მოდიოდა, სულ სდევნიდნენ და ანამებდნენ, ატყუებდნენ და დასამარცხებლად იმეტებდნენ — მას კი არა — საქართველოს!) ზედმეტს ნუ იტყვიო, — ეუბნებოდნენ მწერლები ერთმანეთს (ახლა შეიძლება აღარ ახსოვთ!). შვილი გყავს, შვილიშვილიო, სამსახური უნდათ, არსებობა უნდათო. ამისი მთქმელ-შემხედავი ჭაბუას არავინ ჰყავდა, ოჯახის წევრები კი მისკენ იყვნენ — მისი სათქმელისკენ, მისი უშპირობისკენ. ისიც დინჯად წერდა ინტერვიუებს და ისეთ კითხვებზე პასუხობდა ჟურნალისტებს, სხვები რომ შორს დაიჭერდნენ: ეს მოვლა არ არის, ქვეყნის ჯიჯგანა, მოუარეთ საქართველოსო!

ბერი დავითი — ასე ეწოდა მას მერე, რაც ბერად აღკვეცეს. ზოგს გაუკვირდა — უცნაურია, ბერად აღკვეცა რომ გადაუწყვეტიაო... არადა, პირიქით, ყველაზე ლოგიკური ნაბიჯი იყო. ყოფნა-არყოფნაზე ფიქრს სიცოცხლე შეაღია, სიკვდილს ისე ებრძოდა, როგორც შეეძლო და არყოფნა ნამდვილად დაამარცხა... თუმცა გარდაცვალებისთვის ნელა ემზადებოდა:

„ — რით ვარ დაინტერესებული, რაზე მსურს, ვილაპარაკო? რა არის ადამიანი, როგორ ცხოვრობს მისი ქვეყნე, როგორ და როდის მიდის უმჯობეს სამყაროში? —

ყრმობიდანვე, და, რა თქმა უნდა, არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, სწორედ ამ კითხვას ჩავაცვივდი, უკეთ ვთქვათ, ზემოხსენებულმა დეიდა მელაშამ გაამახვილა ჩემი ყურადღება ამ თავსატეხზე.

ბოლოს და ბოლოს, თითქოს ვიპოვე პასუხი აქედან გამომდინარე სხვა კითხვებზედაც, მაგრამ პირველსავე სიტყვაზე მოვიდეთ: ადამიანში, სხვა ყველაფერს გარდა, ორი ძირითადი საწყისი ბუდობს — კითხვის დამსმელი და პასუხის გამცემი საწყისები. მართალია, პასუხი არცთუ ყველაზე კითხვაზე მოიძებნება ხოლმე, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ადამიანი შეკითხვების გენერატორია, ხოლო მიგნებული პასუხები — პროგრესის ძრავი. ძველრომაული კანონმდებლობითა და სამართლით, თუ არ ვცდები, დაბადებული არსება ადამიანად პირველი წამოყვირებისავე ითვლებოდა, „იურიდიულ პირად“, რომელსაც უკვე სიცოცხლის, სიყვარულის, მემკვიდრეობისა და სხვა სამოქალაქო უფლებები ენიჭებოდა. ჩემთვის ადამიანი საზოგადოების სრულყოფილი ნევრად მაშინვე ითვლება, როცა იგი პირველად მოუბაგუნებს დედას, ანუ სიცოცხლის ნიშანს დააფიქსირებს. ვფიქრობ,

მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ჩანასახზე ძალადობის ცოდვად აღიარება ამ ვითარებიდანაც მოდის. ადამიანის სიკვდილი სხვადასხვანაირად და სხვადასხვა მიზეზით მოდის. მაგალითად, დგება დრო, როცა ადამიანს დიდი ხნის სიცოცხლით დაგროვებული გამოცდილების გამო აღარაფერი უკერს, აღარაფერი აინტერესებს, აღარ ებადება კითხვები და მათზე პასუხის პოვნის სურვილი, რადგან ჰგონია, რომ უკვე ყველაფერი იცის, ყოველივე განვლილია და ახალი აღარაფერი შეიძლება იყოს.

ამგვარი ინდიფერენტული მდგომარეობა ფიზიკური აღსასრულის დასანყისა, ვინაიდან ორგანიზმი ცხოველმოქმედების სტიმულს კარგავს. ამას საკუთარი მრავალწლოვანი გამოცდილებით ვამბობ. ჩემი აზრით, ადამიანის სიცოცხლე მთავრდება ფიზიკურ სიკვდილამდე, როცა იგი პათოლოგიით გამოწვეულ მეხსიერებას კარგავს. ეს უკვე არსებობაა და არა სიცოცხლე.

მეხსიერების დაკარგვა გონების ატროფიას ანუ ადამიანის დასასრულს ნიშნავს. სიკვდილის მთავარი მიზეზი კი, დარწმუნებული ვარ, შემდეგ ვითარებაში მდგომარეობს: ყოველი ადამიანი გარკვეული დანიშნულებითურთ — მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ფუნქციითურთ იბადება და მიდის მაშინ, როდესაც თავის ფუნქციას ამოწურავს. ჰეგელს თავის „სულის ფილოსოფიაში“ თითქოს გაკვრითა და უცაბედად აქვს ნათქვამი, რომ ადამიანი, როცა იგი თავის დანიშნულებას ამოწურავს, ამ ქვეყნიდან მიდის მიუხედავად ასაკისა და აღსრულებათა მასშტაბისა.

მართალია, ჰეგელს მხედველობაში ჰყავს მსოფლიო — ისტორიული პიროვნებები — ვთქვათ, ალექსანდრე მაკედონელი და ნაპოლეონ ბონაპარტი, მაგრამ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმ უკვდავთა თუ მოკვდავთა სიის შედგენა, ვისზედაც ჰეგელის ზემოხსენებული თეზა სავსებით ვრცელდება. აგერ, ლენინი, რომლის ფუნქცია, როგორც ჩანს, ოქტომბრის გადატრიალების ხელმძღვანელობა, სამოქალაქო ომში გამარჯვება, ინტერვენტთა განდევნა და ახალი იმპერიის საფუძვლების ჩაყრა იყო. აღასრულა და წავიდა! სტალინი — ტოტალიტარული სახელმწიფოს აშენება, ფაშიზმის დამარცხება, რუსეთის იმპერიის დიდი ბირთვული პოტენციალით აღჭურვა. აღასრულა და წავიდა! ორივე კანონზომიერად დაიხოცა. ჩამონათვლის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება უბრალო მოკვდავთა ხარჯზე, მხოლოდ ტვინის განძრევას საჭირო (საინტერესოა, ამოწურა თუ არა თავისი ფუნქცია ჭაბუა ამირეჯიბმა? ღირს ამაზე ფიქრი...).

აი, უბრალო მოკვდავის მაგალითიც. ჩემი ბავშვობის ერთმა მეგობარმა იმთავითვე გასტრონომის დირექტორობა დაისახა მიზნად, მაგრამ სტუდენტობაშივე „გულაგის“ ბანაკებში მოხვდა. მოიხადა თხუთმეტწლიანი პატიმრობა-გადასახლება, დაბრუნდა.

პატიოსნად, უპროტექციოდ ჩააბარა ეკონომიკის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები, ასევე პატიოსნად დაამთავრა იგი. მოეწყო გასტრონომის დირექტორად! შეირთო ცოლი, ეყოლა ბავშვი, ცოლ-ქმარმა გააერთიანა თავისი ბინები, ასე თუ ისე რიგიანი ავეჯი შეიძინეს; იცოცხლა, სანამ შვილმა უმაღლესი დაამთავრა და... გარდაიცვალა. იმიტომ, რომ აღასრულა დაბადებითვე მინიჭებული ფუნქცია. მკითხველი დამეთანხმება, ასეთი მაგალითები მილიონობით არის. რაკი საუბარია ადამიანზე, მის წასვლაზე მზისქვეშეთიდან, თავისთავად დგება უკვდავების საკითხიც. რამდენი ხნით რჩება ადამიანი სხვათა მეხსიერებაში? ოჯახის წევრები, ვთქვათ, რამდენიმე თაობის მეხსიერებაში რჩებიან; ასე თუ ისე მნიშვნელოვან საქმეთა აღმსრულებელი — უფრო დიდხანს, იმის თანახმად, თუ საზოგადოებრივ-ისტორიული თვალსაზრისით რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მათ მიერ აღსრულებული საქმენი“...

იმან, რომ 92 წელი იცოცხლა, ბევრჯერ მაფიქრებინა — ამითიც რა ერთგული გამოდგა-მეთქი. წასვლა არ უჩქარია. დაფიქრებული, სიტყვის თქმის გარეშე, ხელის ერთი მოძრაობით და კალმის ერთი მოძრაობით გვაგრძნობინებდა, რომ ჯერ ისევ იდგა — იდგა ისეთი სიცოცხლის უნარით, 20 წლის ბიჭობისას რომ დადგებოდა, იდგა მდუმარედ, მაგრამ ფესვგადგმული, მსხმოიარე ხის მსგავსად საოცრად მყარად. ზურგს უკან საქართველო ჰქონდა და წინ მკერდით უნდა დახვედროდა ავის განმზრახველს... ზურგს ვერ უჩვენებდა!

ასე მიდიან მემორები, ასეთ სიტყვას ტოვებენ: „ხოლო მრწამს უღრმესად, რომ მომავალი აღმოაცენებს წიაღიდან ერისა ქართველთა კაცს, რომელი სძლევს დროთა ვითარებას, სიმუხტლესა ჟამთა და აღასრულებს ოცნებას ყოველთა ქართველთა და ღონის ძიებითა თვისითა შეუფალ ქმნის საქართველოს მტერთადა მოძულეთაგან, რამეთუ მაღალი ღმერთი არს მსურველი ამისა. ამინ!“ (ჭაბუა ამირეჯიბი, „გიორგი ბრწყინვალე“)

უილიამ ბლეიკი (1757-1827)

დიღას

წმინდა ქალწულო! შეიმოსე თეთრ სამოსელში, გადახსენ ზეცის კარიბჭენი, გამობრწყინდი და გააღვიძე ზეცად მძინარე განთიადი, დაე სინათლე ზე აღმალლდეს აღმოსავლის დარბაზებიდან და მოიტანოს შენი ცვარი თაფლგარეული, რომ ეფინება დედამიწას დღის დასანყისში. ბრწყინვალე დიღავ, მზეს მიესალმე! ვით მონადირე, დევნის ჟინით რომ შეპყრობილა, ისე გამოჩნდი გორაკებზე მცხუნვარ ტერფებით.

მიმწუხრის ვარსკვლავს

მიმწუხრის ჟამის ანგელოსო, ქერათმიანო, ახლა, როდესაც მზე ისვენებს მთებს შემომდგარი, დაიდგი თავზე მოკაშკაშე შენი ლამპარი სიყვარულის მბრწყინავ გვირგვინად, ღიმილი შენი მოაფრქვევ ჩვენს ტრფიალებას და გაუღიძვე ჩვენს სარცელს ჟამს მიმწუხრისას. მისი ცისფერი კრეტსაბმელი ახადე ზეცას, ჩამონამე ცვარი ვერცხლისფრად, რომ დააპკურო ყოველ ყვავილს, ძილმორეული რომ ნაბავს თვალებს; დე მონაბერმა შენგან ქარმა დასავლეთისამ დაიძინოს ტბის თავზე მშვიდად, შენ კი შენი მბრწყინავ თვალებით გაესაუბრე მდუმარე მიწას და ჩამორცხე ნისლი მწუხრისა. ძალიან მალე უკან დაიხვე; ოდეს მგლები აყმუვლდებიან და უღრან ტყეში ღომის თვალნი აბრიალდება, მაგ წმინდა ცვარით გადანამე სანმისები ჩვენი ცხვრის ფარის; შენ დაიფარე და უბოძე შენი წყალობა.

გაზაფხულს

ო, დალალებზე ცვარდაფენილო, რომ იჭყიტები დიღის კრიალა სარკმელებში, ანგელოსის თვალები შენი მიაპყარ კუნძულს დასავლეთისას; მიესალმება მისი ქორო შენს მოახლებას, ო, გაზაფხულო! ბორცვი ბორცვს ჩუმად ესაუბრება, მათ კი უსმენენ ყურმიდებული ხეობები. ჩვენს მწყურვალ მზერას ზეაღვაპყრობთ შენი ბრწყინვალე კარვებისაკენ, გამოემართე ჩვენსკენ რომ მაგ წმინდა ტერფებით, შეეხო მიწას ცვარმონყურებულს, გადმოიარე აღმოსავლის ბორცვები, რათა შენს სურნელოვან შესამოსელს ეამბორონ ჩვენი ქარები. დაე შევიგრძნოთ რიჟრაჟისა და შეღამების საამო სუნთქვა, მიმოაბნიე თვალცრემლიან ჩვენს მიწაზე მარგალიტები, მოკაზმე შენი ნატიფ თითებით, ეამბორე გულმკერდზე ნაზად და დამქნარ თავზე ზე დაადგი ოქროს გვირგვინი, რომელმაც შენთვის დალალები კონებად შეკრა.

მარშან 9 აპრილს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ნომერში ნაკვივითხე იტალიელი ბელეტრისტის, პოეტისა და დრამატურგის გაბრიელე დ'ანუნციოს ლექსი „ფიეზოდური საღამო“. ამ მშვენიერმა ლექსმა და შესანიშნავმა, დახვეწილმა თარგმანმა, რომელიც ნიკოლოზ შამუგიას ეკუთვნის, ჩემში დიდი ემოცია გამოიწვია. გაბრიელე დ'ანუნციოს ვიცნობდი ჩემი ახალგაზრდობის დროს ნანახი ფილმით — „უდანამაშული“, რომელიც გადაღებული იყო კინორეჟისორ ლუკინო ვისკონტის მიერ (თუ არ ვცდები, 1976 წელს). მთავარ როლებს ასრულებდნენ ჯანკარლო ჯანინი, ლორა ანტონელი და ჯენიფერ ო'ნილი. ფილმმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, უამრავი მნახველი ჰყავდა, განსაკუთრებით სტუდენტობა. სამწუხაროდ, ეს იყო ვისკონტის ბოლო ფილმი, რადგან იმავე წელს გარდაიცვალა.

მაშინდელი მკითხველი ნაკლებად იცნობდა გაბრიელე დ'ანუნციოს როგორც პოეტს. მათ შორის მეც. ყველაფერი ეს გამახსენა მისი სახელის გამოჩენამ „ჩვენს მწერლობაში“. გაბრიელე დ'ანუნციოს „ფიეზოდური საღამო“ თავისი რიტმით და ფორმით უილიამ ბლეიკის პოეტურ სკეჩებს მივამსგავსე, რომელიც კარგა ხნის წინ მქონდა ნათარგმნი და მასთან ერთად, ძველ ფურცლებზე მქონდა ამონერილი ნაწყვეტები აღფრედ კაზინის წინასიტყვაობიდან, სადაც ის ორ ბრწყინვალე შემოქმედს ერთმანეთს ადარებს:

„1827 წელს გარდაიცვალა ორი უდიდესი, ორიგინალური ევროპელი, რომელიც ეჭვგარეშეა ერთმანეთს არ იცნობდნენ, — ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი და უილიამ ბლეიკი... ერთმანეთი რომ სცნობოდა ამ ორ მარტოსულ ადამიანს, მიხვდებოდნენ თუ როგორ ჰგავდნენ პიროვნული თვისებებით, ამტანობით, ეპოქასთან დაპირისპირებით, და იმ მძაფრი მოთხოვნილებებით, რომელთაც ისინი უყენებდნენ ადამიანის წარმოსახვას... ბლეიკი ერთობ ჰგავს ბეთჰოვენს თავისი არტისტიული დამოუკიდებლობით და უნივერსალურობით... ბეთჰოვენის მსგავსად, ისიც წარმოსახვის თავისუფლების მომხრეა და თავისი შემოქმედებით ჰქმნის აზროვნების ახალ სამყაროს. ყოველივე ეს გამოსჭვივის ბლეიკის პოეზიიდან, პოეტური სკეჩების ნეოკლასიკური ფორმალიზმიდან“.

იქვეა ჩემი მინაწერი:

— ამ ორ დიდებულ შემოქმედს ერთმანეთი რომ სცნობოდათ, ალბათ ბეთჰოვენის მუსიკალურ მწვერვალებს — „მთვარის სონატა“ და „მეტსხრე სიმფონია“ — შეემატებოდა უილიამ ბლეიკის „პოეტური სკეჩების“ და „წინასწარმეტყველური წიგნების“ მოტივებზე შექმნილი ღვთაებრივი ჰანგები.

ზაფხულს

ო, შენ, რომ დახვალ ხეობებში მთელს ძლიერებით, ათვინიერებ მძვინვარ რაშებს, ანელებ სიცხეს გადმოფრქვეულს მათი ფართე ნესტოებიდან!

შენ, ო, ზაფხულო, აქ აღგიმართავს შენი ოქროს კარავი ბევრჯერ და უფრო ხშირად

მუხების ქვეშ ძილს მისცემიხარ, მე კი ვუმზერდი სიხარულით შენს ჯანღონით სავსე კედურებს და აყვავებულ დალალებს შენსას.

უხვად დაფენილ ხეთა ჩრდილში ბევრჯერ გვსმენია შენი ხმა, როცა მძაფრი შუადღე მხურვალე ეტლს დააჭენებდა ზეცის სიღრმეში; ჩამომჯდარხარ წყაროსთან ახლოს, ხან ხავსმოდებულ ხეობებში, ხან ანკარა მდინარის პირას განძარცულხარ აბრეშუმის საბურველისგან და ჩაგიყვინთავს ნაკადებში; ჩვენს ხეობებს კი უყვართ ზაფხული, როცა მიაღწევს გაფურჩქვნის მწვერვალს;

ჩვენი ბარდები ვერცხლის სიმების აულერებით იხვეჭენ სახელს, ჩვენი ჭაბუკნი კი ხდებიან უფრო მამაცნი, ვიდრე სამხრეთის მწყემსი ბიჭები,

ჩვენი ასულნი — უფრო ლამაზნი ცოცხალ ცეკვის დროს. როდი გვაკლია სიმღერები ან საკრავების ხმატკბილი ექო, ან ზეცასავით კამკამა წყლები, ან დაფნის მწვანე გვირგვინები

პაპანაქება სიცხისაგან თავდასაცავად.

შემოდგომა

ო, შემოდგომავე, დახუნძლულ ათასგვარ ხილით და შეფერილო მტევნების სისხლით, გვერდს ნუ ამიქცევ, მოდი, დაჯექ სახურავის ქვეშ ჩემს ჩრდილთან ერთად; მხოლოდ იქ შეძლებ მოთქმას სულისას

და მომართე ხმა მხიარული ჩემს ახალგათილ სტიკორისათვის; ტკბილად აულერდი და წელიწადის ყველა ასული ცეკვით აგყვება.

აახმიანე მძლე სიმღერა ხილისა და ყვავილებისა: „წერილი კვირტები მზეს გადუხსნიან თავის მშვენებას

და სიყვარული ჩაეღვრებათ მთრთოლავ ვენებში. აფეთქებული კვირტები კი დაკიდულან რიჟრაჟის შუბლზე და იფურჩქნება ნათლად ღანვი თავმდაბალი შებინდებისა, ვიდრე ზაფხული თავშემკული აკიდოებით შემოიჭრება ლალი სიმღერით და შებუმბული ღრუბლები კი ირგვლივ ყვავილს მიმოაბნევენ, ვიდრე ჰაერის ფეროები საზრდობენ ხილის სურნელით და სიხარული ბალების ირგვლივ დაფარფატებს მსუბუქი ფრთებით

ან ზის და მღერის ხეთა ტოტებში“. ასე მღეროდა შემოდგომა, როდესაც იჯდა ღანვით ალსავსე, მერე წამოდგა, გაემზადა, თვალს მიეფარა ცივ ბორცვთა მიღმა, თუმც დაგვიტოვა ოქროსფერი ტვირთი თავისი.

ზამთარს

ჰოი, ზამთარო! დარაზე შენი აღმასივით უდრეკი ბჭენი; შენ დაგიპყრია ჩრდილოეთი; იქ აგიგია ღრმა ფუძეზე შენი ბნელი საცხოვრებელი. ნუ შეარყევ შენს სახურავებს და ნურც შენს ბურჯებს წამოაქცევ მაგ რკინის ეტლით. არ ესმის ჩემი, მაგრამ ღრუბლებში დაქრის ასე დაფჩენილ პირით

მთელი სიმძლავრით; თან ქარიშხლები ჩაუჭედავს ნიბოვან და უდრეკ ფოლადში; ზეახედვასაც ვერა ვბედავ, რადგანაც კვერთხი აღუმართავს სამყაროს თავზე. ჩუ! საზარელი ურჩხული კი, ძლიერ ძვლებზე რომ კანი მჭიდროდ შემოტმასნია და დააბიჯებს მგმინავ კლდეებზე,

მის ირგვლივ ყოველს ანადგურებს მდუმარებაში, მისი ხელები მინას ძარცვავენ სამოსელისგან და ყინავენ მყიფე სიცოცხლეს,

პიტალო კლდეზე იდგამს ტახტრევანს; მეზღვაური კი სულ ამაოდ მოითხოვს შევლას, ეს შესაბრაალი პატარა მლილი! ცდილობს ქარიშხლებს გაუმკლავდეს, ვიდრე ზეცა გაიღიმებდეს, ვიდრე ურჩხული მიაშურებს საზარ კივილით გამოქვაბულს ჰეკლას მთის ძირას.

ინგლისურიდან თარგმნა მადია ზაალიშვილი

ზ ა მ ნ ე ნ ე (პ ა ე ტ უ ლ ი ს კ ე ჩ ე ბ ი)

რუდოლფო ა. ანაია

ბაბუების ზეიმი

„ღმერთმა ბედნიერი (კარგი) დღე გაგვითენოს. ჩემს ბავშვობაში ამ სიტყვებით უნდა მივსალმებოდი ნებისმიერ უფროსს. ეს იყო მისალმება მოწინებით, კულტურული ღირებულებით, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ეს იყო უფროსების მიმართ პატივისცემის ერთგვარი გამოხატვა.

მოხუცები, ჩემი ბავშვობის წლებიდან მახსოვს — მტკიცენი და გაუტყენილი თავიანთ რწმენაში. მათთან ყოველდღიური ურთიერთობა და შეხება გვქონდა. მათგან ვსწავლობდით სიბრძნეს და ამ გზით მივდიოდით. მათ რაღაც ისეთი ჰქონდათ, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო: მათი გამოცდილების გაზიარება. როდესაც ისინი საუბრობდნენ, ჩვენ, ახალგაზრდები, ყურადღებით ვუსმენდით. მოხუცი ბებიები და ბაბუები მთელი ცხოვრება მუშაობდნენ და იღვწოდნენ, მათ იცოდნენ დედამიწის ზურგზე ყველაზე უკეთ, თუ როგორ შეიძლებოდა ბავშვების აღზრდა. მათ იცოდნენ დედამიწის ყველა მტკიცეული წერტილი. ყოველდღიურად მომართულნი იყვნენ დახმარების გასაწევად. მოხუცებმა ყველა ცოცხალი და არაცოცხალი სიცოცხლის ფორმების ყველანაირი კავშირი განჭვრიტეს და ამოიცივნეს ქმნილების არსი.

ეს წინაპრები რიო გრანდიდან გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ ჭირ-ვარამს, ერთად იზრდებოდნენ, მათ იცოდნენ დროის რიტმი და მისი გულისფთქვა.

დედამიწის სამზადისი გაზაფხულისათვის, მორწყვა, სანიაღვრეთა გაყვანა, რომელიც შემოდგომის მოსავლისთვის აუცილებელია. მათ ერთად კარგი და ცუდი დროც ახსოვთ. ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ერთად ებრძოდნენ ეპიდემიას და პირად ტრაგედიებს, ერთმანეთს უწილადებდნენ, თუნდაც იმ ცოტასაც, რაც კი ებადათ, გვალვისაგან მწირ და არცთუ ისე ნაყოფიერ მოსავალს უშურველად უზიარებდნენ ერთმანეთს.

ყველანი ძალიან მუყაითად მუშაობდნენ, მიწას ერთად ამუშავებდნენ, ნახირს მიერეკებოდნენ, მატყლისაგან ძაფის დართვით იყვნენ დაკავებულნი, თავიანთ წმინდანებს ჩუქურთმის ჩარჩოებში ათავსებდნენ. პატარა ხის თოჯინებს ბამბის სამოსით რთავდნენ ზამთრის ბნელსა და გრძელ ღამეებში. ყველანი შრომობდნენ რწმენით და შთაგონებით აღსავსე, მათ ენთუზიაზმს შეუძლია თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანი საგონებელშიც კი ჩააგდოს.

მათი რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ თვალები უბრწყინავდათ, მათ სახეებზე დრომ თავისი დალი დასვა (ნაოჭები). ისინი საუბრობდნენ მარტივად, ლაკონიურად და გასაგონად. ისინი ლოცვებით საზრდოობდნენ. იყო კარგი დრო, როდესაც ზეიმობდნენ და იცოდნენ, როგორ ეცეკვათ და საქეიფოდ რა კერძები მოემზადებინათ. ამ ყველაფერმა ჩაიარა და ახალმა თაობამ უნდა იცოდეს, თუ მათ რა უწყოდნენ, რომ ცხოვრების ძაფი არ გასწყვეტოდათ.

დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოხუცები ცხოვრობდნენ ყოველგვარი სიყალბის გარეშე.

ნიუ იორკში ახალმოსულები ხშირად ამბობენ, რომ ეჩვენებათ, დრო აქ ძალიან ნელა გადის. ვფიქრობ, რომ მათ კავშირი დაამყარეს ამ ადამიანთა შინაგან სიძლიერესთან და ეს სიძლიერე იმდენად მტკიცეა, თვითონ ინვესტს დროის შეჩერებას. იფიქრეთ ამაზე. იფიქრეთ მაღალმთიან ჩრდილოეთის ნიუ მეხიკოს სოფლებზე, ან უბრალო და უკაცრიელ რანჩოებზე, იფიქრეთ ინდურ სოფლებსა და ქალაქებზე, სადაც შორეულ წარსულს ამოიკითხავთ, რომელსაც ჩვენი თანამედროვე

სამყარო აბსურდამდე მიჰყავს. ეს ის გრძნობაა, როდესაც ჩვენი თაობის ხალხს წააწყდები, მათ მინა-წყალს და დროის გაჩერების გრძნობა გვეუფლებს.

ჩვენ ყველა ვგრძნობთ დროის შეჩერებას. ჩვენ ყველა ვგრძნობთ მოხუცების შინაგან შეუპოვრობას, ცოდნას, მთების მაგიურ სიმშვიდეს და ვხედავთ ნითელ კვამლს, რომელიც ლურჯ ცაში იფანტება. ჩვენ ყველანი ვგრძნობთ დაბურულ შუქს, რომელიც მთელ დედამიწაზეა გადაჭიმული და ინვესტს დროის შეჩერებას და აქცევს თავისი ნაკადის მარნუხებში.



მე ეს ვიგრძენი, როდესაც პირველად შევეხე ძნელად მისაღწევ აჩრდილს, ულტიმასთან — მოხუცი ექიმბაშთან, რომელიც ჩნდება ჩემს პირველ რომანში „ღმერთო, დამლოცე“. აქ აღწერილია ახალგაზრდა ანტონიოს გრძნობები.

როდესაც ის მოვიდა — ჩემ თვალწინ გადაიშალა ამ მხარის მთელი სილამაზე, მდინარის ჩუხჩუხი, დედამიწის ლილინი. ბავშვობის მაგიური დრო გაჩერდა, იდუმალებით მოცული დედამიწის პულსი ჩემს სისხლს შეერწყა. მან ჩემი ხელი აიღო — მაგიური ძალა ჰქონდა...

ჩემი შიშველი ფეხები გრძნობდა მიწის ფეთქვას, ჩემი სხეული მღელვარებისაგან თრთოდა, დრო გაჩერდა... სხვა დროს, სხვა ადგილას მქონდა დიდი სიამოვნება, რომ მომესმინა მოხუცებისთვის და მათგან მესწავლა. ვგრძნობდა შინაგანი ძალის მარაგს, რითაც ისინი მიზიდავდნენ. მე ვიჯექი უმოძრაოდ და ენაჩავარდნილი ექიმბაში ქალის ზემოქმედების ქვეშ. მე იგივე ძალა დამეუფლა, როდესაც კრუზთან ვნადირობდი, მაღლა ტაოს მთებში, სადაც საოცარი მთები დილის შუქზე თითქოსდა პირს იბანდნენ, სიცოცხლეს შერწყმოდა შუქის სანაპირო ზოლი და უკავშირდებოდა რაღაც განსაკუთრებულსა და კოსმიურ სამყაროს.

მაგრამ ყველა ჩვენი მოხუცი, ამ მთებში მცხოვრებნი, განა ექიმბაშები და მონადირეები იყვნენ? ბაბუაჩემი გახლდათ უბრალო კაცი, ფერმერი პურტო დე ლუნადან, რომელიც მდინარე პეკოზე იყო განლაგებული. ისინი შესაძლოა იმ ადამიანთა შთამომავალი იყვნენ, რომლებიც ტაოს მთებში იყვნენ მიმოფანტულნი და მდინარე პეკოს გავლით დამუშავებული მიწების ძებნით დაკავებულნი, სწორედ იმ მდინარის სიახლოვეს, მინდორზე დასახლდა და დაფუძნდა თავისი დიდი ოჯახითურთ. წვერიანი და ვეშაპის მსგავსი ულვაშებით. იგი გახლდათ ხუთი ფუტი სიმაღლის, მაგრამ ჩემთვის, როგორც მახსოვს, ბავშვისთვის, გიგანტი იყო. ის მახსოვს როგორც უენო და ჩუმი პიროვნება. ზაფხულში მშობლები ბაბუასთან მაგზავნიდნენ, რათა ფერმერობას დაეუფლებოდი. ჩემი ბიძებიც იმ მიდამოებში ცხოვრობდნენ, რომელსაც პურტო დე ლუნა ერქვა, სადაც მხოლოდ მდინარის ჩუხჩუხი და ქარის ჩურჩული დროის კვალს ტოვებდა. ჩემთვის ეს მაგიური ადგილი იყო. ერთხელ, მახსოვს, მინდვრის მოთხოვნის უამს, მივუახლოვედი ჭიანჭველების ბუდეებს, რის გამოც კარგად დამტუქსეს. მას შემდეგ მან ტალახით დაფარა კვალი, ეს იყო მოსარწყავად განკუთვნილი თხრილი და ბაბუამ მშვიდად მითხრა: უნდა იცოდე, სად დგახარო. ასეთი იყო მისი საუბრის მანერა, მოკლე ფრაზები — მინიმუმებით.

ერთ ზაფხულს ძლიერი გვალვა იდგა, მდინარე დაშრა, რომლისგანაც პატარა ნაკადული დარჩა, მინდორ-ველის მოსარწყავად წყალი გამოილია. ახალგაზრდა ნარგავები გვალვამ გაახმო. ჩემდა სამწუხაროდ, ჩემი ახალგაზრდული იმპულსურობით ვთქვი: „ნეტავ წვიმა მოვიდეს!“ ბაბუამ ხელი ჩამჭიდა, თვალი ზეცას მიაპყრო და ჩაიჩურჩულა: „ვილოცოთ, რომ წვიმა მოვიდეს“. მის ენაში იყო რაღაც განსხვავებული. ის გრძობდა აშკარა კავშირს იმ ციკლს შორის, რომელსაც წვიმა მოჰყავდა ან მისგან გვიცავდა, როდესაც ეს საჭირო იყო. მისი ლოცვა მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენდა, რადგან იგი იყო იმ ძალთა თანამონაწილე, რომელიც ავსებდა ჩვენი სამყაროს, იგი იქ შემთხვევით მოხვედრილი არ ყოფილა.

ერთ ზაფხულს სოფელში ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა. ეს იყო ძალიან ტრაგიკული სიკვდილი. საკუთარმა ცხენმა ათრია, როდესაც იპოვეს, მე ბევრი ვიტყვით, რადგან ჩემი მეგობარი გახლდათ. მე მიჭირს იმის გააზრება, თუ რატომ ეწვია ასეთ ახალგაზრდას სიკვდილი. ბაბუამ გვერდზე გამიყვანა და მითხრა: იფიქრე ხეებისა და მინდვრების სიკვდილზე. შემოდგომით ფოთლები ცვივა, ყველაფერი ისვენებს, თითქოსდა კვდება. მაგრამ გაზაფხულზე ისევ ყველაფერი ყვავილობს სიკვდილი ხომ ცხოვრების პატარა გარდაქმნააო. ეს ისაა, რაც მე დამამახსოვრდა, ეს გონებაში ნუთიერად წარმოსახული მოგონებაა, რამდენიმე სიტყვით აღბეჭდილი.

მასხოვს, შემოდგომის ერთ დღეს ცხენებზემული ოთხთვალათი სანტა როზას როგორ მიჰქონდა საკუთარი ნაწარმი ქალაქისაკენ. ცხენებს კარგად მართავდა, პირუტყვიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა, ჩერდებოდნენ და უხვევდნენ ისე, როგორც მას სურდა. დღეს ეს ყველაფერი უჩვეულოდ ჩანს, რადგან დღეს ასწავლიან მკაცრი ტონითა და ძალადობრივი ფორმებით. მე ოთხთვალას გავეკიდებოდი იმისათვის, რომ მოვსალმებოდი და ის ჩერდებოდა „Buenos días le de Dios, abuelo,“ — ვამბობდი. ეს იყო მისალმების აუცილებელი ფორმა, სადაც დიდი მონივნება და პატივისცემა ჩაქსოვილიყო. მხოლოდ ასეთი მისალმების შემდეგ შეგვეძლო მიახლოება ამ გულში ჩასახუტ მოხუცებთან. ის გაგვიღიებდა, გვიპასუხებდა მისალმებაზე, რის შემდეგაც შემეძლო ოთხთვალაზე მოკალათება მის გვერდით. შემდეგ მეც მეფე ვხდებოდი, როცა მოხუცის გვერდით მივემგზავრებოდი, რომელსაც მინისა და ოფლის სუნი ასდიოდა და სხვა მძაფრი არომატის სურნელი — ხეხილის ბალის, და მინდვრებიდან ნათლად იგრძნობოდა. ეს გახლდათ პუერტო დე ლუნა.

ჩვენ ყველა მისთვის ვაჟიშვილები და ქალიშვილები ვიყავით. მაგრამ დღეს ისინი წვეკეტენ კავშირს წარსულთან. ძველ ფასეულობებს გადაშენება უწერია, უფრო წყდება კავშირი, როდესაც ეს ურთიერთობა მოხუცებს უკავშირდება. თუ თქვენ დროის დინებას დაუკვირდებით, და არ გრძნობთ წლებს მათი (მოხუცების) საბოლოო ტრანსფორმაციისა, ჩვენი კაცობრიობის ნაწილი კლებას დაიწყებს.

მე ვიზრდებოდი ესპანურ ენაზე საუბრით და, ოჰ! რა ძნელი იყო ჩემთვის ინგლისურად ლაპარაკი. ზოგჯერ თავს ვანებებდი და ვყვიროდი: ვერ შევძლებ სწავლას! მერე იგი ამბობდა: მოთმინება იქონიეო. მოთმინება, ეს არის სიტყვა რომელიც საუკუნეთა სიძლიერეს უძღვება. ეს ის სიტყვაა, როდესაც დიდი სიძნელის გადალახვისას ვიყენებთ. „მოთმინება“, როგორ დამამშვიდებლად ჟღერს ეს სიტყვა მოხუცის ბაგეებიდან, მოხუცისა, რომელსაც შესწევს ძალა მძიმე ტომრები ზურგზე მოიკიდოს, საათობით შეშა დაჩხოს, ცხენები დატვირთოს, ქალაქში გაემგზავროს და იმავე დღეს უკან დაბრუნდეს.

„თქვენ მოგიწევთ ამერიკელების ენა ისწავლოთ“, თქვა მან. მე კი ჩემი სიცოცხლის ბოლო დღეებს ჩემს მიდამოებში



მხატვარი სოფო ელიაშვილი

გავატარებ. შენ იცხოვრებ ახალ დროში, ეს ჩრდილოეთის ამერიკელების დროა“.

ახალი დრო დადგა. ახალი დრო აგერ აქაა. როგორ უნდა განვავითაროთ ისე, რომ უფრო ნაყოფიერი იყოს? ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ სად ვდგავართ. ჩვენ უნდა ვისაუბროთ ხმადობლა და სხვებს პატივისცემით მოვეუპყროთ და თანაბრად გავუნანილოთ ის, რაც გვაბადია. ჩვენ უნდა ვილოცოთ არა მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე, არამედ წვიმისათვის, რომელიც სჭირდება მინდვრებს, რადგანაც ყველაფრის ზრდას ხელს უწყობს, ღამეებისათვის, მშვიდობიან ძილს რომ მოგვცის, მოსავლისათვის, რომლისგანაც ყველა სარგებელს მიიღებს. ეს იყო მარტივი გაკვეთილები უბრალო ხალხისაგან. ეს გაკვეთილები მან მიიღო წარსულისაგან, რომელიც ისეთივე ღრმა და ძლიერია, როგორც ცხოვრების მდინარის დინება, სიცოცხლე, რომელიც სიკვდილზე ძლიერია.

ეს იყო კაცი; იგი გარდაიცვალა. არა თავის მინდორში, მიუხედავად ამისა, თავის ქალიშვილებს და ვაჟიშვილებს უყვარდათ და ირგვლივ შვილიშვილები ეხვია და ბოლოს მე შევედი მის ოთახში, რომელიც მედიკამენტების სუნით გაჟღენთილიყო, შარდის ოდნავ სუნსა და თვალთამწველი სიგარეტის ბოლს იგრძნობდით. გაქრა მინდვრის სურნელი, ახალგაზრდა კაცის სიძლიერე, აგრეთვე მისი მოთმინების უნარი, რომელსაც სახეზე მუდამ ამოიკითხავდით. ხეობარი გახდა მოხუცებულობისას, ცოტა რამ აწუხებდა: ხმამალა ყვიროდა და ცუდ გუნებაზე იყო, როდესაც მის მოლოდინს არ აკმაყოფილებდნენ. მას არ შეეძლო თავის მოკვლა, იმიტომ, რომ პირვანდელ ბავშვობის მდგომარეობას დაუბრუნდა და მისი ყველა სურვილი და ნატვრა ჩაფლულიყო ნაოჭიანი მოხუცის სხეულში.

მე არ ვიცი, ასე როგორ დავბერდი — თქვა მან. ახლა საკუთარ თუთუნსაც ვერ ვახვევ. მე დავუხვიე თუთუნი, პირში ჩავუდე და მოვუკიდე. და შევეკითხე: რატომ ეწვეით — მეთქი, ექიმმა თქვა, ეს მისთვის საზიანოაო. მან მიპასუხა: „მე მომწონს, კვამლი როგორ ასდის“. იგი ეწეოდა და თან თვლემდა. შემდეგ წყვეტდა მონვევას, თუთუნის ნამწვავით იქაურობა ლაქავდებოდა და პირიდან უვარდებოდა. ჩვენ როგრიგობით გვიწვედა იქ ჯდომა და თვალთვალი, რომ იქაურობას ცეცხლი არ წაკიდებოდა.

მე ვიჯექი, ვუყურებდი და ვისხენებდი მის მონათხრობს, თუ რას აკეთებდა ახალგაზრდობაში. მას შეეძლო შემჯდარიყო გადარეულ ცხენზე, მოეთვინებინა და იმდენ ხანს მჯდარიყო, რამდენიც მოესურვებოდა. შეეძლო მთელი ღამე ეცეკვა და მომდევნო დღეს მუყაითად ემუშავა. იგი მეზობ-

ლებს ეხმარებოდა, ისინი კი მას. დაქორწინდა, ბავშვები გაზარდა, გადახდა ისეთი რამეები, რაც ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ხდება.

იგი 94 წლისა გარდაიცვალა. ოჯახი, მეზობლები და მეგობრები მოგროვდნენ, ყველანი იმაზე თანხმდებოდნენ, რომ მან საუცხოოდ იცხოვრა. მასხოვდა მისი ბოლო წლები, როდესაც ლოგინად იყო ჩავარდნილი. როგორც ახლა მასხოვს, საკმაოდ მარტივია ხანდაზმულობის რომანტიკულად გაზვიადება. ზოგჯერ ჩვენ გვავიწყდება ტკივილი, რომელიც მოხუცებულად გადაქცევას მოსდევს. ჩვენ გვავიწყდება ბუნებრივად ძალ-ღონის გამოცლა. ბოლო წლებში ყველაფერი არ მდიან ძალიან მშვიდად. ზოგი ტირის, ილანძლება, ავიწყდება იმ ადამიანთა სახელებიც კი, რომლებიც ყველაზე მეტად უყვარდათ. მაღავენ შინაგან გულისტკივილს და ეს შეიძლება ცოტა ვინმემ იცოდეს. დაე ჩვენ მოთმინების უნარით ვიყოთ დაჯილდოებული.

რალაც დროით ჩვენ თვალს არ ვადევნებდით ამ ცვლილებებს და არ ვგრძნობდით საჭიროებას ამ მოხუცების მიმართ. ამერიკული წარმოდგენა, რომელიც შეიქმნა პრესაში, არის ხატება ახალგაზრდობისა. ახალგაზრდობაა გაიდელბუნი და არა მოხუცებულობის ხანა. ეს მშვენიერია და ამ საზოგადოებაში ახალგაზრდა ხოტბაშესხმულია. ჩვენ ვნახავთ, რომ ერთსა და იმავე თემაზე ფიქრი საზოგადოებრივ შეხვედრებებს აზიანებს და განსაკუთრებით მოხუცებს. პრესამ შექმნა იმ მოხუცების ჯგუფი, რომლებიც ახალგაზრდების მსგავსად იქცევა. ისინი არიან მხოლოდ ჯანმრთელი, ვარდისფერ-ლოყებიანი, ურთიერთობის მოყვარული ხნიერები, რომელთაც ჩვენი ტელევიზიით გვაჩვენებენ. ისინი მუდამ რალაცას ჰყვიან, თითქოსდა მთელი თაობა ამ ადამიანებისა ვაჭრები ყოფილიყვნენ. სარეკლამო რგოლი გვიჩვენებს ძალიან მკვირცხლ მოხუცს, რომელიც მუდამ ფორმაშია, ჯანმრთელადაა, ახალი მოდის თანახმად ყიდის სადაზღვევო პოლისს, უძრავ ქონებას, თამაშობენ გოლფს; ხნიერი ქალბატონები ჰყვიან ყავას ან საპირფარეოს ქალაქებს ახალდაქორწინებულთათვის. ეს ყველაფერი არ ასახავს მოხუცების ნამდვილ ცხოვრებას.

რეალურ ცხოვრებაში ანგარიშგასანევია ჩვეულებრივი ზრდის ციკლი და ცვლილებანი. ბაბუაჩემი მიგვანიშნებდა ხეებზე ფოთოლცვენის უამს. მაშასადამე, დროის გარდაქმნასთან ერთად დროს მოაქვს მტკივნეული, მტანჯველი, პროცესი. მხედველობის გაუარესებით ჯანმრთელობის შესუსტება, ფეხით სეირნობაც კი გახსენებს ცხოვრებაში შემოდგომას. მაგრამ ეს ის პროცესია, რასაც გაბედულად უნდა დავხვდეთ. არაფერია დასამალი მოჩვენებითი და ყალბი იმიჯის შესაქმნელად.

დიახ, მოხუცები გულთ შეიძლება ახალგაზრდები იყვნენ, თავისებურნი, თავისი ღირსების მატარებელნი. მათ არ უნდა მოუწიოთ „მუდამ-ახალგაზრდა“ იმიჯის კოპირება, ისევე როგორც ჰოლივუდის ვარსკვლავებს.

ბაბუაჩემს სურდა თავის საკუთარ ველზე დაბრუნება, რათა იქ მომკვდარიყო, მაგრამ იქაურობა ბევრმა ოჯახმა დატოვა უკეთესი მომავლის მოლოდინსა და ძიებაში. ეს ახლა ჩანს, ველზე დაბრუნებისა არ იყოს, რომ ეს ერთგვარი ტრადიციის აღდგენაა. ახალი თაობა ეძებს საკუთარ ფესვებს. სიყვარულის ფასეულობა სწორედ ისაა, რომ გვაბრუნებს იქით, სადაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, იღვწოდნენ და ქმნიდნენ კულტურას.

შარშან ზაფხულს მე დავბრუნდი პუერტო დე ლუნაში, შუერთდი მოსახლეობას, რომელიც ახალი ტაძრის დაფუძნებას აღნიშნავდა. ბაბუას სახლში მანქანით ჩავედი, ბიძაჩემის რანჩოებიც მოვინახულე, იქვე ნახავდით მზისგან გამომშრალ თიხის აგურს, რომელიც თავის წარმომშობ მინას შერწყმოდა. მე მალევევბდა ის, თუ როგორ შევაფასებდით იმ ღირებულებებს, რომლითაც ბაბუას თაობამ იცხოვრა? რა შეგვიძლია შევინარჩუნოთ იმ რთული უამის მონაპოვრიდან? მე უნდა გავმხდარიყავი ფერმერი და გავხდი მწერალი.

ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობდი ბაბუას, შემიძლია იგი ჩემს სიზმრებში დავინახო, შემიძლია მისი ხმაც აღვიდგინო, ყურში რომ ჩამძახის. როგორი ძლიერები იყვნენ ჩვენი წინაპრები იმით, რომ ჩვენზე ასეთი ხანგრძლივი შთაბეჭდილება მოახდინეს. ეს ჩვენ დაგვეხმარება თავაზიანად და დიდი პატივით მივესალმეთ მოხუცებს „Buenos dias de Dios“.

ინგლისურიდან თარგმნა
ინზა მორგოშია

თავის დროზე გამომცემლობამ „განათლება“ გეგმაში შეიტანა ცნობილი მოჭადრაკის იური ავერბახის წიგნი „ჭეშმარიტების ძიებაში“ („დიდოსტატის ჩანაწერები“), რომელიც მე ვთარგმნე და მშვენიერად დაასურათსატა, ასევე მოჭადრაკემ, მზია ლოლიშვილმა. წიგნზე რუდუნებით მუშაობდა გამომცემლობის რედაქტორი ლეილა ნაჭყებია. წიგნი მზად იყო (დიაგრამებით და სათანადო აპარატურით) დასაბეჭდად, მაგრამ სტამბამდე ვერ გაიკვლია გზა. გამოცემა გაჭიანურდა. ამ დროს იშლება საბჭოთა კავშირი, ძველი წესები უქმდება. მე გამოვართვი წიგნი გამომცემლობას და, ახლობლის რჩევით, ერთ კერძო სტამბას ჩავაბარე. „ჭეშმარიტების ძიებაში“ დღის სინათლე ვერ იხილა. გაქრა დედანი და, მე მგონი, სტამბაც (თითქოსდა დაინვა).

ახლახან ჩემს ქალაქებში წიგნის ავტორის იური ავერბახის წერილი შემხვდა. იცოდა, რომ მე ვთარგმნე მისი ნაწარმოებები და დამატებითი მასალა გამომიგზავნა. დიდოსტატი მწერს: „პატივცემულო ჯემალ ნიკოლოზის ძე! გიგზავნი დამატებით ხუთ გვერდს, სათაურით შეიძლება იყოს „ნამდვილი ამბები“ ან „ფურცლები უბის წიგნაკიდან“. უნდა განთავსდეს ბოლოში, პატარა მოთხრობების გვერდით. მინდოდა, უფრო ვრცელი მასალა გამომეგზავნა, მაგრამ გადავიფიქრე — ეს უფრო ჯდება „დიდოსტატის ჩანაწერების“ ფანრში. პატივისცემით, ი. ავერბახი“.

წიგნი დაიკარგა, მაგრამ ეს „ჩანაწერები“ შემომჩა და მოკრძალებით ვთავაზობ „ჩვენი მწერლობის“ მკითხველთა „საჭადრაკო ფრთას“.

იური ავერბახი

ნამდვილი ამბები

1953 წელს პრეტენდენტთა ტურნირზე ვთამაშობდი ციურისში. ერთ-ერთი ტურის დაწყებისას სცენაზე გამოჩნდა ფოტოგრაფი, რომელმაც უცნაური საქციელით გააკვირვა ტურნირის მონაწილენი — აპარატით ხელში იატაკზე წვებოდა, დაძრომილობდა საჭადრაკო მაგიდების ქვეშ. თან აჩხაკუნებდა და აჩხაკუნებდა... ერთი კვირის შემდეგ ერთ შვეიცარიულ ჟურნალში ვიხილეთ ფოტონარკვევი ასეთი სათაურით: „რას აკეთებენ ფეხები მაშინ, როდესაც ფიქრობს თავი!“

ცნობილი საბჭოთა კონფერანსი, ან განსვენებული მიხაილ გარკავი ქადრაკის დიდი თავყანისმცემელი იყო და ხშირად ესწრებოდა სხვადასხვა შეჯიბრებას. სსრკ-ს ერთ-ერთ ჩემპიონატზე იგი შევიდა პრესბიუროში, სადაც რამდენიმე საჭადრაკო მაგიდაზე დაწყებულ პარტიებს თვალს ადევნებდნენ ოსტატები და დიდოსტატები. ახოვანმა გარკავიმ ერთ-ერთი ფოტოკორესპონდენტის ყურადღება მიიპყრო. გაჩხაკუნდა აპარატი, გაიღვა სინათლემ... მალე მოსკოვის ერთ-ერთ ფოტოვიტრინაზე ასეთი სურათი გამოჩნდა — ერთ მხარეზეა გარკავი, მეორეზე — დიდოსტატები და ოსტატები. სურათის ქვეშ ეწერა: „ერთდროული თამაშის სენსი“.

მოსკოვში ცხოვრობს ოსტატობის კანდიდატი ზ. ბოტვინიკი, მსოფლიო ექსჩემპიონის მოგვარე. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, იგი და მისი საწარმოს თანამშრომლები ლენინგრადში უნდა გამგზავრე-

ბულიცენენ. საჩქაროდ დასჭირდათ ბილეთები და საქარხნო გუნდის კაპიტანმა, ვისაც სია ებარა, „საბრძოლო“ ეშმაკობას მიმართა: სადგურის უფროსს გამოეცხადა თხოვნით, დახმარებოდა ბილეთების აღებაში იმ გუნდისათვის, რომელშიც თვით ბოტვინიკი შედიოდა. სადგურის უფროსმა დახედა სიას, ზედ გაკვირით წააწერა: „სალაროს, გაეციოთ“. სია რომ დაუბრუნა გუნდის კაპიტანს, უსაყვედურა:

— თქვენ ვის აბრძობებთ — მშვენივრად ვიცი, რა ჰქვია ნამდვილ ბოტვინიკს!

ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთ ნახევარფინალში ახალგაზრდა ერევნელ ოსტატ ზახარაიანს ვხვდებოდი. სადებოუტო სვლებს ჩემი მოწინააღმდეგე ძალიან სწრაფად აკეთებდა. ამან შემაფიქრინა: იმდროინდელი თეორიისთვის ჩემი ვთამაშებული ვარიანტი თითქმის უცნობი იყო. ვთამაშობდი საკმაოდ ფრთხილად, თითოეულ სვლაზე დიდხანს ვფიქრობდი. პარტია ყაიმით დამთავრდა. თამაშის შემდეგ ვკითხე:

— ალბათ ეს ვარიანტი არაერთხელ გამოგიყენებიათ, ისე ჩქარა თამაშობდით დებიუტს.

— მე? — გაოცდა ზახარაიანი, — თუ თქვენ? მე ხომ თქვენი პარტიის სვლებს ვიმეორებდი გურგენიძესთან!

მრავალი წლის წინათ მოსკოვში ცხოვრობდა ოსტატი ვ. ბლიუმენფელდი, რომელიც საჭადრაკო ფსიქოლოგიას სწავლობდა და საკანდიდატო დისერტაციაც კი დაიცვა ამ თემაზე. ჩვეულებრივ, თამაშის დროს, ბლიუმენფელდი ინერდა თავისი აზრების მიმდინარეობას.

ერთხელ ვთამაშებოდა ოსტატობის კანდიდატს, რომელმაც შეამჩნია რა, რომ მისი პარტნიორი რალაცას ინერს, სვლის გაკეთების შემდეგ მოუარა ბლიუმენფელდს ზურგიდან და მის ჩანაწერს ჩახედა. ბლიუმენფელდს ეწერა: „ძალიან მაშინებს ლაზიერით სვლა გნ-ზე“.

ოპო, გაეხარდა ბლიუმენფელდის პარტნიორს და დაჯდა თუ არა ადგილზე, ეს სვლა ითამაშა. მერე ისევ ადგა, რომ წაკითხა, ახლა რალას ჩანერდა ბლიუმენფელდი.

ბლიუმენფელდმა გულმოდგინედ და უთანაბროდ ჩააჟიჟმატა:

„როგორც მოველოდი, ჩემი გამოუცდელი მოწინააღმდეგე ანკეს წამოეგო და ითამაშა ლგნ. ახლა სამ სვლაში დავაშამათებ!“

ამ ბლიუმენფელდს კიდევ ერთი მსგავსი ამბავი უკავშირდება. მას ვინმე კ-სთან უკვე ისეთი პოზიცია ჰქონდა, რომ ოსტატს შეეძლო თავისი საკონტროლო მეორმოცე სვლით დაეშამათებინა კ. მაგრამ ის იჯდა ფიქრსმიცემული და არ აკეთებდა ამ სვლას. მისი პარტნიორი შეგუებული იყო დამარცხებას, მაგრამ დრო გადიოდა და სვლა არ კეთდებოდა. გაიარა ხუთმა, შვიდმა, ათმა წუთმა... საათზე ალაში მუქარით აიყალყა. ბლიუმენფელდის მეტოქეს მოულოდნელად იმედი ჩაესახა, სულგანაბული უცდიდა ალმის ჩამოვარდნას. მხოლოდ უკანასკნელ წამზე გააკეთა ოსტატმა მისთვის საბედისწერო სვლა.

— წუთუ ვერ ხედავდით შამათს?! — წამოიძახა მან ერთობ ნერვიულად.

— როგორ ვერ ვხედავდი, — მიუგო ბლიუმენფელდმა, — მაგრამ მე თქვენზე ვფიქრობდი — რატომ არ მნებდება-მეთქი.

ამ ამბავს ამერიკაში მომიყვინენ. დიდი ხნის წინათ ამერიკის ჩემპიონ ფრენკ მარშალტონ თხოვნით მივიდა ერთი მისი ნაცნობი, რათა ეკარნახა საუკეთესო სვლა იმ პარტიაში, რომელსაც მიმოწერით თამაშობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ასეთივე თხოვნით მიადგა სხვა მოჭადრაკე. მარშალს უყვარდა პარტიების გაანალიზება და ხალისით დათანხმდა.

— აბა, დაინყე, — მიმართა სტუმარს.

დაფაზე ყველა ფიგურაც კი არ იყო კარგად დასმული, რომ მარშალმა იცნო ის პოზიცია, ადრე რომ გაარჩია. მაგრამ ახლა უკან ველარ დაიხევა და მეორე მხარესაც გაუნია დახმარება.

პარტნიორებს მოეწონათ მისი კონსულტაციები და წარამარა აკითხავდნენ მარშალს რჩევებისათვის. მან კი აღარ იცოდა, როგორ დაეძვინა თავი ასეთი საჩოთირო მდგომარეობიდან. ისევ მოჭადრაკეებმა იხსნეს. ორივე დარწმუნდა მეტოქის სიძლიერეში (მარშალიც კი ვერაფერს უხერხებს) და ყაიმზე შეთანხმდნენ.



ს
ტ
ა
კ
ს
ნ
ს
ე
კ
უ

ეს კი არგენტინელმა დიდოსტატმა გერმან პილნიკმა მიაგმო. ...იმ შორეულ დროს, როცა საჭადრაკო სამყარომ ჯერ კიდევ არაფერი უწყობდა ვასილი სმისლოვის ვოკალური ნიჭიერების შესახებ, პილნიკს მასთან ერთად მოუწია მონაწილეობა ერთ ტურნირზე. პირველივე დღიას მოჭადრაკეებისათვის განკუთვნილ სასტუმროში პილნიკი გამოალვიდა სიმღერამ, მეზობელი ნომრიდან რომ ისმოდა.

— თავიდან ეს არ მომეწონა, — იგონებდა პილნიკი, — მაგრამ მუსიკა მიყვარს, ხმა სასიამოვნო იყო, მერე კი დავადგინე, რომ ეს ჩემი მეზობელი სმისლოვია.

სმისლოვს დიდი რეპერტუარი არ ჰქონდა. ის ან ეპიტალამას მღეროდა რუბინშტეინის ოპერიდან „ნერონი“ („მე შენ გიმღერი, ღმერთო ჰიმენე!“) ან ალექოს არიას რახმანიოვის ოპერიდან „ალექო“.

უნდა გამომერკვია, რა ხდებოდა, — განაგრძობდა თხრობას პილნიკი, — და მალე დავადგინე საგულისხმო კანონზომიერება — თუ წინა საღამოს სმისლოვი იგებდა, დილით ეპიტალამა გაისმოდა, თუ არ იგებდა და ყაიმს აკეთებდა (იმ ტურნირში სმისლოვს არცერთი პარტია არ წაუგია), ალექოს ვედრებას ვისმენდი.

სმისლოვმა გადადო ერთი ტურის პარტია ინგლისელ გოლომბეკთან. მეორე დილით, პარტიის დამთავრების წინ, პილნიკი შეეკითხა გოლომბეკს, როგორ აფასებდა თავის პოზიციას სმისლოვთან.

— არ უნდა ნავაგო, — უპასუხეს.

— ცდებით, ჰარი, — უთხრა პილნიკმა, — დღეს მე ეპიტალამა მოვისმინე!

პარტიის დამთავრებამ დაადასტურა პილნიკის განჭვრეტა...

1962 წელს პრეტენდენტთა ტურნირი მიმდინარეობდა ქალაქ ვილემშტადტში, კარიბის ზღვის ეგზოტიკურ კუნძულ კიურასაოზე. კუნძულს ხშირად სტუმრობდნენ ამერიკელი ტურისტები. ვილემშტადტში ბევრი მაღაზიაა. შეჯიბრების დროს ქალაქის ერთ-ერთმა ფეხსაცმლის მაღაზიამ მყიდველებს ასეთი განცხადება გაუშანშალა:

„მოჭადრაკეთა საყურადღებოდ! ყველაზე კარგი სვლა თქვენ შეგიძლიათ ჩვენს მაღაზიაში ნაყიდი ფეხსაცმელებით!“

თარგმნა
ჯემალ ინჯია

მიხეილ ჭონქაძე

დროული წერტილის სიკეთე...

ჩვენს უცნაურად არეულ დროსა და სივრცეში თითქოს აღარაფერი უნდა უკვირდეს კაცს. გადაფასება-შეფასებისა თუ გადაფასებულთა დაფასების ქაოსურ ჟამთა სვლაში რაღას უნდა გავეკვირვებინეთ, და მაინც... გავგოცა გურამ გოგიაშვილის წერილმა კონსტანტინე ლორთქიფანიძის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის 6 თებერვალს დაიბეჭდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (№3). წერილს, თქვენ წარმოიდგინეთ, ასე ჰქვია — „ის არავისგან მოთვინიერებული არ ყოფილა, თავად იყო სიტყვის სტილისტურად მომთვინიერებელი“...

უნდა ვალიაროთ: სათაურმა „მიზანს მიაღწია“, გაფართოებული თვალეზით ნაგვაკითხა მასალა, თორემ... სხვა შემთხვევაში, ალბათ, ნაკლებად დავინტერესდებოდი მისი ნაკითხვით...

წერილის შექმნა, როგორც თავიდან ირკვევა, „კოლხეთის ცისკრის“ ავტორის დაბადებიდან 110 წლის შესრულებით უფრო ყოფილა გამონეული, თუმცა... მერე და მერე ისიც საცნაური ხდება, რომ ეს გახლდათ: „მავანთაგან ძალდაძალ მივიწყებული ამ ქართული მადლიანი სიტყვის ჭეშმარიტი დიდოსტატის გახსენება, რომელსაც თვით ნუმპეშიც კი ცით არეკლილი ვარსკვლავების დანახვა შეეძლო და რომლის კალმოდანაც, ვიცე, ბევრია ამ აზრისა, მხოლოდ ოქრო წვეთავდა“(!).

რა შეიძლება ითქვას?

იქნებ არც ღირდეს გამოდევნებად ეს შეფასება, რამდენადაც იგი მეტად მონყვეტილი გახლავთ არსებულს, მაგრამ... ვერც მთლად თვალს დაეხუჭავთ.

ჯერ ერთი, უხერხულია, ქართული მრავალსაუკუნოვანი მწერლობის პატრონმა ხალხმა კ. ლორთქიფანიძის კალამს „ოქროსწვეთა“ მიანეროს, მით უფრო იმ კალამს, რომელმაც ხოტბა შეასხა ადამიანთა დასახვრეტად გადაწყვეტილ ავტომობილს და თავის შემდგომ მოღვაწეობას თავიდანვე გამოუტანა მსჯავრი.

მეორეც — ძალზედ არასწორად გვეჩვენება, ქართული სიტყვის მართლაც უბადლო დიდოსტატის — კონსტანტინე გამსახურდიას სახელს მიატმასნო იგი და, თანაც, ნუმერაციაც დაამტკიცო — „დიდოსტატი კონსტანტინე მეორე“...

ეს შეტმასნება თუ უხერხულია, გამაღიზიანებელიც კი გვგონია ამ წერილში ხსენება დიდი მიხეილ ჯავახიშვილისა, რადგანაც, როგორც ამბობენ, იმ შავ-ბნელი, დასმენა-დაღუპვის ეპოქის საბუთები ღალადებენ, ღალადებენ...

კარგად ვშიფრავთ ქვეტექსტს, როდესაც წერილის ავტორი თავს ესხმის ტერმინ „მომთვინიერებული მწერლების“ „ფრიად გონიერ მეოცნაურუნელს“, თუმცაღა იმავე აზრს არაერთი სხვა, კიდევ უფრო გონიერი ადამიანიც იზიარებდა...

„იგი თავად იყო სიტყვის სტილისტურად მომთვინიერებელი“... იქნებ ასეც გახლდათ, ავტორის აზრით, მაგრამ, აქ მე პირადად, შესანიშნავ მწერალს, ბატონ რევაზ ინანიშვილს უფრო ვენდობი, რომელიც ბრძანებს: „ამბობენ, კონია ლორთქიფანიძე კარგი სტილისტია, კარგი ქართულით წერსო. მე პირიქით გვინია. მის ენას აკლია გულწრფელი სისადავე, საქმიანობის ელფერი. მისი ფრაზა ძალიან ცოტას იტევს, ჟღერადობას ხშირად აღქმის მასშტაბები ენირება“ (ტომი VI, გვ. 300. „საქართველოს მაცნე“, 2011).

ბატონ გურამ გოგიაშვილს გული სწყდება, რომ: „კონსტანტინე ლორთქიფანიძის რჩეული ორ ტომად ბოლოს ამ ათი წლის წინათ გამოვიდა მწერლის დაბადების ასი წლის-თავზე...“ და იმედოვნებს, რომ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი მოახერხებს მის თხზულებათა სრულ გამოცემას...

რაღა გვეთქმის? როგორც იტყვიან, ა ბურთი და ა მოედანი, თუმცა... წერილის ავტორს, ალბათ, შესანიშნავად ეცოდინება, რომ კ. ლორთქიფანიძე „რჩეული წიგნების“ გამოცემას არ უჩიოდა, რადგან მისგანვე დიდებაშესხმულ საბჭოთა მთავრობას, იმ დროის მწერალთაგან, ყველაზე მეტი სწორედ მისი წიგნი ჰქონდა დასტამბული.

მას, ალბათ, ისიც ახსოვს, რომ „კოლხეთის ცისკრის“ ავტორი რომანს წარამარა უცვლიდა სახელს და ბოლშევიკური ხელისუფლებაც თაობებს სასკოლო სახელმძღვანელოებიდან აზუპირებინებდა მას. ეს მაშინ, როდესაც, მაგალითისათვის, „კონსტანტინე პირველის“ „დიონისოს ღიმილის“ გამოცემა აკრძალული იყო. ამას, ცხადია, ჩემზე და ბატონ გურამ გოგიაშვილზე კარგად თავად გრძნობდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე. აკი არაერთხელ უხუმრია კიდევ ამაზე, როგორც ცხონებულ რევაზ ინანიშვილი იგონებს: „ერთხელ, მაგალითად, ხითხითებდა, თან, თითქოს, დამორცხვებით წითლდებოდა და ამბობდა: — რა მინდა ამ მთავრობისგან, ბიჭო, ერთი რომანი დავწერე ჩემს სიცოცხლეში და ამ რომანისთვის მაცხოვრებს ორმოცი წელიწადია, თითქმის, საჭმელი მე არ მაკლია და სასმელი... სანყალი ბალზაჰი! ასე რომანის, მერე რა რომანების ავტორს, უჭირდა, ბიჭო, მე კი არც საჭმელი მაკლია და არც სასმელი, ფეხებს არ უნდა ვუკოცნიდე ამ მთავრობას, ბიჭო?!“

რაღა ბევრი გავაგრძელოთ... ჟურნალის ამავე ნომერში, სადაც კალმიდან „ოქროსწვეთი“ მწერალია შექტებული, დაბეჭდილია ქალბატონი ლეილა მესხის მოგონებანი და იქაც კიდევ ერთხელ ინაკვეთება მისი რეალური სახე...

დასასრულს მინდა საგანგებოდ გავხაზო: ამ გამომხაურების მიზანი არ გახლავთ არც ბატონ გურამ გოგიაშვილთან შეკამათება, მით უმეტეს, არც — კონსტანტინე ლორთქიფანიძის ღვაწლის განქიქება. ჩვენ პატივს ვცემთ წერილის ავტორის მცდელობას, დადებითი კუთხით წარმოაჩინოს მძიმე საბჭოთა დროის შემოქმედი. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ იგი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი პიროვნება გახლავთ...

უბრალოდ, სურვილი გვქონდა, ცოტა გადამეტებული, არასწორი წარმოდგენებისაგან დაგვეცვა მკითხველი და ავტორისთვის მოკრძალებით შეგვეხსენებინა დროული წერტილის სასიკეთო ძალა...

აკითხველის საჭურაღვებო!

ჩვენი ჟურნალის ა.წ. 20 თებერვლის ნომერში ნოღარ გურაბანიძის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში „სამ-ჰარო თეატრალის თვალში“ გაიპარა დასანანი კორექტურა: 45-ე გვერდის მეორე სვეტის ბოლოდან მე-11 სტრიქონსა და 46-ე გვერდის პირველივე სტრიქონში ნაცვლად „ტიტანისა“ უნდა ეწეროს „ტატიანა“. კორექტურისათვის რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ ნოდარსა და მკითხველს.

კვირვასო რედაქცია!

კალენდარში აღნიშნულ სადღესასწაულო დღეებს ჩემთვის ის ორი დღეც ემატება, როცა თქვენი ჟურნალი გამოდის.

მადლობას გიხდით ამ დღესასწაულებისთვის, იმისთვისაც, ჩალით დახურულ ამ ქვეყანაში ცის დანახვის საშუალებას რომ გვაძლევთ.

პატივისცემით

მანანა ბრაჭული

ამაოდ აფრთხილებდა

ამაოდ, ამაოდ აფრთხილებდა სეფიანთა ირანის ხელმწიფის მშფოთვარე ყანდაარის ბეგლარბეგად გამწესებული გურგინ-ხანი ანუ მეფე ქართლისა გიორგი XI — ლილზაების ტომის წინამძღოლის მირ-ვეისის თაობაზე: ესე სულთანი უარშიობს, უნდა არევა ამა ქვეყანისა, ნულარ გამოუშვებთ, თორემ ერთს რასმე მოახდენსო.

არ დაუჯერეს. კიდევ ათასჯერ რომ გამაჰმადიანებულყო ქართველი მეფე, მანც არ დაუჯერებდნენ. ერთხელაც კი არ დაუჯერებდნენ ათასჯერ გამაჰმადიანებულს. ეჭვობდნენ (და სამართლიანადაც ეჭვობდნენ!), რომ ქართველი მეფე ისევე ქართველად რჩებოდა. დიხაც — ხატნი, ჯვარი და ფსალმუნნი გაწყურებდა თან ახლდა ყანდაარში გადახვენილ მამულიშვილს.

მაგრამ სეფიანთა სამეფო კარზე საპატიო ტყვედ წარგზავნილი მირ-ვეისის თაობაზე ხომ ცამდე მართალი იყო. არ დაუჯერეს და სამშობლოში დააბრუნეს ლილზაების ტომის ცბიერი წინამძღოლი. ამით არამარტო ქართველი მეფე განწირეს, არამედ ირანიც და სეფიანთა დინასტიაც.

ახლა კი ვნახოთ, როგორ იწყებოდა დასაწყისი დასასრულისა. 1717 წელს ისპაანში ჩავიდა პეტრე პირველის ელჩობა არტემ ვოლინსკის მეთაურობით. მას ევალებოდა სავაჭრო ურთიერთობის დამყარება რუსეთსა და ირანს შორის. ამასთან ერთად, ელჩს უნდა შეესწავლა სეფიანთა სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა და დაკავშირებოდა ამიერკავკასიის ქრისტიანებს.

რუსეთის ელჩის გამოქვეყნებულ ჩანაწერებში არაერთი საინტერესო ცნობაა, რომელიც ასახავს იმდროინდელი ირანის ვითარებას.

ვოლინსკი აღნიშნავს, რომ შაჰ-ჰუსეინი კი არ მბრძანებლობს ქვეშევრდომებზე, არამედ თავად არის თავის ქვეშევრდომთა ქვეშევრდომი და ესოდენ ყვეყნი პიროვნება, გვირგვინოსანთა შორის რა სათქმელია, უბრალო მოკვდავებშიც იშვიათად მოიძებნება. იგი ყველაფერს ანდობს თავის ეთიმადოვლეს (ანუ პირველ ვეზირს), რომელმაც გონიერი მოღვაწენი ქვეყნის მართვას ჩამოაშორაო.

ვოლინსკი ხეხვა სეფიანთა სამეფო კარის დიდებულთა საქმიანობას და სარკასტულად დასძენს, თავიანთი უსაქმურობითა და უმეცრებით ისე დააკნინეს სახელმწიფო, ალექსანდრე მაკედონელი ომითაც ვერ მოახერხებდაო (სპარსელი ისტორიკოსი მუჰამედ მუჰსინი ამავე პერიოდის აღწერისას ამბობს, რომ შაჰის ვეზირებს საკუთარი განცხრომანილა ახსოვდათ და გართული იყვნენ თანამდებობათა გაყიდვითა და ქრთამის აღებით).

ვოლინსკის აზრით, სეფიანთა დინასტია თავის უკანასკნელ დღეებს ითვისდა.

რუსეთის ელჩი უსაზღვრო გაცოცხლებას გამოთქვამდა, თუ რატომ ჰქონდა შემორჩენილი სეფიანთა სახელმწიფოს ოდინდელი სახელი და პატივი სხვა ქვეყნების თვალში.

ყიზილბაშები გულმოდგინედ ცდილობდნენ, რამენაირად დაერწმუნებინათ პეტრე პირველის ელჩი თავიანთი ქვეყნის ძლიერებასა და საომარ მზადყოფნაში. საამისოდ რანაირ ხერხებს არ მიმართავდნენ!

ისპაანში ვოლინსკის ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე შაჰ-ჰუსეინმა ბრძანა, რომ მოედანზე უპატრონოდ მიყრილ-მოყრილი ზარბაზნები ოქრო-ვერცხლით შეეფერადებინათ. ამბობდნენ, რომ ზოგიერთ მათგანს შაჰ-აბასის მერე აღარ გაუსროლიაო.

როდესაც სიტყვა ჩამოვარდა რუსეთ-შვედეთის გაჭიანურებულ ომზე, ეთიმადოვლემ მაშინვე შესთავაზა ვოლინსკის, ორასი ათას მემომარს მოგაშველებთო! მაგრამ რუსეთის ელჩს

ამით თვალს ვერ აუხვევდნენ, საიდანაც იცოდა, რომ მეამბოხე ავღანებთან საბრძოლველად თითქმის მთელი წელიწადი აგროვებდნენ ჯარს ქვეყნის ყველა პროვინციიდან და ოცი ათას კაცს ძლივს მოუყარეს თავი.

ვოლინსკი ასკვნიდა: თუმცა შვედებთან მიმდინარე ომი ხელს გვიშლის, მაგრამ აქაურ დაუძღურებას რომ ვხედავ, ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე ძალგვიძს არათუ არმიით, ერთი მცირე კორპუსითაც კი მივალნიოთ მიზანს, ამაზე ხელსაყრელი მომენტი აღარ იქნებაო.

ხოლო ვახტანგ VI საიდუმლოდ აუწყებდა რუსეთის ელჩს: თუკი პეტრე პირველი ომს გამოუცხადებს სეფიანთა ხელმწიფეს, ორმოცი ათას მხედარს გამოვიყვან და ისპაანამდე ჩავალ, რამეთუ ყიზილბაშები ნამდვილი დედლები არიანო...

სეხნია ჩხეიძე, განუყრელი მსლებელი და მესაიდუმლე ქართლის მეფეებისა, იმხანად ვახტანგ VI-ის მოღარეთუხუცესი, მშვენიერად რომ ითავსებდა მემატინის ხელობას, მოგვითხრობს: „ამა ჟამსა იდგა ყენი შაჰ-სულთან უსენი თეირანსა და შეაჩნდა ყენის ღალატი ეთიმადოვლეს ფათალიხანს. ესე იყო გვარად ლეკი, შამხლისა სახლის კაცთაგან, მაგრამ ხელმწიფისაგან გაზრდილი დიდისა პატივითა, უნდოდა თვით გახელმწიფება. მაგრამ ბრძანებითა ღვთისათა მოველინა რისხვა მისი და დაიჭირა და დასთხარა თვალეები და იავარჰყო ქონება მისი“.

ასე უმტყუნა ბედმა გავლენიან დიდმოხელეს. გიორგი XI-ის წინააღმდეგ გაჩაღებული ინტრიგების მოთავე ამჯერად თავად გახდა მსხვერპლი შეთქმულებისა, მისმა მეტოქეებმა რომ დაგეგმეს. სეფიანთა სამეფო კარის დიდკაცები დაუნდობლად გესლავდნენ ერთმანეთს და აინუნში არ აგდებდნენ, რომ ახლოვდებოდა მძვინვარე ქარიშხალი და ნგრევას უქადადა სეფიანთა ოდესლაც ძლევაშოსილ სახელმწიფოს.

...1715 წელს სული განუტევა ლილზაების ტომის სახელგანთქმულმა წინამძღოლმა მირ-ვეისმა, რომელმაც თავისუფლება მოუტანა თავის სამშობლოს და პირველი მტკივნეული დარტყმა აგემა სეფიანთა დინასტიას. მისი სიკვდილის შემდეგ ყანდაარს დაეპატრონა მისი ძმა მირ-აბდულა. იგი მშვიდობისმოყვარე კაცი იყო, არც პატივმოყვარეობა აწუხებდა და არც ომი სწყუროდა. სეფიანებთან ჭიდილს მორიგება არჩია. საკუთარი ნება-სურვილით დამორჩილება გვიჯობს, ვიდრე ისევ დაგვიპყრობენ და დაგვიმონებენო. მირ-ვეისის მონაპოვარს წყალში ყრიდა. ცოცხალი ძალის როლი ერჩივნა ბრძოლაში დაღუპული ლომის ხვედრს, ნაძრახი სიცოცხლე — სახელოვან სიკვდილს. მაგრამ სხვა თავკაცები ლილზაების ტომისა არ იზიარებდნენ მირ-აბდულას სულისკვეთებას და სასწრაფოდ შეაგულიანეს მირ-ვეისის უფროსი ვაჟი, თვრამეტი წლის მაჰმუდი, რომ ბიძა მოეკლა, მისი ადგილი დაეჭირა და ხმლით ხელში დაეცვა მამის მიერ მოხვეჭილი თავისუფლება ყანდაარისა. ფიციხი და ლალი ჭაბუკი წუთითაც არ შეყოყმანებულა, წარბშეუხრელად განახორციელა ტომის თავკაცთა მოწოდება, თავისი ღვიძლი ბიძა საიქიოს გაისტუმრა და ყანდაარის ბატონ-პატრონი გახდა.

ვიდრე მირ-აბდულა სეფიანთა სამეფო კართან ურთიერთობას ანესრიგებდა, ყიზილბაშებს გული საგულეს ჰქონდათ, დაკარგულ ყანდაარს უსისხლოდ დავიბრუნებთო. მაგრამ ამასობაში, ყანდაარს ვილა ჩივის, ჰერათიც გამოეცალათ ხელთაგან. აჯანყდა აბდალთა ტომი და ყიზილბაშებმა ვერაფერი გააწყვეს, განმეორდა ყანდაარის მარცხიან ლაშქრობათა ამბავი. აბდალბეგმა თავი დაიხსნეს სეფიანთა უღლიდან, მაგრამ მადა გაეღვიძათ და, თვისდა სავალალოდ, ყანდაარსაც წაეპოტინნენ. მირ-მაჰმუდმა სასტიკად დაამარცხა მეზობლები. ბრძოლაში დაიღუპა აბდალთა ტომის წინამძღოლის ვაჟი, სახელად ასადულა. მისი მოკვეთილი თავი მირ-მაჰმუდმა ისპაანს წარგზავნა და შაჰს შეუთვალა: გემორჩილები სამარადისოდ, ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც შენი მონა ვიქნებიო. მიამიტმა შაჰ-ჰუსეინმა იოლად ირწმუნა მამის დარად ცბიერი მირ-მაჰმუდის სიტყვები, მისი შემორიგებით დიდად

განიხარა და საპატიო ხალატი უწყალობა ღილაკების ახალ-გაზრდა წინამძღოლს, უწოდა ჰუსეინყული-ხანი და ყანდაარის ბეგლარბეგადაც დანიშნა.

ყიზილბაშებმა კვლავ თავიანთ სამფლობელოდ მიიჩნიეს ყანდაარი და სიზმრადაც არ ესიზმრებოდათ, რომ სეფიანთა ხელმწიფის მიერ დიდსულოვნად შეწყალებული მირ-მაჰმუდი უკვე ირანის დაპყრობაზე ოცნებობდა. ასეთი იყო მირ-ვეისის ანდერძი და ტომის თავკაცები მის მემკვიდრეს ამ ანდერძის ხორცშესხმას მოუწოდებდნენ.

1719 წლის ზაფხულის მინურულში მირ-მაჰმუდი ყანდაარი-დან დაიძრა. ყიზილბაშთა თვალის ასახვევად გამოაცხადა, აბ-დალთა წინააღმდეგ ვლაშქრობო, მაგრამ როდესაც სისტანის პროვინციას მიაღწია, ჩრდილოეთით მდებარე შერათის ნაცვლად სამხრეთ-დასავლეთისკენ აიღო გეზი და დემთე-ლუთის უდაბნოს მიაღწა. თავისი ჯარის გამოცდა ენადა, გენერალურ რეპეტიციას ატარებდა. უდაბნო გადალახა, უომრად აიღო ქალაქი ქირმანი, სადაც მთელი ცხრა თვე გაატარა, ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯით იჯერა გული და ისევ ყანდაარს გაბრუნდა. მირ-მაჰმუდის გამოლაშქრებას, თქვენ წარმოიდგინეთ, არავითარი განგაში არ გამოუწვევია სეფიანთა სამეფო კარზე. ვეზირებს შორის ჩვეულებრივი კინკლაობა იყო გაჩაღებული, ერთიმეორის შური თვალებს უბრმავებდათ და სმენას უხშობდათ. სახელმწიფოს ბედ-იღბალზე ფიქრით კი არავინ იტყვივდა თავს. შაჰ-ჰუსეინი უდრტვიწველად შეჰყურებდა თავისი ვეზირების ჩარფუზხანას და იმეორებდა საყვარელ გამოთქმას: „იახში დირ“, ე.ი. კეთილი და პატიოსანიო.

ისევ ფათალი-ხანმა სცადა, მოეგვარებინა ავღანთა პრობლემა. 1720 წლის ზაფხულში მან წამოაყენა ასეთი გეგმა: მთელი სამეფო კარი, ხელმწიფის მეთაურობითა და საომრად გამზადებული ლაშქრით, უნდა წასულიყო ხორასანს, სადაც მათ შეუერთდებოდა სამხრეთ ირანიდან გამონვეული ლაშქარი, რომელსაც ეთიმადოვლეს ძმისწული ლუთფალი-ხანი სარდლობდა.

ამ გეგმამ ვეზირთა გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია. მუჰამედ ჰუსეინი (მოლა-ბაში) და რაჰიმ-ხანი (ჰაქიმ-ბაში), ეთიმადოვლეს მთავარი მტრები, ხმას ავრცელებდნენ: ფათალი-ხანი, წარმომობით ლეკი, თავისი ტომის შეამბოხებთან დაკავშირებული არისო და ყანდაარისკენ აპირებს ჯარის გატყუებას, რათა ირანის საზღვრისპირა მხარეებში ლეკები თავისუფლად აპარპაშოსო.

ვეზირები შიშობდნენ, რომ ფათალი-ხანი დაიყოლიებდა ხელმწიფეს ხორასანს წასვლაზე, ლუთფალი-ხანი დაამარცხებდა ავღანებს და სეფიანთა სამეფო კარზე პრესტიჟს მოიხვეჭდა. საძულველი ბიძა-ძმისწული (ლეკები!) უზომოდ გაძლიერდებოდნენ და თავზე წამოაჯდებოდნენ მთელ ყიზილბაშურ დიდკაცობას.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეთიმადოვლე ითვლებოდა უმდიდრეს კაცად მთელს ირანში. გავრცელებული მითქმა-მოთქმის თანახმად, თავის მალალ თანამდებობას იგი ბოროტად იყენებდა, მარჯვნივ და მარცხნივ ქრთამებს იღებდა, აურაცხელი ქონება დაეგროვებინა, ქონება, რომელიც თურმე შვიდჯერ მაინც აღემატებოდა თვით ხელმწიფის დოვლათს. შეთქმულებს, რასაკვირველია, ამ სიმდიდრის ხელში ჩაგდებაც სწყუროდათ.

ლეკებზე ვახტანგ VI-ის ლაშქრობის მომლაც ამ ორი გავლენიანი ვეზირის დამსახურება გახლავთ. ისინი უკვე გეგმავდნენ ფათალი-ხანის დამხობვას და იფიქრეს, ვაითუ ქართლის მეფე ეთიმადოვლეს გამოესარჩლოსო (ვახტანგის ძმას — როსტომ ყულარალას ცოლად ჰყავდა ფათალი-ხანის ასული). ისინი შევედრნენ შაჰ-ჰუსეინს, სასწრაფოდ დაზავებოდა ლეკებს და ვახტანგის ლაშქრობა გაეუქმებინა. ვეზირთა ხრიკებმა გასჭრა. სეფიანთა ხელმწიფის ბრძანება დღევანდელი ვაშინგტონიდან შემონათვალს უდრიდა...

ავღანთა შემოსევამდე ჯერ კიდევ ორიოდე წელი იყო დარჩენილი და სათანადო თადარიგის დაჭერის ნაცვლად სე-

ფიანთა სამეფო კარზე შულისა და შეთქმულებათა ქარბორბალა ტრიალებდა.

ხელმწიფის დეიდა, ოთხმოც წელს გადაცილებული მარიამ-ბეგუმიც კი გრძნობდა მოახლოებულ ქარიშხალს, რომელიც ალგვიდა სეფიანთა დინასტიას პირისგან მიწისა, და დღენიადაგ ჩასჩირინებდა უშფოთველ ხელმწიფეს, თვალი გაახილე და ქვეყნის ბედზე იზრუნე, დიდი განსაცდელი გელის და ველარ გადარჩებიო. მაგრამ შაჰ-ჰუსეინი, ჩვეულებისამებრ, ყურსაც არ იბერტყავდა. იახში დირ, იახში დირო — ლოცვასავით იმეორებდა და ლოცვასაც უზგად ალავლენდა.

1720 წლის 8 დეკემბერს, ღამით, მოლა-ბაში და ჰაქიმ-ბაში დაუპატიჟებლად შეცვივდნენ ხელმწიფის საძილე ოთახში და ტკბილი ძილი დაუფრთხეს შაჰ-ჰუსეინს (გაუგონარი რამ მოხდა!). მოახსენეს: ეთიმადოვლეს განუზრახავს სამეფო გვირგვინის ხელში ჩაგდება და თქვენი სიცოცხლე ახლა საფრთხეშია, მოლაღატე დროზე უნდა მოგსპოთო; მერე შაჰს აჩვენეს წერილი, რომელსაც ეთიმადოვლეს ბეჭედი ესვა. ფათალი-ხანი წერილობით სთხოვდა ქურთავის ტომის წინამძღოლს, თეირანისკენ გამოეგზავნა სამი ათასი მეომარი — სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად. შეთქმულებმა დასძინეს: ლუთფალი-ხანი თავის ბიძას მხარში ამოსდგომია და მთელი სამეფო გვარეულობის ამოსაჟღელად აქეთ მოემართებაო.

შაჰ-ჰუსეინმა იოლად ირწმუნა თავისი უერთგულესი ხელქვეითის ღალატი და დაუყოვნებლივ მოიწვია სახელმწიფო საბჭო. განაჩენი ერთსულოვანი იყო: მოლაღატეს — სიკვდილი!

მაგრამ ფათალი-ხანს თვალების დათხრა აკმარეს, რადგანაც შეთქმულებს სურდათ, როგორმე შეეტყყოთ, თუ სად ჰქონდა მას გადამალული თავისი აურაცხელი ქონება.

შაჰ-ჰუსეინის გადარჩენის აღსანიშნავად მთელი ქალაქი საზეიმოდ გააჩახჩახეს და დიდ-პატარა ლოცვებს ალავლენდა ხელმწიფის საკეთილდღეოდ.

შეთქმულთა მომდევნო საზრუნავი იყო ლუთფალი-ხანის მოსპობა. იგი სასწრაფოდ იხმეს თეირანს, ვითომდა გადაუდებელ სახელმწიფო საქმეებზე მოსათათბირებლად. სარდალმა ჯერ არ იცოდა ბიძამისის უბედურება და არც დაეჭვებულა, იგი გამოეშურა თეირანისაკენ. მაგრამ გზაში შეიპყრეს და შეიპოვილი ჩაიყვანეს ირანის სატახტო ქალაქში. სარდალს ჩააცვეს დედაკაცის სამოსელი, უკულმა შესვეს ძროხაზე და ხალხის გასართობად მოატარეს ისპაანის ქუჩები. მერე ისიც ჩააყუდეს საპყრობილეში, ოღონდ არ დაუბრმავებიათ. შაჰ-ჰუსეინი უკვე ხვდებოდა, რომ მისი საყვარელი ვეზირი უდანაშაულო იყო ღვთისა და ხალხის წინაშე. მალე ხელმეორედ დაკითხეს ფათალი-ხანი. მან დამაჯერებლად გაიმართლა თავი და დაამტკიცა, რომ ქურთავის ტომის წინამძღოლის სახელზე გაგზავნილი წერილი ნაყალბევი იყო. თავი კი გაიმართლა უბედურმა, მაგრამ თვალის ჩინს ვილა დაუბრუნებდა!

უახლოეს მომავალში დაცემა ელოდა სეფიანთა დინასტიას.

XVI საუკუნეში შაჰ-თამაზისა და XVII საუკუნეში შაჰ-აბასის გარჯით აღზევებული სეფიანთა სახელმწიფო XVIII საუკუნეში სულს ღაფავდა უნიჭო და უნიათო შაჰ-ჰუსეინის გამოსობით.

ორ საუკუნეზე მეტია დაულალავად ეომებოდნენ ღამის ნახევარი ევროპის დამპყრობელ ოსმალეთს და ნახევრადგელურ ავღანთა ტომებს თავს როგორ გაუყადრებდნენ? ვერ წარმოედგინათ, რომ გუშინდელი ქვეშევრდომნი ისე გათანამედბოდნენ, ხელს აღმართავდნენ ოდესლაც უძლეველ იმპერიაზე. რა იცოდნენ, რომ ყანდაარში უკვე ილესებოდა ხმალი სეფიანთა დინასტიის დასამხობად.

რაც შეეხება ყიზილბაშთა ოდინდელ გულოვნებას, იგი წარსულს ჩაჰპარებოდა ანუ, დავით გურამიშვილის მოხდენილი გამოთქმით, „ხმლის სიფოლადეს სპარსთასა უამი რამ მიხვდა ლბობისა, ხმა დაუმდაბლდათ, მოულბათ, სიტყვის თქმა ამაყობისა“.

ამაზე უკეთესს ვერაფერს იტყვი!